644
1978

ეროვნული
ბიბლიოთეკა

(67)

ცისკარი

9

1978

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ნიკოლოზ ბარათაშვილი“

მოქანდაკე ბორის ციბაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარი

256

გამოცემის მეოცე წელი

9

სექტემბერი

1978

თბილისი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

15898

შინაარსი

3. იოსებ ეროვნული — დარეთ გზა პროფესიულ-ტექნიკურ განათლებას

პროზა, პოეზია

10. ზია ჩიტიანი — ვიწყოდე, ვეძებო, ცეცხლში ვდგებოდეო.

11. თენგიზ ჩალაური — ჭიდილი. მოთხრობა

32. გივი ალხაზიშვილი — რას გვეკრძალება გაჯაფხულის? (ზოეემა-ზღაპარი)

98. ვია ლომაძე — კაცი გალავანზე. მოთხრობა

67. ინოლა ბურგულია — ლექსები

69. ბელა შალვაშვილი — ლექსები

70. რუზანე ჩითიძე — ლექსები

71. კუკური ბოგიანშვილი — ლექსები

72. ალეკანდრე ნამორაძე — ლექსები

72. რობერტ ფუფაძირიძე — თუ დავიბიწყო... ლექსი

73. რუსლან ღონღლაძე — ზეციდგომა. მოთხრობა

ეგზეგზრობის მერიდიანები

88. ვარდენ კეტროსიანი — „სიფხიერი ესკიზები“ თარგმნა არჩილ დავითაიამ

ვარდს გაეფურჩქნა კოკორი

94. ბარიელ ბანგურია — ლექსები

96. გივი ჭიბინაძე — ბუსკუსელა-ბუსკუსარა. პოემა

50 — ნოდარ ფუფაძე — 50

99. ციალვეფანი

კრიტიკა

103. ბეორგი ბეკლიძე — კართველთა ეპიკურ-რომანტიკული ბატალი

108. ლერი ჩანგლაძე — „ზაუფნიკური“ ძიებანი „ორერთიანისა“, ანუ ბურიოზების კონტინენტელი

115. ალთანდილ ნიკოლეიშვილი — ლიბილითი გამთბარი ნოველები

150 — ლევ ტოლსტოი — 150

122. თენგიზ ბუაჩიძე — ლევ ტოლსტოის ოდეურ-მხატვრული განვითარების ზოგიერთი თავისებურებანი

წერილები

134. ვლადიმერ ნორაკიძე — ნიკოლოზ კანდელაკი

ხელოვნება

140. კიტე ბაბაველი — ნიკოლოზ ბარათაშვილის ძველი თბილისი

პირველი შთაბეჭდილება

144. რამაზ ბოგრაკაძე — კრიტიკოსის ახალი წიგნი; შალვა ამონაშვილი — სუფბარი კოეზიაზე; ვაჟა ყუბუსნიძე — ფიქრები ბანსაჯის ბიცვლეულ ხილებზე; რევაზ ჩხარტიშვილი — კოეტის გზა და ოცნება; ვახტანგ ხარჩილავა — თეთრარიელაში ნათქვამი ლექსები; ლევან ბრეეაძე — კოეტის პირველი წიგნი

ჩვენი სტუმრები

150. ფაბიან ანასეული — ახალგაზრდა ეეიტანელი ეეიტლები

სპორტი

152. ანანელ ბოგლელია — ფეხბურთი ეკლის ახალი გზეთ

158. კონდრატელი ცხოვრების კრონიკა

მთავარი რედაქტორი
ბურაბ ფანეულიძე

სარედაქციო კოლეგია:
ბაბუა ანიბალეიძე, ბურაბ ბეგენიშვილი, ბეგი ბეგეეეეკორი, რისხარ ბოგრდეზიანი, ბეერაბ ბუბლია, ნოდარ ფუფაძე, ვერაბ ელეეეზიშვილი, ეფუარდ ეეეაბდე, ეეეზან ორეეზონეიძე, ო�ia ბაბეკორია
(ეეთ. რედაქტორის ეეთადგილეს), ეეაბნეულ ბანგურია, ნუბზარ ფეეიეეეეეი, ბაბიელ ბანგურია, რეეზო ბეეეეზიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოსებ ჟღენტი

ფართო გზა პროფესიულ-ტექნიკური განათლებას

ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის სხვა პრობლემათა ფონზე ახლანდელ ეტაპზე ერთ-ერთი სერიოზული საკითხი კვალიფიკაციური მუშების მომზადება ახალგაზრდობის რიგებიდან. ამ საკითხს მიეძღვნა პარტიული და საბჭოთა ორგანოების არა ერთი სახელმძღვანელო დადგენილება, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სკკ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 30 აგვისტოს დადგენილებას „პროფესიულულ-ტექნიკური განათლების სისტემის მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის პროცესის შემდგომი სრულყოფის შესახებ", აგრეთვე საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 24 ივნისის შესაბამის დადგენილებას „საქართველოს სსრ პროფესიულულ-ტექნიკური განათლების სისტემის მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის პროცესის შემდგომი სრულყოფის შესახებ", რომელთა ცხოვრებაში განუხრელად გატარებას მიეძღვნა მიმდინარე წლის 27 ივნისის გამართული საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის მუშაკთა აქტივის კრება რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, საბაზო სპმინისტროების, განათლების სამინისტროს სისტემის წარმომადგენლებთან ერთად.

ახე ხდება: ხშირად ცხოვრება თავად გვკარნახობს, რა პრობლემა წამოეწოოთ წინ, რა ამოცანის დადასწყვეტად შეეამჭიდროვოთ საზოგადოებრივი ძალები. ახლა ახეთ პრობლემათა რიცხვს მიეკუთვნება ჩვენი განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მრავალდარგოვანი და რთული ადნაგობის სახალხო მეურნეობის მაღალი კვალიფიკაციის მუშებით შეუფერხებელი უზრუნველყოფის საკითხი, რომლებიც მზადდებიან პროფესიულულ-ტექნიკური განათლების სასწავლო დაწესებულებებში.

ამ ამოცანის გადაწყვეტა თავისი სპეციფიკურობის გამო შეუძლებელია საზოგადოებრიობის, პირველ რიგში კომკავშირული ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობის გარეშე. ახლა ახე დგას საკითხი: — სპეციოა, მთელი საზოგადოების, პირველ რიგში კი მშობლების შემობრუნება პროფესიულულ-ტექნიკური საგანმანათლებლებისაკენ, რომელთა შემდგომ სრულყოფასა და განვითარებაზე მთლიანად არის დამოკიდებული ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ხვალინდელი ბედ-იღბალი. განათლების ეს სისტემა უკვე იქცა სახალხო მეურნეობისათვის კვალიფიკაციური მუშების მომზადების ძირითად საოლად.

პროფესიულულ-ტექნიკური სასწავლებლების პედაგოგიურ კოლექტივებს სურდათ საზოგადოების მხარში ამოდგომა, დახმარება, რადგან მიუხედავად პარტიული და საბჭოთა ორგანოების ზემოთ აღნიშნული დადგენილებებისა და ცალკეული ხასიათის სერიოზული, პრაქტიკული დახმარებისა, იქ უმთავრესად მაინც ჩამორჩენილი, ზოგჯერ გზას აცდენილი მოსწავლეები იგზავნება, რომელთა ხელახალი აღზრდისათვის ზოგჯერ სწავლის პერიოდიც (2-3 წელიწადი) საკმარისი არ არის, რადგან ამოცანის გადაწყვეტა ხდება მთავარი მიზნის, — მოსწავლეების მიერ სრული საშუალო განათლების მიღებისა და პროფესიის ათვისების პარალელურად.

1978 წლის თებერვალში გამართული საქართველოს კომკავშირის XXXI ყრილობა მისი წინამორბედი ახალგაზრდული ფორუმებისაგან იმ სიახლეთაც განირჩოდა, რომ მას წინ უძღოდა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „კომუნისტური მიდგომა, როგორც ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის ერთიანობის უზრუნველყოფის ძირითადი პირობა", რომელიც ჩატარდა 4 თებერვალს ექვსი ძირითადი კატეგორიის მიხედვით.

სასიხარულოა, რომ სწორედ პროფესიულულ-ტექნიკური სასწავლებლების პედაგოგიური კო-

ლექტიფიების წინაშე წამოიჭრილ აღზრდის პრობლემებს მიეძღვნა ყრილობის წინ გამართული ერთ-ერთი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომლის თემა იყო „პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის პრობლემები „XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე".

როგორც აღნიშნული კონფერენციის მეცნიერ-მუშაკნი, სასწავლებ ვეკონსულტანტები, ასევე ფიზიკურ მუშაკნი იდეური აღზრდის, მთელი სასწავლო პროცესის გაუჯანსაღესებს საკითხებზე. როგორც კომფერენციის დღეს, ახევე მის მომდევნო პერიოდში „მრგვალ მაგიდასთან" შეეხვედნ ჩვენნი ახალგაზრდობის საუკეთესო წარმომადგენლებს, ახევე იმათ, ვის ხელთაა არის კომკავშირული ორგანიზაციების მართვის, მუშათა კლასის ხელისნდელი ცვლის სწავლა-აღზრდის საქმე. ვეხებაზრეთ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეების დაბრგებებს, ამ სასწავლებლების კურსდამთავრებულებს, სოციალისტური შრომის ბერიტს. ფფიქრობთ მათი ნაფიქრალის, სურვილების და ფინადადებებს მკითხველთა ფართო აუდიტორიის წინაშე გამოტანა ხასარგებლოა და დროული. ყოველ მათგანს დავუსვიდ დაახლოებით ასეთი კითხვა: რა მიგაჩნიათ ახლანდელ ეტაპზე პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კომკავშირული ორგანიზაციებისა და პედაგოგიური კოლექტივების მთავარ ამოცანად და როგორ გესახებთათ მისი გადაწყვეტის ოპტიმალური გზები? რთი ხსნით ჩვენი რესპუბლიკის მოსწავლე ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილის დ. მათ შუოლების გულგრძელთან პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისადმი, ანუ ეგრეთწოდებულ „ანტინდუსტრიულ" განწყობილებასა? თქვენი აზრით, როგორია შუშაობა, ხალხური, რომ რესპუბლიკის მოსახლეობისათვის უფრო გასაგები გახდეს პოფესიულ-ტექნიკური განათლების ყველა საკითხი? როგორ გეაანგებათ განათლების ამ სისტემის მომავალი? ქვემოთ მოგვეყვნს მათი პასუხები:

ი. ლ ო ბ ი ე ვ. — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადე, მე-3 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებული, სოციალისტური შრომის გმირი:

— პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კომკავშირელთა და აღზრდილ პედაგოგთა მთავარ, გადაუდებელ ამოცანად მიმაჩნია ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობის გაშლა ახალგაზრდობაში და მთ მშობლებშია ინ ცრუ, მავნე შეხედულების გასაქარწყლებლად, რომელიც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არის ჩვენი ხაზოგადოების გარკვეულ ნაწილში. საკირო დავარწმუნოთ ისინი, რომ განათლების ამ სისტემას მხოლოდ საკეთე მოაქვს, როგორც ჩვენი ხასალხო მეურნეობისათვის, ისე პირადად მათ თვის, — შრომა ხომ გარდა მატერიალური ეფექტიანობისა, უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს ადამიანებს..

გულისხტკივილით შევიტყობ ხოლმე, რომ ზოგი შობელი ზვალის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში ჩარიცხვის წინააღმდეგია, „ლირსებას" შელახავ თვლის იქ მის გაგზავნას. მინდა ყველას ვუთხრა, თუ როგორ მცდარია ეს აზრი. ჩემი კალაშვილი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ფრიადოსანი მოსწავლეა. მოსარული ვარ, რომ მან სწორად აირჩია ცხოვრების გზა.

თვითონაც პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი დავამთავრე. დღეს კი მეამაყება, რომ მუშა, მარტენის ხაამრეოს მეფოლადე, რუსთაველ მეტალურგთა სახელოვანი კოლექტივის წარმომადგენელი ვარ.

რუსთაველ ქარხანის კადრებით ჩემი აღზრდელი მე-3 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი ამაყობს. საწარმო დახმარებას არ აკლებს თავის კადრებს სამეცადლოს, ხელს უმართავს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა თუ სასწავლო-აღზრდელობითი პროცესის გაუჯანსაღესაში. მაღალი კვალიფიკაციის მქონე მუშაკნი მომზადებაში, მოსწავლეებს ყოველგვარ პირობებს უქმნის საწარმოო ტრიბუტიის სრულფასოვნად ჩატარებისათვის.

ჩვენმა ქარხანამ ზედიზედ ხუთჯერ გაიმარჯვა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. მის წარმატებაზეა გარკვეული წვლილი შეაქვთ მე-3 სასწავლებლის კურსდამთავრებულთ. მათ შორის არიან საწარმოს საუკეთესო მეფოლადეები ო. წითლიძე, ფ. ივანიაშვილი, უფროსი მეცადაცვები გ. ეუკოვი, ა. კირი და სხვები.

მჯერა, რომ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები კიდევ მრავალ სახელოვან მამულიშვილს აღზრდიან რესპუბლიკას, რომ მათ შორის არ იქნება არც ერთი ჩამორჩენილი, უდისციპლინო. მინდა ვუთხრა ამ ახალგაზრდებს, რომლებიც დღეს ხალოსის თუ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მერხეს უსხედან: მხოლოდ შრომაშია ადამიანი დიდი და რაც უფრო მეტ-რეალედ უყვარს შრომა, მით უფრო დიდი თვით იგი, მით უფრო ნაყოფიერია, მით უფრო ნნიშვნელოვანია და მშვენიერია შრომა. ყოველივე ამაში უნდა დავარწმუნოთ ჩვენი ახალგაზრდობა, მათი მშობლები და ამით მთავარ ამოცანასაც გადაწყვეტთ: ხაბოლოოდ დაინგრევა ის კედელი, რომელიც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არის აღმართული განათლების ამ სისტემასა და რესპუბლიკის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს შორის.

პროფესიულ-ტექნიკურ განათლებას დიდი მომავალი აქვს... თუმცა, მის მომავალზე ლაპარაკი, ცოტა არ ეყოს, უადგილოდ მეჩვენება,

რადგან ის ფაქტორად უკვე დღეს იქცა ხახალხო განათლების ერთ-ერთ მთავარ მოძრაობად.

ა. რ უ ს ა ძ ე, — თბილისის მარშალ თ. ტოლბუხინის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საუნელო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ალაკ კომბატების მფავანი:

— ჩემი აზრით, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კომკავშირული ორგანიზაციისა და პედაგოგიური კოლექტივის ერთობლივი, მთავარი ამოცანა იმ მოთხოვნადან გამომდინარეობს, რომელიც ჩვენს წინაშე უკვე დაყენნა ცხოვრებამ. ეს არის ახალი ტიპის შუშის ბომბონები, რომელიც წელგადამრთული შეხვედრა მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციას და 21-ე საუკუნის მასშტაბებს ისე, რომ შეინარჩუნებს და გაგაძლევს ჩვენი ქვეყნის გმირი შუშათა კლასის მდგადარ, რევოლუციურ, საბრძოლო და შრომით ტრადიციებს.

ჩვენი ერთობლივი მუშაობის გადაუდებელ ამოცანად მიჩანია მომავალი კვალიფიციური მუშების იდეურ-პოლიტიკური, შრომითი, ზნეობრივი და ესთეტიური აღზრდის ამოცანის რაც შეიძლება მოკლე დროში გადაჭრა, ამოცანია, რომელიც ჩვენს წინაშე დაყენეს XXV, XXI-ე, საქართველოს კომპარტიის XXV და ახალახან დამთავრებული სრულიად საკავშირო კომკავშირის XVIII და საქართველოს კომკავშირის XXXI ყრილობებმა. უნდა მივაღწიოთ ამას, რომ მომავალი კვალიფიციური მუშები ნამდვილ იდეურ-პოლიტიკურ წრთობას გადაიტანენ სასწავლებლებში სწავლის პერიოდში და პროფესიის ათვისებასთან ერთად სრულყოფილად ეუფლებოდნენ ზნეადამიანურ-ნებელობენ სანგებს. ამ საქმეში კომკავშირული ორგანიზაციის ამოცანა გამოიხატება ერთის მხრივ სწავლა-აღზრდის პროცესის სრულყოფისათვის პედაგოგიური კოლექტივისადმი ქმედითი დახმარების გაწევაში და მეორე მხრივ იმაში, რომ თითოეულ მოსწავლე კომკავშირელს დაეხმაროთ გამოიმუშაოს აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია. პროფესიის საყვარული, პატრიოტული და ინტერნაციონალური ფეთისებები.

სამწუხაროდ, ჩვენს რესპუბლიკაში პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისადმი, მუშური პროფესიებისადმი ახალგაზრდობის და მშობლების საგრძნობი ნაწილის გულგრილობა გამოწვეულია არ მარტო საშუალო სკოლების კომკავშირული ორგანიზაციების და პედაგოგიური კოლექტივების ! სუსტი მუშაობით მუშური პროფესიების პროპაგანდის საქმეში, არამედ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კომკავშირული ორგანიზაციების მოუქნელი მუშაობითაც. საეჭოოა, მეტი კონტაქტები, ერთობლივი ღონისძიებების უფრო ხშირად და მრავალფეროვნად ჩატარება. აუცილებელია ერთობლივი მოქმედება, ურთიერთდახმარება, რჩევა, დამაჯერებელი პროფკონსულტაცია, რადგან ცნობილია, რომ არა თუ სკოლიდან, არამედ ხშირად მოზრდილ ადამიანებსაც კი უჭირთ პროფესიის არჩევა. საჭიროა, პროფორიენტაციული მუშაობა საშუალო სკოლებში წარმოებდეს არა პერიოდულად, ზოგჯერ კი სასწავლო წლის მიწურულში, როგორც ეს ახლა ხდება ხოლმე. არამედ სასწავლო წლის დასაწყისიდანვე და დაწყებითი კლასებიდან, თანმიმდევრულად და ფართო ფრონტით.

მიმაჩნია, რომ პირველ რიგში დიდი ახსნა-განმარტებითი მუშაობა უნდა ჩატარდეს უშუალოდ მშობლებთან, რადგან სწორედ მათი არასწორი წარმოდგენა ბოსტეულის ან ხისტემაზე, მოქმედებს ახალგაზრდობის (ანუ მათი შვილების) განწყობილებაზე. ამიტომ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში მოწვიონი „ღია კარის“ დღეებში და სხვა ღონისძიებებში მოსწავლეებთან ერთად მოწვეული უნდა იქნან მათი მშობლებიც. თუ ჩვენ მივაღწევთ, რომ მშობლები ეცნობიდნენ თანამედროვე პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებს, მათ ტრადიციებს, ისტორიას, დანაშნულებას, შედეგი უთუოდ უკეთესი იქნება.

მიუხედავად გაწეული მუშაობისა, მეტი დახმარება გვჭირდება ახალგაზრდული ტურნალ-გაზეთების, ტელევიზიის და რადიომაუწყებლობის მხრივაც. ისეთი ძირეული რგოლები, როგორიც არის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი, საშუალო სკოლა და საბაზო ორგანიზაცია, მეტ ურთიერთმოქმედებას და შეთანხმებულ მუშაობას საჭიროებს. აქ „ამქრები ფეხდი“, ბუნებრივია, უნდა იყოს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კომკავშირული და პედაგოგიური კოლექტივები, მაგრამ თუ ამ საკითხს სახელმწიფო პოზიციიდან მიეუდგებით, სახალხო მეურნეობებისათვის კვალიფიციური მუშების მომზადება არა თუ კ ალნშწული ორგანიზაციების, მთელი საზოგადოების საქმეა, რადგან ასეთ მუშაობაზე დიდად არის დამოკიდებული რესპუბლიკის მუშათა კლასის ხვალინდელი დღე.

„ცისკრის“ მკითხველთაგან ალბათ ცოტამ თუ იცის, რომ ეკონომისტების გამოთვლით პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულთა 90 პროცენტი შესაფერ ერთგულებას იჩენს არჩეული პროფესიისა და თავისი საწარმო კოლექტივისადმი, რომ მათი შრომის ნაყოფიერება გაცილებით მაღალია სხვა კატეგორიის მუშებთან შედარებით, ხოლო კურსდამთავრებულთა 40 პროცენტი მონაწილეობს რაციონალიზატორთა მოძრაობაში და ა. შ.

რ. ლ ა ღ ი ძ ე, — ტყიბულის მე-19 პრო-

ი ო ს ე ბ ე ლ ე ნ ტ ი ნ ი

ფ ა ნ ტ ო ო ბ ა ზ ბ ა პ ო ფ ე ს ი ო ნ ლ ო ბ ა-ტ ე ქ ნ ი ნ ი ს ა ნ ა ს ა ნ ლ ე ბ ა ს ა

ფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებული, „ტუბიფულშახტშენის“ კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელი:

— პირადაპირ მოკახსნეთ, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კომკავშირული ორგანიზაციისა და პედაგოგიური კოლექტივის. ერთობლივად გადასაწყვეტ მთავარ ამოცანად მიმაჩნია ყოველდღიური ზრუნვა მომავალი კვალიფიციური მუშების პროფესიული დაოსტატებისათვის და სპპ-ში ორგანიზაციის ახეთი კაღრებით შეუფერებელი უზრუნველყოფისათვის. რა გზით? ერთობლივი, ყოველდღიური და შეთანხმებული მუშაობით.

პირადად მე ამ სამი წლის წინ სპეციალურ სკოლის დამთავრების შემდეგ ტეიფულის მე-19 პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელს მივაშურე მლეკავის პროფესიის დასაუფლებლად. ჯგუფში 28 გოგონა ვიყავით, ავედან 17-ის სასწავლებელი წარმატებით დავამთავრეთ. სწავლის პერიოდში რამდენიმე თანაჯგუფელთან ერთად „სწავლაში წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტისა და საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სამადლო სიგელით დამჯილდოდეს. ფმონწყლეობდი სისტემის მაატარეთი კოლექტივების ზონალურ და რესპუბლიკურ დათვალიერებაში და ლაურეატიც გავხდი. ერთ მშვენიერ დღეს ეი მუშის ბავშვური მივედი „ტუბიფულშახტშენის“ სამმართველოში. დრო გავიდა, დავკვიტატდი. რიცა ბაკუთარი ძალა ვირწმენე, აზრად დამებადა მე-19 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულ გოგონათაგან კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა ჩამომეყალიბებინა.

ჩვენი ბრიგადის წევრები არიან ზ. კასრაშვილი, დ. ქასრაშვილი, თ. სოჯაძე, ზ. მუმლაძე, ი. ისაკაძე და სხვები, რომლებიც სასწავლებელშიც აქტიური კომკავშირლები და სწავლის ფრიადოსნები იყვნენ. მათი ხელმძღვანელობა მე მომანდეს. ჩვენი ბრიგადა შეფობას უწევს ქალაქის რამდენიმე პიონერულ რაზმს და კომკავშირულ ორგანიზაციას. ჩვენი წვლილიც არის იმაში, რომ, ტეიფულის სკოლების მრავალი კურსდამთავრებული გამოთქვამს სურვილს მე-19 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ტექნიკურ ჯგუფებში დაეუფლონ პროფესიას.

შარშანდელი წელი ჩემთვის ფეხბედნიერი აღუ: მარტში ხკკა წევრად მიმიღეს, ნოემბერში კი საქართველოს კომკავშირის XXXI ყრილობის დელეგატად ამირჩიეს და ვმონაწილეობდი ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობის ფორუმში. ვიპოვე ჩემი მოწოდება, ვიპოვე ჩემი ცხოვრების ბედნიერი გზა და ახლა მინდა ყველა მოზარდს, ვინც დღეს ჯერ კიდევ სკოლაში სწავლობს, ვფიქრობ აირჩიონ ჩემი და ჩემი მეგობრების გზა, ოღონ ამით არავერს არ დაკარგავენ, შეიძენენ კი დიდ გამოცდილებას, საკუთარი და საინტერესო გზით გაელენ დიდ ცხოვრებაში. ჩვენი დევიზია — „სწავლა შრომასთან ერთად“.

განათლების ამ სისტემას შესანიშნავი აწყმო და კიდევ უკეთესი მომავალი აქვს. ამაში მე ჩემი პირადი გამოცდილებით დავრწმუნდი.

ე. ხოლოგონია, — პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებული, თბილისის 86-ე საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი:

— სასწავლებლის კომკავშირული ორგანიზაციისა და პედაგოგიური კოლექტივის მიზანი და ამოცანა ერთია, — აღზარდონ მაღალი კვალიფიკაციის მუშები, ჩვენი ქვეყნის ყოველმხრივ განათლებული, დირსეული მოქალაქეები.

ჩვენი რესპუბლიკის მოსწავლე ახალგაზრდობის და მათი მშობლების ერთი ნაწილის გულგრილობა პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისადმი იხსნება იმით, რომ განათლების ამ სისტემას არ იცნობენ საფუძლიანად, მათ ახეთ ძველი წარმოდგენა აქვთ ჩვენს სასწავლებლებზე. არ იციან, რომ უკვე მოხდა დიდი ევოლუცია: დღევანდელი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი ის ძველი, დარიბი „ფეზნუის“ აღარ არის. ახლა ბევრი ჩვენი სასწავლებელი თავისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და სხვა შესაძლებლობებით ზოგჯერ უმაღლეს სასწავლებლებსაც კი აღარ ჩამოუვარდება, ისაფერი რომ არ ვთქვათ საშუალო სპეციალურ საგანგებლებზე. თუმცა ამის ცოდნა მოსწავლეებზე უფრო ზოგჯერ მათ მასწავლებლებს სჭირდებათ, რადგან საშუალო სკოლებში ჯერ კიდევ ამნიჭენენ მოსწავლეებს სიტყვებით: „თუ არ ისწავლი, შენი პირადი საქმეა

16, 129-ე, 143-ე და სხვა სკოლის პედაგოგიური კოლექტივები და კომკავშირული ორგანიზაციების ენერგიული მუშაობა; ისინი დიდად გვეხმარებიან მუშაობაში, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით თბილისის სხვა რაიონების საშუალო სკოლების ხელმძღვანელობასა და განათლების ორგანოებზე, მათი მიზეზით ვერ ვახერხებთ სასწავლებლის დაკომპლექტებას მხოლოდ დედაქალაქის სკოლების მოსწავლეებით, რის გამიც იძულებული ვართ რაიონებიდან ჩამოსულთათვან შევავსოთ იგი, რაც, ბუნებრივია, დამატებით სიძნელეებს ვგვაქნის მუშაობაში.

გულისტკივილით უნდა ვთქვათ, რომ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების პრობლემებით ნაკლებად არიან დაინტერესებული ჩვენი სახელოვანი მწერლები და პოეტები, ხელოვნების სხვა მუშაკები, ეურნალ-გაზეთები. არც ერთ დარგს კი ისე არ სჭირდება მათი დახმარება, როგორც ჩვენი სახალხო მეურნეობისთვის კვალიფიციური მუშების აღმზრდელი პედაგოგიურ კოლექტივებს.

ახლა ძნელი ცოტა არიან სეპტემიასები, რომელთაც არ სჭირდებიან პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის სასწავლებლის საკეთის და მათი ცხოვრებაზეფელობის... თუმცა ისინი ჯერ კიდევ არიან. მე თუ მკითხავთ, ამ თემაზე კამათს ის აჯობებდა, ყველა ვგვრდით ამოგვიდგეს და ერთობლივად გადავწყვეტით ისეთი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე, რასაც მუშათა კლასის ღირსეული ცვლის მოპაზდება ჰქვია, რადგან არა თუ მომავალში, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემა უკვე ოქცა მძლავრ და ყველაზე უფრო საჭირო მოძრაობად, ურომლისოდაც წარმოუდგენელია არის ჩვენი სახალხო მეურნეობის შემდგომი წინსვლა და პარტიისა და ხალხის გეგმების წარმატებით შესრულება.

თ. მ ა ი ს ტ რ ა ძ ე, — რუსთავის 61-ე საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი:

— როდესაც პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კომკავშირული ორგანიზაციის და პედაგოგიური კოლექტივის ერთობლივი მუშაობის შთავარ ამოცანაზე ვსაუბრობთ, უნდა გამოყოფთ შთავარი, — მომავალი კვალიფიციური მუშების იდეურ-ზნეობრივი აღზრდა შედარებით ისეთ მოკლე დროში, როგორიც არის სასწავლებელში სწავლის პერიოდი. ეს შესაძლებელია მხოლოდ მუდმივი და ერთობლივი შემოქმედებითი შრომით. კომკავშირული ორგანიზაცია, მისი აქტივი პედაგოგიური კოლექტივის სიმეფლო დასაყრდენია. მისი ფიქრი და მოქმედება განუყოფელია პედაგოგიური კოლექტივის ფიქრისა და მოქმედებისაგან. აქვე არ შეიძლება ხაზგასმით არ ითქვას ის შესახებაც, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჩვენს პირობებში ენიჭება ჯგუფის საწარმოო სწავლების ოსტატის პირად მაგალითს, მის პირად თვისებებს, ინტელიქტს, ეს რომ ასეა, იქედანაც ჩანს, რომ როგორც ეროვნულ სოციეთესო საწარმოო სწავლების ოსტატს (ზვიადი ბენიაშვილისას გარდა) ყოველდღეს ქარგი ჯგუფი ჰყავს, ხოლო ამ საქმისათვის ნაკლებად მოამზადებულ ივანე საწარმოო სწავლების ოსტატეზე გაპირველებული ჯგუფი ყოველთვის „მოიოკვლება“ როგორც ავადმყოფი მოსწრეთა თვალსაზრისით, ასევე შეგნებული დისციპლინის მხრივაც. სწორედ საწარმოო სწავლების ოსტატი, რომელიც სწავლის მთელ პერიოდში წუთითაც არ შორდება ჯგუფს, ზრუნავს მასზე, ახდენს უდიდეს ზეგავლენას მოსწავლეთა ზნეობრივ და პროფესიულ აღზრდაზე. ამდენად, როგორც კომკავშირული ორგანიზაციის, ასევე პედაგოგიური კოლექტივის მთელი მუშაობის შედეგი საბოლოოდ მაინც დამოკიდებულია საწარმოო სწავლების ოსტატის მოქმედების ულარნა ან პედაგოგიურ ალღოზეზე. მის პირად მაგალითზე. ამიტომ, გადაუფუფდელ ამოცანად მიმაჩნია იმ პრიცესის დაჩქარება, რომელსაც ენერგიულად მოკავდა ხელი ამ პოლო დროს საკრთველოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა და რომლის მიზანია რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური და ტექნიკური სასწავლებლების მხოლოდ უნარიანი, განათლებული საწარმოო სწავლების ოსტატებით დაკომპლექტება.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ პროფესიულ კონსულტაცია უნდა ტარდებოდეს უფრო ფართოდ და მასწავლებლად უშუალოდ მშობლებთან, ვიდრე ვთქვათ, საშუალო სკოლაში, რადგან თავიანთ შვილებზე გადამწყვეტ ზეგავლენას მაინც მშობლები ახდენენ. ეს შეუძლებელია ჩვენი პრესის, რადიომაუწყებლობისა და ტელეხედვის აქტიური დახმარების გარეშე.

გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის, საშუალო სკოლისა და სამაზო ორგანიზაციის ერთობლივ, გეგმიურად მოქმედებას. ასის შესახებ ვფიქრობ, როცა ამ „სამ კომპონენტს“ შორის კავშირი ხელოთად არ არსებობს. თითქმის არ ზრუნავს სა პროფორიენტაციო მუშაობა მსხვილ საწარმოო დაწესებულებებში, რომლისთვისაც კვალიფიციურ მუშებს ამზადებენ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები და სადაც შრომობენ მშრომელთა დიდი ჯგუფები. როგორ გგონია, არ არის ეს კურიოზი?.. პირიქით კი უნდა ხდებოდეს.

პროფესიულ-ტექნიკური განათლების ცხოველმყოფელობა და სიცოცხ ყველაზე უფრო ნათლად გამოკვლინდა ლენინგრადსა და ლენინგრადის ოლქში, სადაც დიდზეა დიდი მოძრაობა

ი ო ს ე ბ ე ლ ნ ი ნ ი

ფ ა რ თ ი ნ ბ ე ბ ი ა პ ო ფ ე ს ი ო ნ ე ლ - ტ ე ქ ნ ი კ ურ ი

ბ ა ნ ა ვ ლ ე ბ ა ს

ბა დევნიდნ, — ფართო გზა პროფესიონულ-ტექნიკურ განათლებას! ეს მოძრაობა პირველად მოსკოვს და მოსკოვის ოლქს გადადგა. ხოლო შემდეგ გავრცელება იწყო მთელს კავშირში ლენინგრადსა და ლენინგრადის ოლქში ბარ. ფაბრიკულ-ტექნიკურ სასწავლებლებში უკვე ხალისით მიდის რვაკლასდამთავრებულთა 50 პროცენტი. ჩვენ გვგონია, რომ ასეთი სასიკეთო მოძრაობა ახლო მომავალში საკარიელოსაც გადადგება.

მ. თ ა ბ უ კ ა შ ვ ი ლ ი, — ქუთაისის №4 საშუალო პროფესიონულ-ტექნიკური სასწავლებლის წარჩინებული მოსწავლე, კომკავშირული აქტივისტი:

— მე იმის შესახებ ცოტას მოგითხრობ, თუ პროფესიული ორიენტაციის გაშლის საქმეში რის გაკეთება შეეძელით ან და რემბა მეგობრებმა და, მაშასადამე, რის გაკეთება შეუძლიათ ჩემს თანატოლებს პროფესიონულ-ტექნიკურ სასწავლებლებში.

პროფორიენტაციული მუშაობა საჭიროა არა მარტო საშუალო სკოლებში, არამედ ოვით პროფესიონულ-ტექნიკურ სასწავლებლებშიც. რათა ჩემი მერხის ზოგიერთი ამხანაგს, რომელსაც ჯერ კიდევ მტკიცედ არ სჯერა არჩეული პროფესიის (ვთქვათ, ხეზინი რჩევით მოვიდა სასწავლებელში), საბოლოოდ განუმტკიცდეს არჩეული პროფესიის სიყვარული. დამეწერეთენი, ასეთ მუშაობაზე დიდად არის დამოკიდებული სასწავლებლის ყურადღებიერებულთა სპეციალ ორგანიზაციაში „დამეჯრების“ პრობლემის გადაწყვეტა.

პროფესიის ღრმად დაუფლებას და შეეკავებას დიდად უწყობს ხელს სასწავლებელში შექმნილი საგნობრივი და ტექნიკური წრეები, რომლებშიც ჩაბმულია მოსწავლეთა მაქსიმუმი. ტექნიკური წრეების მუშაობა ისეა დაგეგმილი (ფიგურსაჩინი ადგილზე გამოკრული), რომ არ შეიძლება მოსწავლეები არ დაინტერესოს, არ მიიზიდოს.

ჩვენი სასწავლებლის მოსწავლეების მიერ ტექნიკურ წრეებში დამზადებული მოქმედი მოდელები: ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“, რო მზრივ სალები ჩარხი „3ბ-8“, მაგიდის საბურები ჩარხი „2-8 112“, ჯერ წარდგენილი იყო რეხუბეიკურ, ხოლო შემდეგ საკავშირო სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე. ახლახან დავამზადეთ გაფეჩოჩებელი მარკის მანქანის „ჩა-900“-ის მოქმედი მოდელი, რომელიც მომავალ წელს გაიგზავნება საკავშირო გამოფენაზე.

ჩვენი სასწავლებლის ტექნიკურ წრეებში ხშირად შეხვდებით ქუთაისის საშუალო სკოლების მოსწავლეებსაც, რომელნიც დიდი ინტერესით ეცნობიან ჩვენი მოსწავლეების ტექნიკურ შემოქმედებას. ბევრი მათგანი შემდეგ ჩვენს სასწავლებელში მოდის სასწავლებლად.

პროფესიის სიყვარულის ჭრძნობის ამაღლებ ... 2 ... 1955 ... 1955 ... 1955

 სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულ-ყოფისათვის ზრუნვა სახალხო მეურნეობის განვითარების დღევანდელ მოთხოვნილებათა შესახებ-ამისად. საჭიროდ მიგვაჩნია მიღწეულ იქნას, რომ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები მთლიანად დაკომპლექტებულ იქნას მხოლოდ უმაღლესი განათლების მქონე და ხათანადო პედაგოგიური გამოცდილების მქონე კადრებით, რადგან მათ უხდებიან სპეციფიკურ მოსწავლეთა კონტიგენტთან (ანუ, როგორც ზნირად ამბობენ, „ირთულ ბავშვებთან“) მუშაობა და ამ „ტვირთს“ ყველა კატეგორიის კადრი „ვერ ეწევა“. არა ნაკლები ურთულე

მზია ჩხეტიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიწვოდე, ვენთო, ცეცხლში ვდგებოდე!..

1.

მიმწუხრზე, მზით და გზებით დაღლილი,
როცა საკუთარ თავთან ვბრუნდები,
მაფიზიზებს შენი ხმა და ძახილი
და დიდხანს, დიდხანს გესაუბრები!

ჩამესმის შენი ცხენის ჭიხვინი,
ადევნებული ლანდების თქრიალს —
მონატრებია ქარზე მიხლილი
შენი სიმღერა და პეშვი შვრია!

სცემს ოქროსფვრი, ურჩი ფაფარი
მზისკენ აღერილ, მოშვილდულ კისერს,
თარეშობს სტეპზე ქარი აშარი, —
ნაღელობს მერანი ისევ და ისევ!

მაღლა დაღლილი, თაკარა მზეა,
მიარღვევს რაზმი ჰორიზონტს გაშლილს,
ზის შაშხანაში მუხთალი ტყვია, —
მტვრის ბუღი ზანტად მიიწევს ცაში.

გაიჭახჭახეს უცბად შაშხანა
და ჩუმი კვნესა ზეცას შესწვივის,
ცრემლად იღვრება პოლკის დაქალი,
ცისფერთვალა და თმაგაწეწილი.

თვალწინ აელვებს ჩავლილი კადრი
თეთრგვარდიელის ღრჭიალა კბილებს,
მე ვიცი, ჩემო, იმ დღეთა ყადრი
და გულში ვიკრავ შენეულ ბილეთს!..

ჩაიბრუნებენ ბოღმას ბიჭები
და თეთრ ურდოებს გადაკკაფავენ,
კომკავშირული გზის და დიდების —
არის ეს სისხლი წმინდა სათავე!

ბინდი რომ სივრცეს დაიმარტოვებს —
ძმობილი ხელში აიღებს გარმონს,
კვნესის გარმონი, შფოთავს გარმონი,
ცეცხლში დაცემულ ბიჭებზე დარღობს.

ცრემლს უხმოდ იწმენდს პოლკის დაქალი
და ძმებს ჭრილობებს სათუთად უხვევს,
ოცმეთაურსაც ხმა უკანკალებს:
„— მეტნი ვისხედით კოცონთან წუხელ“.

და ბევრი დარჩა სტეპში ჭაბუკი!
არ ცხრება გულში ბოღმა და ბრაზი,
წყდება ვარსკვლავი შუქურ-ჩაუქი
და ძილშიც ბორგავს წითელი რაზმი.

2.

მეც მომყიოდა ლურჯი ფრინველი
იმ შორეული, ძნელი გზებიდან,
მეც გამოვრბოდი ქარში პირველი,
რომ ჩემი წილი ტვირთი მეზიდა!

მე კარგად ვიცი, ვისი მოდგმის ვარ,
სადაური ვარ, ანდა — საიდან,
გჯეროდეს, მეც შენს ფრთებს გამოვისხამ,
ბოლომდე ყველა ლეღოს გავიტან.

მეც კორჩაგინის ქვეყნიდან მოველ
შენი ნაღარით, შენი ბუკითა,
სიყრმის შეუცვლელ მეგობრად გპოვე,
მხარდამხარ მოგდევ სიჭაბუკიდან!

ფიფქა ენძელებს კვლავაც მოგიტან,
საგაზაფხულოდ რომ მოვირთვები,
ვარ ჩაფრენილი შენი ღრმაშის ტარს
გაფითრებული, ცივი თითებით!

ჩემი გზაც შენსაა გამოკყოლია,
ვითარცა დიდი, ისე მცირედი
და მკერდთან მეწვის ორი ზოიას
ფიქრი, ტკივილი, წმინდა ბილეთი!..

შენი ნათელი გზა და სინდისი
არის, ძვირფასო, ამის თავდები,
რომ მეც ყოველდღე, ყოველ ცისკრისას
სიმაღლის ახალ სტარტზე დავდგები!

შენეულ ბრძოლის ჟინით, ხალისით
ავბა, ვინ შეხძლებს ქვეყნად ჩემოდენს!
მეც მოველ, რათა ჩემი ხალხისთვის
ვიწვოდე, ვენთო, ცეცხლში ვდგებოდე!

ჭ ი დ ი ლ ი

თელავისაკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს, ძველებური აგურით თაღნაშენ წყაროსთან, განმარტოებით დგას მრავალჭირნახეცდი, მაგრამ ჯერ კიდევ ჯანმაგარი ბებერი მუხა.

სამი ძნელადმოსაჭრელი ტოტი აქვს ტანიდან ამოყრილი იმ ხეს, ერთ მათგანს ფოთლები შემოძარცვია და ნაადრევად ხმება.

საზაფხულო იალღიებზე მიმავალი მწყემსები ხშირად ჩერდებიან წინაპართგან კეთილეულ წყაროსთან, გოცებული შესცქერიან გოლითი ხის მომაკვდავ ტოტს და ვერაფრით დაუდგენიათ მისი ავადმყოფობის მიზეზი.

ეს მოთხრობა, ქმური სიყვარულის ნიშნად, იმ ალალ ხალხისათვის ძველად მიმირთმევია.

ალექსი დათუაშვილს, ვასილ ბულაშვილს, იორამ გონაშვილს, ბიბიკო ზუბალაშვილს, გიორგი ბაცაცაშვილს, შუქო გოგიშვილს... და ყველა იმ კახელ მეცხვარეს, ვინც დაუპატიჟებელ სტუმარს გულით მიმასპინძლა, პატივი სცა მამა-პაპათა ადათ-წესს და ძმურად გამიყო ნატეხი პური.

ავტორი.

გიორგი ალადაშვილი

მდინარეზე რომ გადავდიოდი, მოჯირმორყეულ, ყვითლად შეღებილ ხიდზე, — არც მეშინია და არც როდისმე მშინებიაო, — მაშინ მითხრა იოსებმა. — რატომ-მეთქი, — რომ ვკითხე. — ჩვენი სიცოცხლე ჩვენსავე მონაგარში გაგრძელდებაო, — მომიგო პასუხად. ეგ მითხრა და ამ დროს ძაღლიც ადავლვადა, მერე მანქანის მუხრუჭების ხმაც გავიგონეთ და შოფრის უგულო გინებაც. ვალის მოხდის მიზნით ილანძღებოდა, თანაც გვაშინებდა; — ხომ ხედავთ, რა ბრაზიანი ვარ. ზედმეტი არაფერი მაკადროთო! — იმშამსვე ის ვინატრე, ალანის ნაჩუქარი ნაგაზი არ ყოფილიყო. მახსოვდა, გული რომ გამოატანა თან ის ლეკვს და სანამ არ შევებრძოლ, შვილივით გავზრდი-მეთქი, ვერ დაწყნარდა.

გზის პირას ეგდო თხრილში. კი არ წკაჭწკაკვებდა, გაგულისებული იღრინებოდა, ამაშიც ჩანდა იმისი კარგი ძაღლობა, წინა ფეხებზე იწევდა და გამწარებული საკუთარი ზურგის კბენას ცდილობდა. ხერხემალზე გადაეკვლა იმ წყეულს და წელქვეშით მოეწყვიტა. თვალი ავარიდე და გვერდზე გავიხედე.

ფერდზე ზურია ჩამორბოდა კომბლით ხელში, თოხარიკი ცხენივით ისროდა ტალახის ბელტებს. შუბლზე თმებმოწებებულ შიში და გაკვება ჩადგომოდა თვალებში. — ახლოს ნუ მიხვალ! — მივაძახე და იმ პირღია მძღოლს, მანქანის საფეხურზე რომ იდგა, გამეტებით ავაკარი ალიყური; ძაღლის დაღუპვისათვის კი არა, ხახადაბჩენილი ქვეყანას რომ ბილწავდა, იმის გამო.

ამ საქმეს მოვრჩი, შევტრიალდი და ისევ ხიდისკენ გავწიე. სპალნეკიდე-

ბული სახედარი მყავდა იქ მიტოვებული, ხურჯინის ყელში ორპირი თოფი მქონდა გაჩრილი. მივდიოდი და ძაღლის გამუდმებული ღაღვავი მედგა ყურში, ლამის ტვინი გამბურღა ამ ხმამ.

ზურიამ თოფით მიბრუნებული რომ დამინახა, ჯერ სხვა იფიქრა, მაგრამ მას რომ გავუწყდინე, დაიბნა, ვედარ გაერკვა, მერე ცარიელი თვალებადღა იქცა და ტყვიანაკრავივით გაფითრდა, — მე ვერაო, — ლამის ცრემლის ღვრით შემომეკვედრა.

ვიდექით და ერთმანეთს შევცქეროდით, ვიდრე ეოსები არ ჩაგვეტმაანა შუაში, ხელისკვრით მოვიშორე, განა იმას კი ეადვილებოდა? — შენ საქმეს მიხედე-მეთქი, — დავუტატანე და თოფი მაინც ბიჭს გავუწოდე. ვიცოდი, რატომაც ვაკეთებდი ამას.

ის საცოდავი კი ისევ თხრილში იწვა, მაგრამ უკვე გატრუნული, არც ხმას იღებდა და აღარც ზურგის კბენას ცდილობდა. წინა თათებზე ჩამოვდო მოზვერივით ჯიშიანი თავი და შავ, ჩამოფანჩიულ წარბებქვეშიდან კითხვით შემომცქეროდა... ისე შემომყურებდა, რომ, თუნდაც ქვეყნიერებას დავიფიცებ, ყველაფერს ხვდებოდა, — თავის უბედურებასაც და ჩემსასაც.

ძაღლს რომ თვალებში ჩავხედე, გული დამიკაფიელდა, თითქოს წვეთოწვეთ გამომაცალეს სისხლი. დედაკაცის სიკვდილის შეტყობაზე დამემართა ერთხელ ამგვარად და ახლახან კიდევ — მთელი ფარა რომ დაგვიღუპა მთაში.

ჰოდა, მივაწოდე თოფი ბიჭს, უნებურად გამოშვერილ ხელისგულზე დაკუდე და თითები რომ მოეჭერა, ისიც შევნიშნე, როგორ გაფთფორდა ფრჩხილები. აღარაფერი მითქვამს, ეგრე შერისხულივით გაქვავებული მივატოვე, ეოსებს ვუქმანკე და ორთავენი ჩვენს გზას გავუყეენი. ფეხთრეუულები მივაბიჯებდით, დასახვრეტად გაყვანილი პატიმრებივით მხრებაწურულნი, წამოწყმა დაქუხებას და უბედურებას რომ ელიან, იმდაგვარად. ხიდს გადავცდით და, თითქოს ურო შემომკრესო თავშიო, ისე ჩამესმა თოფის გრიალი. ეოსებშა გადმომხედა და გაბედაო,—ხმაშეცვლით მითხრა. — ჯერ ვერა, მაგრამ მეტი რა გზა აქვს, გაბედავს-მეთქი, — მივუგე. ისე ჩაფიქრდა, მიგხვდი, ნათქვამს ალღო ვერ აუღო. ასი ნაბიჯიც არ გვექნებოდა გადადგმული, მეორედ რომ დაიპეტქა, მაგრამ ამ ხმას უკვე მშვიდად შეეხვედი, ველოდი და იმტომ. თითქოს დავწუნარდი და დავარხეინდი კიდეც. ისევ ის მომაგონდა, ეოსებმა ხიდზე პირველ ? გასვლისას რომ მითხრა, არც მეშინია და არც როდესმე მშინებიაო. ამის გახსენებაზე კვლავინდებურად მომიბრუნდა ფიქრისა და განსჯის უნარი.

ხომ ამ ხნის კაცი ვარ, შვიდი ათეული წელი ჩამომმარცვლავს, თეორად შეეგერებივარ ქვეყანას და ერთხელაც არ გამივლია გუნებაში, ჩემი სიკოცხლე ჩემსავე შვილში ან შვილიშვილში, ანდა მონაგარში გაგრძელდებამეთქი. ამას იმიტომ ვამბობ, რომ თავის გატუტუცებას ჰგავს ეგ ამბავი.

ვისაც ქვეყანაზე ეცხოვრია და ბუნების დაკვირვების უნარი აქვს, ის დამიმოწმებს, რომ კაცმა ყველაფერი ხალასი გონებით უნდა განვკვრიტოს, არც თვალებზე აიფაროს ხელი და არც ძალით დაიბნეოს განსჯისა და გარჩევის უნარი. თუმცა ზოგიერთმა ჩემი ვაჟივით იქნება ისიც თქვას, ცხვირს იქით არ იყურება და თავს გარდა, აღარავინ ადარდებსო. იტყვის და დიდად შეცდება. მე არ მინდა, იმ ვითომც გულთმისან კაცს ვგავდე, სოფლის შარაზე რომ წამოწვა, ყური მიწას მიადო და ხალხის გამიაბრუება მოინდომა, ვითომც ქვესკნელის ამბავს ვუსმენო. ჰოდა, იმ არარსებულის მცნობარა, გზაზე მომავალი ეტლისა ვერა გიგიო რა და სხვების გამბრიყვებელი საკუთარი ინიბაზობის მსხვერპლი შეიქნა.

ერთხელაც გავიმეორებ: თავის გატუტუცება არ არის კაცის საქმე. ეს ამ ხელა ბუნება გადაშლილი წიგნივით წინ გვიდევს და თუ ჩახედვის უნარი გვაქვს,

ზოგი რამ მისგანაც უნდა ვისწავლოთ. იმას კი არ ვამბობ, შთამომავლობას ხელი ავუქნიოთ, თქვენი საქმისა თავად იცოდეთო, ვუთხრათ და ნებაზე მივუშვათ. მაგრამ არც ის იქნება სწორი, წვერულვაშაშლილ ვაჟკაცს რომ საწოვარათი ფეხდაფეხ ვდიოთ.

მგელი ხომ მგელია და ის რომ ლეკვებს დაყრის, ძუძუს აწოვებს, წამოზრდის, ნადირობას ასწავლის, — ცხვრის დამარტოხელებას და იმასაც, მწყემსს და ნაგაზს როგორ მოერიდოს, და ამას ყოველივეს რომ კარგად შეაგნებინებს, ცოტა ხანს კიდევ უთვალთვალებს და ბოლოს სულაც ძალით მოიშორებს, იმიტომ, რომ მგელსაც ყოფნის გონიერება და ხვდება, წამოზრდილ ლეკვს თავის განებება რომ დროულად სჭირდება, რადგან მომავალში იმან თავად უნდა შეიძლოს მგლობა, თავის გატანა და ჯიშის გაგრძელება. სხვაგვარად აუცილებლად დაიღუპება და ამოიძირკვება იმისი გვარი და ჯილგი.

ჩვენ კიდევ: „მამის არდამჯერესაო"... „დედის წინ მორბენალ კვიცსაო"... და რა ვიცი, რაღას არა ვჩმახავთ. სწორედაც რომ წინ უნდა ირბინოს და არა კუდს ამოფარებულმა იჩინჩალოს, მაგრამ, ვიდრე გაგვისწრებდეს და ბუქს მოგვაყრიდეს ცხვირში, იქამდის ისეთი ჭენება უნდა ვასწავლოთ, რომ ვერც მგელი მიწვდეს და ვერც მგლისფერი ძაღლი.

ადამიანისა და გუგულის გარდა, ყველა სულიერი გრძნობს, როდის უნდა ააფრინოს ბარტყი ბუდიდან. ჩვენ სიკვდილამდის შვილების ზრდას ვუნდებით, გუგული კი დაბადებამდე იშორებს. ახლა ენახოთ, რა გამოდის ამ საქმიდან? ისა რომ, კაციცა და გუგულიც მთელი ცხოვრება ერთსა და იგივეს მივტირით, ვერ გავზარდეთ!

რაღა თქმა უნდა, ყველაზე არ ვკბობ ამას, ეგაც ადამის მოდგმის სენია, საკუთარი სატკივარი სასხვისოც გვგონია და ყველას ერთნაირად შევჩივით.

ჩვიდმეტი წლისა ვიყავი, ვენაში ჭიოგზე ჩამოყრდნობილ მამაჩემს ცხვარში უნდა წავიდე-მეთქი, რომ ვუთხარი. იმან კიდევ გაგვიოქმული შუბლიდან ხელისგულით მოიწურა ოფლი, შემომხედა და არც ის უთქვამს, რათაო? და არც ის უკითხავს, რამ გაიძულაო? თვალგაყრით მიკერა და წადიო, მითხრა. ერთი სიტყვით, მომიგო.

ახლა იმასაც ვიკითხავ: ეიოლებოდა იმ კაცს, სოფელში სახელითა და ოჯახით გამოჩენებულს, ერთადერთი შვილის ცხვარში გადაკარგვა?! რაღა თქმა უნდა, რომ არა, ძალიანაც არ უნდოდა, მაგრამ გონიერი კაცი იყო, ცხონებული, ბუდიდან ბარტყის აფრენის ყაღრი და მაღლი ესმოდა და იმიტომაც ამოიოხრა ეკრე, წადიო, თითქოს გულიდან მთავარი ძარღვი ამოგლიჯესო.

მე კიდევ, იმ დალოცვილის შვილი, როგორღა მოვიქეცი ჩემი სიტყვის თქმის ჟამმა რომ მოაწია? როგორ და, ოჩანი ჯორივით მივაბჯინე ფეხი და ალარ მოვიცვალე. ჩემს ბიჭს ქედი საუღლე გახდომოდა და გაიწია კიდეც, მე კი სახრით შევაბრუნე სახლში. სად იყო განმკითხველი, თორემ ის სახრე ჩემთვისვე უნდა გადაემტვრიაოთ ზურგზე, მაგრამ ვაი რომ არავინ იყო ამის მოქმედი.

იმ დღიდან მოყოლებული ვზრდი და ვერ გამიზრდია, გაოჩნება იმისი უნდა ნახოთ, კაცს ჭაღარა შეერია თმაში და კაცობისა არაფერი სცხია. ერთიღა დამრჩენია სანატრელი — ზურაბ მეინც არ დაემგვანოს იმ მათხოვარსა და გვარის შემარცხვენელს.

თეიგიზ ჩალაური
ჭიდილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ ურ ი ა

— ახლოს ნუ მიხვალო, პაპაჩემმა რომ გამაფრთხილა, ალბათ იფიქრა, გამწარებული ბომბორა მოკბენდა. გაგვცილდა თუ არა, იმწამსვე მივედი და ხელში აყვანა დავუპირე, ვერც მოვეჭიდე, იმსიმძიმე იყო. მაშინდა შევნიშნე, ხერხემალი რომ გადაემსხვრია მანქანას. ავწიე და ისე დაიკვნესა, როგორც ადამიანმა. დაიკვნესა და დავუშვი, იმან კი ხელები გამილოკა, თავი მიწაზე დადო და წყლიანი თვალებით იმდაგვარად ამომხედა, თითქოს შემომჩივლა, ხედავ, რა უბედურება შემემთხვაო.

პაპაჩემი რომ თოფით ხელში მომავალი დავინახე, ჯერ ის გავიფიქრე, მძღოლის მოსაკლავად მოაქვს-მეთქი, მაგრამ არ შემშინებია, რადგან უთაქა თუ არა, იმან უცებ აამუშავა მანქანა და მოუსვა.

დაგვადგა პაპაჩემი თავზე და მოელვარე თვალით რომ დაგვხედა, მაშინღა მივხვდი, რაც ჰქონდა გუნებაში, მაგრამ მე თუ დამავალებდა, ვერაფრით ვიფიქრებდი. გადმომაწოდა თოფი, მოულოდნელად შემომაჩეჩა ხელში, შეტრიალდა, ოსებიც გაიყოლია და იმ მოსამართლესავით გაგვშორდა, სასიკვდილო განაჩენს რომ გამოიტანს, ხელებს დაიბანს და დანარჩენს ჯალათის სინდისზე მიაგდებს.

პირველად ისე გავგულისდი, თოფის თხრილში გადაგდება დავაპირე, რაც მე მაშინ პაპაჩემის მისამართით გავიფიქრე, ის რომ გამიგოს, სამუდამოდ მომიძულებს. ადამიანი რომ დაბერდება, გულქვა და ბოროტი ხდება, თუმცა იქნებ ზედმეტსაც ვწამებ, აკი გამენდო ერთხელ: ალანის ნაჩუქარი ნაგაზი თავს მიარჩევნიაო. ჯერ კიდევ თვალუწვდენელი ლეკვი უჩუქებია მისთვის ყრმობის მეგობარ ქისტ მწყემსს. იქნებ იმიტომაც დამავალა მე, თავად რომ ვერ შეძლებდა.

წამითაც არ გამიელია გულში ბომბორას მოკვლა, ერთხელაც მოვეფერე, წაკვეთილ ყურებქვეშ მოვფხანე, შემდეგ თოფი ჰაერში დავცალე, შეეტრიალდი და რამდენიმე ნაბიჯი რომ გადავდგი, ვაჰ... ვაჰო... ისე, გზაზე მიტოვებული ბავშვივით მომატირა.

გამწარებული შემოვბრუნდი და თავზე დავადექი.

— მაშ რა ვქნა, გესროლო? — ვკითხე.

იმან ცოტა ხანს კიდევ მიყურა და მერე თვალები დახუჭა, თითქოს მითხრა, ეგრე აჯობებსო.

ლულა თავზე დავაბჯინე და მაინც არ აზიდა ქუთუთოები.

— ბომბორ, ბომბორ! — დავუძახე, მაგრამ კუნთიც კი არ შეატოკა. ქალივით მოთქმით ვტიროდი, ღაპაღუპით ჩამომდიოდა ცრემლები. სახე მივებრუნე და ისე გამოვკარი ფეხს.

მართალი ყოფილა მამაჩემი. ქვის გული აქვს მაგ კაცსო, რომ მითხრა.

ბაგრატ გიორგევიჩი

ცელოფანის პარკში ჩადებული კოლტიუმი ამოვიღე, მუქი ნაცრისფერი, ინგლისური შალისა. იმისი ზომის რომ მქონია, მთელი ქალაქი შევაწრიალე, ვინღა არ შევაწუხე, გულით მინდოდა გამეხარებინა, თავის ცხოვრებაში წესიერი ჯერ არაფერი ღირსებია.

ცოტა ხანს ტახტზე ჩამომჯდარმა მითვალთვალა, შემდეგ წამოდგა, ჩამომართვა, დაკვირვებით შეათვალიერა, მუჭში მოიქცია და მოსრესა. არც კარგი უთქვამს და არც ცუდი, ჩრჩილი თუ გაიფუჭებსო, მხოლოდ ეგ მკითხა.

ჩემდა უნებურად გამეცინა, იმან კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაავებით შემომიბღვირა: შენი ხნის კაცმა, წესით, დრო იცოდეს, ტანსაცმელი რომ გამძლეობით ფასობს და არა რაღაც ზიზილ-პიპილებითო. მერე მე რომ შევთავაზე, — ნაიკვი, შენთვის ვ.ყიდე-მეთქი, თავი გადაიქნია, ცხვნერომ ლაგამის მოშორებას შეეცდება იმდაგვარად, ტყუილად გარჯილხარო, მოკლედ მომიჭრა და გამიჩუმა.

სხვის აღარც მე ვიცდილვარ, ვიცოდი იმისი ხასიათი, ერთხელ ნაუარეს რომ აღარ გადათქვამდა. ბოლოს ისე გამოვიდა, იმ ახალთახალ მანქანაში თავისი მყარალი ტყაპუჭით შემოიტმასნა, წინ დაჯდომაზე უარი თქვა, ჩემს ცოლს დაუთმო, მაგრამ ისეთნაირად კი არა, ჩვენ რომ მანდილოსანს შევთავაზებთ: — დაბრძანდითო და კარს გამოვუღებთ. წესიერად არც კი შეუხედავს, ისე მიანიშნა თითით — შენი ადგილი მანდ არისო.

კარგა ხანს იჯდა მოღუშული, ხმაგაქმენდილი. დროდადრო სარკიდან გადაცქეროდა წარბშეკრული და იმას ვეღლოდი, იქნებ ახლა დასცდეს — შშვიდობაში! — იქნებ ახლა-მეთქი. — მამაჩემმა კიდევ — ძველს რა სჭირდა, რა დაუწუნეთო! — ამით დაინტერესდა და უპასუხო რომ დავტოვეთ, ქალაქამდის ისე გაბუტული იჯდა, თითქოს იმ მანქანის ფული მისთვის წაგვიღლიტოს. მხოლოდ ხანგამოშვებით საზურგეზე გადადენილ ტყავებს გადაუსვამდა გახევებულ თითებსა და ხელისგულს. ვატყობდი, ბეწვი მოსწონდა, მაგრამ ის უჯიათი ბუნება, მუდამ რომ თან სდევს, იმასაც არ ანებებდა, რომელი ცხოველისა იყო, ეს მაინც ეკითხა.

მიმყავდა და თან იმაზე მიქანდებოდა ბეული, სახლს რომ დაინახავდა, მაშინ რაღას მოიმოქმედებდა. მართლაც ეგრე მოხდა. ჩვენ რომ მანქანიდან გადმოვედით, ის ისევ გზას მისჩერებოდა, წინა სახურგეზე ხელებჩამოდებული. კარი გამოვუღე, — მოვედით, — ვუთხარი, — ერთი კვირა მაინც აღარ ხარ გაგიშვებ-მეთქი.

ჯერ ბაღსა და სახლს გაჰხედა. უცებ მიხვდა ყველაფერს, მერე კი ისე ეგდეგრით გადმოიხედა, ლამის გაბუტულა. მეც გავუჯიქდი და აღარ მოვერიდე. მაშინ რომ თვალები გვერდზე გამქცეოდა, ან დაბლა დამეხარა, წასული იქნებოდა ჩემი საქმე. აღარც სახლში შემომყვებოდა და საშვილიშვილოდაც დამკარგავდა.

— ესეც შენია? — გაავებით გამოსცრა კბილებში.

— ჩემი გახლავთ, — რაც შემეძლო მშვიდად ვუპასუხე, იქნებ ამაყად და გამომწვევადაც, — არ მეკუთვნის თუ... რა?!

უცებ მოეშვა და მრავლისმომნიშნებელად ამოიოხრა, ისეთნაირად, კაცი რომ, „ვაი ჩემს თავსო“... — გაიფიქრებს, ამოიქშენს და თქმით კი სიტყვაც არ დასცდება.

გაჭირვებით გადმობობდა მანქანიდან და კარი ღიად დატოვა. ჯერ არ მახსოვს, სადე რაიმე მოეხუროს, ჩვეკა აქეს ასეთი. წედანაც, სოფლიდან რომ მომყავდა, მთელი კარმიდამო ფარდალალად მიაგდო.

წინ არ გავძოლილვარ, უკან გავყევი. ისე გაიარა ხეებს შორის დაგებულ ქვაფენილზე, ერთხელაც არ აუღერია თავი, საკუთარი ფეხსაცმლის ქვინტებს ჩასცქეროდა. ზურგზე ხელებდაწყობილი აუყვა კიბეს და უდანაშაულოდ დაპატიმრებული კაცი რომ ციხის ეალაგანში შეაბიჯებს, იმანაც ეგრე შეალაჯა სადარბაზოში, ფეხიც კი არ გაუშვებდია.

ჩემს ცოლს მალულად ხელი ავუქნიე, არ მინდოდა შემოგვყოლოდა, მამაჩემს ტყაპუჭის გახდაში შევეშველე, კაბინეტში შევუძეხი და სავარძელში რომ ვსვამდი, — რა გაბარაზებს-მეთქი, მაშინ შეეკითხე.

ყური წაიყრუა, ვითომც არაფერი მეთქვას და სავარძლის წკიპზე დაეშვა, მაგრამ არც გადასვენებულა და არც

ფეხი გადაუდევს ფეხზე. ბეჭებმოხრილი და წინგადმოქანებული იჯდა, სხეულის მთელი სიმძიმე იდაყვების დაზმარებით მუხლებზე ჰქონდა გადმოტანილი; დიდრონი, კანაქერცლილი, მზით გარუჯული ხელები კი ცალცალკე გადმოკიდებული და იატაკისაკენ უღონოდ დაშვებული ეჭირა.

გამახსენდა, სოფელში, ჩემი ბიჭობის დროსაც ამგვარად იცოდა ჯდომა და გარინდება. ათ დღეში ერთხელ, ზოგჯერ ორ კვირაში და ხშირად უფრო იშვიათადაც, კიბიდან შემოგვესმებოდა ხოლმე ამისი მძიმე ნაბიჯების ხმა. სადამო ხანს იცოდა მოსვლა, ჭრიალით, აუჩქარებლად შემოადგა კარს, ისე ფრთხილად. თითქოს სხვის სახლში აპირებდა შეხედვას. შემოვიდოდა, არც გამარჯობას გვეტყოდა და არც სხვას, მხოლოდ წამიერად შეგვათვალიერებდა ორთავეს, აგვხედ-დაგვხედავდა, შეგვამოწმებდა და მაგიდის თავთან დაეშვებოდა ჭილოსტრგიალ ძველ ვენურ სკამზე. ეს ერთადერთი ღირებული ნივთი იყო ჩვენს ოჯახში, დანარჩენი ყველაფერი საკუთარი ხელით ჰქონდა გაკეთებულ-გამოჩორკნილი. ჩამოჯდებოდა და ვიდრე დედაჩემი სუფრას გააწყობდა, თავჩამხობილი და გარინდებული ჩასაქქროდა იატაკს.

ბევრი სხვადასხვაგვარი ადამიანი მინახავს ჩაფიქრებული, ზოგმა ბუტბუტი იცის, ზოგმაც თითების ბაწლა და გაფარჩხვა, ანდა სულაც გაქვავებულივით ჯდომა. მამაჩემს კი წარბების აწევ-დაწევა ჩვეოდა ასეთ დროს და იშვიათად თავის გაქნევაც, რაღაცის უარყოფის ნიშნად. აზიდავდა წარბებს, ჩამოისვამდა ნიჩაბივით ხელისგულს ორთავე ლოყაზე, სახლში მოსვლისას მუდამ სუფთად რომ ჰქონდა გაპარსული, შემდეგ ორად გაყოფილ მასიურ ნიკაპს მუჭში მოიქცევდა და ასე გაიქნევდა რამდენჯერმე თავს.

ბაგიდაზე ყურადღებული, ანდა კიდელს აკრული გაფაციცებით შეეცქეროდი მამაჩემის მშვიდ, ვაქაცურ სახეს. ვაკვირდებოდი ... ეხედებოდი, ათასი რამ უტრიალებდა გონებაში. იქაურიც და იქაურიც, ბაღ-ვენახიც, კარ-მიდამოც, ბინაზე მიტოვებული ცხვარიც, ჩემი სწავლაც და დედაჩემის ავადმყოფობაც. აქ ოჯახის უფროსი ის იყო და იქ კიდევ სარქელი და მცნობარი ერქვა; ამიტომაც, წესით და რიგით, ყველაფერზე მას უნდა ეფიქრა და ემტკივნა თავი.

ახლაც იმდაგვარად იჯდა და ძველებურად ათამაშებდა წარბებს, თუმცა თავსატეხი და საზრუნავი არც არაფერი ჰქონდა, რადგან ყველგან და ყველაფერში კოკი ალჩუნე ეჯდა და საქმეც აწყობილად მიეფიდოდა.

ერთი კი უნდა ვიღიარო, მე რომ რა გამრეზებს-მეთქი, დავეკითხე, ჩაფანგის დაგებას ჰგავდა ეს ამბავი, თანაც ისეთი ხაფანგისა, მსხვერპლი რომ ორთავე ფხით უნდა გაებას შიგ. ამ კითხვითა და სხვა მოქმედებითაც ძამაჩემის გაღიზიანებასა და წონასწორობიან ლ გამოყვანას ცდილობდი. მინდოდა, როგორმე ამეღელვებინა და ამელაპარაკებინა, რომ იმას თავისი სათქმელი, ყველაფერი რაც გულში ჰქონდა და რასაც ჩამალულ ბოდმასავით ინახავდა, ბოლომდე ამოენთხია, მთლიანად ამოეცარიელებინა სული და როდესაც ამას მოიმოქმედებდა, დამშვიდდებოდა და დაწყნარდებოდა კიდეც, უფრო იოლი მოსათო�ja და მოსათვინიერებელი გამიხდებოდა.

ამან ცოტა ხანს კიდევ იყუჩა, შემდეგ — გემოზე გაქსუებულხარო, ჩადუდღუნებით მითხრა. უფრო იატაკს ჩასძახა, თავჩახრილმა და მუჭში ნიკაპმოქცეულმა.

თვალმოჭუტულმა გავხედე, გამეღიმა, სატყუარას რომ ჩაჰკენკა, ამაზე. პასუხის გაცემა არც მიფიქრია, ნებაზე მივუშვი, სავარძელში გადავსვენდი და ფეხი ფეხზე გადავიდე. — ადრე თუ გვიან შენც ჩამოგკიდებენ კრჩხაზე, — ფარული გაავებინი განაგრძო, — გაგაჩაგენ ნი ოთხში ამოგიუებენ.

— უბატონოდ ხმასაც ვერ გამცეო-

მენ, — თავდაჯერებით მივუგე, — არც ისეთი ხელშამოსაკრავი ვარ, ზოგს რომ ჰგონია.

მძიმედ ამოიხვნეშა, გინდაც რა წყალში ჩავარდეო. ეთქვას.

— სხვებსაც ეგრე ეგონათ, — მითხრა, — მაგრამ შეცდნენ და თავი წააგეს...

ხელის აწევით შევაჩერე, სიტყვა შევაწყვეტინე.

— ისინი სხვაში შეცდნენ, — მივუგე მშვიდად, — იმათ ატარკებული ბეკეკებივით მგელი მოინდომეს... ზღვარი ვერ დაიდეს და ამ სითავხედეს გადაჰყვნენ. მე კი, მკერდზე თითი მივიბჯინე, ამგვარ სისულელეს არ ჩავიდენ, არც დევებთან დავიწყებ ჭიდაობას და ჩემ წილ ლუკმასაც ჩუმად ჩავყლაპავ, სწორედ ამიტომ ყველაფერი შემერგება და შემრჩება კიდეც.

ერთიმეორეს გადაჭიმბილი თითები კეპივით შემოიდო შუბლზე, ცერები საფეთქლებზე მიიბჯინა და ახლა ისე ჩაიკქერდა იატაკს.

— მე გეტყვი, — მითხრა, — ქურდობასა და მამაძაღლობას ყველა თაღლითი მაგ იმედით იწყებს, ჩემსას ვერავინ გაიგებსო, მაგრამ, კანაფში რომ წასწყდებიან და მინდორზე ჩამოაქცევენ, მაშინღა დაიწყებენ ბღავილსა და ცოდვების მონანიებას.

იმის აუდელვებელ, მონოტონურ ხმას რომ ვუსმენდი, მაშინ გავიფიქრე: „ჩემი ბედი, ეს კაცი რომ ქალაქის პროკურორი არ არის, თორემ პირველი, ვისი დაპატიმრების ორდერზეც ხელს მოაწერდა, მე ვიქნებოდი-მეთქი,“.

— ქურდი და მამაძაღლი ჯერ ჩემთვის არავის უკადრებია, — ნაძალადევი ღიმილით შევეპაექრე, — მთელი ქვეყანა პატივს მცემს და ბატონობით მომმართავს, მაგრამ თუ ვინმე ზედმეტს გამიბედავს, მწარედაც ვაზღვევინებ.

ახლა მამაჩემმა ჩაიცინა გაჭირდვით.

— გაგიბედავენ, — დაბეჭითებით მითხრა, — მაგასაც გაკადრებენ და დედის სულსაც შეგიგინებენ, სულ ბოლოს კი ყელწაწყვდილ პატიებასაც გათხოვნინებენ. კარგად დაიხსომე ჩემი სიტყვა: ამ მთავრობას შენზე დიდი ლოქოები ჰყავს ამოყრილი მშრალზე.

ადამიანი რომ გათოშილ ხორცს ცეცხლზე დაიწვავს და გვიანღა გაიგებს, ისე მძიმე-მძიმედ შემოქნთო გულზე; მწარე სიტყვის სათქმელად გავემზადე, — „დედაჩემი შენი სიჯიუტით ჩაუშვი საფლავში და იქაც ალარ ეხსენები?!“ — ასე დავაპირე მეთქვა და სწორედ იმ დროს ჩემმა მეუღლემ შემოგვიღო კარი, თან დელიკატესებითა და სასმელით გაწყობილი გორგოლაჭებიანი მაგიდა შემოაგორა, სავარძლებს შუა ჩავვიდვა, — სადილამდის თავი შეიქცევეთო, — ღიმილით შემოგვთავაზა, ერთხელაც გადმოგვხედა და იმწამსვე გაგვშორდა. ეგეთებისა რა ესწავლებოდა, კარგად მყავდა გაწვრთნილი.

ტუჩმოკვნეტილი და გამწარებული იმასდა ვფიქრობდი, უბედურ დღეზე ვყოფილვარ გაჩენილი-მეთქი.

ჩვენს დროში ასეთი მამის ყოლა მართლაც უბედურება და ბედის დაცინვაა. ახლა ხომ ყველა ნაღდი მშობელი დღენიადაგ იმას ცდილობს, რაც შეიძლება მეტი დაიიღლიაოს, იაკიდოს და ოჯახში შეიტანოს, დოვლათს დოვლათი შემატოს და კაპიკს კაპიკი დაადოს, რომ მომავალში იმის მონაგარს ცხოვრება არ გაუჭირდეს და ანეურებში კისერგაყოფილს არ მოუხდეს არსებობისათვის ოფლის ღვრა და ჭაპანწყვეტა.

ეს ყიამყრალი კი გამხნევებისა და ხელშეწყობის სანაცვლოდ, იმის გამო მიწყრება და მებუტება: სხვებზე უკეთ რატომ ცხოვრობ, ძველის მაგიერ ახალი მანქანით საიდან დაბრძანდები, ანდა სულაც მათხოვრად და მაწანწალად რად არა ხარ ქცეულიო.

სავარძლიდან წამოვდექი, ნოხზე გავიარ-გამოვიარე, წიგნის თაროს წინ შევჩერდი და უნებურად იმ ნახატს

თენგიზ ჩალაური
ბიდილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივაცქერდი, ზედ რომ „მონანიე მადგალონელი“ იყო გამოსახული. როგორც კი შეეხედე, მაშინვე ყველაფერი გადამავიწყდა და გულზეც მომეშვა; თან ისიც წარმოვიდგინე, ახლა ამ ქალის ოინბაზობა მამაჩემმა რომ ნახოს, ნეტავი როგორ მოიქცევა, ან მაშინ მაინც თუ მიხვდება ნამდვილი ცხოვრებისა და დროსტარების ფასს-მეთქი.

ამ ნახატის მეორე, დაფარული მხარეს, ზუსტად ისეთივე ქალი იყო გამოსახული, მხოლოდ სულ სხვაგვარად მდგომი და ჩაცმული. საკმარისი იყო, ვინმეს ის სურათი შეეტრიალებინა, ხელი გაეკრა და გაექანებინა, რომ თავად ეშმაკმაც არ უწყის, საიდან და როგორ, იმ ქალს ორი კაცი გამოესახებოდა გვერდით...

ეგ სასეირო საცქერალი უცხოელი ტურისტისაგან მქონდა ნაყიდი და მასში ერთი ბღუჯა ფული მქონდა გადათვლილი.

— შენ მაინც რას მირჩევ, — ზურგთმდგარმა გავძახე, — იქნებ სახლკარს ცეცხლი წავუკიდო, ცოლ-შვილი ქუჩაში გავყარო და მეც ჩემი ნებით ჩავჯდე ციხეში?!

— გიფუჭებულ-გაოხრებული საქმისა თავად უკეთ იცი, — გულგრილად მომიგო, — მე ერთს ვითხოვ: გვარს ნუ მირცხვენ; ჩემს კაცურსა და სუფთა გვარს! ახლა ეგრა მაქეს სადარდებელი, ამის ვგმო ვიბრძვი და იმას ნუ იქმ, რომ შენსავე ჯაქს მომავალში თავჩაქინდრულს მოუწიოს ხალხში ყოფნა და ცხოვრება.

ბიჭს მომავალი რომ აგრე რიგად მიხსენა, ლამის ყბაში შემოვიკარი ხელი. როგორ დამეჯერებინა, ჩემზე მეტად შესტკიოდა გული. მგ ჭკუით რომ მევლო, ახლა ხომ ტოლ-სწორში გამარჩეული და დაჩაგრული მეყოლებოდა. მაგან ალბათ ისიც კი არ იცის, ჩემს ბიჭს ერთი ღონიერი კაცის წლიური გასამრჯელოს საფასური მარტო ქურქი რომ აცვია.

რაღა მეთქვა, მთიელების ძველისძველი წყევლა გამახსენდა: „არც თავად იცოდე და არც სხვისი გკვეოდესო!“ ეგ სიტყვა მამაჩემზე უკეთესად არავის მიესადაგებოდა. ერთი სისხლისაღებისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ვყოფილიყავით, კარზე მივუთითებდი და გაეთრიე, შე გამოტვინებულო ბებერო-მეთქი. ვეტყოდი, მაგრამ ამას ხომ ვერ ვკადრებდი, ისე იყო თუ ისე, მაინც ჩემი მშობელი ერქვა.

— ადამიანო, რით ვერ აუღე ალღო ამ ცხოვრებას, — წინ გავუჩერდი და ისე ვუთხარი, — რით ვერ მიხვდი, რომ ახლა სულ სხვაგვარად ცხოვრობს ხალხი, თუმცა იქნებ თავად არც კი იყო დამნაშავე, ქვეყანას გამოაკლდი, გაეირდე და იმატომ... ის, რაც შენ გაბრაზებს და გონებას ვარეკს, ამეკამად აღარავის უკვირს, გიგე: აღარაა ეს! წარმოიდგინე, იმასაც კი არავინ კითხულობს, ამ კაცს ამდენი საიდანო? პირიქით, ღმერთმა მისცესო, ასე ფიქრობს ყველა და კიდეც, ნეტავი ჩვენც გვაღირსოსო, ამასაც ნატრობენ, და თუ იცი, რატომ... იმატომ, რომ ახლა ადამიანი შეძლებით, ქონებით და თანამდებობით ფასობს, სხვას დანარჩენს კი კაცადაც არავინ აგდებს.

— მაშ, შეძლებითა და ქონებით, არა?... — საკუთარ სიმართლეში ეჭვშეპარულივით დამეკითხა, — ხვითი აღარაფრით... არც ვაჟკაცობით, არც მამულიშვილობით და აღარც პატიოსნებით?!

ამას რომ მეკითხებოდა, თან დახეთქილ და ჩაშავებულ ხელისგულზე მორიგეგონით იკეცავდა თითებს.

— რითი, რითი? — ხველანარევი სიცილით ჩავკითხე, — პატიოსნებითაო? — თან მხარზე დავეჯინე და სახეში ჩავაცქერდი, — ბარემ ისიც მითხარი, სად არის ეგ შენი სანაკებო პატიოსნება?! ან კიდეც თუ სადმე მოიძებნება, იქნებ მიმასწავლო, ვისა აქვს?! და თუ აქვს... ისიც გეცოდინება, რას აფასებს და რამდენად ჰყიდის?

აქამდის ხელებს ჩაჩერებულმა თავის აქნევით ამომხედა, დაკვირვებული, გამჭოლი მზერით. ისე შემომყურებდა, როგორც სასწორზე დადებულს, ანდა თავსზევით შესაფასებლად ზაფწეულ

ბოთლს. მხოლოდ ეგ არის, არ შევუჯანჯღარებივარ, მაგრამ ჩემში რა იდგა, ამის დანახვას უდავოდ ცდილობდა, ამასაც და იმასაც, რაც იქითა მხარეს შეიძლებოდა გამოჩენილიყო.

თავით-ფეხამდე ქონტანტელმა დამიარა. ცალთვალა ადამიანის შემოხედვა რომ ელეთმელეთს მმართებს, იმგვარად ლოჯებგადმოყრილი ტარტაროზის დანახვაც კი ვერ დამაფრთხობს. ბალღობიდანა მჭირს ეს უბედურება; თუმცა რაც თავი მახსოვს, მამაჩემს ჩემთვის არც ხელი დაუკარებია და არც ხმამაღალი სიტყვა უკადრებია.

ის მარცხენა თვალი კი ცამეტი წლისა ყოფილა, შუა ბაზარში რომ ვიდაც ჯიბგირს ხელის ჩაკვრით ამოუგდია მისთვის. — ძია, ფული მაგ კაცმა მოგპარაო, — ეგ დაუყრანტალებია საცოდავს და ამის გამო. კიდევ ბედი, მეორე თითი წარბზე მოხვედრია, თორემ მოუწევდა სამუდამოდ ბნელში და უკუნში ყოფნა. ისე, ჩემთანა რომ არ იყოს, იმასაც ვიტყოდი, ახიც ყოფილა-მეთქი, იმიტომ, რომ იკილა თუ ბიკილას ტყავს ხდის, შენ, უცხო კაცი, იმათ შუაში არ უნდა ჩაუდგე და აუტკივარი თავი არ უნდა აიტკიო.

კარგა ხანს მიცქერა მამაჩემმა ისე თვალდაუბამხამებლად, მკვლელობაში ეშმაკანალივით.

— იცი, რას გეტყვი, — მითხრა ბოლოს, — შენს ნათქვამს რომ კაცმა ყური უგდოს, გამოდის, ქვეყანა მთლად გახრწნილა, გადაგვარებული და ახლა ქურდებისა და გაიძვერების ანაბარად დარჩენილა.

— სწორედაც რომ ეგრეა, — გახარებული დავეთანხმე. — ძლივს არ მიგახვედრე!... ისე, შენ თუ სპეტაკად და უცოდველად ის ხალხი მიგაჩნია, ვინც მკერდში მჯიღს იბაგუნებს და პატიოსანი ვარო, გიჰყვირის, დიდად ცდები. მაგათ ნახევარს არაფერი აქვს მოსაპარი და იმიტომ ინახავს სინდისს სუფთად, დანარჩენს კიდევ, ციხისა და პატიმრობისა ეშინია, გამბედაობა არ ჰყოფნის და ძალაუნებურად ისეა დარჩენია, ნაძალადევი პატიოსნებით ყველას თავ-ყბა წასჭამოს. მაგნაირებს, რომ პასუხისგების შიში არ ჰქონდეთ, ტკბილი ცხოვრებისათვის საკუთარ ძმას გამოსტრიან ყელს და ნაპერ-ნაპერ გაჰყიდიან.

მე რომ ამას ვუხსნიდი, მამაჩემს ნელ-ნელა ეცვლებოდა სახე, მერე უეცრად ისეთი გამწარებით აიქნია ხელი, თითქოს მწვანე, აბეზარი ბუზი დასჯდომოდეს ცხვირზე.

— ყავეს ბოლო სკინტლიანი ჭქონდა ქვეყანა აყროლებული ეგონაო, — დამცინავად და ღვარძლიანად მითხრა. — შენი საქმეც ეგრეა, თავად გათახსირებულსა და გარყვნილს, სხვაც შენსავით გაოხრებული გგონია!

წესით, იმის ნათქვამისათვის ყურადღება არ უნდა მიმექცია, მაგრამ აქოთებულ ყვავთან გატოლება მაინც მეწყინა.

— არც მეცხვარეები ხართ მთლად წმინდანები და უცოდველები... — ნიშნის მოგებით მივახალე, — ძალიანაც ნუ გამოიდებთ თავს!

— ჩემზე ამბობ? — გაოცებულმა მკითხა და სავარძელში შექანდა.

— არა. — დავამშვიდე, თან დრო რომ მომეგო და საკადრისი პასუხიც მომემზადებინა, ცოტა ხნით გავეცალე, შემოვბრუნდი, ბოთლს ხრახნი მოვხსენი და სასმისები შევავსე.

— შენ გამონაკლისი ხარ და ცალკე დგახარ, — ვუთხარი შემდეგ, — მაგრამ მეგობრები, როგორც ვიცი, მთლად მამა ობრამის ბატკნები არ უნდა გყავდეს.

ეს გამოთქმა — „ობრამის ბატკანი“ — მისაგანვე მქონდა ნასწავლი და ახლა დაწუნებული საჩუქარივით დავუბრუნე.

— ბარემ ისიც ამოიღრღე, რას გულისხმობ? — მკითხა და ერთიანად დაიძაგრა.

— ყველფერს, — აგდებით მივუგე. — ორფეხა მგლისაგან დაკლულ კრავსაც, შვიდმანეთიან გუდის ყველსაც და

იმასაც, ასობით საკუთარი ცხვარი რომ დაუდის ზოგიერთს.

ჯერ წარბები აათამაშა, ჩაფიქრდა, მერე ირონიულად გაეღიმა, — მართალ რომ ეგრე იყოს, მაშინ ხომ ყველი მანეთიც არ ეღირებოდა, — საქმის ცოდნით განმიმარტა, — ერთიცაა, მწყემსობა რომ ეგრერიგად სარგებლიანი იყოს, შენისთანებს მაგ ხელობას ვეფარვინ დაასწრებდა, ქვეყანას შესძრავდით და ფულადაც კი იყიდდით.

— თუ ეღირებოდა, რატომაც არა, — დავეთანხმე, — ჩვენ შრომა კი არ გვეზარება...

— მართალი ხარ, იქნებ არც გეზარებათ, — ახლა იმან დაიმარა კვერი, — მაგრამ, გულითაც რომ მოგენდომებინათ, ამ საქმის გაძღოლას მაინც ვერ შეიძლებდით.

— გითომ რატომ? — გაქირდვით ვკითხე.

— იმიტომ რომ თქვენი **შრომა ან** მოკრეფაა, ან მოჭრა, **ან კიდევ, დაკვლა** და გაყიდვა; რაიმეს დარგვა, გახარება, ანდა მოვლა-გაზრდა არც შეგიძლიათ და არც გეზარებთან, თუმცა თავს **საქმის ხალხს ეძახით. თქვენ,** ღმერთი რომ გაწყრეს და, მწყემსებად დაგაყენონ, ერთბაშად გაეუქცევდით მილეთის ცხვარს და წყვილსაც აღარ დაიტოვებდით სანაშენოდ. იმიტომაცაა, მგელს რომ კომბალს არავინ ანდობს.

თავშეუკავებლად გამეცინა, გულიანად.

— დალოცვილო, — მისებურად მოვუქეცე, — აბელი საქმე. მილიონს საფასურის ბეჭედი და მილეთის ცხვარზე მეტი ხალხი ჩამბარეს საპატრონოდ, და რომ მოვინდომო, კომბალს აღარ შენდობიან? ან რა ასეთი მგელი მე მნახე?!

ეს ვუპასუხე, შეეხედე და ფერიც მეცვალა. ნაკვერჩხალივით ანთებული თვალით მიტევდა.

— უარესიც! — გაბორტებით შემომძახა, — იმას თუმცა მხეცი ჰქვია, მაგრამ ძღომა მაინც იცის... შენ კი, ადამიანად დაბადებული, ცხოველად ქცეულხარ **და** მაგ **უბედურებით** თავიც მოგწოლს; რა არის, სხვაზე **ერთი** ბინრანგით მეტი შეგიძენია, ათი ბინბანგით ფართო სახლი აგიშენებია და გაღორებული მუცლისათვის გინაცვალებია ყველფერი ის, რითაც ვაქკაც კაცს თავი უნდა მოსწონდეს და ამაყობდეს.

ამის თქმაზე მძიმედ წამოიმართა საგარძლიდან და მთასავით გადმომადგა თავზე. ამ სიმაღლე მამაჩემი არასოდეს მჩვენებია. ბოლოს, უკვე ფეხზე მდგომმა, მაგიდიდან სასმისი იიტაცა, აიქნია და ერთიანად გადაუშვა ხახაში მე იმის სიტყვებს იმდენად არ გავუგვირვებივარ, რამდენადაც იმან გამოაცა, ჩვეულებისამებრ, რომ არც გაგვიმარჯოს უთქვამს და არც — „სიმწარე გვაშოროს, სიტკბო მოგვეცესო“.

ჭიქა რომ მაგიდაზე დაიბრუნა, შემდეგაც განაგრძო:

— მე, როგორც მწყემს კაცს, ამ ქვეყნისა იქნებ მართლაც ბევრი არაფერი გამეგება, მაგრამ ერთი დანაძდეილებით ვიცი, რაც არ უნდა მოხდეს, შავს თეთრი მაინც არასოდეს დაერქმევა. იმასაც ვგრძნობ, ადრე თუ გვიან ნათესავ-მეზობლები პურზე ღვინის დაწვეთებით რომ გამიხსენებენ და ჩემს კაცობაზე ერთ-ორ გულიან და ალალ სიტყვას იტყვიან. თუმცა შენ **მაშინაც ასეთივე** სინდისგარეცხილი იქნები, **მაგრამ,** გინდა თუ არა, ცრემლი მაინც მოგდგება თვალზე და სხეულშიც ჟრჟოლა დაგვლის. ჩვენში, წესით ხალხი გარდაცვლილზე მხოლოდ კარგს ლაპარაკობს და ერთ ღღეს, წასულ მშობელზე საქებარი სიტყვის **მოსმენა შენს შვილსაც მოუწევს,** მაგრამ იმას არც ცრემლი მოადგება თვალზე და არც ბუსუსი დააყრის სხეულზე; პირიქით, თავს ჩაჰრის და სირცხვილისაგან ოფლში გაიწურება, იმიტომ რომ საქართველოში მამების დანატოვარი ქონებით შვილებს არასოდეს მოუწონებიათ თავი, სამაგიეროდ, მათი მოაქკაცობითა და პატიოსანი სახელით მუდამ ამაყობდნენ და იამაყებენ კიდეც!

გაოცებული შეგყურებდი და ვფიქ-

რობდი, ქადაგად ხომ არ დავარდა ეს კაცი-მეთქი.

მამაჩემისაგან ერთდროულად ამოთქმული ამდენი სიტყვა არასოდეს გამეგონა, იმან კი მოამთავრა თუ არა, როგორც ხეს, როგორც უსულო საგანს, ისე ამიქცია გვერდი და კარებისკენ გაემართა.

უხალისოდ წამოვდექი. ვერ გადამეწყვიტა, გამეცილებინა თუ ისე დაუმშვიდობებლად გამესტუმრებინა. მისი შემორიგების იმედი კარგა ხნის წინ მქონდა გადაწურული. ბოლოს ხელი ჩავიქნიე და, ჯანდაბამდისაც გზა გქონია-მეთქი, გუნებაში მივაძახე.

ეგ იყო და ისიც შედგა, შემოტრიალდა და ზღურბლთან გაქვავდა.

— წასვლისას ერთსაც გეტყვი, — მითხრა, — შემდეგ რომ მთლად გაუგებარ და მიუხვედრელ კაცად არ ჩამთვალო... — ერთი შეხედვით მშვიდად ლაპარაკობდა, მაგრამ ძალიან ცივად და საშიშად, ამასთანავე მარჯვენა ხელი მძიმედ შემართა და საჩვენებელი თითი „მაგდალინელს“ დამბაჩასავით მიუმიზნა.

— ...შენი არაკაცობის დასამტკიცებლად სხვა რომ არაფერი, ეს სურათიც ყველამდის კმარა... აქედანაც კარგად ჩანს, რა მღვარე სისხლისა და გარყვნილი სულის პატრონიკა ხარ!

ეს კი უდავოდ მეტისმეტი მოუვიდა, ბოლოს და ბოლოს, არც მე მედგა თოკი მოთმინების ძაფის ნაცვლად. როდემდის უნდა მესმინა დარიგება და ჭკუის სწავლება ამ ბნელისა დაუფიცისაგან.

— ამას რაღას უწუნებ?! — გაგულისებით შევუყვირე,—ამიხსენი მაინც, რა დაინახე ასეთი გასაკიცხებელი, რომ მომდექი და დაუღლელად მლანძღავ, ან ყველაფრის შეფასებას ერთი შეხედვით რატომ ცდილობ, ანდა ამ ქალის მოღლეტილი მკერდის გარდა, რატომ ვეღარაფერს ამჩნევ, სხვას თუ არა, თვალებს მაინც შეხედე დაკვირვებით, ამ ცრემლიანსა და მონანიე თვალებს, მსოფლიოში ათ ნახატსაც ვერ მოიტანენ, უფრო წმინდასა და დიდებულს!

სოკაირი სახით გადმომხედა, ისეთით, ადამიანს რომ სამუდამოდ ეღგებეჭდება გონებაში.

— მე ამ ნახატზე კი არა... მაგის შიგნითა, დაფარულ მხარეზე გეუბნები... შე თახსირო და არაკაცო! — ზიზღით მითხრა, შეტრიალდა და თავის ცხოვრებაში პირველად გაიხურა კარი.

ძალგამოცლილი, მოცელილივით ჩავეშვი სავარძელში და იმ წუთში თუ ტვინში სისხლი არ ჩამექცეოდა, ანდა ინფარქტი არ მომიღებდა ბოლოს, არაფრით არ მეგონა.

იმ სურათის მეორე, საიდუმლო მხარის არსებობა არათუ ჩემს სახლში, მთელს ქალაქშიც კი მხოლოდ ერთმა სულიერმა იცოდა და ის ერთადერთიც, ჩემდა საუბედუროდ, მე ვიყავი.

ზ ურ ი ბ ა

არც ვინმესათვის სიტყვით დამბარებია და არც წერილობით მიცნობებია, ისე, გაუფრთხილებლად ვესტუმრე და ღობესთან მიმდგარს შორიდან რომ შეეკეზმიანე, მეგონა, ყველა საქმეს გვერდზე გადასდებდა, ხელებგაშლილი ჩემკენ გამოეშურებოდა და გულში ჩამიკრავდა.

პაპაჩემმა კი მხარზევიდან როგორღაც უგერგილოდ გადმომხედა, ძახილსალამზე თავის დაკვრით ძლივს მიპასუხა, შემდეგ კვლავ ზურგი მიჩვენა და ძელზე დაკიდებულ კარს დაუწყო გამოჩოჩება.

დავრჩი ეგრე საქციელწამხდარი, სკოლის წინ მიტოვებული პირველკლასელი ბავშვივით დაბნეული და აღარ ვიცოდი, საით წავსულიყავი. ღობის იქითა მხრიდან კი ისეთი გაუთავებელი

თეიგიზ ჩალაური
ბიდილი

ვი-უშველებელი და მოთქმა ისმოდა, განკითხვის დღე ეგონებოდა ადამიანს. არც აქედან აკლდა — ბაკის კარს მიმწყდარი დედა ცხვარი თავაღერილი ბღაოდა, ბატკანს უხმობდა და გონდაკარგული ალმა-დადმა დაბობოქრა.

იმან რომ ყურადღების ღირსად არ ჩამთვალა, ჯერ მეწყინა, შემდეგ მწარედ გამეკინა, ნეტავ ფეხი მომტეხოდა და აქ არ ჩამოვთრეულიყავი-მეთქი, გავიფიქრე და ის გამახსენდა, წამისვლისას მამაჩემმა რომ მითხრა, — რაღაც ორიოდე კვირა დასვენება გაქვს და მაგასაც იმ უქმრუსა და უხიავს ნუ ჩამამწარებინებო. თუ სახლში გული არ გიდგება, ფუოს მოგცემ და სადმე წესიერ ადგილზე დაისვენეო. — თქმით კი შემომთავაზა, მაგრამ მე არ დავუჯერე, მაინც აქეთ გამოვწიე და ახლა თუნდაც მაგარი სახრით ვეყვეპეთ და სახეიდრის გვერდით დავებინ, ყველაფერი უნდა ამეტანა და ჩემი გაჭირობისათვის დამეშალეთინა.

კიდევ კარგი, იოსებმა არ მიმატოვა, მკლავში ხელი ჩამავლო, ძალლებს ამარიდა, კიბე ამატარა და ბინის წინ, გრძელ სკამზე ჩამომსვა. თან ისიც მითხრა, ამ კაცს ახლა შენთვის არა სცალია, აუცილებელი და გადაუდებელი საქმე აქვსო. თავი დავუკარი და მადლობა გადავუხადე, იმიტომ რომ ყველაფერი, ნათქვამიცა და ნამოქმედარიც, მობდიშებასავით გამოუვიდა, გინდაც ნუ გეწყინებათო, სიტყვით ეთქვას.

ეს უცნაური კაცი, იოსები, აქეთ მომავალმა გზად გავიცანი, მაგრამ ვიდრე იმას შევეყრებოდი, კარგა ხანს მარტოდმარტო მოვდიოდი. ტრასიდან რომ გადმოვუხვიე, პირველსავე შემხვედრს, ბაზარში სავაჭროდ მიმავალ, კალთებით ახუნძლეულ ახალგაზრდა ქალს, გეზის ჩვენება ვთხოვე: ამ შარას დაადექი, არსად გადაუხვიო, მიჰყევი და პირდაპირ ბინაზე მიგიყვანსო. — მასწავლა იმან. დილაბნელი იყო, ახლად ნარიყრაფევი. — ნაგაზებს ერიდე!... — უკვე დაშორებულს მომაწია, — ჯოხი მოიტეხე და არ შეუშინდე, თორემ დაგიბრიყვებენ — სიცილეთ. ბოლო-მაძახა, ხელიც დამიქნია და ბინლურნალ-ში გაუჩინარდა.

იმ ტრიალ მინდორში ჯოხს სად ვეპოვნიდი, თვალისცეცებით წამოვედი, თეთრად მოკიაფე გზას გამოვყევი, აღმართი ავიარე, მომცარო გორაკს თავზე მოვექეცი და იმ დროს მდინარის ხმაურიც შემომესმა. აი, ხმაური კი არა, მარტოხელა ადამიანი თავისთვის ბუტბუტს რომ დაიწყებს, იმდაგვარი რამ. იქითა მხარეს კი ჩამუქებულ-ჩაბურული ტყე გამოჩნდა. ჩათმა ერქვა იმ ადგილს, ნაკრძალი იყო, წინასწარ ვიცოდი. ცოტა არ იყოს, ნირი მეცვალა, „აქ მარტოხელას რა გამატარებს?! დაფეთებულმა გავიფიქრე, თავი ხომ არა მაქეს მოძულებული?!“ მერე მივტრიალ-მოვტრიალდი, მარცხნივაც გავიხედე და ისეთი რამ შევნიშნე, რომ ყველაფერი დამავიწყდა, შიშიც და ისიც, ასეთ დროს გულის გამაგრება და ვაკაცობის მოხმობა რომ არის საჭირო.

ჩემს წინ, დაბლა, მთელი სიგრძე-სიგანით ბინდში გაბეგეული ალაზნის ველი იყო გადაშლილი. ჯაღოსნური, ლურჯი აკვარელით ნახატს ჰგავდა, მხოლოდ სულჩადგმულს, ცოცხალს, ვერც მომხიბვლელსა და ვერც მშვენიერს რომ ვერ აკადრებ, რადგან იმის შესაფასებლად უფრო ვრცელი და სრულყოფილი სიტყვაა საჭირო. რძისფერი, გაწეწილ-დაფლეთილი ნისლი ედგა ზედ და იმ ნისლის სიღრმიდანაც ღია მელნისფერი გამოსჭვიოდა. ეს ყველაფერი მძინარესა ჰგავდა, გამოღვიძების წინ ღრმად და მშვიდად რომ სუნთქავს.

გაოცებული დავცქერიდი, ბურანში მყოფივით, და უცეტ თითქოს რაღაც უცნობმა ძალამ მიკარნახა, მიჩურჩულა თუ ნაიძეცა მზერა ამეძართა, მაღლა ამეხედა და ნისლების ზევით გავცოცხლებულიყავი, იქ, სადაც კიდით-კიდევედე. ცამდის ამართული და მის უსასრულობას შერწყმული კაკვასიონი იყო გადაშლილი. შუბლითავებით შემართულ მუქ-ლურჯ მწვერვალებს თოვლიანი თეთრი ბოხოხები ეხურათ და იმ ქაქანთა თავსასურავებს კი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეები საღღაც შორიდან, ქვეყნის დასალიერიდან ამომავალი მზის სხივებით ცეცხლისფერად ჰქონდათ შეფერილი და განაშუქარი.

ვუცქირე ამ საოცრებას, ერთის თავზე მდგომ მეორე ზესამყაროს, ვუშვერიტე, ვუთვალთვალე და იმავ წუთში მეზღვებზე დაცემა და ტირილი მომინდა; რადგან სწორედ მაშინ ვიგრძენი მთელი არსით ყველა ჩემი მიწადაქცეული წინაპარი, მათი გულისცემა და სისხლის ხმაური, მიეხვდი, ერთიანად დაჩეხილებსა და ვადაში ხმლებგადამტვრეულებს რა ძალა აიძულებდათ კბილებითა ებრძოლათ და სულთმობრძავებს, მგლებივით უკანასკნელი გაქნევით ყელი გამოეღადრათ მომხვდური მტრისათვის.

ბავშვობიდან მოყოლებული საოცრად მეშინია საკვდილის, გარდაუვალის წარმოდგენით ზარდაცემულს, ბევრი ღამე მითენებია თეთრად და მიწად ქცევამდის ჩაგყოლივარ ამ ფიქრს, ამტომაც სხვებივით ხელიღებით არასოდეს დამიქანცნია, ვინმეს ან რაიმეს გამო თავის განწირვა შემიძლია-მეთქი. მაგრამ ღღეს, განთიადისას, კახეთის პატარა, ტიტველ ბორცვზე შემდგარი დავწწუნდი, რომ არათუ ამ ჭალას, მოეცსა და ცას, არამედ აქ მოფარფატე ნისლის ხელისგულისოდენა ფთილასაც კი ვერავის დავუთმობ, თუნდაც ამის გამო მეც ჩემი წინაპრებივით მომიხდეს სიცოცხლის დათმობა.

როგორც კი ღღემ იმძლავრა, ნაკრძალისაკენ მომავალ შარას ჩავუყეყეი, ხიდზე გადავედი, ტყეს მივადექი და იმ დროს ის საოცარი ღრიალიც შემოგესმა. ვგონებ დაჭრილი, ანდა კბილმტკივანი დათვი უნდა ღმუოდეს ამდაგვარად, თუმცა მე არც ერთის მნახველი და შემსწრე არა ვყოფილვარ. ის ხმა ათას ადამიანსაც რომ მოესმინა, ერთსაც არ ეყოფოდა სითავხედე, სიმღერა�ა ეთქვა, არადა იმ კაცს, ტყის განაპირას რომ მოაბიჯებდა, თავი ნამდვილად ავთანდილი ეგონა, თან აზარტში შესული გარდიგარდმო ხელჯოხსაც იქნევდა და ხანგამოშვებით ისეთ „ოჰოს“ ამოაყოლებდა, რომ ხეებში შეყუჟულ მგალობელ ფრინველებს ერთიანად აშიზებდა და ხმას აკმედინებდა.

შემნიშნა თუ არა, იმწამსვე გაჩუმდა, დაკვირვებით დამაცქერდა, ჭიაზე გადმოაპოტა და ისე მძლავრად ჩამომრთვა ხელი, ლამის მაჯაში წამაწყვიტა. თან, — როგორ ხარ, საით გაგიწვივია, ვისთან მიდიხარო? — დიდი ხნის დაკარგულ ნათესავივით მომიკითხა. ჩვენთან, ქალაქში ზშირად ახლო ნაცნობებიც კი შეხვედრისას სალამს ძლივს ვიმეტებთ, ანდა სულაც თვალს ვარიდებთ ერთმანეთს, ვითომც ვერ შეგვენიშნოს. აქ კი, როგორც ჩანს, ძველ ადათწესს ჯერჯერობით კიდევ მისდევენ და არ ღალატობენ.

გიორგი ალადაშვილი რომ ვეხსენე და მეც გაგვეცანი, კინაღამ გადაირია. — შენ ალბათ კარგად ვერცა ხარ მიხვედრილი, რა დიდებული კაცის შვილიშვილი ხარ, — აღტაცებულმა მითხრა, — სასწორის ცალ მხარეს რომ ეგ დაადაყენო და მეორე მხარეს მისი ტოლი ოქროს ზოდი დაადო, პაპაშენი გადასძლევს და გადაწონის, მაგას ხომ აზერბაიჯანიდან მოყოლებული, ყიზლარის ჩათვლით ყველა მეცხვარე ნაღდ ვაჟკაცად იცნობს და მშობელივით პატივს სცემსო. — ერთი სიტყვით, იმდენი აქო და ადიდა, ლამის ცოცხლად აიყვანა ცაში.

მივყვებოდი, ვუსმენდი და თან გუნებაში მეცინებოდა; ახლა ამ კაცის მონაყოლი რომ მამაჩემს მოასმენინა, ნაღდად ცეტად, ანდა სულაც გიჟად მონათლავს-მეთქი.

ოისებმა კი, რადგან ენა ამოიდგა, გიჩერება აღარ იღირსა, თხუთმეტი კილომეტრი გზა ისე გამოიარა, ვგონებ, ერთხელაც არ ჩაუსუნთქავს. ბოლოსღა მივხვდი, მსმენელს რომ ეყო მონატრებული ეს თმათეთრი მწყემსი, იმას, ვინც გულისყურით მოუსმენდა, კვერს დაუკრავდა და, ჭეშმარიტებას ბრძანე-

---

თენგიზ ჩალაური
ციდილი

ბთო, ეტყოდა. ისეთი გაფაციცებით მიყვებოდა გაგონილსა და თავსგადახდილს, თანაც ისე დაწვრილებით, თითქოს მათი პროფესიის შესახებ პირველად მესმოდა, თუმცა ცოდვა გამხელილი სჯობს, მაინცდამაინც ბევრი არც რაიმე ვიცოდი.

რადიოსა და პრესაში რომ ის აკო

ნიერ ყინამთაზე ყოფილა პაპაშენი დაბადებული... კაცი რომ დაკარგულ დედა-შვილს ერთიმეორეს აპოვნინებ, ამაზე უმეტესით ან ბუნებამ რითი უნდა დაგაჯილდოოს, ანდაც ღმერთმა.

მართალია, ახლოპახლო მდგომი მწყემსებიც სასწაულმოქმედივით შესცქეროდნენ თავიანთ სარქლის გაწამაწიას, მაგრამ მე იმის საქმიანობაში არარაფერ ეჭერბივი და თვალებგადმოსაცვენი არაფერი მიგრძვნია, იმიტომ რომ ყოველ ადამიანს ერთი განსაკუთრებული ნიჭი აუცილებლად დაჰყვება დაბადებით, უმთავრესი იმისი პოეზი და აღმოჩენაა.

კარგა ხანია მამაჩემს დაკონებული აქვს, გინდა თუ არა, ექიმი უნდა გამოგიყვანო, თანაც ქირურგი და მილიონივ რომ დამიჯდეს, მაინც მოვაგვარებ ამ საქმესო. ახლა, ამ დროში, საიდან. როგორ და რა გზით აპირებს ამის გახერხებას არ ვიცი, მაგრამ ერთი უდავოა, — ტყუილად ირჯება. მე ხომ გუმანით ვგრძნობ, ეგ პროფესია საჩემო რომ არ არის.

როგორც კი ბატკანმა გული იჯერა და დაშოშმინდა, გამოირეკეს მწყემსებმა ჯოხისა და ფეხის კვრით, განაცალკევეს დედაცხვრისაგან, შელალეს ბაგში, დაბინავეს, შემდეგ დაიბანეს ხელ-პირი და მძიმე-მძიმედ, აუჩქარებლად ამოლაგდნენ კიბეზე. რიგში ჩამდგარნი მოღიღიალებდნენ, ერთიმეორეს გზას უთმობდნენ და ისე გაუღიმებლად, სიტყვის უთქმელად მართვევდნენ ხელს, როგორც პანაშვიდზე ჭირისუფლად მდგომს.

ექვსნი იყვნენ, გამხდრები, თმათეთრები და წვერჩაღარები. პაპაჩემის ხნისანი, იქნებ ოდნავ უმცროსები, მაგრამ ისეთი წელგამრთელები და ბეჭბრტყელები, ქარქაშიდან ამოღებულ ხანჯლებს ჰგავდნენ.

შვიდნენ ოთახში, მეც შემიყოლეს და შემოუსხდნენ დანით დაჩორკნილ ხის მაგიდას, დაიწყეს წინ მზედაკრული, ნაჯაფი ხელები, მერე ამოიჯინეს ნიკაპქვეშ მუშტები, გაყუჩდნენ და გაილორსნენ. მათი შემხედვარე ტაცხო კაცი იფიქრებდა, ბიბლიური მამამთავრების თავყრილობაზე, ანდა სულ ბოლო საიდუმლო სერობაზე მოვხვდიო. შემდეგ ზოგმა ამოიხვნეშა, ზოგმაც — ჰაი დედასო, თქვა, ბოლოს რომელიღაცამ ღმერთო, შენ გვიშველეო, — ამოიოხრა და ამით თითქოს დანარჩენებს დათქმული ნიშანი მისცა. ისინიც უცებ გამოცოცხლდნენ, ამოძრავდნენ, აფუსფუსდნენ, დაამტკრიეს ძველი, გამოშშრალი პური, დაიღვაგეს წინ თუნუქის ჯამები და დიდრონი კოვზებით მადიანად, დეევბივით შეუდგნენ მაწვნის შეჭამადის ხვრეპას. მე, არათუ გემო, ამ კერძის სუნიც კი გულს მირევდა. ეგ მაშინ, პირველ და მეორე დღეს, მერე, ფარასთან გარე-გარე წანწალი რომ დავიწყე და იმთაც სხვა აღარაფერი შემომთავაზეს, მეც კარგა გემრიელად მოვეულბინე.

ასე დაიწყო ჩემი ნაცნობობა ამ უცნაურ მოხუცებთან, ადამიანებთან, რომლებიც ბევრით განსხვავდებოდნენ იმთგან, ვისთანაც ოდესმე რაიმე ურთიერთობა მქონია. წინათ დარწმუნებული ვიყავი, ასეთი ხალხი ეხლოლად წიგნებში არსებობდა, ანდა ეკრანებსღა იყვნენ შემორჩენილნი, და თუ მათ სადმე ცოცხლებს შეეყრებოდი, არაფრით არ მეგონა. ერთი კვირაც არ დამჭირვებია ამის მისახვედრად.

დილაბნელზე რომ ჰაიჰარად გადაყლაპავდნენ სოფზმეს, სიტყვასაც აღარ შეაწევდნენ ერთიმეორეს, ისე შეუდგებოდნენ თავიანთ საქმეს, მხოლოდ რომელიმე რჩებოდა პაპაჩემის დამხმარედ და ხელის გასამართავად, მორიგეობა ჰქონდათ დათქმული. პაპაჩემი ხომ გამუდმებით ბინაში იყო, რადგან ყველის ამოყვანაც იმას ევალებოდა, კერძის მომზადებაც, ოთახის დასუფთავებაც და წყლის მომარაგებაც, თუმცა ბრიგადირიც სახელად იმას ერქვა და სარქალიც, მაგრამ მაინც ყველაზე მეტი ჯაფა ედგა. სხვებანაც რომ ეგრე იყოს, უფროსობა ალბათ სახვეწნელი

ვახდებოდა და იქნებ კაციც ვეღარ ეპოვნათ ამ ტყრთის ამკიდებელი, პირველად ასე მეგონა, ზედმეტ კაპიკებს დახარბდა და იმის გამო იწყვეტდა წელს.

ცხვარი სიცოცხლეს ერჩიენათ, იმიტომ კი არა, სახელმწიფო, ანდა პირადი საკუთრება რომ იყო, უბრალოდ, უყვარდათ და იმიტომ, მაგრამ არც თავი ეფიქრებინა ჩირად, ერთის ფასად, კარგად იცოდნენ და მეორისაც.

მოკლედ მამაჩემის ნათქვამი სიტყვაც კი არ გამართლდა, პირუკუ აღმოჩნდა ყველაფერი, ამდენი ხანი აქა ვარ და ჯერ ერთი კაციც არ მინახავს მხარეთქმეზე წამოწოლილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ალადაშვილი

ორშაბათ დღეზე მეტად არაფერი მეჯავრება ამქვეყნად. ცრურწმენით კი არ ვამბობ; ცუდად მაქვს დაცდილი და იმიტომ.

შუაპაზარში რომ ჩოფურა ჯოჯომ, ჯიბისქურდმა და წვრილმანმა თაღლითმა, თითისჩაკვრით თხილიკი გადმომაგდებინა თვალი, სწორედ ეგ დღე იდგა. მერე კიდეც ბაჭაჭაანთ ნიკამ გადვთქმული ეცნი ბინაზე რომ მოაგდო და დედაკაცის სიკვდილი შემატყობინა, მაშინაც ეგ თარსი თენდებოდა და ახლახანსაც მთელი ფარა იმ ტარაბუადასხმულ ვაცს რომ ნაპრალში გადაჰყვა, ეგ წყეული იცრიცებოდა და ილოდდა.

მახსოვს, პირველად იქ გავიფიქრე, დასისხლიანებულ-დასახჩრებული ცხვარი რომ ამომყავდა ზურგით, ვასადა და ამით გასრულდა-მეთქი.

ამ დილით, გიორგი, გიორგი... კარში გამოდიო! ბაჩანამ აიტეხა თუ არა, გულმა ძველებურად რეჩხი მიყო, ამივიდა და ჩამივიდა, მართალია, ხმაზე საკანგაშო არაფერი ეტყობოდა, მაგრამ მაინც ძველებურად შეეკრთი, თუმცა საქმისათვის თავი არ მიგვინებებია, ყველს ვაწყობდით გუდაში ჭე და ოისები, იმან კი სული აღარ მომათქმევინა, გაადა ჭიანურივით: — გიორგი და გიორგიო... გამოიხედე და გამოიხედეო....

— დამაცადეთ, თქვე ოჯახქორებო, ცეცხლი ხომ არ გიკიდიათ-მეთქი, — ძალიან რომ შემაწუხა, მერეღა გავძახე.

— უფრო მეტიო, — მიყვირის, — უფრო მეტიო, გამოდი... კარში გამოდიო. არა და არ მომასვენა, შიგ შემომივარდა, სანახევროდ გაბერილი გუდა ხელიდან წამგლიჯა, იქვე მიგდო, — ცოტა ხნით გამოიხედე, ასეთ რამეს ცხოვრებაში ყოველთვის როდი ნახავო... — ზურგსუკან ამომიდგა, დამცხო მუჯლუგუნი, მირქანა და მაინც თავისი გაიტანა.

მეტი რა ჩარა იყო, გამოვეყეე, გამოვედი, მაგრამ ჰირველად ვერც ვერაფერი დავინახე, დამფრთხალი ცხენივით აქეთ-იქით დავიწყე ტრიალი. ცუდს ველოდი და იმიტომ, მერე კიდევ იმან, ბაჩანამ, სახელოზე დამქაჩა, ბაკისაკენ შემატრიალა, თანაც მეუბნება, — შეხედე, კაცო, რა ამბავია, ეს ჩვენი ზურია რასა სჩადისო.

ცოტა ხანს ვუცქირე და, ღმერთო დიდებულო-მეთქი, ესღა აღმოვთქვი, დაფიქრებითა და გონებით კი არა, ისე, ჩემდა უნებურად წამომეცდა. ადამიანი ხომ ეგრეა: თუ რაიმე იტკინა, ვაიმე დედაო, — დაიძახებს, თუ გაუკვირდა, ანდა გასაოცარი დაინახა, ღმერთო დიდებულოო, იტყვის, თუნდაც ეშმაკის შვილობილი იყოს და სამებისათვის ასკერაც ჰქონდეს მიფურთხებული.

ეს ჩვენი ბიჭებიც ყურებდადაღული თხებივით პირღიები დგანან და ზურიას მისჩერებიან, ზურია ალადაშვილს, ჩეშს სისხლსა და ხორცს, ჩეშს შვილიშვილსა და ჯიგარს. ის კიდევ ტანჯორივით ბზრიალებს, ალმა-დაღმა, მიირბენს ბაკიდან გამოშვებულ ბატკანთან, წასწვდება ქეჩოში, ხან ერთს, ხანაც ორ-ორს, გამოიტაცებს ეგრე ცინდლებივით ციმციმ, არც თვალს ჩა-

ხუჭავს, თითქოს აღარც გულისთქმას უგდებს ყურს, მიიყვანს და, ვითომც აქ არაფერიო, ერთს ერთ დედა ცხვარს მიუგდებს, მეორეს კიდევ მეორეს.

— ღმერთო დიდებულო, ზოლაპარში ვარ თუ ცხადში-მეთქი, — ესაღა ვთქვი და აეხარხარდი ეს ამხნის კაცი, ვიცინი და თან ღაპაღუპით ცრემლებიც ჩამომდის, ეგეც იმდენი არაფერი, გული მიცახცახებს და ისე მიფართხალებს, ღამისაა ყელიდან ამობიფრინდეს.

ადამიანი შეიძლება დაბერდე, ცხოვრება ჯიქანივით წვეთიწვეთ გამოცალო, გონებითა და გამოცდილებით თავიც მოგქონდეს და იმ თავში ერთი მისხალის ტოლი ტვინი არ გედოს. საკუთარს ვამბობ, სხვისას კი არა. რამდენჯერ დაბეჯითებით მითქვამს: ვინც იძახის ჩვენი სიცოცხლე ჩვენსავე შვილში, ანდა მონაგარში გაგრძელდებაო, თავს იტყუებს და ცრუპენტელაობსმეთქი. ცრუპენტელა და ტუტუცების ტუტუცი კიდევ გამოდის, თავად ეყოფილვარ და ბევრსაც ვერაფერი მივწვედრილვარ ამ წუთისოფლისას.

თან ამას ვფიქრობ და თანაც ზურიას გავცქერი. ის ბიჭი კი დააცხრება კრავებს სვავივით, აიტაცებს და მიაძუნძულებს. მე კი იმათ სითბოსა და თივთიკა მატყლს მუქებითა ვგრძნობ, იმათ სიმძიმესაც, მკლავებიც ისე მეღლება და მეძაგრება, თითქოს მე მიმყავდეს ის ბატკნები, ფეხის კუნთებიც მითახთახებს და მიხტის, ბაზდ გახიდულ ცხვარსაც მევე ვაბოტებ და დედებსაც თავად ვპოულობ. ჩემიანად ხდება ყველაფერი, ზურია კი არა, მე — გიორგი ალადაშვილი — ჩავდივარ ამ საქმეს და არსიც ხომ ჩემი მიცინის, მიმდერის და სიყვარულით მევსება, და დაღლითაც თავად ვიღლები და ვიხვიეთები.

დაბინდებისას შევყარე ყველანი, ხეირიანად ფარის დაბინავებაც არ ვაცდე, არც ხელ-პირი დავაბანინე, აღარც ვაჭამე, რა დროს ეგ არის, სადღა მაქს მაგის მოთმინება, ვეუბნები: — ასეა, კაცებო, საქმე, ამნაირად და ამგვარად, მარტო ჩემი გონებით ვერ დავწყვიტე და რას მირჩევთ, თქვენი იმედი მაქვს-მეთქი.

სინათლე ჯერ კიდევ არ არის, ისევ გატყვირებოდა ის ძაღლთაპირი მოტორისტი. ვსხედვართ ნახევრად ბნელ ოთახში, მე აქეთ, ზურია საწოლზე და ისინი კიდევ ქქსივვენი ფანჯრის წინ, გრძელ სკამზე, ბაგაზე მიბმული ქანცგაცლილ ცხენებივით ჩამწკრივებულები და გარინდებულები.

ამოვიკვნესე ჩემი სათქმელი და ვდუმვართ ახლა, ველოდებით ერთიმეორეს, ასჯერ ვწონით ყველაფერს, ასჯერ ვზომავთ და გაჭრისა გვეშინია.

— რა ენები ჩაგიცივდათ მუცლებში, — ხმაწყვეთ ვუტევ, — სხვა დროს ჭრიჭინებივით გაჩერება აღარ გედირსებთ ხოლმე... ახლა რა პირკატა გეცათ, სამგლეებო?!

მორიგებობით მიცქერიან, დაკვირვებით, ესმით ჩემი გასაჭირი, კარგად ესმით...

— ახლა ნათქვამ სიტყვას სხვა ფასი აქვს, — კრეჭო მეუბნება, უეცრად დაბრძენებული ეს ქვეყნის მასხარა, ჟუდამ რომ კბილები გარეთა აქვს გადმოყრილი. თანაც ბადეს მიქსოვს, — ბრიგადირი შენ ხარ და პირველთქმაც შენ გეკუთვნისო.

— მე განსასჯელი გითხარით, — ვუხსნი, — მარტოხელას რომ შემძლებოდა, თავადვე გადავწყვეტდი, ახლა რომ სიტყვა ვთქვა, კანონად დაიდებთ; საკლავი ჩემია და იმიტომ, ეგეც არ იყოს, შვიდი თავი უკეთესად მოიფიქრებს და დაადგენს.

— მერვეს აღარ აგდებთ სათვალავში? — ზურია გვაწყდება ხმას კუთხიდან, დიდი კაცივით გვეკითხება და თანაც ჩუმჩუმად ფხუკუნებს.

— შენ ხმა გაკმინდე მანდ!.. — ვეტოქები, — გონება ჯერ ნედლი ნუშივითა გაქვს, გულით იძახი და გგონია,

ჭკუით ფიქრობ! — ეტუქსავ და ვაჩუქებ. ისიც ჯერჯერობით მიჯერებს, თუმცა ფოცხეფრივით კი აკვესებს თვალებს.

ვსხედვართ და ვდუმვართ. პაპაროსები ჩამოიროგეს და გააბოლეს, ვიდრე ქაღალდზე არ დავლეს, კრინტის დამძვრელი არც ერთი არ არის, ვიცი მაგათი ჩვეა.

ჩამობნელდა უკვე, ვეღარ ვარჩევ სახეებს, მხოლოდ თეთრ თმა-წვერსა და ციცინათელებივით მოკიაფე წერტილებსღა ვხედავ.

— შენ მაინც გატეხე ნავსი, — ბოხას ვაკონდები, ხმიადაშვილს, სიყრმის მეგობარსა და ჩემს კბილას. უფროსობა მაგით გვერგება აქ. ძნელადმოუბარი კაცია, ზოგჯერ წელიწადი ისე გაიცლის, წყვილი სიტყვაც არ დასცდება, დაბადებით კი არ იყო ეგრე, ცხოვრებამ დაამუნჯა, მაგრამ ახლა უსათუოდ იტყვის რაიმეს, კაცის ბედი წყდება და იმიტომ, ასეთ დროს გულიანმა ქვამაც უნდა ამოიდგას ენა.

— რა ვთქვა? — კითხულობს და გაჭირვად ეშნეს თავს.

— რასაც ფიქრობ, ისა თქვი, — ვაქებ, — ურჩე რაიმე, როგორც საკუთარს, ისე...

— რადგან ეგრე გინდათ... — ჯანჯალით იწყებს, —... ვიტყვი, რატომაც არა... ხვალ ღილით ბაცაცაანთ ვანო რომ წყალს ამოიტანს, აიკრას ამ ჩვენმა ზურიამ გუდა-ნაბადი, ჩაჯდეს მანქანაში და გაბრუნდეს თავის ქალაქში... მაგას ვურჩევ, სანამ გვიან არ არის, წავიდეს!

ველოდი ამ სიტყვებს, მაგრამ ეგრე ხელადებით თუ იტყოდა, არ მეგონა.

— ვითომ რათაო? — კრეჭო ეცა პირში, — აგვიხსენი, მაგ შენი დალაგებული გონებითა და საათივით აწყობილი ტვინითა!

— ი მ ი ტ ო მ! — დინჯად და დაჯერებით პასუხობს ბოხა.

ვგრძნობ ბევრის თქმა უნდა ამ ერთი სიტყვით, ძალიან ბევრის... — რად იცი, კაცო, ეგრე? — ახლა ეისები წამოუდგა, — მოგვწამლავ ხოლმე და იმასაც აღარ გვეუბნები, რა შეაქმს გვიწვევთგან სასმელში. თუ სათქმელი გაქვს, ბოლომდის ამოღერღე, გაკვაებინე, რას უწერენ ამ ბიჭს, რითი არ მოგწონს, ან რა გულითა ჭრავ ხელს და რისთვის იშორებ.

— თავისთვის... — მისნობს ბოხა, —

— რომ მომწონს, სწორედ მაგიტომ ვურჩევ წასვლას.

— გამაგიჟებს ეს ღმერთგამწყრალი, — საყოველთაოდ ჩვენს ეისები, — რატომ და რის გამო... ამის ახსნა-განმარტებასა გთხოვ! იქნება აკაზაკობას ჩავდივართ აქა, იქნებ საცუდაკაცოდ ვიტოვებთ, სხვისას ვიტაცებთ თუ სახელს ვირცხვენთ?

— არ არის ახლანდელი კაცის საქმე მეცხვარეობა. — გულჯავრიანად პასუხობს ბოხა. ამბობს და, როგორც ვატყობ, ამით ამთავრებს საუბარს.

— ეჰა! — ჩემდაუნებურად წამომცდა და თანაც, ამ კაცს მთლად გადასწურავია იმედი-მეთქი, გავიკვე გუნებაში.

მე აქეთ ეს გავიფიქრე და იქიდან კიდევ — სწორიაო, — ჭირიანმა გოგიამ დაუკრა კვერი. ეგეც ხომ უბედურად ჰყავს გაჩენილი ბუნებას. ჭირიანიც მაგის გამო შეეკრქვით, თავისი დღე და მოსწრება სულ ავადმყოფობას უჩივის, არადა, კერკეტი კაკალივით არის, ცხოვრებაში ჯერ ფრჩხილიც არ წამოსტკივებია.

— მაშ, ახალგაზრდამ რაღა ჰქნას? — ახლა ბაჩანა ეტმასნებათ შუაში, — რითი არიან ჩვენზე ნაკლებნი?!

— არაფრით, მაგრამ ჩვენ მაინც სხვა ვართ, — ისევ ჭირიანი პასუხობს. — სხვა თიხისაგან ნაძერწები: ზურიაც მაგ მასალისაა და უჯობს ეროოლად გაგვეცალოს.

— ის ბიჭებიც ამის ხნისანი არ ყრან, ვერ უძღებიან საქმეს თუ რა?!

— ვინ ბიჭები?

— აგერ პაპიაშვილის და ქერიმ-ოღლის ბრიგადებში რომ არიან. ისინიც ხომ ამ გაზაფხულზე მოვიდნენ.

— ეგენი, ცოტა ხნით მოვიდნენ, ჰიდგებ-მოდგებიან, წელს დაიმაგრებენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და უკანვე წავლენ.

— წელში და სახსარში გაგამაგროს! — ქალივით წყეველის კრეკო, — გინდაც ეგრე იყოს, ზურაბ ხომ გულით მოდის.

— მე და ბოხაც მაგას ვჩივით, რომ გულით მოდის, სამუდამოდ... ესეც ჩვენსავით აქ ჩაბერდება და ჩაჭკნება, მერე ბევრსაც ინანებს, მაგრამ რაკი მზარს შეუდგაზს, ვეღარ გაერიდება აქაურობას.

— მერედა, რა დაშავდება მაგით?

— ეხ! — ორთავე ხელს იქნევს ჭირიანი გოგია, ვითომც, — რა უნდა ველაპარაკოთ აქნაირ უგუნურებსაო. რა დაშავდება და რა მოხდება? — მერეღა აგრძელებს, — ბრმები ხომ არა ხართ, ამხნის ხალხი. სარკე მაინც დაიდგით წინ და ჩაიხედეთ. ეგეც არ გინდათ, საკუთარ გულებში ჩადით ცოტა ხნით. რა ვაი-ვაგლახი და ტანჯვა-წამებაც ჩვენა ვვაქვს ნანახი, როგორ საკუთარ ნაწლავებზე ფეხის დგმითა ვართ ნაბუქნავები, მგლებივითა ვვაქვს გატარებული მთელი ცხოვრება. თოვლში და თქეშში, დარში და ავდარში, დღენიადაგ გზას გაკრულები... ჰოდა, გეკითხებით: რა გვინახავს ამ წუთისოფელში, რითი გაგვიხარია? — არ ა ფრ ი თ, სრულებითაც არაფერით... მაინც ვერ ვშორდებით ცხვარს, სისხლი გვაქვს მოწამლული და იმიტომ, ჯადოგაკეთებულები ვართ, შეწირულები და ჯვარს მიკრულები.

ცოტა ხნით გაყუჩდა ჭირიანი, იქნებ ვინმე შემეჯიდოსო, მაგრამ ხმა რომ არავინ გასცა, შემდეგ განაგრძო.

— სანამ ახალგაზრდა ვიყავი, ერთი ბოლმა მახრჩობდა, ვაითუ ჩემს კუთვნილ ტახტზე სხვა წვეს-მეთქი, დავბერდი და სხვა უბედურება მჭირს. ჩამოვჯდები ღამდამობით აგერ აქ, ბინის წინ დირეზე, შეგაკქერდები ვარსკვლავებს და ამიკვნესდება გული. მომენატრება სახლ-კარი, ჯალაბი, ჩემი პატარა შვილიშვილები ხომ განსაკუთრებით, იმათი სიცილ-კისკისი, თბილი, გაპუნტულებული ხელები, ერთი კოცნაც კი სიცოცხლედ რომ მიღირს... მოგონებებიც და როგორ... ისე მომესწრებ ვილება, მეტი რომ არ იქნება. გავუბრაზდები თავს, დავუწყებ ლანძღვას: რა ოხრობას უზიხარ შე ყიაყოჩალო, აქა, ასე ვეტყვი, სახლი გაქვს, სარჩოსაბადებელი გაგაჩნია, საქმელ-სასმელი არ გაკლია, რიღასთვის იძალღებ სიბერეს-მეთქი. შემოვიკრავ შუბლში ხელს, ავადერ თავს და მოვადგენ ბრაგვანს სოფელში.

„ბუა მოვიდაო!“ პირველად შემიშინდებიან ჩემი ცუგრუმელები, წვერგასაპარსსა და გაბანჯგვლულს რომ დამინახავენ მიეესიყვარულები იმათ, გავლადდები, გავხალისდები, დავაძინებ ზღაპრებითა. .შერე ერთ-ორ ჭიქასაც გადავუშვებ ხახაში, წამოვწვები ტახტზე და ახლა აქეთობაზე ამიტირდება ეს გასახეთქი გული. აბა იქ როგორ არიან... იქნებ ამინდი შეიცვალა, ვაითუ ვერ აუდიან საქმეს და უჭირთ. წამოვხტები და გამოვრბივარ. მომპაყოლებს დედაკაცი ზურგში ქოქოლას: ექვსსაც ჩამოუტანიხარ გაჭიმულიო... შე სახურავგადახდილო, შენაო... ოჯახისა და ადამიანური ცხოვრების მოძულეგო... და რა ვიცი, რაღა არა. იქნებ მართალსაც მეუბნება, იმიტომაც ადარ ვაძლევ პასუხს, ჩავხრი ქედს და მოვძღუნძოლებ საპალნეკმონატრებული სახედაჩოვით... და ასე გამუდმებით, დღენიადაგ... მაშ ამას ჰქვია ცხოვრება, ესაა არსებობა?! თქვენ კიდევ, — რატომ ჰკრავ ხელსაო? — კითხულობთ. მე ხომ ვიცი, ჩემი უბედურება... მაშ, როგორდა ვუჩჩიო ამ ბიჭს აქ დარჩენა, რა გულით... მითხარით თუ ხალხი ხართ?!

ცოტა ხნით ვდუმართ ყველანი, ვიაქვირებით ჩვენ-ჩვენს გულებში. სიმართლე გვითხრა გოგიამ, მაგრამ არც მთლად ეგრეა საქმე, ვინც გამუდმებით საკუთარ ჩრდილს შეჰყურებს ის ხომ მზის ელვარებას ვერასოდეს დაინახავს.

თენგიზ ჩალაური
ჟვიდიდი

ხატია წამოიმართა ხვნეშით, უჩუმრად გადის გარეთ და მალევე ბრუნდება უკან ლამპით ხელში, ისე სათუთად შემოაქვს, თითქოს ჩვილი ეპიროს. ცეცხლისფერად ულიანს სახე, მოჩვენებას ჰგავს.

— სიმართლეს ვერ დაგიკარგავთ, — ჭირიანო, — ნათქვამს უწონებს კრეტო, — მაგაში კიდევ მთლად სიალლმართლე ისაა, სახედარს რომ გაუტოლე თავი.

მაგ სიტყვაზე აქამდის გატრუნული ბაჩანაც წამოეშველა.

— შე ღმერთგამწყარალო, მომტირალი თვალისა რომ მოგვიყევი, მოცინარისა რაღასთვის დაივიწყე, — ეუბნება და თანაც გვერდულად გასცქერის, — როგორ, მაშ გაჭირვებისა და ჭაპანწყვეტის გარდა, სხვა აღარაფერი გვინახავს აქ?! იქნებ ჩვენს დაუმადლებელ ლუკმას ფასს აღარ ადებ, კაკუტად და სიმართლით რომ ვცხოვრობთ, არც ეგ არის სათვალავში ჩასაგდები? ანდა ამოდენა ათას სულ ცხვარს რომ ვუვლით გულითა და სიყვარულით ეს ჩამოსაწერი ბებრები და ქვეყნისათვის სასიკეთო საქმეს ჩავდივართ, ეგ მაინც აღარაფრად გიღირს?!

— როდემდის? — ხელებჩამოვარდნით კითხულობს ბოხა, — როდემდისმეთქი? ადრე თუ გვიან ხომ ჩვენც წავალთ, დავუძღურდებით და დავიხოცებით... მერე ეს ბიჭი უნდა დარჩეს აქ მარტოხელად, ამან უნდა ათრიოს ყველას ეუთვნილი ტვირთი?!

— მარტოხელამ რათა? — ექიშპება იოსები, — გაზეთებს მაინც აღარ კითხულობ, დალოცვილო. ხომ წერენ ამდენი ახალგაზრდა ამ რაიონიდან გაიდა ცხვარში და იმდენიც იქიდანა. ახლა ყაზბეგელებს ნახეკარზე მეტი ჯელები ჰყავთ მწყემსებად. ჩვენც მოგვეძებნება შემცვლელები. სხვა თუ არაფერი, ხელფასით მაინც მიიზიდვენ ხალხს, სხვაგვარ პირობებს შეუქმნიან. ხომ ხედავ, რამდენი რამე გაკეთდა უკვე, როგორი ბინები აშენდა, ტელევიზორებიც დაგვიდგეს, აბანოებსაც გვიწყობენ, ახლა რანაირი გზებიგვიჭიმა, ყიზლარს ხომ ვეღარც იცნობთ. ეს ყველაფერი ამ ორ-სამ წელიწადში და იქით-იქით როგორ წავა ყველაფერი, ვინ იტყვის.

— ახალგაზრდები მაინც არ დადგებიან ამ საქმეზე, — ისევ ჭირიანი იღებს სათქმელს, — გინდაც მომკალით, არ გაჩერდებიან. მაგათ სხვანაირ ცხოვრებაზე უჭირავთ თვალი, არც დიდრონ ჯამაგირებს დახარბდებიან, აქაური აციანს ქალაქური თუმნიანს ამჯობინებენ. იქით გართობაა, კინო, ტაშ-ფანდურა და ნაირნაირი გოგოები... რიღასთვის ჩაიკლავენ აქ თავს, რისი გულისთვის? აგერ ჩემი ცეტები, ლამის ყმად დავუდექი, გადაეყივნი და მაინც ვერ მოვაბრუნე სოფლისაკენ, რაღას არ შევპირდი... გაგიგიათ? გინდა თუ არა, ქალაქია... ჩაიბუდეს და აღარ იყრებიან.

— მაინც რა ყრია, კაცო, ეგეთი იმ ქალაქში? — უკვირს იოსებს, —ჭაობია თუ რა ოხრობა?

— ჯანდაბა და დოზანა, მე კი ერთი დღეც ვერა ვძლებ იქა? — იძახის კრეტო.

— შენ რომ ვერა ძლებ, ეგ ცოტასა ნიშნავს, — ბოხა ეუბნება, — ნურც ეგრე წყალწაღებული გეგონებათ ქალაქები. იმათ არც ჭამა-სმა აკლიათ და არც ჩაცმა-დახურვა. იმ ასმანეთიანი ხელფასებით კიდევ მანქანებიც აქვთ და საზღვარგარეთაც დაბრძანდებიან. ზურიას რომ უყურებთ, ამისი მამა მილიონის ქონების პატრონია, შვილი კი ეს ერთი ჰყავს, ახლა ასეთი აწყობილი ცხოვრების მქონე რომ აქ გადმობარგდეს და ჭირიანის შიშველი თხები კიდევ იქ დასახლდნენ, სწორი საქციელი იქნება ეგ?

— რაღა მაქვს სათქმელი, ბოღმა მგუდავს, სადაცაა დავიხოჩრობი.

— ამის მაინის ქონებას თავი დაანებეთ, — მაინც მშვიდად ვამბობ, — არაა შრომითია აქვს ნაშოვნი, როცა იქნება, დამკარგავს დაუბრუნდება. ისე, ზურიას თუ აქ გადაეწყვიტება დარჩენა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი სარჩო-საბადებელიც ყელამდის ეყოფა. მეც ეგ ერთი მყავს გვარის გამგრძელებელი.

— ეგ ხომ ეგრე იქნება, — ბოხა მპასუხობს, — მაგრამ...

— აღარავის სჯერდება ეგ შენი მაგრამ... — სიტყვას ართმევს აქამდის უთქმელად ჩჯდომი ხატია. იმედი მეძლევა, მაგაზე გონიერი და ფრთიანი თქმა ხომ ჩვენს შორის არავინ იცის. — ზურიას ხნის კაცს გაპირვებითა და შრომით ვერ დაანშინებთ. ვერც ქონებითა და ცხოვრებით მოიზიდავთ. ახლაზრდაა და ნაღდ, ვაქაცურ საქმეს ეძებს. ალალი, დაუმადლებელი ლუკმა უნდა, საკუთარი ოფლით მოწეული პური. გულიც აქეთ ეწევა და სისხლიც. მაგის მცნობარობა ხომ ნახეთ, ათას მწყემსში ერთიც ვერ დაიკვეხნის მაგნაირ ნიშს. ჩვენ რომ ახლა ხელი ეკრთო, რა ვიცით, როგორ გზას დაადგება, რომელ ყულფში გაყოფს თავს. ნუღარც იმით გავფერთხობთ, რომ მარტოს მოუწევს აქ ყოფნა, აღარ არის ეგრე საქმე, იქნებ მალე ისეთი დროც დადგეს, რომ ქალაქის ხალხი აქეთ მოგვაწყდეს საცხოვრებლად. მართალია, ერთ მერცხალს გაზაფხული არ მოჰყვება, მაგრამ, როცა მთელი გუნდი ყივყივებს ეგ იმას ნიშნავს, რომ დრო შეცვლილა და ჩვენ კი ვერარა გაგვიგია.

ვიდრემდის ქვეყნად ადამიანი იარსებებს, ცხვარიც იქნება და იმ ცხვარს მომცველი და პატრონიც ეყოლება.

დარჩეს ზურია აქ. დარჩეს და უბრალო მწყემსი ნუ იქნება, იშრომოს და ისწავლოს. ჩვენც ვიდრე ცოცხლები ვართ და ჯანი მოგვდევს, ხელი შეეუწყოთ, მივეხმაროთ და ისეთ კაცად ვაქციოთ, შვიდივეს რომ ცალ-ცალკე საჩვენოდ გვინტარია და გვიოცნებია.

— „შვიდივეს რომ გვიოცნებიაო“, — როგორ მრავლისმთქმელადა თქვა ამ დალოცვილმა ხატიამ, ადამიანის ბედნიერება ხომ სწორედ ეგ არის, ყველაზე გულბოროტიც კი სანაქებოდ კეთილი კაცის სახელს რომ შესტრფის და შენატრის.

ჩემი სიტყვის თქმის ყამმაც მოაწია, ბოლოს მაინც მე უნდა დავკრა ვრდემელს ურო.

სწორედ ახლა აღავღიდნენ ნაგაზები, აიძაგრნენ და გახელდნენ, ქურდი და მაცდური ხომ არ მოგვდგება?

ჰაი... ჰაის ძახილით აიშალნენ ყველანი, ზურიაც იმათ აპყვა, მხოლოდ წამით შედგა კართან; შემომხედა და რას მეტყვიო! უთქმელად მკითხა.

— ხვალ დილით, — ცალკესად შევეხარდი და ხელი ავუქნიე.

ეწევევარ ახლა თვალებგახელილი და თეთრად ვტეხ ღამეს, ძივჩერებივარ ჩაბნელებულ ჭერს, როგორც უპატრონო ეკლესიას, და ვფიქრობ...

ირიკოცა ლუკე, ბელნისფრად შემოანათა ფანჯარაში, მე კი ბოლო სიტყვა ჯერაც ვერ დამიდგენია:

ახლა მხოლოდ ერთსღა ვნატრობ ვფლით.

ბავშობისას დაკარგულ თვალისჩინს რომ შევთხოვდი ხოლმე ლოცვით ღმერთს, იმდაგვარად ვნატრობ.

ნეტავი ისეთი ძალა და შესაძლებლობა მომცა, ყოველი კუთხის ხალხი რომ ერთად შეეყარო, აი აქ, ბებერი კავკასიონის ქედქვეშ, ალაზნის თვალშეუწვდენელ ველზე და ხმის ძალაც ისეთი მომცა, რომ ვთქვა და ყველას გავაგონო, გამაგებად ვუთხრა:

ჩემო ხალხო, ჩემო სუნთქვავ და სიცოცხლევ, საფიცარო ხატო და იმედო, ამდაგვარად არის ჩვენი საქმე, ასეთნაირი ჭრილობა მჭირს და ამფერი სისხლი მდის... ვფიქრობ, ვწუალობ და ვერ გადამწყვეტია, რა ვქნა... რა ვიღონო?

მირჩიეთ, დამარიგეთ, დამადგენინეთ, რა პასუხი გავცე იმ ბიჭს, იმ ახალ კაცს, თქვენი მომავალი და თქვენივე ხვალინდელი დღე რომ ჰქვია?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲖᲘᲕᲘ ᲙᲚᲘᲙᲐᲨᲘᲕᲘᲚᲘ

ᲠᲐᲡ ᲒᲕᲔᲛᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲗ?

(ᲞᲝᲔᲛᲐ — ᲖᲚᲐᲞᲐᲠᲘ)

მიიზლაზნება პიკის საათი, —
ბორბლებზე შემდგარ თუნუქის ყუთებს
და ათასობით თიხის სხეულებს,
კვამლში და ჭვარტლში გამოხვეულებს —
მიაქანებს ოთხივე მხარეს.

ისევ აქ ვდგავარ — გზაჯვარედინთან,
უხსოვარ დროში დარგული ცაცხვი,
ბებერ მერქანზე მიკრული აბრა
აუწყებს მავთით ჩემს წლოვანებას.

დიდი ხანია ჩემს კენწეროზე ბინადრობს
ყვავი,
მე შევეგუე მის სიმღერას და ხეშეშ
კლანჭებს.
მანქანების გაბმულ საყვირზე
მწყდება და მწყდება მჭკნარი ფოთლები —
ტრიალ-ტრიალით მიფარფატებენ ქაოსის
ფსკერზე
და ფილაქანი იფარება ჩემი ფიქრებით.

თავისუფლების კუნძულებისკენ —
სახლებისკენ იჩქარიან მოქალაქენი,
მიაბიჯებენ და ფოთლებზე დაწყრილ
ზღაპრებს,
მზისა და მიწის, ცის და ფესვების
იდუმალ ანბანს არავინ უმზერს.
ათასში ერთსელ ბერიკაცი
თვალს შეავლებს ჟანგიან აბრას,
ფრთხილად აიღებს ყვითელ ფოთოლს
და ფოთოლზე დაწერილ ამბავს
ჩუმად კითხულობს:

ᲑᲠᲝᲚᲘᲡ ᲙᲝᲨᲙᲘᲡ ᲜᲐᲜᲓᲠᲔᲕᲔᲑᲖᲔ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲓᲐ ᲑᲔᲠᲐᲕᲐ ᲔᲠᲔᲛᲘ, ᲗᲘᲗᲘᲥᲛᲘᲡ ᲣᲡᲘᲔᲣᲚᲝ, ᲮᲝᲠᲨᲐᲙ ᲥᲐᲠᲗᲐᲒᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲮᲠᲣᲚᲘ, ᲩᲘᲢᲘᲡ ᲤᲠᲗᲐᲡᲐᲕᲘᲗ ᲛᲣᲑᲣᲥᲔ. ᲥᲐᲡᲣᲠᲘᲕᲘᲗ ᲓᲐᲚᲔᲣᲚᲘ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲨᲘᲪ ᲔᲜᲗᲝᲛ ᲩᲐᲭᲠᲝᲑᲐᲡ ᲓᲝᲛᲔᲚᲝᲜᲓᲘᲜ ᲬᲧᲕᲘᲚᲘ ᲡᲐᲜᲗᲔᲚᲘ. ᲘᲛ ᲬᲧᲕᲘᲚ ᲡᲐᲜᲗᲔᲚᲡᲐᲪ ᲡᲣᲚᲘ ᲣᲑᲠᲐᲕᲓᲐ ᲔᲛᲘᲐᲪᲘᲡᲔᲣᲚᲘ, ᲗᲐᲜ ᲣᲙᲒᲘᲠᲓᲐ, ᲠᲐᲓ ᲐᲠ ᲥᲠᲔᲑᲐᲝ?!. ᲗᲣᲠᲛᲔᲠᲘ ᲙᲒᲘᲠᲘᲐ ᲛᲭᲐᲠᲕᲔᲚᲝᲜᲓᲐ ᲑᲔᲠᲐᲕ ᲔᲠᲔᲛᲘᲡ, ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲔᲑᲘᲐ ᲙᲘᲓᲔᲕᲔ — ᲕᲘᲜᲓᲠᲔ ᲗᲐᲛᲐᲗᲐᲠᲘ ᲐᲠ ᲛᲝᲙᲕᲓᲔᲑᲐ, ᲕᲘᲜᲓᲠᲔ ᲓᲔᲕᲔᲑᲘ ᲨᲔᲜᲡ ᲡᲝᲗᲔᲚᲡ ᲐᲠ ᲓᲐᲔᲑᲘᲜᲔᲑᲘᲐᲜ, ᲐᲠ ᲛᲝᲙᲕᲓᲔᲑᲘᲐᲜ, ᲯᲐᲕᲠᲡ ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲨᲘ ᲐᲠ ᲩᲐᲒᲐᲢᲐᲜ.

ᲓᲐᲐᲑᲘᲯᲔᲓᲔᲓᲐ ᲑᲠᲝᲚᲘᲡ ᲜᲐᲛᲡᲮᲕᲠᲔᲕᲔᲑᲖᲔ ᲤᲔᲮᲨᲘᲨᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲣᲮᲛᲝᲓ, ᲒᲣᲚᲨᲘ ᲘᲛᲘᲝᲠᲘᲗᲓᲐ:

„ᲠᲐ ᲕᲬᲔᲜᲘᲡᲐᲗ“ ᲪᲘᲮᲣ ᲐᲕᲘᲒᲘ,
ᲯᲐᲕᲠᲘ ᲨᲐᲕᲐᲑᲘ ᲙᲐᲠᲐᲓᲐ,
ᲡᲐᲘᲥᲘᲝᲓᲐᲒ ᲛᲝᲕᲘᲓᲔᲜᲔ
ᲐᲛ ᲪᲘᲮᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲮᲐᲕᲐᲓᲐ.

ᲑᲔᲕᲠᲘ ᲣᲐᲠᲔᲡ ᲪᲘᲮᲘᲡᲐ,
ᲙᲐᲠ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲢᲪᲮᲘᲡ ᲫᲐᲚᲐᲓᲐ,
ᲛᲔᲛᲠᲔᲣ ᲗᲥᲔᲡ: ᲯᲐᲛᲘ ᲛᲝᲕᲐᲚᲘᲡ,
ᲙᲐᲠ ᲒᲐᲘᲔᲚᲘᲡᲘᲡ ᲗᲐᲕᲐᲓᲐ“.

●

ᲐᲦᲐᲠ ᲛᲝᲒᲔᲖᲘᲠᲓᲐ, ᲐᲛ ᲓᲐᲚᲔᲣᲚᲘ ᲑᲠᲝᲚᲘᲡ
ᲒᲝᲠᲔᲑᲖᲔ
ᲤᲔᲮᲨᲘᲨᲕᲔᲚᲘ ᲠᲐᲓ ᲔᲮᲔᲢᲔᲑᲘ?
ᲐᲦᲐᲠ ᲛᲝᲒᲔᲖᲘᲠᲓᲐ, ᲐᲦᲐᲠ ᲒᲢᲙᲘᲕᲐ ᲓᲐᲩᲮᲘᲚᲘᲚᲘ
ᲤᲔᲮᲘᲡᲒᲣᲚᲔᲑᲘᲡ?
ᲠᲐᲓᲐ ᲠᲬᲧᲐᲖ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲗ — ᲒᲐᲑᲔᲠᲬᲔᲑᲣᲚ
ᲓᲐ ᲒᲣᲚᲥᲕᲐ ᲛᲘᲬᲐᲡ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

დალეწილია ბროლის კოშკები,
თითო ნამსხვრევში,
თითო პაწია ცისარტყელა ელვარებს მზეზე,
ვინ შეაგროვებს დაქუცმაცებულს,
ივაარქმნილს
შენი სისხლი შეადუღაბებს?!

დამშრალა ზეცა შენს თვალებში
და როგორც წყვილი ხათოფურიდან
სიბნელე და შიში მოქონავს...

ხედავ ამ ბავშვებს?!
შეშინებულნი ისე თრთიან,
ვით მოქანავე ვაზის ფოთოლზე წვიმის
წვეთები;
ვის დაუჯერონ,
ინათ — სიმშვიდეს ვინც ქადაგებს და
მორჩილებას,

თუ შენ, ბეჩავო —
სისხლისგან რომ იცლები თვალწინ?!

რა გული უძლებს ამოდენა ჯავრს?!

თუმცა თვითონ შენა ხარ ჯავრი,
შენი ძარღვები — ჯავრის ფესვები,
ვიცი, თანდათან გამოგფიტავენ
და ღრუბელივით წაგიღებს ქარი,
თუმც ჯავრიან სულს რა მოასვენებს,
ის ატირდება ჩვენს სიზმრებში
და ამ ბავშვების ღამეებში აქვითინდება,
იტირებს ვიდრე ამ დანგრეულ ბროლის
კოშკებზე

მოვა მავანი, შენი კვალის გამგრძელებელი.
აღარ მოგწყინდა?!
გამოიხედე, ჩვენს სოფელში სიმშვიდე
სუფევს,
ყინულზე თეთრი ქალწულები
დასრიალებენ
და მოშრიალე ფარჩეულის ნაზი ნიავი
აღაგზნებთ ყმაწვილთ, მოქეიფეთ
და სამშობლოს ეტყვიან ქებას.

საღამოობით დევ-ბეღელა მოგვიდის
სტუმრად,
დათვრება არყით,
გაიხსენებს მერე კოპალას, იახსარს,
სხვებსაც,

მათ შესანდობარს გადაჰვრაჭს ფი
და სასასლისკენ წავა ბარბაცით.

საამურია ჩვენი ყოფა,
არ გვაკლია არცა სარჩო-სანოვაგე
და არც გართობა,
სხვას რას ინატრებს კაცის გული,
მიდის ცხოვრება, როგორც წყალი
წისქვილის **დარში.**

* * *

შენ ერთი დარჩი მოუდრეკელი,
ჩვენს სიმშვიდეს რად არდევე დამ
გაბმულ ქვითინით,
აღარ მოგებეზრდა?! დევ-ბეღელა თუმცა
დევია —
ლმობიერი და გულჩვილია,
თორემ ერთი სულის შებერვით
ჩაგაქრობდა, შე უბედურო!

* * *

შემობრუნდა ბეჩავი ერემო,
დაკოჟრილი, სისხლიანი თითები
გამოაჩინა,
ვით გალავანზე ამოსული ჯაგის
ფესვები,
მზეს მიუშვირა მზით და ფიქრით
დამჭკნარი სახე
და თვალებში ამოებურცა წყვილი
კურცხალი —
ჯავრის ფესვების მწარე ნაყოფი.

●

კვდება ზამთარი, თოვლი მიწას გულზე
აყრია,
ვით ფურცელ-ფურცელ გაფანტული
თეთრი ვარდები,
ხელში მიჭირავს ხორბლის მარცვალი,
იგი თვლემს ახლა, თუმცა სულ მალე
ბებერი მიწა გამოაღვიძებს,
ვერ მოისვენებს ნესტიან ხნულში,
თითისწვერებზე აიწევა,
ჩაეტიდება ფეხვებით შუბელს
და ცისაკენ აიღერება.

კვდება ზამთარი,
ამოიხედა თოვლიდან მიწამ
გუბეების მღვრიე თვალებით,
რად ჩაიმუხლე, მიწას რაღას
ეჩურჩულებიო?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აწლო არს ჟამი გაღვივების,
გამოლვიძების,
ჟამი შობისა, აღდგენის ჟამი!

❁

მღვრიე სხეულის
ზანტი ზმორებით
ბრუნავს მორეული
და იმეორებს
ბრუნვას დროისას
და ჩაბუდებულ
ფრინველის ჩქამი,
როგორც ჩავლილი
ტალღა და წამი,
რისთვის მახსენებს
გულად მოისარს:
ის დაიღუპა, ციხეც მოისრა,
ბინდს შევრია საღამოისას
სამარადისოდ.

გულზე გაწყვიტ
როგორც მორები,
თეთრი ტორები
თეთრი დათვისა,
შენი მიჯნური გაითავისა,
ვედარ გაუძლო მანაც ცდუნებას,
მოლის ფარდაგზე ებღლარძუნება
ნამუსასდილი.

დიდება შენდა,
სვეტო ნათლისავ,
წილად მართლისად
გამოიმეტე
სხივი სანთლისა —
წმინდა მცენარე,
ჩაუქრობელი და მოიმედე.

ძაფივით სხივი
კენტი ფესვია
ხორბლის მარცვლისა,
სიბნელეში რომ დაუთესიათ
და მოგვევლინა
სვეტად ნათლისად.

❁

ჩამქრალ მზერაში აუკიაფდა
ჩალეული წყვილი სანთელი,
მერე ვიღაცამ, თითქოს სული შეუბერაო,
გაიბრძოლა და ჩაქრა თავისთვის.

სასაფლაოზე მწვანე ბორცვებია,
ერთ მათგანს ხატივითა ვკოცნი,
„მიწანიმც დაილოცებიან,
შიშველი მაგიმალნა ხორცნი“.

იმძლავრა გაზაფხულმა. მარადი თოვლით და ყინულით
შესუდრული ხეები წელში გაიმართნენ. ბეჩავ ერემოს ტი-
რილი დამშინებულ სოფლელთა ყურთასმენაში შეგუბებული-
ყო და მოსვენებას აღარ აძლევდათ. მონუსხული ხალხი
გონს მოვგო, დაუძლურებულ დევ-ბეღელას შეება. სოფელი
ავსულთა ტყვეობიდან თავისუფლდებოდა.

თუმც ჯავრიან სულს რა მოასვენებს —
ზენა ქარივით ამოყარდება
და ფანჯრებს უმტვრევს,
სასასლეთა გულგრილ სიმშვიდეს,
ჭუჭრუტანების პიკოლოებზე უკრავს და
გლეჯს,
დეკორაციულ მცენარეთა გაკრეჭილ
ბუწქებს.
ზოგჯერ დამეულ სიმყუდროვეში
გულამოსკვნილი აქვითინდება
და არვინ უწყის, ტირილის ხმა საიდან
მოდის.
ზამთარი კვდება,
ზის ფანჯარასთან დევ-ბეღელა...
შემოაქვთ თოვლი მანქანებით
და გზებზე ყრიან,
დნება თოვლი, თოვლის წყალი მდინარედ
მიდის,
ამღვრეულ ტალღებს მიაქანებს
და ყინულის ლოდები მიაქვს.

❁

ჟღალი ფრინველი — დევის სული —
ზის კენწეროზე,
ნასხრალიდან მოწვეთავს სისხლი,
ელამ თვალებში გუბდება ნისლი,
ყორეზე სისხლის ყოველი წვეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაიქცევა გველის წიწილად,
მათ თავს უჩეჩავს ამაყი ყორი
და ყოჩს მიჰყვება ფარა მორჩილად.

ნაისრალიდან მოწვეთავს სისხლი,
არ იკარგება ერთი მისხალიც,
მიწაზე სისხლის ყოველი წვეთი
აიღერება შამბად და ქაცვად,
ვიდაც უმიზნებს ცეცხლიან ისარს:
— დავწვათ, დედაბუდიანად დავწვათ!

კვდება ზამთარი, დევ-ბელელას ამოსდის
სული
და ეუფლება ამა სოფელს სიმშვიდე
სრული.

...გადაიფრინა თვითმფრინავმა თებერვლის
ცაზე,
რკინის გუგუნმა წამით შეავსო ღამეული
სიცარიელე,
გადაიფრინა, გაიყოლა შუქი ციმციმა
და წყდებადმი გაუჩინარდა.

ჩვენ ორნი დავრჩით
შუადამის უკიდეგანო ბნელ ნიჟარაში,
იდუმალი ხმების მორეკვში მაინც მოისმის:
უთბილესი სისხლი თქრიალით მიედინ
და ალდობს გაყინულ ძარღვებს.

როგორც მარცვალი, დამწრალ ხნულში
რომ გამოიზამთრა,
ისე ეს გულიც გაღივებულა,
ელოდება აღმოცენებას.

სადღაა თოვლი, თოვლის ნარჩენი
ჭალისპირებზე გამოხრული ძველებივით
ყრია,
ანთებს ენძელას, აღვიძებს ია
და ადგრდებს მთა-ბარს გამჩენი
და ზამთრის დამე უკანასკნელი
დნება თანდათან, წვეთწვეთობით
მიიპარება...

**რას გვპირდება გაზაფხული, ბერავ
ერემო?!**

შენი თვალები — ცრემლების სათავე,
აწეწილი თმა — ნაზამთრალი, ხმელი
ბალახი,
ხელები — კედელს ჩაჭიდებული ჯაგის
ფესვები,
დაღარული სახე — ამომშრალი წყაროს
ფსკერი,
ჩამქრალი ღიმილი — მოთმიდული
ყვავილი —
მე ნათლად მახსოვს.

* * *

ბროლის კოშკის ნანგრევებზე უნახავს ერთ ობოლ ბიჭს
ბერავ ერემოს უსულო სხეული. იქვე დაუმარხავს წინაპარ-
თა საძვალეში.

ობოლი ბიჭი მწყემსი იყო, დღე ფარას აძოვებდა, ღა-
მით ძველ წიგნებს კითხულობდა, ბევრსაც ოცნებობდა. ბე-
ბერ ცაცხვებთან ხვდებოდა თურმე ბერავ ერემოს სულს და
ათას რამეზე საუბრობდნენ მამაშვილურად.

ჩვენ ისევ ვხვდებით —
მხოლოდ ფიქრში,
შენ გადმოიღი ქვადორღიან, ქანგისფერ
გზაწყრილს
და ბზის ტოტი გიჭირავს ხელში,
მწვანე სინათლე მეგზურივით წინ
მოგიძღვება,
ცაცხვის ხეებთან, შორიახლოს ჩერდები
წუთით
და მერამდენედ მეკითხები —
ხდება რამე სამზეოში გასაკვირველი?

ისევ მოგიხმობ, გამოიხედე სამალავიდან —
გვიმრის ფოთლებში შეყუჟულო,
ნუ გეშინია, შენიანი ვარ,
შენს ცრემლებში განბანილი.

ჩვენი სუნთქვაა დაშაშრულ მკერდზე
ნიავივით რომ გეფონება,
ჩემი ფიქრია, რომ გაშფოთებს
დაუსრულებლივ,
შენი დაკარგული ოცნება ვარ,
ისევ შენთან ამოვბობღდი, ამოვიზიდე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოისედე სამალავიდან, მომეშველე,
ვიდრე წიხლს მკრავდნენ წინანდელივით,
ვიდრე მთიდან ქვაღორღივით
ჩამოვიშლები.

უხმოდ ვეძახი, არ გაიგონონ,
არ შემრისხონ, არ გამაძევონ —
შიშია ახლა ჩვენი ბატონი,
შიში თურმე ყველაფერს ხედავს.

შიშის შიშით ჩვენ ფიქრში ვცხოვრობთ,
ფიქრია ჩვენი დიდი ქვეყანა,
რადგან ფიქრს შიშის არ ეშინია.

. . .

შეწყდა ფიქრი, გაბუნდოვანდა სატკივარი,
ისევ შიში — დიდი ბატონი —
შეეთამაშა დედამიწა და გაგვახსენა,
რომ ის არსებობს ყველგან და მარად.

მაგრამ მოკვდავი რის მოკვდავია,
ყოველივეს თუ არ ივიწყებს,
თავს თუ მალიმალ არ იტყუებს და არ
ოცნებობს
აღუსრულებელ სურვილების
აღსრულებაზე?!
(მიართვით კალიგულას მთვარის
გრუნტი! —
ასე გვიან ჩამოუტანეს,
აღუსრულეთ სურვილი ზოოპარკის
ლომებს! —
გაყინულ ხორცს უგემურად შეეკევიან).

დაბერდა გული, იგი გონებას დაემორჩილა,
მოულოდნელის მოლოდინში
ფეთქავს ზოგჯერ თავდავიწყებით
და როს გონება შეამჩნევს რომ გულის
სიმდერა
სხვა არა არის
თუ არა კენტი ეჟვნის წკრიალი უდაბურ
ტყეში,
მყისვე ჩადგება საგულეში და ირინდება,
მერე ის ცხოვრობს მოგონებებში,
საკუთარ ხმას ისმენს და სხვისი ჰგონია.

●

მზევ, ჩამავალო,
ყოველდღიურად გემშვიდობები,
თითქოსდა გვტოვებ სამუდამოდ,
მაასვენებენ დაღლილ-დაქანცულ
მოფუსფუსე დღეს,
კენწეროებზე, მწვერვალებზე, დრუბლის
ფთილებზე
გადაატარებ ფრთხილად, მსუბუქად —
მიხვალ, თან მიგაქვს მიწიერ ვნებით,
წვრილმანებიით სავსე წუთები,
მიგვაქვს, რომ ღამით მივატოვოთ ბებერი
მიწა
და გავეშუროთ ფიქრის ქვეყნებში
სახეტიალოდ.

მზევ, ჩამავალო!
განფენილია ავადმყოფ სულში
დღედადამის შუქ-ჩრდილები...
ვარსკვლავები — დამის უდაბნოს
კაკტუსები
და მოწანწალე მარტის ღრუბლები
ტივტივებენ ამოზრეულ სისხლში
და ძარღვებს, როგორც წყალმცენარეებს,
ფრთხილად არწევენ,
მეჩვენება, თითქოს ფესვები
დამძრჩა სადღაც, სხეულის მიღმა,
ამოუცნობ და მიუკვლეველ სიბნელის
ფსკერზე.
მზევ, ჩამავალო!
ფრინველები ბრუნდებიან თბილ
ქვეყნებიდან,
შენც უბრუნდები მიწის მეორე
ნახევარსფეროს.

გაზაფხული ააყვავილებს ნაზამთრალ
ბაღებს,
დაამწიფებს ნორჩ სხეულებს,
დამუხტავს ვნებით, წამლეკავი ენერგიით,
დაბადების მძაფრი სურვილით;
ღმერთო ჩემო!
ყოველივე ისე სწრაფად, ბუნებრივად
განმეორდება,
ისე იმღერებს გაზაფხული, როგორც
პირველად
და მოფარფატე ფოთოლცვენას არ
გაიხსენებს.

. . .

როცა ეს გული ზარავით რეკავს,
შენ კი არ გესმის, არ გებრალება,
უცხოს რაღა ვუსაყვედურო?!
ნუთუ გული ზარავით რეკავს,
მხოლოდ იმიტომ, რომ არსებობა ამცნოს
ქვეყანას?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ როდემდე?! მეც წავალ,
ვინმეს თვალში თუ მოვაკლდები —
სხვა არაფერი,
მოგონებაში მიმიჩენენ ბუნდოვან ადგილს,
მოგონებასაც დროის ხავსი შეაცოცდება,
ასე გაქრება ჩემი სხეული,
გარდაიქმნება უმოძრაო, აბსტრაქტულ
საგნად.
ცრემლი?
ცრემლი მაშინ აგიკიაფდებათ თვალებზე,
როცა შეიგრძნობთ, რომ სიკვდილმა
ჩვენს საერთო, ცოცხალ დღეებს, ძალიან
ახლოს ჩაუარა
და ჩემთან ერთად მიიმალა სამარადისოდ.

. . .

მაინც ქარს მიაქვს ყოველი სიტყვა,
ქარს მიაქვს, როგორც მცენარის თესლი
და არც კი იცი, სად ან როგორ ჩაითესება,
ვის გულში რა აღმოცენდება —
სიკეთე, მტრობა, ძმობა თუ გესლი?!

მაინც ქარს მიაქვს ყოველი სიტყვა
და დედამიწას უბრუნდება მწიფე ნაყოფი,
შენც ქარის ფრთაზე აყირავდები
და მიგიზიდავს ღამის მნათობი.

შენც იმ სიტყვებთან აღმოცენდები,
მარტის წვიმებით როს აივსები
და უდაბნოში აშრიალდება
შენი ფიქრების ოაზისები.
ჯერ კი ადრეა, ბროლის ნამტვრევებში,
ბრწყინავენ ცისარტყელას ლამაზი
შოლტები,
წუთისოფელში წუთით მოსული
წუთით გშორდები, გშორდები, გშორდები.

●

რომ ჩაიკითხა ცაცხვის ფოთოლი,
მოავლო მზერა ნისლიანი მძინარე
ქალაქს,
ვით გამოხრული ხერხემლის მალა-
ნამლევი მთვარე ჩანდა გუბეში
და მოწანწალე ქუჩის ძაღლები
უთვალთვალებდნენ,

მეეზოვენი გრძელი ცოცხებით
გულდასმის შლიდნენ მილიონობით
ნაფეხურებს,
ნაგვის მანქანებს მიჰქონდათ მერე
ნაკვალევები
და გარდაცვლილი პიკის საათის მკვდარი
სხეული.

ეძინა ქალაქს,
თავისუფლების კუნძულები იძირებოდნენ
ჭრელი სიზმრების თბილ დინებაში
და ბერიკაცი ფიქრობდა დღეზე,
დღეზე, რომელიც უცაბედად გამოვიდოდა
სამალავიდან,
გააღვიძებდა ადამიანებს და იგივე გზას
გაუყენებდა.

ცაცხვის ფოთოლს შეეცოდა ბერიკაცი,
აფარფატდა, ცისკენ გაფრინდა
და ფოთოლზე უმჩატესი მისი სხეული
ცად წაიყოლა.

სასაფლაოზე მწვანე ბორცვებია,
ერთ მათგანს ხატვითთა ვკოცნი,
„მიწანიმ დაილოცებიან,
შიშველნი მაგიმალნა ხორცნი“.

გია ლომაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვაკი ნაცრისფერ გალავნებში გამომწყვდეულ, მდუმარებაში ჩაძირულ ქუჩას მოუყვებოდა. გალვიძებისას მოუვიდა აზრად სადმე წასულიყო, ქალაქის, ქვის ცივი სახლებით ჩახერგილ, ფერმკრთალი ცისთვის დაეღწია თავი. რომელიღაც ფეტობუსს გამოჰყვა და ბოლო გაჩერებაზე ჩავიდა.

გარეუბანი იყო. ქუჩას ორივე მხრიდან გალავნებში დატანებული სხვადასხვა ფერის ალაყაფის კარები დაჰყვებოდა. მწვანე და შავი ფერი სჭარბობდა. მათ მიღმა სახლები იდგნენ, ქუჩის გადაღმა ზოგის წითელი სახურავიც მოჩანდა. ალაყაფის კარებს საფოსტო ჭრილები ჰქონდა დატანებული, თითქოს იქიდან ისრუტავდნენ ჰაერს ეს მალალგალავანშემორტყმული, მდუმარე სახლები. ისეთი სიჩუმე იყო შუა ზაფხულში, ნაშუადღევს მზით გათანგულ სოფელში რომ იცის ხოლმე.

კაცი ორმოცს გადაცდენილიყო წლოვანებით, მაგრამ ისევ ოცი წლის ჭაბუკად თვლიდა თავს, ორივენ ჰყვადა ასაკის სიმძიმე რომ ეგრძნო. მარტოხელა იყო. მშობლები არ ჰყავდა, ახალგაზრდობაში გარდაცვლია. ცოლს მეათე წელი იყო, რაც გაშორდა; ბავშვები არ ჰყოლიათ...

გრანიტის ფილებით მოპირკეთებული ტროტუარები მიჰყვებოდნენ ქუჩას და ზედ თანაბარი მანძილით დაშორებული აკაციები მისდევდნენ ერთმანეთს. ოდნავ გასაგონი შრიალი გაუდიოდათ სიოში მოფარფატე სიფრიფანა ფოთლებს.

კაცი თავდახრილი მიდიოდა. ნაბიჯუსევს, პირი გაშრობოდა და თავი უხუოდა. ცივი წყალი უნდოდა, მაგრამ გულგრილად ჩაუვლიდა ხოლმე ალაყაფის კარებს. დარწმუნებული იყო, რომ მათ მიღმა ცარიელი, უსიცოცხლო სახლები იდგნენ. ისევ იმის იმედი ჰქონდა, რომ სადმე ქუჩაში ორკანს ან ლუდის ფარდულს წაადწყდებოდა...

უცაბ ვარდის დამათრობელი, მოტკბო სურნელი დაბორიალდა ირგვლივ. კაცი შედგა. სურნელი გალავნიდან იღვენთებოდა. გალავანს გახედა, ოციოდ მეტრს იქით ცისფერი ალაყაფის კარები იყო, როგორც სხვები, ისევე ჩარაზ-

ულ. ქუჩის შუაგულისკენ დაიწია და თითის წვერებზე შედგა. თითქოს დაინახავდა, გალავანს მიღმა რა იყო. თავისი მოქმედების უაზრობაზე გაეცინა. მიმოიხედა და ისევ ტროტუარზე ავიდა. ონავარი პატარა ბიჭივით შეხტა, გალავნის თავს ხელებით ჩაეჭიდა, ფეხით ქვის გამონაშვერს დაეყრდნო, ტანი აითრია და გალავანს თავზე მოექცა. სანამ ჩახტებოდა, დაბურული ნეიენის ბოლოს პატარა, ხალასი ფერებით შეღებილ სახლს ჰკიდა თვალი.

ისე ჩახტა, ოცი წლის წინათ არმიაში რომ ასწავლეს დესანტად ყოფნისაა. შეეხო თუ არა მიწას, მუხლებში მოიხარა დარტყმის შესამსუბუქებლად, მერე ცოტათი წამოიწია და გვერდზე გადაიხარა, მოშვებული სხეული ინერციას მიანდო, რბილად დაეშვა ბალახზე, ზურგზე ამობრუნდა და ცის ლურჯ საძოვრებზე ბატკნებივით შეფენილ ღრუბლებს ახედა. ბალახში მიწის სიგრილე ჩაგუბებულიყო და ნესტის სურნელი ასდიოდა.

კაცი წამოდგა, მიმოიხედა. ბაღი დიდი იყო, პატარა კორდები მწვანე და წითელქვიშამოყრილი ბილიკებით იყო დაფარული. აქედან სახლი არ ჩანდა — ბზის და ვარდების ბუჩქები ეფარებოდა. კაცი იქვე მდგარ ვარდის ბუჩქისკენ წავიდა. სახე ფაფუქ, დაცვარული ფურცლებში ჩაჰყო, თითქოს, ტკბილ, ხავერდოვან ნისლში ჩაიძირა...

— აქ საიდან გაჩნდი? — მოესმა კაცს.

პატარა ბიჭი გაოცებული მისჩერებოდა. ათი წლისაც არ იქნებოდა, გრძელი, გაფითრებული სახე და დიდი, მწვანე, მომლოდინე თვალები ჰქონდა. შავი, ხშირი თმა მხრებს უფარავდა და ჯიუტ ნაკეპს ქვემოთ გამსდარ კისერს კიდევ უფრო უწვრილებდა. ბორბლებიან სავარძელში იჯდა, მუხლებზე კუბოკოკოლი შალი ჰქონდა გადაფარებული და ზედ გადაშლილი წიგნი ედო.

— გამარჯობა! — თავი დაუკრა კაცმა.

— გაგიმარჯოს! — სერიოზულად თქვა ბიჭმა. — ვინ ხარ? — ყოყმანით იკითხა. — იქნებ მამას მეგობარი ხარ?

— შეშინებული ჩანდა.

— არა, — თავი გაიქნია კაცმა. — ვარდების მოყვარული ყაჩაღი ვარ.

ბიჭმა საკარმიდამო უკან გაიგორა და შორიახლო შედგა.

— ყაჩაღები ხომ მხოლოდ ადრე იყვნენ? ისინი მარტო წიგნებში არიან...

— მე ეს-ეს არის, წიგნიდან გადმოვედი, — მკერდი გამოაზნექა და დოინჯი შემოირტყა კაცმა. — მომბეზრდა სულ წიგნში ყოფნა, იმ ზღაპარში, მე რომ ვმონაწილეობ, ვარდები არ იყო და გამოვექეცი.

— მერე? — ბიჭის შიშს, ცნობისმოყვარეობამ სძლია.

— მერე, ვარდს თუ მაჩუქებ, წავალ, ოღონდ ამჯერად იმ ზღაპარში არ დავბრუნდები. ვარდებით არ შემიშვებენ.

— რატომ? — ბიჭმა სავარძელი ახლოს მიაგორა. სახეზე ოდნავშესამჩნევი ჭორფლი ეყარა.

— ცუდი ზღაპარია და იმიტომ. ცუდ ზღაპრებში ხომ ვარდები არ არის.

— რატომ? — ბავშვის თვალებში ეჭვი გამოსჭვიოდა, სახეზე კი ეშმაკური ღიმილი უკრთოდა.

— ყაჩაღი და ვარდი თუ გინახავს ოდესმე? — მხრები აიჩეჩა კაცმა.

— არა, არსად წამიკითხავს — განაცხადა ბიჭმა, რომელიც კაცის მიერ დაწყებული თამაშის ეშხში შევიდა.

— აი, ხომ ხედავ, — ხელი ჩაიქნია კაცმა. — მაგიტომ ვერ დავბრუნდები, არავინ დამიჯერებს, რომ ყაჩაღი ვარ.

— არც მე მჯერა.

— კარგი, — გაიცინა კაცმა. — თუ არ გჯერა, ნუ გჯერა. ვარდს მომცემ?

— კი, ოღონდ ჯერ ნუ წახვალ, ცოტა ხანს დარჩი.

— კარგი, — დაეთანხმა კაცი, ყავილი მოწყვიტა და ღილაღილში გაბინა.

ბიჭი გაფაციცებით მისჩერებოდა.

გია ლომაძე
კაცი გალავანზე

— ახლა რა ქქნათ? — მიუბრუნდა კაცი.

— წამომყევი! ჩემს თავზებს გაჩვენებ! — ამაყად განაცხადა ბიჭმა. — ოქროს თავზები მყავს.

— ნუთუ? — უნდო სახე მიიღო კაცმა, — ნამდვილი ოქროსი?

— ჰო, ნამდვილი ოქროს თავზებია, — კაცის გაკვირვებით ნასიამოვნები ბავშვი სახეზე წამოწითლდა.

— მართლა ოქროსია. — თქვა კაცმა აუზთან რომ მივიდნენ. წყალში ხელი ჩაჰყო და აიღლვა. ზანტად მოცურავე თავზები აუზის ფსკერზე პატარა ბორცვში გაუჩინარდნენ. ბიჭს სიხარულისაგან თვალები უბრწყინავდა.

— ძაღლიც მყავს, — თქვა ბიჭმა, — მაგრამ სადღაც წავიდა, მოვაო, მამა ამბობს. ხომ მოვა?

— კი, — თავი დაიქნია კაცმა. „მოკვდა და უმალავენ“, — გაიფიქრა.

ძაღლის გახსენებამ ბიჭი ჩააფიქრა.

კაცი აუზის კიდეზე იჯდა და დაჰყურებდა თავის სახეს, წყლის ზედაპირზე რომ ლივლივებდა. სახე წყალთან ერთად მოძრაობდა, — ხან შეიკვრებოდა, ხან კი უამრავ ნაწილად დაიშლებოდა.

— საათის ცნობა იცი? — დაარღვია სიჩუმე ბიჭმა.

— კი, — თქვა კაცმა, — გუშინ ვისწავლე, — დასძინა, ბიჭის იმედგაცრუებული სახე რომ დაინახა. — მანამდე არ ვიცოდი.

ამ სიტყვებმა კაცი თითქმის ბიჭის ტოლი გახადა. ბავშვს ერთი კვირა იყო, საათის ცნობა ესწავლა და საოცრად უხაროდა. მალიმალ დაჰყურებდა საათს და ყველას დროს ეუბნებოდა.

— ორის ათი წუთია! — გამოაცხადა ხმამაღლა და კაცს სუსტ მაჯაზე მიბნეული საათი დაანახა.

კაცმა თვალები მოჰუტა, ჩაფიქრებული სახე მიიღო, თითქოს რაღაცას ანგარიშობსო და მერე დაეთანხმა.

— არაფერია, — დაამშვიდა ბიჭმა, — თავდან მეც ძალიან მიჭირდა, მალე შეეჩვევი.

— შეეჩვევი, აბა რა იქნება, — გაიცინა კაცს.

ბიჭსაც გაეცინა. სიცილისას ლოყებზე ფოსოები უღრმავდებოდა. მერე უეცრად გაჩერდა და გაცინებულ კაცს დაეინებით დააკვირდა.

— იცი, რა? — ჩუმად ჩაილაპარაკა, — აი, მე ფეხები არა მაქვს. — შალი გადასწია; ფეხები მუხლს ზემოთ ჰქონდა მოკვეთილი, შარვლის ტოტები ბარძაყებთან შეეკეცათ.

— მერე რა, — თქვა კაცმა, რომელმაც ეს უკვე იცოდა. — განა ეგ მთავარია?

— აბა? — თვალები გაუფართოვდა ბიჭს, — აბა რა არის მთავარი?

— თვალები, — თქვა კაცმა, — თვალებით ხომ ჩიტებს და ფერეს ხედავ, თვალები რომ არ გქონდეს, ვერაფერს დაინახავდი, ვერც თევზებს და ვერც ყვავილებს. — კაცმა ბავშვის მოკვეთილი ფეხებიდან მზერა მის მომლოდინე, ეშვიან თვალებზე გადატანა, — ვერც წაიკითხავდი. აბა ერთი წამით თვალები დახუმე და წარმოიდგინე.

ბავშვმა თვალები დახუჭა, ცოტა ხანში გაახილა და გაიღიმა.

— როგორია? — ჰკითხა კაცმა. — განა თვალები არ ყოფილა მთავარი?

— კი, მაგრამ... — თავის აზრს ვერ ელეოდა ბიჭი. — სიბნელეა, — თქვა ბოლოს. — თვალებს რომ დახუჭავ, ღამეზე უფრო ბნელა.

— სიბნელის გეშინია? — საუბრის სხვა თემაზე გადატანის შესაძლებლობით გახარებულმა კაცმა სერიოზული სახე მიიღო; თითქოს ეს კითხვა ყველაზე მნიშვნელოვანი იყო. თანაც თავისი დაინტერესებული იერით ბიჭს საპასუხოდ აქეზებდა.

— არა, მე უკვე დიდი ვარ, — გადაჭარბებული გულგრილობით თქვა ბიჭმა, რომ მისი დდობა უფრო დამაჯერებელი ყოფილიყო. — სიბნელის პატარებს ეშინიათ!

— ყოჩაღ, ძმაო! — ჩაფიქრებულად თქვა კაცმა და შალი ისევ ფეხებზე გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბაფარა. — მე ახლაც მეშინია სიბნელის.

— ვარიოლა? — ბავშვმა უნდოდ ახედა; აშკარად არ სჯეროდა, რომ ამხელა კაჟს სიბნელის ეშინოდა.

— არა, ხშირად არა, — დაუთმო კაცმა, — ხანდახან მეშინია...

●

ბუჩქებს მიღმა ქალის დაგუბებული ხმა გაისმა, — ბიჭს ეძახდა.

— აბა, მე წავედი, — წამოდგა, კაცი, — გეძახიან.

— მეძახონ, მე შენთან მინდა! — გაჟინიანდა ბავშვი.

— შშობლებს უნდა დაუჯერო! — მკაცრად თქვა კაცმა. — მე ხვალ მოვალ და გიახავ, — რბილად დაატანა.

— მოხვალ? — გაეხარდა ბავშვს. საათს დახედა. — პირველ საათზე მოდი.

— კარგი, — კაცმა ხელი გაუწოდა. ბიჭის ხელი კაცის მტევანში გაუჩინარდა.

ისევ გისმა ქალის ხმა.

— აბა, კარგად იყავი! — დაემშვიდობა კაცი და გალავნისკენ წავიდა. მარდად შეხტა გალავნის თავზე, უკან მიიხედა. ბიჭი თვალებდანაღვლიანებული უყურებდა. კაცს გული ჩასწყდა. ხელი დაუქნია.

— ჰეი! — გასძახა ბიჭმა გალავნის თავზე შემდგარ კაცს. — ხვალ ხომ მოხვალ?

კაცმა თავი დაუქნია და გაეღიმა.

ბიჭმა საათი დაანახა.

კაცმა სალოცი თითი აიშვირა — პირველ საათზეო და გალავნის მიღმა გაუჩინარდა.

ბიჭი იმ ადგილს მისჩერებოდა სადაც კაცი იდგა. სახეზე ღიმილი დასთამამებდა, თვალებში ბავშვური საოდუმლოების ნაპერწკლები კიაფობდნენ. იმან, რომ კაცი ჩვეულებრივ, როგორც ყველა, კარიდან არ გასულა, არამედ გალავანზე გადადგა, ყველაფერი საოდუმლოების გულის ამაჩქროლებელ ბურუსში გახვია. თანაც კაცს ბევრი რამ გაუკვირდა, უფროსებს კი არასოდეს უკვირთ რამე. მერეც, ეს ბიჭის დამოუკიდებელი ნაცნობობა იყო სრულიად უცნობთან, რომელიც არც ნათესავი იყო მათი და არც მამამისის მეგობარი.

ბიჭმა საათს დახედა და სავარძელი ნელა გააგორა ხეივნისაკენ.

●

კაცი უკან, ქალაქისკენ მიდიოდა. ნახშარი, საკმაოდ გაქექილი პიჯაკის ღილკილოში ხასხასა წოული ვარდი ჰქონდა დამაგრებული. პატარა მოედანზე გავიდა, ავტობუსის მომლოდინე ხალხს შეერია.

უკანა სავარძელზე იჯდა და ქალაქისკენ მიმავალი ავტობუსის სარკმლიდან ნაცრისფერი სახლებით ჩახერგილ პეიზაჟს გასცქეროდა...

●

ბიჭი უკვე ელოდებოდა. სავარძელი კედელთან მიეგორებინა და გალავანს მისჩერებოდა. ადრე მისთვის სამყარო სახლი და ბაღი იყო. გალავანს იქით კი — მამამისის სამსახური, სადაც ის ყოველ დილით მიდიოდა და საღამოს დაღლილი ბრუნდებოდა. ახლა კი, კაცი რომ მოვიდა ასე უჩვეულოდ, გალავანს იქითა სამყარო იდუმალების ბურუსით შეიმოსა. ადრეც ესმოდა ბიჭს ხმები კედელს იქიდან, მაგრამ ყურადღებას არ აქცევდა. ადრე მას მიზეზი არ ჰქონდა გალავნის იქითა სამყაროთი დაინტერესებულიყო. წინადღით ჰკითხა ქალს, მას რომ ეელიდა, ქალაქიაო, იმან უპასუხა. ბიჭისთვის კი ქალაქი ბევრი სახლი და ქუჩები იყო, რამდენჯერმე რომ ნახა მამამისის მანქანიდან სარკმელს სახემიკრობილმა და ისიც იმდენად შეამბეზდავი არ გამოდგა, რომ მისი ცნობისმოყვარეობა გაემძაფრებინა.

გია ლომაძე

კაცი გალავანზე

ბიჭს დედა არ ჰყავდა. მას ბუნდოვნად, წამიერ ზმანებასავით გაუელვებდა ხანდახან თვალწინ უამრავი სახე და ხალხმრავალი პროცესია. მაგრამ ყველაფერი ეს მისი ბავშვური გონებისთვის სასვლებით გაუაზრებელი და შეუცნობელი იყო.

კვირაში ერთხელ ალაყაფის კარები ფართოდ იღებოდა და მათთან სხვადასხვა ფერის გაკრიალებული მანქანებით სტუმრები მოდიოდნენ, — მამამისს მეგობრები ოჯახებით. ქალაქის ვიწრო ოთახებში მთელი კვირა გამოკეტილი ბავშვები ჭრიამულით მოეფინებოდნენ ბაღს. ხეებზე ძვრებოდნენ. თამაშობდნენ. ფეხებმოკვეთილ ბიჭს ისინი ბავშვური გულუბრყვილობით, გოცებით უყურებდნენ. ბიჭის გულჩათხრობილობა და სერიოზულობა საღდაც ილექებოდა და გაცინებული, გახარებული, ისიც ჩაებმებოდა მათ ლაღობაში. მერე ერთად შეჭკრებდა ყველას და ზღაპრებს უყვებოდა, თანაც, როგორც ადრე კითხვა ნასწავლ ბავშვებს სჩვევიათ, ათასგვარ, მის მიერვე გამოგონებულ ამბავს ჰყვებოდა აღგზნებული. ასეთი სტუმრობის დროს მამამისი ფეხსაცმლიან პროთეზებს გაუკეთებდა და მუხლებზეც შალს არ აფარებდნენ. ბიჭს გამობმული ფეხების შერხევა და ოდნავ აწევაც შეეძლო.

ხანდახან მამამისი სტუმრებს მოუბოდიშებდა, გარეთ გამოვიდოდა და ბაღში ყიჟილ-ხივილით მონავარდე ბავშვებს გახედავდა; გული ეკუმშებოდა, სავარძლით დადევნებულ ბიჭს რომ დაინახავდა. მერე თვრებოდა და ბიჭი ძილში გრძნობდა, როგორ შემოდიოდა ოთახში ბარბაცით მამამისი და შუბლზე კოცნიდა. ბიჭს ეღვიძებოდა, მაგრამ თვალებს არ ახელდა. გარინდებული იწვა. მერე ქალის ოთახიდან ესმოდა მისი ხმადაბალი ლაპარაკი. ღილს კი ქალი ბიჭის ოთახში თვალებდაწითლებული შემოდიოდა, აცმევდა და ხანდახან მხრით ცრემლს მოიწმენდდა. ბიჭს სულ უკვირდა, რატომ ტიროდა დალილა (ასე ერქვა ქალს), ის ხომ ავადმყოფარა არ იყო. მისი აზრით, მხრწლოვან პატარები ტიროდნენ, ეს მამამისისგან იცოდა.

კვირა დილით კი მამამისი ბაღში აუზთან ოჯდა დაღლილი, გამოფიტული და ბორკომს სვამდა. თანაც ბიჭის თვალებს გაურბოდა; რაღაცით გატეხილი, გალახული ძაღლივით იყო...

ბიჭი მალიმალ დაპყურებდა საათს; დიდი ისარი ათი წუთით გადასცდა პირველს.

— „არ მოვა“, — ფიქრობდა წყენისგან სატირლად გამზადებული.

კაცი ცოტა მოშორებით იჯდა ბალახზე და ბავშვს უყურებდა. მერე წამოდგა და დაუსტვინა.

ბიჭს სახეზე სიხარულის ღიმილი მოეკიდა, იმწამსვე დაინახა კაცი.

— მეგონა, არ მოხვიდოდი, — თამამად გაუწოდა ხელი.

— რატომ? — იკითხა კაცმა.

ბიჭმა საათი დაინახა.

— მაპატიე! — თავი დახარა კაცმა.

— კარგი, — ბიჭმა სულგრძელობა გამოიჩინა.

ბიჭის სახის გამომეტყველებაზე კაცს გაეცინა.

— რა გაცინებს? — დაეკვეა ბავშვი.

— შენთან რომ ვარ, მიხარია.

— მეც მიხარია! — ბიჭსაც გაეცინა. სავარძელი ხელა გაიგაო.

კაცი გვერდით გაჰყვა.

— აუზთან მივდივართ? — ჰკითხა.

— არა. ყვიოელი ვარდი თუ გინახავს ოდესმე?

— არც გამიგია, — გაკვირვებული სახე მიიღო კაცმა.

— მე მაქვს! — აღტაცებით თქვა ბიჭმა. — აი! — ხელი ყვითლად გადაბარდნილი ბუჩქისკენ გაიშვირა. — რამდენიც გინდა, მოწყვიტე.

— ერთი ცალის მეტი არ მინდა, ერთიც მეყოფა.

ბიჭს არაფერი უთქვამს. კაცს უყურებდა, რომელიც, ხელი რომ არ დაჩხვლეტოდა, ღერის ფრთხილად გრე-

ხდა. ბოლოს, როგორც იქნა, მოწყვიტა ვარდი. — არ გეცოდება? — მიუბრუნდა ბიჭს.

— მერე მეცოდება, რომ დაჭკნებიან და უნდა გადაყაროთ. ახლა ყოველდღე ჭურეფს დალილა და ყველა ოთახში გვაქვს ლარნაკში ჩადებული. რატომ იკეთებ მანდ? — ბიჭი ღილკილოში გაბნეულმა ყვავილმა დაინტერესა.

— არ ვიცი, — თქვა კაცმა. — ალბათ ყვავილები გულთან ახლოს უნდა იყოს...

— რატომ?

— ლამაზია და იმიტომ. ადამიანი კიდევ სილამაზეს გულით გრძნობს.

— როგორ გრძნობს? — გაიცდა ბიჭი.

— გული შეუმსუბუქდება და აუჩქროლდება, ფერები კი, რომლებიც მუდამ ერთი და იგივეა ჩვენს ირგვლივ, უფრო ნათლად აკაშაშდება.

— ისეთი არაფერი გამიგია! — განაცხადა ბიჭმა.

— გაიგებ... — კაცი ჩაფიქრდა; ერთი წამით ბიჭი წარმოიდგინა ათი წლის შემდეგ. — დრო მოვა და გაიგებ... — ბეჭგანიერი, მკლავდაკუნთული, სავარძელში გამომწყვდეული ვაჟკაცი და სუსტი, ლამაზი ქალიშვილი ვერ ამოიგდო თავიდან.

— მალე მოვა დრო? — ბიჭმა საათს დახედა.

— კი, — გაეცინა კაცს. — რომ გაიზრდები, მაშინ მოვა.

— ჰო... — ბავშვი მიხვდა, საათი რომ არაფერ შუაში იყო და უკმაყოფილოდ დაუშვა ხელი. — მისმინე! — თქვა ცოტა ხნის შემდეგ, — შენ მამა გყავს?

— კი, — თავი დაიქნია კაცმა, — მყავს და ძალიან მიყვარს.

— დედა?

— დედაც...

— მე კი დედა არ მყავს! — ბიჭმა გაიხედ-გამოიხედა, კაცს ხელით ანიშნა, ახლოს მოიწია.

კაცი სავარძლის გვერდით ბალახში ჩაჯდა.

— მოკვდა! — საიდუმლოება ჩაუფიქრა ბიჭს თვალებში. — მამა და დალილა მიმალავენ, მე კი ვიცი, რომ მოკვდა.

— ვინ გითხრა? — ჩურჩულით ჰკითხა კაცმა.

— მე თვითონ გავიგე, როგორ უყვებოდა მამა დალილას. სტუმრები რომ წავიდნენ გვიან, მერე უყვებოდა. ყველაფერი გავიგე. მამა რომ მთვრალია, სულ დედას იხსენებს, ოღონდ ჩემთან არა, დალილასთან. მერე დალილა ტირის, დილას ჩემთან რომ შემოდის, მაშინაც ტირის. — ბიჭმა არ იცოდა, ამ სიტყვებს მიღმა რა აზრი იყო და როგორ ეტკინა გული კაცს. ბიჭი ამას იმიტომ ამბობდა, რომ კაცისთვის გაეგებინებინა, რაღაც იცოდა მნიშვნელოვანი. რასაც მალავენ, ის ყველთვის მნიშვნელოვანია, ბავშვებისთვისაც კი. ბიჭს ეს თავის ყველაზე დიდ საიდუმლოდ მიაჩნდა და ამით თავი მოიწონა კაცთან.

— დალილა ვინ არის? — იკითხა კაცმა. ეს ხარკი იყო ხარბი ადამიანური ცნობისმოყვარეობისა.

— ჩვენთან ცხოვრობს, მოვლის. მე და მამას ძალიან გვიყვარს. თანაც მასწავლის, ჩემი მასწავლებელია. იცი, რა ლამაზია?

— უნდა გიყვარდეს! სულ უნდა გიყვარდეს! — კაცმა თავზე ხელი გადაუსვა. — სკოლაში დადიხარ? სიმართლე გითხრა, არ მეგონა, ასე დიდი თუ იყავი.

— მესამე კლასში გადავედი! — ამაყად განაცხადა ბიჭმა. — სულ ხუთებზე ვსწავლობ, ერთი ოთხიც არ მყავს. დალილა სახლში მამეცადინებს, წლის ბოლოს კი სკოლაში მივყავარ მამას და იქ ვაბარებ მერე. ყოველდღე სკოლაში ვერ ვივლი. მაგისთვის ასე სჯობსო, სკოლის დირექტორმა უთხრა მამას. შენ ხომ დადიოდი სკოლაში?

— კი, მაგრამ შენსავით ყველაფერ-

გია ლომაძე
კაცი ბალავანზე

ში ხუთები არ მყავდა, ოთხებიც მყავდა, სამებიც.

— სამებიც? — გაოცდა ბავშვი, — დაღლილა ამბობს, სამებზე თუ ისწავლე, არ გიზრდებიო.

— მეც არ ვიზრდებოდი სკოლაში ყოფნისას, ტოლებში ყველაზე პატარა ვიყავი. მერე ინსტიტუტში რომ შევედი, იქ დავიწყე ყველას. ეგ სწორი უთქვამს დაღლილას.

ბიჭს უეცრად პროთეზები გაახსენდა, საგანგებოდ კაცისთვის რომ გაკეთებინა დაღლილს და ახლა შალის ქვეშ ჰქონდა დამალული. კაცის გაკვირვება უნდოდა.

— აი, მეც მაქვს ფეხები! — შალი გადაიძრო.

— აბა? — კაცმა პროთეზებს ხელი შეავლო.

ბიჭმა ფეხები გაიქნია.

— უჰ! — თვალები დაჭყიტა კაცმა. — ჩემსას სჯობია!

— შენი უფრო დიდია.

— მერე რა, მე ხომ შენზე დიდი ვარ.

— ჰო. — დაეთანხმა ბიჭი, — დიდი ხარ, შენ მამაჩემისხელა ხარ!

კაცს უცებ ბიჭის მამობა მოუნდა. ყველა ოცნებას დათმობდა, ოღონდ ამ ბიჭის მამა ყოფილიყო.

— არა ვარ მამაშენისხელა, — ჩაილაპარაკა, — მამაშენი ყველაზე დიდი კაცია, მთელ ქვეყანაზე დიდია!

— ქვეყანა რამხელაა?

— ცისხელა.

ბიჭმა ზემოთ აიხედა. ხის ტოტებში ჩამოლვენთილ ლაჟვარდოვან ცას მიაპყრო თვალი.

— დიდი ყოფილა! — თქვა ცოტა ხნის შემდეგ.

— მეც მაგას არ ვამბობ! — კაცმა ერთი წამით მზეს მზერა გაუსწორა, მისმა სიკაშკაშემ თვალები მოსჭრა და უცრემლა.

— შენ რა, ტირი? — გაოცდა ბავშვი.

— არა, — გაიცინა კაცმა, — სტირალი რა მაქვს? — „იქნებ მაქვს?“ — გაიფიქრა.

— აბა? — თვალს არ აშორებდა ბიჭი.

— არ ვტირი-მეთქი! — თავი გაიქნია კაცმა, — სხვების დასანახად არასოდეს მიტირია.

— არც მე, — გამოტყდა ბავშვი. — დაღლილა რატომ ტირის?

— როცა ეტირებათ, მაშინ ტირიან.

— რატომ?

— სხვანაირად არ შეიძლება.—კაცმა არ იცოდა, რაღა მაინცდამაინც ტირილით გამოხატავდნენ მწუხარებას. ამაზე არასოდეს უფიქრია. არც ის იცოდა, ბავშვები ტკივილისაგან ტიროდნენ თუ წყენისაგან. დიდები რომ ხასოწარკვეთილებისაგან ტიროდნენ, ეს იცოდა მხოლოდ. ზოგი შიშისგანაც, — გაიფიქრა, — სიხარულისგან, სიხარულისგანაც ხომ ტირიან? თუმცა ეს ყველაზე ნაკლებად იცოდა.

— არ ვიცი! — თქვა ბოლოს.

— რატომ? — ბიჭი, როგორც ყველა ბავშვი, დარწმუნებული იყო, რომ კაცმა ყველაფერი იცოდა. მას ყველაფერი უნდა სცოდნოდა; უფროსებმა ხომ ყველაფერი იციან?

— რატომ და იმიტომ, იმიტომ, — გაიცინა კაცმა. — რომელი საათია?

ბავშვმა სერიოზული სახით დაბეჯითებით საათს.

— სამს ოცი უკლია.

— უჰ, რა დრო გასულა!

— არა, ჯერ იდრეა, — შეშინდა ბავშვი.

— ჯერ არ წავალ! — დაამშვიდა კაცმა. — იმიტომ ხომ არ მოვსულვარ, რომ ასე მალე წავიდე.

— ჰო! — გაეხარდა ბავშვს. — შენ ინჟინერი ხარ?

— არა. — მხრები აიჩეჩა კაცმა.

— მამა ინჟინერია, შენ?

— მე პოეტი ვარ.

— რა არის პოეტი?

— კაცი, რომელიც ლექსებს და ზღაპრებს წერს.

— მართლა?

— შენ რა, არ გჯერა?

— მჯერა, ოღონდ არ მეგონა, ზღაპრებს თუ ვინმე წერდა.

— არა, ყველაფერს ადამიანი აკეთებს; ზღაპრებსაც წერს.

— ეს ზღაპარი შენი დაწერილია? — ბიჭმა წიგნი დაანახა.

— არა, მე ასეთი ზღაპარს ვერ დავწერდი.

— რატომ?

— ძალიან კარგი ზღაპარია და იმიტომ. მაგ მეზღაპრეს ახლა რომ ეცხოვრა, ვერც ის დაწერდა.

— რატომ?

— სხვა რამეა დასაწერი და იმიტომ.

— სხვა ზღაპარი?

— ჰო, სხვა ზღაპარი, თანაც ბევრი, ძალიან ბევრი.

— მაინც რამდენი? — დაინტერესდა ბიჭი.

— ახლა რომ დაიწყო კითხვა, ჩემ ხელი რომ გახდები, მაშინაც ვერ დაამთავრებ.

მე ჩქარა ვკითხულობ! — განაცხადა ბავშვმა. კაცის ურწმუნო თვალები რომ დაინახა, წიგნი გადაშალა და კითხვა დაიწყო; სულმოუთქმელად კითხულობდა.

კაცი იჯდა და სევდიანი ღიმილით უყურებდა წიგნზე თავდახრილ ბავშვს.

— შენ მართლა ჩქარა კითხულობ,— უთხრა, ბიჭმა გვერდი რომ ჩაათავა.

— დალილამ მასწავლა. ეგ რაა, რუსულადაც ვიცი!

— ო! ყოჩაღ, ყოჩაღ! — კაცს სევდა ისევ მოეძალა.

ბიჭი სიამოვნებისგან ბრწყინავდა, ლოყებიც გაწითლდა.

— ძნელია ზღაპრების წერა?

— გაიჩნია, როგორის...

— შენ გეძნელება?

— კი, ძალიან.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ცოტას ვწერ.

— მერედა, ცოტა წერა ძნელია? — გაოცდა ბავშვი. — მე, პირიქით, ბევრი წერა მიჭირს.

— შენხელა მეც ეგრე ვიყავი, — გაეცინა კაცს. — მერე კი არ მჭონია ბევრი დასაწერი და ამიტომაა ძნელი.

ბიჭი ჩაფიქრდა.

— შენ ზღაპრებს წამაკითხებ? — იკითხა ჩუმად.

— არ მაქვს ზღაპრები.

— როგორ, სულ არ გაქვს?

— არა, მაქვს მაგრამ...

— გავიგე! — გააწყვეტინა ბავშვმა. — საჩემო არ გაქვს. მამაც ეგრე მეუბნება, მის წიგნებს ხელს რომ ვკიდებ; საშენო არაა ჯერ, პატარა ხარო.., — ბიჭმა თავი ჩაქინდრა. — იცი რა? — თქვა ბოლოს, — დაწერე! ჩემთვის დაწერე რამე!

— რაზე დავწერო? — კაცმა ბიჭის აღტაცებულ, ლოდინწუპარულ თვალებს მზერა გაუსწორა.

— იმის იქით რა არის, იმაზე! — ბიჭმა ხელი გალავნისკენ გაიშვირა.

— ჰოო... — კაცმა გალავანს გახედა. — მაგის დაწერას ბევრი ეცადა, მაგრამ ბოლომდე ვერავინ შეძლო...

— რატომ?

— როგორ კითხრა, ბევრი, ძალიან ბევრი, ათასობით წელია მაგაზე წერენ, მაგრამ სწორად ჯერ არავის დაუწერია.

— შენ დაწერე!

— კარგი, დავწერ!

— მალე დაწერ?

— კი, მივალ თუ არა სახლში, დავიწყებ.

— სურათებიც იქნება?

— არა,— თქვა კაცმა.— ხატვა არ ვიცი. ცარიელ ადგილებს დავტოვებ და სურათები შენ ჩახატე.

— მე ბევრი ფერადი ფანქარი მაქვს! — განაცხადა ბიჭმა.

— მით უმეტეს, — გაეცინა კაცს. — ეე კიდევ დიდი ხანია ფერადი ფანქრები არ მჭონია.

— მე გაჩუქებ! — დაამშვიდა ბავშვმა. — სულაც არ შენანება.

— ძალიან კარგი, თუ არ გენანება. არაფერი არ უნდა გენანებოდეს, მით

ბია ლომაძე
კაცი გალავანზე

უმეტეს, როდესაც ვინმეს აჩუქებ, იმაზე კარგი არაფერია, როცა შეგიძლია ვინმეს რამე აჩუქო. — კაცი ჩაფიქრდა, დიდი ხანია არაგისთვის არაფერი მიჩუქნია, — თავისთვის ჩაილაპარაკა.

— რატომ? — ვერ გაიგო ბიშმა.

— მაგისთვის ორი რამ არის საჭირო; ერთი ის, რომ უნდა გქონდეს რამე, მეორე კი, უნდა იცოდე, რა გაუხარდებათ.

— მე გამიხარდება, ზღაპარს რომ მაჩუქებ! ხომ მაჩუქებ?

— კი, აუცილებლად.

დალილას ხმა გაისმა, ბიშს ეძახდა.

კაცი წამოდგა, პიჯაკის კალთები დაიბერტყა. ბავშვი ფართოდ გახელილი თვალებით მისჩერებოდა.

— უნდა წავიდე! — თქვა კაცმა, ბიშს კაცის წასვლა ეძნელებოდა, თანაც ბავშვური რიდი ჰქონდა და არაფერი უთქვამს.

— ხომ არ გწყინს? — ჰკითხა კაცმა.

— არა, — ბიშმა თავი გაიქნია, მაგრამ თვალები ცხელ ამბობდა. თავდახრილი იჯდა და ფეხსაცმლის წვერებს დაჰყურებდა.

კაცი დაიხარა და მოეხვია. საოცრად მოუნდა ხელში აეყვანა და ხალხით სავსე ქუჩაში ე�eლ მასთან ერთად.

— მოვალ! აუცილებლად მოვალ!

— ზღაპარი არ დაგავიწყდეს!

— ზღაპარსაც მოგიტან! — კაცი გაბრუნდა. გალავნამდე ისე მივიდა, ერთი არ მოუხედია. გალავნის თავზე შემობრუნდა მხოლოდ.

ბიჭი სევდიანად უყურებდა.

— მოვალ! — გასძახა კაცმა.

ბიშმა გაიღიმა და ხელი დაუქნია...

●

კაცი სახლში იყო; სამზარეულოში იჯდა და ერბო-კვერცს შეექცეოდა. ბიჭზე ფიქრობდა.

ბიშმა მეხსიერების ძირზე დალექილი, მირაჟივით მოუწვდომელი ბავშვობა გაახსენა. სევდა შემოაწვა გულზე.

კაცი უხერხულად გრძნობდა თავს ბავშვებთან, უფრო სწორად, მათ მშობლებთან, ვინაიდან მოფერება ბავშვებს ეძლო. ნაძალადევად თუ გადაუსვამდა თავზე ხელს ან ლოყაზე მოუთათუნებდა რომელიმე მისი ნაცნობის შვილს შეჰვედრისას. არც საკუთარის ყოლის სურვილი ჰქონდა მაინცდამაინც, ცოლი რომ ჰყავდა...

კაცი ჩაფიქრებული მისჩერებოდა სკამის ზურგისგან სალდბავაცლილ დალაქავებულ კედელს. სულში რაღაც აქამდე შეუცნობი, მაგრამ ქვეცნობიერად დიდი ხნის ნატარები, ნალოდინები გრძნობა შეუჩერილიყო.

ჰამას მორჩა. თეფში გარეცხა. ყველი მაცივარში შეინახა. საკიდიდან პიჯაკი ჩამოხსნა და ბინიდან გავიდა. კიბე მძიმედ ჩაიარა. სადარბაზოდან გასვლისას ჯიბეები მოიჩხრიკა, სიგარეტისთვის ფული თუ ეყოფოდა. ქუჩას ქვემოთ დაუყვა. გაჩერებასთან საათს ახედა. ქუჩაში ხალხმრავლობა იყო. დიდმა, გრანიტის ლოდებით დატვირთულმა მანქანამ ჩაუარა ქშენით და ღმუილით, კაცმა თვალი გააყოლა...

●

ჰადრების ჩრდილში, გრძელ, ცისფერ სკამზე ისხდნენ. ქალიშვილს თავი დაეხარა. ყურთან ვაჟის სუნთქვას გრძნობდა. სხეულში თბილი, ხავერდოვანი ნისლი ედგრებოდა. ვაჟი თავდავიწყებით უხსნიდა რაღაცას. ქალიშვილს იგი უყვარდა. მათ გვერდით მოხუცებს ორი სკამი ერთმანეთზე მიედგათ და მზეს მიფიცხებულები დომინოს თამაშობდნენ. ხანდახან თუ გადახედავდნენ წყვილს ალმაცერი მზერით და ისევ თამაშს აგრძელებდნენ...

სასტუმროს წინ სამი ახალგაზრდა იაპონელი თუ კორეელი იდგა. უფრო იაპონელები. რაღაც ხალხურ საკრავს აყალარუნებდნენ. აღგზნებულები იყვნენ. თხელი მუყაოსგან გამოჭრილ, ათჯერ გაკეცილ ფიგურებს ჰგავდნენ. შორიდან მოდიოდნენ, შორს მიდიოდნენ, აქ გავლით შეისვენეს...

ფერმკრთალი სახეები და ჩავარდნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი, მიბნედილი თვალები ჰქონდათ, ძნელი მისახვედრი არ იყო, ვინ იყვნენ. სადარბაზოში შევიდნენ. ერთი ლიფტის კართან დადგა, ორი ზემოთ ავიდა. ბოლომდე ავიდნენ. წითელი შუქი არ ჩამქრალა; ლიფტიდან არ გასულან. ლიფტი ისევ ახმაურდა, ქვემოთ ეშვებოდნენ. სახალეწლები გამოვიდნენ. შარიანი იქვე, ლიფტში დამალეს. კიბეზე ჩამოსვლისას ერთს გული აერია...

ლუდხანასთან ვიღაც კაცს სცემეს. ჯერ თავი დააპატიჟებინეს, მერე სცემეს და წავიდნენ. ნაცემი ლუდხანაში თავის პორტფელს ეძებდა. ვერ იპოვა. ირაფერი ახსოვდა. იდგა დორბლმორეული, უაზრო თვალები ჰქონდა...

დიდი, ნაცრისფერი სახლის კუთხეში მოხუცი იდგა. ფეხებთან შავი ტყავის ყავიფერსახელურებიანი ჩანთა ედო, ყვავილებს ყიდდა. სულ იღიმებოდა, ყველას ესალმებოდა. ბევრს გიჟი ეგონა; ზოგი პასუხობდა, ზოგი არა. საქმე ალბათ ცუდად მისდიოდა. გვირილებს ყიდდა, მინდვრის გვირილებს. სხვა ყვავილი არასოდეს ჰქონია...

მანქანები ერთმანეთს შეასკდა. ყველამ გადაუდებელი საქმეები გადადო. ინსპექტორებმაც არ დააყოვნეს, თითქოს მიწიდან ამოიზარდნენო. წინა რიგში ბევრი არაფერი იყო, ბოლოში კი წუთი წუთზე ელოდნენ სასწრაფო დახმარების მანქანის გამოჩენას. ყველას წინ უნდოდა ყოფნა, მაგრამ ვიღაც ხომ უნდა ყოფილიყო ბოლოში...

ორმოცდაათს მიღწეული მსახიობი საავადმყოფოში იყო უროლოგთან. — იმპოტენციის ცნობას იღებდა. სასამართლოსთვის საჭიროებოდა, არასრულწლოვანს გაუპატიურებაში ედებოდა ბრალი. იგი მართლა იმპოტენტი იყო. თუმცა ეს სრულებით არ უშლიდა ხელს, მამაკაცობა ეთამაშა; კარგი მსახიობი იყო. ცვედანობას ყველას უმალავდა, ცოლის გარდა; იმასთან აზრი არ ჰქონდა და სავსებით შეგუებული იყო ამას. ახლა იძულებული იყო, ყველასთვის შეეტყობინებინა ის, რასაც აგრე რიგად ნიღბავდა. მას საზოგადოებრივი აზრის მფარველობის დაკარგვის ეშინოდა, სხვა არაფერი აწუხებდა და აფიქრებდა...

ქალაქისგან მოშორებით, მეჩხერ ტყეში ეულად მდგომი, ნახევრად დანგრეული საყდრის ეზოში კაცი მოეკლათ. გულალმა იწვა მკერდდაფლეთილი. სიმწრისგან დაკუნჭნილ ხელებში ბალახის ღერები ჩაებღუჯა. საოცრად ჰგავდნენ ერთმანეთს დანგრეული საყდარი, დამჭკნარი ბალახის ღერები და მოკლული კაცი...

ახალგაზრდა კაცი მეუღლესთან ერთად კინოფილმის განხილვაზე იყო. მოუსვენრად წრიალებდა სკამზე; წარამარა უკან იხედებოდა შტერული ღიმილით, რაც ალბათ პატივისცემას გამოხატავდა; უკან მისი დირექტორი იჯდა. ახალგაზრდა მუშაკს ხასიათი წაუხდა. ვერაფერი გიგო, რაც ეკრანზე ხდებოდა. დირექტორი ჯიქურ მისჩერებოდა ეკრანს, მასაც ცოლი ახლდა...

მანქანამ ხეებარი ქალი გაიტანა. ხის ორი პროთეზი ჭადრაკის ფიგურებივით ეყარა გადასასვლელზე. საშინელი სანახავი იყო. ქალი ადგილზევე მოკვდა. ფეხების ცოცხალ ტყეში ხუთიოდე წლის ბავშვმა გზა გაიკვლია, პროთეზებს დახედა და გაიცინა. იძულებით სიჩუმეში ბავშვის სიცილი პირველყოფილი გულწრფელობით გაისმა...

ქალაქშვილი ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტზე სწავლობდა. ხელოვნებაზე კამათს თავის მოვალეობად თვლიდა. ქედმაღლურად უყურებდა იმათ, ვინც სხვა ფაკულტეტზე იყო და ხელოვნებაზე რამეს იტყოდა. ახლაც და მერეც, ასაკში რომ შევიდოდა, ვინმეს რომ ეთქვა მისთვის, სხვისი ნასუფრალით ცხოვრობო, აღშფოთდებოდა. ქეთევანი ერქვა, რეფერატებს, რომლებიც ისე იყო დაწერილი, როგორც უმრავლესის, ქეთის აწერდა...

გია ლომაია
კაცი გალავანზე

მიყრუებულ ქუჩაზე, ნახევრად სარდაფში მოთავსებულ ბინაში მოხუცი ქალი გაეძარცვათ. მანამდე ეწამებინათ. გონებაწართმეული არ ამბობდა, ძვირფასეულობა სად ჰქონდა გადამალული. მარტო ცხოვრობდა, არავინ ჰყავდა. მეზობლებსაც არაფერი გაუგიათ. მძარცველებს ვერაფერი ეპოვნათ და მოხუცი ქალი მოეკლათ. ნახმარი ჩვარივით ეგდო ოთახის კუთხეში თვალებდათხრილი...

ქალს სპეკულანტთან ნაყიდი, მისი აზრით, ქალაქში ერთადერთი კაბა ეცვა. სარკის წინ იდგა და თავის თავს ელაპარაკებოდა. ხან თავს მაღლა ასწევდა და თვალებს დაბნეულად, მომხიბლავად აახამხამებდა — მიამიტობის აღბეჭდვას ცდილობდა. ხან მხრებს შეაშმუშნიდა, გულგარლობის, ყველაფრის მიუღებლობის ნიშნად. ხან მხრებჩამოყრილი, ცივი მზერით მარცხენა ხელს თეძოზე მიიკრავდა და მარჯვენას გრძელთითებიან მტევანს გადაშლიდა; ეს მორიგი ბრძნული სენტენცია იყო. სტუმრად მიდიოდა ამ საღამოს...

სიგარეტის ნამწვებით და ქაღალდის ნაკუწებით აჭრელებულ ტროტუარზე მთვრალი იწვა — გიჟი იყო, ისეთი, ყველა ქალაქს რომ ჰყავს ერთი მაინც და იმ პოპულარობით რომ სულდგმულობენ, რომლისაც არავის შურს. სადღაც დამთვრალიყო, იწვა და იცინოდა. ცალი ფეხსაცმელი გაეხადა და თავქვეშ ამოედო. დახეული წინდა მოუჩანდა ოწეული შარვლის ტოტიდან, წინდიდან კი — ფეხის ცერი წითლად შეღებილი ფრჩხილით. გამვლელები ზოგი ცნობისმოყვარეობით უყურებდა, ზოგი კი ზიზღით იბზუებდა ცხვირს, ზოგი სულაც იქვე იდგა დ მშვიდად დასცქეროდა. სტუდენტებმა ჩამოიარეს, გიჟს იღლიებში ხელები ამოსდეს და ტროტუარის კიდეზე მდგომ სკამზე ჩამოსვეს...

მთელი საათი ტელეფონით ჭორაობდნენ. ერთმანეთს არ აცდიდნენ ლაპარაკს. საუბარი, ვინ ვისი საყვარელი იყო, იმის ირგვლივ ტრიალებდა. ორივემ არაჩვეულებრივად კმაყოფილი სახით დაკიდა ყურმილი. თვალებში რაღაცნაირი ბოროტი სიხარული ედგათ. მერე ორივემ სხვებთან დარეკეს, რომ ერთმანეთი გაეჭორათ...

●

კაცმა იაფფასიანი სიგარეტი იყიდა და სახლისაკენ გაბრუნდა. ისევ ისე ნელა მიუყვებოდა ქუჩას. ცხელოდა. ქუჩაში მდორედ მიედინებოდა მანქანების მდინარე. კაცი სადარბაზოში შევიდა. კიბეს ფეხით აუყვა. კარი გააღო. სახლში შედარებით გრილოდა. პიჯაკი გაიხადა, საბაზანაში შევიდა. წყალი მოუშვა, თავი შხაპს მიუშვირა, მერე გაიმშრალა და კაბინეტში გავიდა. ნიავს საწერი მაგიდიდან ქაღალდები გადაეყარა და იატაკზე მიმოფანტა. აკრიფა და ისევ მაგიდაზე დადო. საწერი მაგიდის უჯრა გამოსწია და საზღვაო ჭოგრიტი ამოიღო. ფანჯარასთან მივიდა.

ჭოგრიტიდან ქალაქის ყურება კაცს ყველაზე მეტად ართობდა; თითქოს საბურველს ხდიდა სახლებს და ქუჩებში მოსიარულე ადამიანებს.

ფანჯრის რაფაზე იჯდა და სიცხით გათანგულ, უხილავ მტვერში ჩაძირულ ქალაქს უყურებდა. მერე გაღმა ფერდობზე ხორკლიან სუდარასავით გადაფენილ სასაფლაოს ჰკიდა თვალი. თითქოს ყველაფერი გაიყინა და ხმა დაჰკარგა. ერთგან ოდნავშესამჩნევი, გაურკვეველი მოძრაობა დალანდა. ჭოგრიტის ფოკუსი გაასწორა; გამოსახულება დაიწშინდა, მოახლოვდა და მის ბინაში შემოიჭრა. მესაფლავეები იყვნენ. ნელა მუშაობდნენ. წელამდე ჩასულიყ-

ვნენ მიწაში. ორნი იყვნენ, ხანშიშესულები. სხეული ახალგაზრდული ჭქონდათ. ლბათ თანაბრად ხვნეშოდნენ მიწის ამოყრასთან ერთად. მანქანებს ჰგავდნენ...

შემოსასვლელში ზარმა დარეკა. კაცმა სასაფლაოს მზერა მოსწყვიტა. ჭოგრიტი რაფაზე დადო და კარის გასაღებად წავიდა.

— „ვინ უნდა იყოს?“ — ფიქრობდა გზადაგზა. არავის ელოდებოდა.

●

ქვემოთ რესტორნის დარბაზში სიგარეტის ბოლი, მთვრალების უაზრო ლაპარაკი, მუსიკის ჩაგუბული ხმა ერთმანეთში არეულიყო. ოფიციანტები თეთრი ხელიკებივით დაძვრებოდნენ მაგიდებს შორის. ჟა-ია შამპანურის საცობების ტკაცუნიც ისმოდა. ვიღაც პროვინციელი ათიოდ წუთი იქნებოდა დაეინებით ურტყამდა თეფშზე დანას. ცხელოდა. შეზარხოშებულ ხალხს პიჯაკები გაეხადა და სკამის საზურგეზე გადაეფინათ. ყელსახვევები, საკინძები შეეხსნათ, მკლავები დაეკაპიწებინათ და ბახუსის თავაშვებულ მორევში გადაშვებულიყვნენ.

შეერთებულ სუფრაზე ვიღაც უსაშველოდ გრძელ სადღეგრძელოს ამბობდა. მთელი ხმით გაჰკიოდა, მუსიკის ხმა რომ დაეფარა. შიგადაშიგ ვეება შუშტს იბაგუნებდა მკერდზე. მათგან მარცხნივ, ახალგაზრდები ისხდნენ; ხავერდის პიჯაკებში გამოწკეპილი ორი ვაჟი და ქერა ქალიშვილები. ქალიშვილების გადაუჭარბებელი გულგრილობა იმაზე მიანიშნებდა, რომ პირველად იყვნენ რესტორანში. ორივეს შიოდა, მაგრამ ჭამაზე უარი თქვეს, შოკოლადის ფილას წოწკნიდნენ და თითქმის ერთხმად ამბობდნენ უარს შამპანურის დალევაზე. ჭაბუკებს ღიმისეულად ეჭირათ თავი. ერთი დამთვრალიყო და მთელ დარბაზს უბღვერდა. მეორე რაღაც სასაცილოს ყვებოდა; ქალიშვილებს არ ესმოდათ, მაგრამ იცინოდნენ.

ცოტა იქით, გრძელცხვირა კაცი მაპინძლობდა ორ ჩასუქებულ ქალს. აშკარა იყო, დედაქალაქის სტუმრები იყვნენ. ქალებს კარგა ხნის ნაწყალები, ბაბილონის გოდოლივით ვარცხნილობა ჰქონდათ. მასპინძელს თან მელოტი, დიდთავა მეგობარი ახლდა, რომლის მეკვერეტყველება უშუალოდ ქართული საკმელების ქება-დიდებას უკავშირდებოდა. უხსნიდა, თუ როგორ რა კეთდებოდა. რამდენი წიწაკა, ხახვი, მწვანილი და ძმარი სჭირდებოდა იმ კერძს, რომელიც მათ მიართვეს. ქალები მოჩვენებითი ინტერესით უსმენდნენ და მგლებივით ჭამდნენ. — ამისათვის ძვირფასებო! — ამბობდა მელოტი, — კოლუმბმა ამერიკა აღმოაჩინა! — და აჯიკაზე უთითებდა. — სანგლებლებისათვის გაემგზავრა ინდოეთს და ამერიკას კი მიადგა! ჩვენ კი ეს სულ გვქონდა და არსად წასვლა არ დაგვჭირვებია... ტემპერამენტი, — თვალებს ქაჩავდა მელოტი, — ცხარე საკმელებზეა დამოკიდებული. ეგ რომ არა, ჩვენ, სამხრეთელები, სრულიად მოკლებული ვიქნებოდით მას!...

მათ გვერდით მოხუცი იჯდა. ნახევრად დაცლილი ბოთლი ედგა. ირონიულად უყურებდა მელოტს. დიდთავას მიერ გამოთქმულ მორიგ ჭეშმარიტებაზე გამომწვევად ჩაახველებდა; მარტო იყო და ლაპარაკის საღრღილაშლილი შემთხვევას უცდიდა, რომ მათთან გადასულიყო.

დარბაზის შუაში, ესტრადის წინ ოთხი შუახანის წყვილი იჯდა. ერთ-ერთის ორმოცდაათ წელს ზეიმობდნენ. აშკარად ვერ აირჩიეს უსაფრთხო ადგილი; ესტრადაზე მწვანე-იისფერ შუქში ნახევრად შიშველი მოცეკვავეები იქნევდნენ გრძელ ფეხებს. სახეებზე ბედნიერი ღიმილი აეფარებინათ, თითქოს რესტორნის ესტრადის მსახიობად

გია ლოგაჯი
კაცი გასამგზავრ

ყოფნა ყოფილიყოს ჭეშმარიტი სიამოვნება და უდიდესი განცდა. საკმაოდ შემთვრალ ოჯახის უფროსებს მათი მეორე ნახევრების გულის გასახეთქად თვალები წამდაუწუმ შიშველი კანჭებისკენ გაურბოდათ. თანამეცხედრეები გულგრილად ცდილობდნენ ერთმანეთთან რამეზე ელაპარაკათ. ამ გულგრილობის მიღმა ერთი კარგი აყალმაყალი იფარებოდა, სახლში რომ მოუწყობდნენ თავიანთ კავალრებს. ხანდახან რომელიმე მათგანნი მიწასთან გამასწორებელი, ქედმაღლური მზერით გახედავდა სახეგაბრწყინებულ მსახიობს და, როგორც მათ სქესს სჩვევია, ამ უმნიშვნელო, ხანმოკლე მზერითაც კი რაღაც ნაკლს იპოვიდა მათ სხეულში.

მერე ახალგაზრდა კაცები ისხდნენ. უკვე საკმაოდ დაელიათ და გულგახურებულები მოეკვეთნა ღიმილს იჩემებდნენ და თვითონაც უცინოდნენ.

კაცი და მისი მეგობარი ნაკლებხმაურიან კუთხეში ისხდნენ. დიდი ხნის მეგობრები იყვნენ. ადრე ისიც წერდა პატარა მოთხრობებს, მერე თავი გაანება და სხვა საქმეს მოეკიდა, რამაც ისეთი რამ გააკეთებინა, ახლა სასჯელი უნდა მოპყოლოდა და კაცს თავის დარღს უზიარებდა.

— ვიღორე! — ამბობდა, — არ უნდა ამეღო! ისედაც ხომ არაფერი მაკლდა, ყველაფერი მქონდა! — ქრთამის აღებაში ედებოდა ბრალი.

— მაშინ სულ თავიდან არ უნდა აგეღო. — თქვა კაცმა.

— როდის?

— რაღაცით ხომ დაიწყო? ყველაფერი ხომ რაღაცით იწყება?

—და მთავრდება... — ხელი ჩაიქნია მან. — დავლიოთ!

— დავლიოთ! — ჭიქა მიაჭახუნა კაცმა, — ყველას გაუმარჯოს...

— არა. მარტო შენ გაგიმარჯოს!

— რატომ?

— იმიტომ რომ, ჭიანჭველაზეც კი არ დაგიდგამს ფეხი.

— არ შემხვედრია, თორემ ალბათ მეც დავადგამდი...

— ეგეც მართალია! — ყველა ერთნაირები ვართ.

— ხანდახან...

— არა, სულ!

— კარგი, სულ იყოს.

— იყოს კი არა, სულ!

— დამშვიდდი! — თქვა კაცმა, — შენ მთვრალი ხარ.

— შენც ხომ მთვრალი ხარ?

— მე შენზე მთვრალი ვარ.

— მაინც რად მინდოდა? — არ ცხრებოდა, — რად მინდოდა? განა რამე მაკლდა?

— არაფერი არ გკლებია! — უხეშად გააწყვეტინა კაცმა. — აღება რომ დაიწყე, მერე დგაკლდა ყველაფერი.

— სწორი ხარ, მერე კიდევ და კიდევ მინდოდა, მაგრამ მიწაში ხომ არ ვმარხავდი სხვებივით? მითხარი, ხომ არ ვმარხავდი?

— არა, თქვა კაცმა, — მაგრამ ამას რაე მნიშვნელობა აქვს?

— ამას ხომ აქვს მნიშვნელობა? — ხელი სუფრას მოავლო მან. — ამას? — ესტრადისკენ გაიშვირა, — ამას? — მუცელზე დაირტყა, თავი ჩაღუნა.

— კარგი, დამშვიდდი! — მხარზე ხელი დაადო კაცმა.

— არ შემიძლია! გესმის? ღამეები არ მძინავს! — ღვინო დაისხა და ჭიქა სულმოუთქმელად დაცალა. — ჩემს ცოლს კიდევ ფეხებზე ჰკიდია, ყველაფერი აქვს. რომ გამოვალ ციხიდან, არც დამხვდება!

— ნუ ამბობ მაგას.

— შენ არ იცი ათას საყვარელს გიჩენს. ბავშვი მაგან დაღუპა, თორმეტის ხდება და ჯერ ბურთზე ფეხი არ დაუკარებია. — ინგლისური, მუსიკა, ხატვა, ფრანგული, ჭადრაკი და ათასი ჯანდაბა...

— გეყოფა.

— უხ! — ამოიხვნეშა მან, მაგიდაზე გადმოიხარა და ეჭვიანი თვალებით მიაჩერდა. — ახლა კი ვხედავ, ახლა

ყველაფერს ეხედება... ჩუჩჩულით უთხრა, — ერთი წამითაც კი ვეუყვარდი! არასოდეს ვყვარებივარ! ფულის გარდა არაფერი არ უნდოდა ჩემი...

— გეყოფა! არც იცი, რას ამბობ, ეგ როგორ იფიქრე!

— დავიბრაზდი, მაგრამ მიყვარს და არ შემიძლია. რომც არ მიყვარდეს, მაინც ვერ ვიზამდი ამას.

— ნუ სულელობ! — ჭიქები შეავსო კაცმა.

— მაგრამ მე მაინც ის ვარ! — ხელი დაჰკრა მაგიდას. — ის ვარ, რაც ვიყავი! ხომ გახსოვს, რა ბიჭი ვიყავი?

— კი, მახსოვს, ჩემთვის ისეთივე ხარ. — კაცს გულზე სევდა შემოაწვა.

— მადლობელი ვარ! — ჭიქა გამოსცალა მისმა მეგობარმა. — ბოლო ათი წელი შენ ყველაზე არანორმალური მეგონე. ხანდახან დაგიცინოდი კიდეც.

— მერე რა...

— ახლა მრცხვენია, ეგ რომ მახსენდება. შენ რომ შემხვდებოდი, იმ ნაბიჭვრებს, მე რომ მახლდნენ და ჭამასმის მეტი არაფერი იცოდნენ, ერთი შტერია-მეთქი, ვეუბნებოდი. მაპატიე, რა!

— მე არ მწყინს, — თქვა კაცმა.

— არ მჯერა... არავისი არა მჯერა და იმიტომ!

კაცს არაფერი უთქვამს. თავი უხუნრდა. ღვინო სხეულს მოსდებოდა. „თორმეტ წელს მაინც მისცემენ“, — გაიფიქრა და გახედა! მას თავი ხვლებში ჩაეგრო და მაგიდას დასჩერებოდი. სდღა იყო მისი კმაყოფილი სახე და ჯანსაღი იერი, რამდენიმე დღეში ყველაფერი ის, რაც წლების განმავლობაში გროვდებოდა, გამქრალიყო.

— ერთი მაგისი... — თავი ასწია და ხელი ჩაიქნია. — რა დედაკაცივით ავწუწუნდი, ჩემებურად ვიქეიფოთ! რაც უნდა იყოს, დროსტარება ხომ შეგვრჩება?

— კი, მეტი არაფერი შეგვრჩება, — მხარი აუბა კაცმა. მეტი ვერაფერით უშველიდა, ვერავინ უშველიდა.

— მაგას არ ვამბობ! — გამხიარულდა იგი და ოფიციანტს გასძახა...

ქვემოთ, რესტორნის დარბაზში ბარბაცით დაადიოდნენ ბახუსი თავისი თანამეინახეებით...

ზემოთ სასტუმრო იყო. იქ, 705-ე ნომერში ქალიშვილი იწვა. თავსასუმალთან ახალგაზრდა კაცი ეჯდა. ქალიშვილს ამორტი ჰქონდა გაკეთებული. მშობლებს ექსკურსიაზე ეგზონათ ქალაქგარეთ. იწვა და ყრუ, დამამცირებელ ტკივილს გრძნობდა. — გტკივა? — მერამდენედ ეკითხებოდა ახალგაზრდა კაცი.

305-ე ნომერში ოჯახი ბინადრობდა; დედა, მამა და ორი შვილი. ქალი საკარძელში იჯდა და აწყვეტილ ღილს აკერებდა მოკლე შარვალზე. ქმარს ეძინა მშვიდი, ჯანსაღი ძილით. წინა ოთახში, რბილ ტახტზე ბიჭები იწვნენ, მოკლედ გაკრეჭილი თავები ერთ ბალიშზე ედოთ, ტყუპები იყვნენ. ქალმა ღილი დაკაერა და სანამ ლოგინში ჩაწვებოდა ბიჭებთან გავიდა; ფეხთრიალდ გადაკოცნა ორივე...

105-ე ნომერში ყმაწვილი იწვა და სიგარეტს ეწეოდა, გვერდზე ქალს ცხელ, თითქოს წებოვან სხეულს გრძნობდა. არ სჯეროდა, რომ ეს იყო ყველაფერი...

411-ე ნომერში ამერიკელი ტურისტი იყო. ოთახში მარიხუანას სუნი იდგა. არ ეძინა, გაუხდელი იწვა და ჯეიმს ბოლდუინის ერთ-ერთ რომანს კითხულობდა...

129-ე ნომერში საკმაოდ შებერებული ალფონსი შამპანურით სავსე ორთომელს სცლიდა.. სადებავიც ვერ ერეოდა ჭაღარა თმას, ჭუჭყიანი ზეწრისფერი რომ დასდებოდა. სარკეს თვალს არიდებდა, ფერადი ყელსახვევი სულ თვალებში ეჩხირებოდა..

205-ე ნომერში ყველაფერს ეძინა:

გია ლიმაკავა
კაცი გალაკანზე

ფანჯრებს, ხარკეს, საწოლებს, ცოლ-ქმარს...

333-ე ნომერში სამსახურებრივ საქმეებზე მივლინებით ჩამოსული კაცი ბინადრობდა. პირველად იყო ამ ქალაქში. ხვალ ადრე უნდა ამდგარიყო და ადრე დაწვა. ახლა ღრმა ძილში იყო წასული...

405-ე ნომერში ქალს არ ეძინა, ეძინა კაცს; ქალი შიშველი იჯდა სავარძელში. ექვსი თვე იყო, რაც ქმარს გაშორდა, ეს მეორე მამაკაცი იყო მის ცხოვრებაში. თმას ივარცხნიდა და ძალაუნებურად ერთმანეთს ადარებდა. მიყვარსო, ფიქრობდა. კაცი ცხრა წლით იყო მასზე უმცროსი. თავდავიწყებით უყვარდა ქალი. ის კი იჯდა და ელოდებოდა. მერე წამოდგა და საბანი გაუსწორა, მხრებთან შემოუკეცა...

113-ე ნომერში მარტოხელა ქალი იყო. ფანჯრებისთვის ფარდები ჩამოეფარებინა, ჩემოდანები ნოხზე გაეშალა და ნივთებს ცალ-ცალკე აწყობდა. ცნობილი სპეკულანტი იყო. ელსმენი წამდაუწუმ რეკავდა. ყოველი ნივთის გადაწყობისას ქალი ფასებს ანგარიშობდა. აქედან, როგორც ყოველთვის, კმაყოფილი უნდა წასულიყო...

— გტკივა? — ისევ ეკითხებოდა 705-ე ნომერში ახალგაზრდა კაცი.

ქალი არაფერს ამბობდა. უფერულად იღიმებოდა მხოლოდ.

●

ადრე გაღვიძა. თავი უხერხდა, გულზე მძიმედ დასწოლოდა რაღაც. მარცხენა მკლავი სტეხდა. წამოდგა და ბარბაცით გავიდა საბანაოში. ონკანი მოუშვა. გახურებულ სახეზე წყალი შეიცხა. სარკეში, თვალებდასივებულ, თმაგაბურძგნულ ორეულს შეაკვლო თვალი. წვერი უნდა გაეპარსა, მაგრამ არაფრის თავი არ ჰქონდა. სხეულში სიცარიელეს გრძნობდა. ხელ-ფეხი დაბუქებოდა. ცივი შხაპის ქვეშ დადგა. წყალმა [illegible] ტანი, მაგრამ კიდევ უფრო მიძნელა ისტკივდა თავი. რალაც მარწუხებივით უჭერდა საფეთქლებზე. ტანი შეიმშრალა, ფეხების გაშშლაც ბისას წონასწორობა დაკარგა და მეტლახის ცივ, წებოვან იატაკზე დავარდა. სასმელი არ გამონელებოდა, ისევ ბახუსის ტყვეობაში იყო. რის ვაი-ვაგლახით წამოდგა და კაბინეტში გავიდა. ფანჯარა გამოაღო. ცას მოლურჯო-ნაცრისფერი შეეპარვოდა, ლამპიონები გაფერმკრთალებულიყვნენ. ქუჩაში ბოთლების წკარუნით ჩაიარა რძის ავტოფურგონმა. შესცივდა. ოთახში შებრუნდა და ხალათი ჩაიცვა. ოფლის ლაშქსუნი მკვეთრად იგრძნო. „ვასარეცხია", გაიფიქრა. საათს ახედა, ექვსს წუთები აკლდა. საწერ მაგიდაზე დადებულ სიგარეტის გახსნილ კოლოფს დასწვდა. მოუკიდა. ნაფაზი დაარტყა თუ არა, გულს რეგი იგრძნო. პირზე ხელი აიფარა და საპირფარეშოსაკენ გავარდა; ლმის გულ-ღვიძლი ამოაყოლა. ისევ საბაზანაში შევიდა და პირი დაიბანა. თავბრუ დაეხვა, თვალებში ყვითელ-მოშავო ფანტელებმა დაიწყეს ფარფატი. აბაზანის კიდეზე ჩამოჯდა. უაზროდ მიაჩერდა კუთხეში მიყრილ პუტყიან პერანგებს, წინდებს და საცვლებს. თავბრუსხვევამ გაუარა. წამოდგა და საძინებელ ოთახში გავიდა.

გაოცებული შედგა კარებში. მის ლოგინში ვიღაც იწვა. კაცი უტყვად მიაჩერდა. ქალს ხელები თავქვეშ ამოედო, შიშველი მხრები უჩანდა, მშვიდად სუნთქავდა.

კაცმა მხრები აიჩეჩა, არაფერი ახსოვდა. ფეხაკრეფით მივიდა ფანჯარასთან, გამოიღო. მობრუნდა და ქალს მიაჩერდა.

მძინარემ თითქოს მზერა იგრძნო, შეაშმუშნა. ზურგზე გადაბრუნდა, შუბლი შეიკმუხნა, რაღაც ჩაიბუტბუტა, თვალდახუმულმა წამოიწია, ლოგინზე წამოჯდა და თვალები გაახილა. სწრაფი მზერა მოავლო ოთახს. კაცის თვალებს წაეწყდა. გაიღიმა.

კაცი გაოცებული მისჩერებოდა. ოთახში სიჩუმე გამეფებულიყო.

— [illegible] — მხრებში მოიწუხა ქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი, — ფანჯარა დახურე! — ხმაში პრეტენზია გამოკრთა.

კაცმა უხმოდ მიხურა ფანჯარა.

— რომელი საათია?

— ექვსი უკვე იყო... — თქვა კაცმა. — საშინლად მტკივა თავი...

— არც მიკვირს, — ისევ გაიღიმა ქალმა. — წუხანდელის შემდეგ როგორ ხარ ცოცხალი, ის უფრო გასაკვირია.

— რა მოხდა? — ჩავარდნილი ხმით იკითხა კაცმა.

— უღვთოდ სვამდით... ისეთი მთვრალი იყავი!

— ვისთან ერთად? — არაფერი ახსოვდა.

— შენი მეგობარი იყო.

— მერე? — კაცი ნაწილობრივ აზრზე მოვიდა.

— მერე ქალაქგარეთ ვაპირებდით წასვლას. შენ კიდევ დაიკენე. გინდა თუ არა, სახლში უნდა მივიდეო, ბიჭი მელისო. მანქანიდან ხტებოდი, ძლივს ამოგიყვანე კიბეზე...

ქალი საწოლიდან გადმოიხარა და იატაკზე ხელი მოაფათურა.

— აქ სიგარეტი იყო...

კაცმა ხალათის ჯიბიდან კოლოფი ამოიღო და გაუწოდა. ასანთი გაჰკრა. ქალმა ბალაში წამოსწია და საწოლის საზურგეს მიეყრდნო. პატარა, მკვრივი მკერდი ჯამოუჩნდა. კაცი უაზროდ მიაჩერდა ყავისფერ ძუძუსთავებს. ქალმა მზერა დაიჭირა, მაგრამ სიბანი არ აუწევია. კაცმა გვერდზე გაიხედა.

— მერე... — თქვა ქალმა და მკერდში ჩაგუბებული ფერმკრთალი ბოლი ამოუშვა, — ტირიდი! ვერაფრით დაგაწყნარე. პირველად ვნახე კაცის ტირილი. მთვრალი რომ არ ყოფილიყავი, შემეშინდებოდა.

— რა მატირებდა? — ნაძალადევად გაიღიმა კაცმა.

— შვილი დამეკარგაო, სულ ამას ამბობდი. მართლა გყავს შვილი?

— კი, — თავი დაიქნია კაცმა. რომელსაც ყველაფერი გაახსენდა და რაღაცნაირი სასოწარკვეთილება დაეუფლა. — თავი მტკივა... — უმწეოდ ჩაილაპარაკა.

— ახლავე მოგიგვლი! — საწოლიდან წამოდგა ქალი. — საუზმე და სასმელი მოგიხდება, წუხელ წამოვიდე რადაცეები, ვიცოდი, არაფერი არ გექნებოდა.

ქალს სწორი, გრძელი ფეხები ჰქონდა, თლილი მხრებით ქანდაკებას ჰგავდა. ოც წელზე მეტის არ იქნებოდა. კაცი იმდენად ცუდად გრძნობდა თავს, რომ ქალის სიშიშვლემ მასში ზიზღი გამოიწვია. ფანჯრისკენ გაბრუნდა.

ქუჩის კუთხეში ძველი მარკის ნაცრისფერი „ვოლგა“ გაჩერდა. წვერგაუპარსავი კაცი გადმოვიდა, საბარგული გაალო და მაწვნით სავსე ქილებიანად მოპირდაპირე სახლის, სადარბაზოში გაუჩინარდა...

— ჩასაცმელი გექნება რამე? — ეკითხა ზურგს უკან. მიბრუნდა; ქალი ისევ შიშველი იდგა სავარძელთან, ხელში მწვანე ფერის კაბას ატრიალებდა.

— მეზარება ამის ჩაცმა, — კაბა სავარძლზე გადაჰფინა.

კაცი უხმოდ მისჩერებოდა.

ქალს ღიმილი გაუფერმკრთალდა, ხელები ნელა აიფარა მკერდზე. თვალებში დაბნეულობანარევი ლოდინი აესახა.

— კარადაში იქნება რამე! — ხელი ჩაქნია კაცმა და ისევ ფანჯრისკენ გაბრუნდა.

მემაწვნე სადარბაზოდან გამოვიდა, მანქანასთან შედგა და ხელისგულზე დაყრილი ხურდა გადათვალა; მერე ზემოთ აიხედა, თავი გაიქნია და „ვოლგაში“ ჩაჯდა. მანქანა იდგილს მოსწყდა. ლურჯი კვამლი დატოვა, რომელიც კედელს აჰყვა და მესამე სართულის ფანჯრებთან ჰაერს შეერია.

ტროტუარზე ღიპიანმა კაცმა ჩაიქუნქულა. ზოლიანი რეტუში და ახალთახალი კედები ეცვა. თავი მაღლა ეჭირა, თითქოს სახლებს მიღმა რამის დანახვას ცდილობდა. მოკლე ხელ-ფეხი

ჭერნდა. საღარბაზოსთან წრე შეკრა და უკან გაძუნძულდა. მოპირდაპირე სახლის ფანჯარაში გადმომდგარმა თეთრმაისურიანმა, მკერდბანჯგვლიანმა კაცმა ოთახის სიღრმეში ვიღაცას გასძახა. ფანჯარაში თმაწეწილი ქალი გამოჩნდა, სალამური პერანგი ეცვა. ერთი წამით თვალი გააყოლა მორბენალს, ახარხარებულ ქმარს ახედა და ისევ სიბნელეში შთაინთქა. კაცს სიცილი თითქოს ჩამოხსნესო, ცოტა ხანს დაბნეული იყურებოდა, მერე პირდაპირ გამოიხედა, მორბენალის მზერას წაეწყდა, გაბრუნდა და ოთახის სიღრმეში გაქრა...

— მოდი! — მოესმა კაცს, — ყველაფერი მზად არის. — კაცმა ფანჯრის ზურგი აქცია.

ქალს მეზღვაურის მაისური ჩაეცვა. თითქმის მუხლებამდე სწვდებოდა. სახელოები აეკაპიწებინა. მაისური მშვიდროდ ჰქონდა შემოტმასნილი მკერდსა და თეძოებზე. კარებში იდგა, მშვიდი, კატისებური გაგმული მზერა ჰქონდა.

— რა? — იკითხა კაცმა.

— საუზმე, საუზმე მზად არის-მეთქი! სასადილო ოთახში გავიდნენ.

— ცივია! — შამპანურის ბოთლი აიღო ქალმა, მაგიდას რომ მიუსხდნენ. — ჰო... — უაზროდ შეხედა ბოთლს კაცმა.

— დავლოოთ! — ქალმა ღვინო ჭიქებში ჩამოასხა და ცოტა მოსვა.

კაცმაც მოსვა; ჯერ გულზე დაეცა, მერე კი ცხვირში დასწიწკლა.

— მისმინე! — უთხრა ქალმა, — მართლა პოეტი ხარ?

— ვიყავი... ახლა უკვე არა ვარ.

— მაინც რას წერ? — არ ცხრებოდა ქალი, — პირველად ვარ პოეტთან.

— არაფერს ისეთს, რამედ რომ ღირდეს. ჩემთვის ვწერ, რომ არ ვწერო, არ შემიძლია.

— შენ გიჟი ხარ, აი! — გაიცინა ქალმა.

კაცს არაფერი უთქვამს. ერთი ჭიქა კიდევ დალია, რომელმაც ისევ ბახუსისკენ შეაბრუნა. სხეული გაუთბა, თავი შეუმსუბუქდა, მაგა გაეხსნა; სიფრფიფანად დაკრილ ძეხვს და ყველს გადასწვდა.

ქალი ჩუმად უყურებდა, გამობურცული ტუჩის კუთხეებში ოდნავშესამჩნევი დამცინავი ღიმილი გამოკრთოდა. ეს დაცინვა მისი გამოუცდელობის ბრალი იყო. გამოცდილი ქალი არასოდეს დასცინებს კაცს, ვინაიდან მისი ფასი იცის. იგი კი იმასთან მიდიოდა, ვინც გარეგნობით მოსწონდა. იმაზე არ ფიქრობდა, მერე, რამდენიმე წლის შემდეგ, რა იქნებოდა, რით იცხოვრებდა.

კაცმა წინა ღამით თავისდაუნებურად შეურაცხყო იგი, — მომლოდინე ქალი გაეწბილა. ქალმა რის ვაი-ვაგლახით დააწვინა, გვერდზე მიუწვა, მან კი იმწამსვე დაიძინა. ქალი იწვა მძინარე კაცის გვერდით და სიგარეტს ეწეოდა. თეძოზე მისი სხეულის სითბოს გრძნობდა, რაც კიდევ უფრო ახელებდა. რამდენჯერმე სცადა მისი გაღვიძება, მაგრამ ამაოდ; კაცი უგონო მთვრალი იყო. ქალს არაფერი დარჩენოდა, რომ თავისი შშაგი სხეული დაეოკებინა, რამდენიმე სიგარეტი მოსწია და დაიძინა. დილით რაღაც ქალური ენაზე კაცში. თანაც კაცის უჩვეულო ტირილმა თითქმის დაარწმუნა. გამოუცდელი ქალები კი ყოველთვის ცდილობენ, დასჯაბნონ თავიანთი თუნდაც უნებლიე გამწბილებლები...

ქალმა კაცს გახედა, რომელსაც თეფშისთვის თვალი გაეშტერებინა და ეიხვის ბუტერბროდს ღიჭავდა. საშინლად მოუნდა, როგორმე გაეღიზიანებინა.

— მისმინე!

კაცმა ისე ახედა, თითქოს პირველად დაინახაო.

— შენი ცოლი სად არის? — ჰკითხა ქალმა.

— რომელი ცოლი? — კაცმა მხრები შეიშმუშნა.

— შენ რა, ძალიან ბევრი გყავდა? — ქალმა ამრეზით შეხედა. — აი ის, შენი შვილის დედა!

— ჰო...—ჩაფიქრდა კაცი.—დაიღუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პა, — თქვა უცებ, — მაწყენინო გადავიჩეხეთ ხრამში... ბიჭს მას შემდეგ მოჰკვეთეს ფეხები... — თვითონვე დაიჯერა, რაც თქვა. ახლა წინააღმდეგი არ იქნებოდა, ისე ყოფილიყო.

— ლამაზი იყო?

— ვინ?

— ცოლი!

— კი, ძალიან... გაზაფხულივით ლამაზი იყო...

— დიდი ხანია, რაც ეგ მოხდა? — ქალის ხმაში აბუჩად ამგდებ კილოს სიმძიმე შეეპარა.

კაცმა მარჯვენა ხელით მარცხენა მტევნის თითები გადათვალა, მერე მარჯვენას ნეკი და არათითიც მოხარა;

— შვიდი წელია... ჰო, შვიდი...

— მერე?

— მერე მარტო ვარ... — კაცისთვის ყველაფერი რეალური, ხელშესახები გახდა.

ქალს არაფერი უთქვამს. მაგიდისკენ დაიხარა და სიგარეტს გადასწვდა. მოუკიდა, ტუჩები მოამრგვალა და ბოლის რგოლებად ამოსუნთქვა სცადა, არ გამოუვიდა.

კაცი ჩაფიქრებული უყურებდა.

— ის რა კაცია? — ახედა ქალმა.

— ვინ?

— შენი მეგობარი.

— საწყალი კაცია.

— საწყალი?! ამდენი ფულის პატრონი და საწყალი?

კაცმა ჭიქა დასცალა და მაგიდაზე ფრთხილად დადგა. ქალს ახედა. იგი დაბნეული უყურებდა.

— მოდი ჩემთან! — უთხრა კაცმა. მოფერებამონატრებული ხმა იყო, თხოვნას უგერგილო ბრძანების კილოთი ნიღბავდა მხოლოდ.

ქალი მუხლებზე დაუჯდა, სუნამოშეზავებული ჯანსაღი სხეულის სურნელი ასდიოდა. კაცს თავზე ხელი მოჰხვია და მკერდზე მიიკრა. თითები თმაში შეუცურა.

კაცს გული შეუქანდა, შეუმსუბუქდა. სხეული ენერგიით აევსო. თვალებმინაბული ქალი ყურისძირში ჰკოცნიდა. კაცს ტანში ჟრუანტელი უვლიდა, გული ამოვარდნაზე ჰქონდა; ისე იყო, როგორც ჭაბუკი პირველ ქალთან.

ქალი თვალებახუჭული იწვა და მძიმედ სუნთქავდა. მერე კაცის ხელი აიღო და აკოცა; უნებლიე მოქმედება იყო, გაუაზრებელი, რაც ალბათ მადლიერებას და ათასწლოვან მორჩილებას გამოხატავდა.

კაცმა ხელი გამოგლიჯა, მზად იყო მიეხრჩო. იგი მასში თავის სისუსტეს ხედავდა. ქალი რომ ნეტარების ბურანში იყო, ეს კიდევ უფრო აღიზიანებდა.

— დაიწყე, — თქვა კაცმა, — მოჰყევი!

— რა?...

— როგორ თუ რა? რაიმე გულის ამაჩუყებელი, თუნდაც ის, თუ როგორ შეგაცდინა პატარა გოგო ცოლ-შვილი-ანმა კაცმა. მერე როგორ მიდიოდი მასთან ჩუმად, გულის და მუხლების კანკალით, რომ არავის გაეგო...

ქალი დუმდა, გაოცების დუმილი იყო.

ან კიდევ როგორ არ გაგიმართლა ცხოვრებაში, როგორ შეგხვდა უხეში, ლოთი ქმარი. როგორ გცემდა ყოველდღე. ბოლოს როგორ ვეღარ გაუძელი და გაექეცი... თქვი! — გაშმაგდა კაცი, — თქვი! შენ ხომ ბევრისთვის მოგიყოლია?

ქალმა თავი ბალიშში ჩარგო, მხრები აუცახცახდა.

კაცი საწოლიდან გადმოიხარა, სიგარეტი მოძებნა და მოუკიდა. თვალი

გია ლომაძე
კაცი გალავანზე

ჭურს მიაპყრო. ქალის მოგუდული ტირილით ივსებოდა ოთახი. კაცი იწვა და სიგარეტს ეწეოდა. მერე ლოგინზე წამოჯდა. მტირალს თავზე ხელი გადაესვა. ქალი კიდევ უფრო ატირდა.

— რატომ აკეთებ ამას? — ჩავარდნილი ხმით ჰკითხა კაცმა, — რატომ?

ქალი ტიროდა.

— დაწყნარდი!... თუ გინდა, წყალს მოგიტან... მოგიტანო?

— სიგარეტი მომაწევინე... — ჩაისლუკუნა ქალმა. ბალიშიდან თავი აიღო, ბაგეები უთრთოდა, პატარა ცხვირით მალიმალ ისუნთქავდა ჰაერს, ცრემლები ნიკაპთან ენასკვებოდა, გალახულ, ჯიუტ ბავშვს ჰგავდა. სიგარეტის ბოლი ხარბად ჩაისუნთქა.

— ვომაწონხარ... იმიტომ ვარ შენთან...

— მჯერა, — თქვა კაცმა, თუმცა დაჯერება არ შეეძლო.

— მართლა გჯერა? — შეხედა ქალმა.

— კი.

ქალი მიუხვდა და ისევ ატირდა.

კაცი უხმოდ მისჩერებოდა.

— დავიღალე! — ცრემლები მოიწმინდა მტირალმა. — დავიღალე... საშინლად დავიღალე...

— მესმის.

— არა! შენ არაფერი გესმის! შენ მხოლოდ შენი გესმის! შენ არ იცი, რა არის, სახლი რომ არა გაქვს და არც იცი, გექნება თუ არა. თანაც არაფრის გაკეთება არ შეგიძლია, ისე ხარ მიჩვეული ყველაფერს... არ ვამბობ, ბევრი რამ ვნახე-მეთქი, მაგრამ, რაც ვნახე, ჩემთვის საკმარისზე მეტია...

— დამშვიდდი!

— არა! მე კერ გიტან! ვერავის ვიტან! ყველა ჩემი მტერია! მთელი სამყარო ჩემი მტერია! ერთი რამის გარდა, არაფერი იცით, სხვა არც გაინტერესებთ. მიაღწევთ თუ არა ამ უბადრუკობას, მერე იცინით, ან კიდევ ჯუმყიანი, ოფლიანი ღორებივით ხრიტინებთ. თქვენ ყველანი ღორები ხართ! ბინძური, ბილწი ღორები!—ქალი ლოგინიდან წამოიწია, კაცს სიბრაზისგან ანთებული თვალებით მიაჩერდა, — ახლა დამარტყი! ესეც ხომ გეხერხება? დამარტყი! რატომ არ მცემ? არ შეგიძლია? მერე რა, სხვებს, შენნაირებს ხომ შეუძლიათ!..

— დამშვიდდი! — თავზე ხელი გადაუსვა კაცმა. ადგა და ოთახიდან გავიდა. სასაღილო ოთახში შევიდა, ბოთლი ჭიქაში ჩააპარქვავა და სულმოუთქმელად გამოსცალა...

ოთახში როცა დაბრუნდა, ქალს ჩაეცვა და ფანჯრასთან იდგა. საოცრად ლამაზი იყო. კაცი კარებში შედგა, ვერ დაიჯერებინა, რომ რაღაც ოცოდე წუთის წინ მასთან იწვა. ქალი შემობრუნდა და მზერა ცივად გაუსწორა.

იგი უძრავად მისჩერებოდა. ქალს მზერა გაუთბა, თავი დახარა: — მაპატიე! — თქვა ჩუმად, — მაპატიე...

კაცმა მხრები აიჩეჩა, მეტი ვეღარაფერი მოახერხა. მან ის უთხრა, რაც თვითონ უნდა ეთქვა. ყველაფერი მისი ბრალი იყო. ისე უნდა მოქცეულიყო, როგორც ყველა სხვა; არ უნდა ეთქვა ის, რისი თქმაც მეტ-ნაკლებად ყველას შეუძლია, მაგრამ არ ამბობს, ვინაიდან აქედან მათთვის კარგი არაფერი გამოდის. ან ვის რაში სჭირდება სინამდვილე, ისეთი, როგორიც არის? ადამიანები ხშირად ბაურებიან იმათ, ვინც ყველა საგანს თავის სახელს ეძახის. კაცს შერცხვა, ამ ასაკში მარტოობას შეჩვეული ადამიანები თუ ინარჩუნებენ ამ კიდევ ერთ ჭეშმარიტ გრძნობას, რომელიც ბავშვობასთან ერთად უკან რჩება. და მასავით ხშირად არ მოიგონება...

— არა! — თქვა მან, — შენ რა შუაში ხარ? ჩემი ბრალია.

ქალი ჯერ კიდევ ვერ გამოსულიყო იმ აპათიიდან, ისტერიკას რომ მოსდევს

ხოლმე. არაფერი უთქვამს, უაზროდ ახედა მხოლოდ.

კაცი ცოტა ხანს უყურებდა, მერე ხელი ჩაიქნია და კარადასთან მივიდა. პერანგი გამოიღო, მეორე ოთახში გავიდა და ჩაიცვა. წვერი გასაპარსი ჰქონდა, მაგრამ საშინლად ეზარებოდა, არც სამსახურში წასვლის თავი ჰქონდა.

— წავედით! — გასძახა ფანჯარასთან მდგომ ქალს.

კიბე უხმოდ ჩაიარეს. ქუჩაში გავიდნენ.

— საით? — ჰკითხა კაცმა.

— რეპეტიცია მაქვს... შენ?

— ბიჭი უნდა ვნახო!

ქალს არაფერი უთქვამს, ქუჩის კუთხიდან გამოსულ ტაქსს ხელი აუწია.

— არ წამომყვე, მარტო წავალ! — უთხრა კაცს მანქანა რომ გაჩერდა. კარი შეაღო. — თუ გინდა საღამოს გამომიარე... ან მე თვითონ მოვალ...

— მე გამოგივლი, — კაცმა ქალის მომლოდინე თვალებს მზერა აარიდა.

— კარგი, რა გაეწყობა, — მარცხენა ხელით ჩამოშლილი თმა გაისწორა ქალმა, ტაქსში ჩაჯდა და კარი მიხურა.

მანქანა ადგილს მოსწყდა. მძღოლი ახალგაზრდა იყო, ხანდახან სარკეში თვალს შეავლებდა ქალს. მერე ნაცნობი და ამავე დროს უცნობი მელოდიის სტვენა დაიწყო ხმადაბლა.

ქალი უკანა სავარძელში იჯდა და კაცზე ფიქრობდა; ფერმკრთალ, დაღლილ სახეს სიმძიმე შეჰპარვოდა.

●

ბიჭს დიდი, მწვანე თვალები ცრემლებით ავსებოდა, მხრგაჩამოყრილი იჯდა და ხელები გულზე დაეკრიფა.

— მაპატიე, ჩემო ბიჭუნ! — ჩუმად თქვა კაცმა.

— შენ ხომ თქვი, როგორც კი დავწერ, მაშინ მოვალო!

— დავიწყე, მაგრამ მომენატრე და მოვედი, რომ არ მენახე, ისე ვერ დავწერდი.

— მართლა? — ახედა ბავშვმა, — მართლა მოგენატრე? ასე მამა მეუბნება ხოლმე.

— კი, — კაცმა თავზე ხელი გადაუსვა.

— ბევრი დაწერე?

— ჰო, — იცრუა კაცმა, — თითქმის ნახევარი...

— ცარიელი ადგილები თუ დატოვე ჩემი ნახატებისთვის? — შეშფოთდა ბიჭი.

— კი, როგორ არა.

— ძალიან კარგი, — დინჯად თქვა ბიჭმა. მეხუთე დღე იყო, მის მოსვლას ელოდა. რამდენჯერმე დალილასთან კინაღამ წამოსცდა მისი ამბავი, მაგრამ ბავშვური საიდუმლოების სიტკბომ სძლია და არაფერი უთქვამს.

კაცი ძმიმედ ჩაეშვა ბალახში, საკარძლის გვერდით. ხალხით გადატენილი ავტობუსით მეზავრობამ მოჰქანცა, დილით დალეულმა შამპანურმა მოთენთა და რული მოჰკიდა.

— შენ დღეს რაღაც გეჭირს, — გაკვირვებით შეხედა ბიჭმა. — ავად ხომ არ ხარ?

— მთვრალი ვარ... — ძმიმედ თქვა კაცმა.

— მთვრალი? ეგ ხომ ცუდია! სიმთვრა-ლე! — დამარცხა ბავშვმა.

— ხანდახან საჭიროა... — ნაღვლიანად გაიღიმა კაცმა.

— რატომ?

— არ ვიცი, საჭიროა რომ არ იყოს, მაშინ არავინ დალევდა.

ბიჭმა ვერაფერი გაიგო და არც ჩასძიებია.

— ბორკომი გინდა? — ჰკითხა. მამამისი ნასმურევზე სულ ბორკომს სვამდა. — თუ გინდა, მოგიტან!

— არა, არ მინდა, — კაცი ბალახებში გადაწვა.

ბიჭი გაოცებული მისჩერებოდა. პი-

ჯიპ ლიფაძე
კაცი ბალავანზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რველად ხედავდა, უფროსი რომ მიწაზე დაწვა.

— ადექი, გაცივდები!

— მე არასდეს გავცივდები!

კაცს ერთი წამით ბავშვობა გაახსენდა და რატომღაც კინოთეატრის დირექტორი, რომელიც ყველაზე საპატიცემულო და დიდი პიროვნება იყო მისთვის მაშინ. უნებლიეთ გაეცინა.

— რა გაცინგმს?

— არაფერი.

— არაფერზე სიცილი შეიძლება? — დაეკვდა ბიჭი.

— კი შეიძლება.

ბავშვმა ბალახზე მწოლ კაცს დახედა, — სიცილი რა არის? — ჰკითხა.

— სიმართლე გითხრა, არ ვიცი. — კაცმა მართლა არ იცოდა, რაღა მაინც-დამაინც ბგერებად გადმოსცემდა ადამიანი სიხარულს, რაიმე კომიკური სიტუაციას ან ანეს და არა ჩუმად, ხმამაღლებლივ, ხელების ან თავის ქნევით. ამ აზრმა კაცს უხმოდ თავებას მოკანტური ადამიანების ბრბო წარმოადგენინა: ზოგი დარბაისლურად, დინჯად იქნევდა თავს, ზოგი კი მეტრონომის ქანქარასავით. კაცს სიცილი აუტყდა. ხმამაღლა იცინოდა.

ბიჭსაც გადაედო. კაცი გულაღმა იწვა, თვალებდახუჭული და ცას შესცინოდა. ბიჭს კი სავარძლის სახელურებისთვის მაგრად ჩაეჭიდა ხელები და მხრები უცახცახებდა...

— ამდენი არასდეს მიცინია! — გაიცინა ბიჭმა ბოლოს.

— არც მე! — დაემოწმა კაცი. აუზში ჩაშვებული რეზინის მილი აიღო და ჭავლს სახე შეუშვირა. წყალი პერანგის საყელოში ჩაედარა, თავზეც გადაისხა.

ბავშვი აღტაცებული უყურებდა.

— მეც მინდა!—სავარძელი მიაგორა.

— არ შეიძლება.

— რატომ? გთხოვ რა, მეც მინდა!

კაცს გული დასწყდა; ბიჭი რომ მისი შვილი ყოფილიყო, მაშინ მასაც გაუშვადა, მერე სახლში წაიყვანდა, სველ ტანსაცმელს გამოუცვლიდა, დაწვენდა და დაძინებამდე რაიმეს მოუყვებოდა. მილი ისევ აუზში ჩადო. ჯიბიდან დაჭმუჭნული ცხვირსახოცი ამოიღო და სახეზე მოისვა.

ბიჭი თვაჩაღუნული იჯდა. მთელი თავისი იერით წყენას გამოხატავდა.

კაცი მიუახლოვდა და თავზე ხელი გადაუსვა. ბიჭმა ხელი გაიქნია.

— შემირიგდი! — თქვა კაცმა, — შენთვის მართლა არ შეიძლება, გაცივდებოდი და სიცხე გექნებოდა.

— შენ? — ჯიუტად თქვა ბავშვმა.

— მე რა გამაცივებს? არც შენ გაცივდები, ჩემხელა რომ გახდები.

— შენხელა რომ ვიქნები, მაშინ ყველაფრის გაკეთება შეიძლება, რაც მინდა?

— ყველას თუ ენდომება, შენ რაც გინდა, ის აკეთო, კი...

— ვინ ყველას?

— იმათ, ვინც შენს ირგვლივ იქნება.

— დალილა გარეთ არ მიშვებს, როცა ცივა. მამა კი ღამე, ძილის წინ არ მაკითხებს, შუქს გამორთავს ხოლმე! — დაიჩივლა ბავშვმა.

— ეგ არ არის მთავარი.

— აბა?

— მერე რომ გაიზრდები, ბევრი რამ გამოჩნდება ისეთი, რისი გაკეთებაც გენდომება და ვერ გააკეთებ ან არ გენდომება და იძულებული იქნები გააკეთო.

— აბა, რა უნდა ვქნა?

— უნდა მოითმინო, იმით დაკმაყოფილდე, რაც არის.

— დიდხანს უნდა ვითმინო?

— სანამ ჩემხელა გახდები. „მერეც უნდა ითმინო... ბოლომდე...“

ბიჭი ჩაფიქრდა.

— კარგი, — თქვა ბოლოს, — ოღონდ შენსავით მინდა ვიყო!

— ჩემსავით?

— ჰო!..

— არ გინდა...

— რატომ?

— არ ვიცი... შენ ჩემზე უკეთესად

უნდა იყო. რაც ახლა ხარ, ის უნდა იყო! მე რომ ისეთი დავრჩენილიყავი, შენი ხნის რომ ვიყავი, ახლა კარგად ვიქნებოდი.

— რატომ?

— ბევრი რამ არ მეცოდინებოდა, ბევრსაც ვერ მივხვდებოდი...

— როგორ?! — გაოცდა ბავშვი, — ბევრი რამის ცოდნა ცუდია?

— ბევრი რომ იცი, ბევრს მოითხოვ; მერე კიდევ არის რაღაცეები...

— რა?.

— დრო მოვა, გაიგებ...

— ნეტა მალე გავხდებოდე შენხელა! — ინატრა ბიჭმა.

— გახდები, — გაეცინა კაცს. — მალე გახდები. ჩემზე დიდი გახდები.

ჩუმად ისხდნენ; ორივე თავისას ფიქრობდა, კაცი ბალახის ღეროს წიწკნიდა. ბიჭს სახეზე ღიმილი დასთამაშებდა. სიჩუმეს სადღაც, ბაღის ბოლოში დაბუდებული ბულბულის გალობა არღვევდა მხოლოდ და აუზში თუ შეხტებოდა თევზი...

●

კარებში იდგა, ნაწყვეტ-ნაწყვეტად სუნთქავდა და დამნაშავესავით იღიმებოდა. მისი ჩაფიქრებული მზერა კიდევ უფრო აბნევდა.

— მოვედი... — თქვა ბოლოს, ნასვამი იყო.

კაცი გვერდზე გადგა. ქალი წინკარში შევიდა, კარი გამოიხურა და ზურგით მიეყრდნო. — არ მელოდი? — უხერხულად იკითხა.

— არ ვიცი... — კაცმა მხრები აიჩეჩა.

— წავალ მაშინ! — ქალს ეს კაცის გამოსაცდელად არ უთქვამს.

— რატომ? დარჩი! — უბრალოდ თქვა კაცმა.

— სულ წამოვედი...

— ჩემთან?

ქალმა ახედა: — არა, შენთან არა... შენთან ორი-სამი დღით, სანამ საბოლოოდ გავასწორებდე ანგარიშს.

— მერე სად წახვალ?

— არ ვიცი, ალბათ სახლში, ბევრთან...

— მაინც რატომ წამოდი?

— არ ვიცი... არ ვარ მე სამგისო! კაცმა გაკვირვებით შეხედა.

— არ ვარ! — მზერა გაუსწორა ქალმა, — არ ვარ! — ხმაში სიბრაზე დაეტყო.

— კარგი, აქ რას ვუდგავართ?!.

— რაც გინდა, ის გაკეთე, — უთხრა, ოთახში როცა შევიდნენ. — მე სამუშაო მაქვს და ნუ შემაწუხებ. თუ გშია, მაცივარში არის რაღაცეები. შეგიძლია აბაზანაც მიიღო, პირსახოცები კარადაშია... — კაცი გაჩერდა, — საწოლის თეთრეული კიდევ პატარა კარადაშია... — გამობრუნდა და ოთახიდან გავიდა.

საწერი მაგიდიდან ძველი ქაღალდები გადმოხვეტა, დაჭმუჭნა და კალათში ჩაყარა. უჯრიდან ახალი დასტა ამოიღო.

●

როდესაც სამუშაო ოთახიდან გამოვიდა, ქალს შხაპი უკვე მიეღო და კაცის პერანგებს, ცხვირსახოცებს და წინდებს რეცხავდა. კაცი საბაზანის კართან შედგა. თავის საყელოგაუჭყეინებული პერანგების დანახვაზე შერცხვა და უკან გაბრუნება დაიპირა.

— ცოდო ხარ, — ღიმილით გამოხედა ქალმა, — რამდენი დღე გეცვა მაინც?

— სამი.

— შენ თვითონ რეცხავ?

კაცმა თავი დაუქნია და ხელი სველი პერანგისკენ გაიშვირა.

— არა, — თავი გაიქნია ქალმა, — სრულებით არ მიჭირს ამის გარეცხვა, პირიქით, მეხალისება კიდეც. საცვლებს სად მალავ? ალბათ ისიც გასარეცხი იქნება.

გია ლომაძე
კაცი გალავანზე

ქალის მოურიდებლობამ კაცი კიდევ უფრო დაამორცხვა და ვერაფერი თქვა.

ქალმა აბაზანაში სარეცხის ფხვნილი ჩაყარა და ხელის მოსმით აეჭფა. სხარტად გადაიხარა, ღონივრად გაუსვა ხელებში ჩაჭერილი ქსოვილი ერთმანეთს. სველი თმა სარეცხით დაემაგრებინა კეფაზე.

— აჰა! — გაუწოდა პერანგი კაცს, — გაწურე!

კაცმა პერანგი პირსაბანში ჩაწურა...

— სამაგრები არ გაქვს? — ჰკითხა ქალმა.

— კი, კედელზე ხელი მოაფათურა კაცმა, — ოღონდ მე გავფენ.

— როგორც გნდა.

ოთახში რომ შემობრუნდა, საბაზანოდან ღიღინი და წყლის ჩხრიალი მოესმა; სიმყუდროვე იგრძნო ისეთი, იდრე რომ იყო ხოლმე...

— რომელი საათია? — გასძახა ქალმა.

— ოთხის ნახევარი.

— ფული გაქვს?

— არა.

— სავარძელზე ჩემი ხელჩანთა დევს, იქ არის და აიღე. ბაზარში წადი, რამე მოიტანე.

კაცს არაფერი უთქვამს, საბაზანოში შევიდა და რეცხეით გართული ქალს მიაჩერდა.

ქალი წელში გაიმართა. მკლავით ოფლით დაცვარული შუბლი გადაიწმინდა. შეხედა და გაიცინა. სარეცხით სავსე სათლი გაუწოდა, — ესეც გაჰფინე.

კაცმა სათლი გამოართვა, ცოტა ხანს ხელში ეჭირა, მერე იატაკზე დადგა, გაიმართა და ქალს ხელები მაგრად მოხვია. სველი, ათრთოლებული ტუჩები მოიმწყვდია. ქალს წინააღმდეგობის გაწევა არ უცდია, თვალები დახუჭა მხოლოდ. კაცმა იგი ხელში აიტაცა...

— ბაზარში არ წავიდეთ? — ჰკითხა ქალმა.

— ჰო. — კაცი ზურგზე იწვა, მძიმედ სუნთქავდა.

— არ წავიდეთ? — მხარზე აკოცა ქალმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰო...

— პიჯაკს ჩაიცვამ?

— არა, — წამოდგა კაცი.

სადარბაზოში, ეუჩაში გასვლისას, მეზობელი შემოხვდათ. გაოცებული, ხარბი ცნობისმოყვარეობით მიესალმა კაცს და მიმავლებს მზერა გააყოლა. დედაკაცს ერთი სურვილი ამოძრავებდა მხოლოდ; ყურადღების ცენტრში უნდოდა ყოფნა და ამის გამო ყველას ცხოვრებას უშხამავდა. ახლაც სირბილით აუყვა კიბეს, რომ ტელეფონით სხვებისთვის შეეტყობინებინა ქალის და კაცის ამბავი...

●

კაცი თვალგახელილი იწვა. ფანჯრიდან შემოჭრილ მკრთალ შუქში ჩაძირული საგნების ბაც კონტურებს აკვირდებოდა. ქვემოთ, ეუჩაში ხანდახან თუ გაიღვლიდა მანქანა. ხმა თანდათან მოახლოვდებოდა, ფანჯრის გაბზარულ მინას აანრიალებდა და მერე ისევე მიწყდებოდა, როგორც ჩაისახა.

კაცს რაღაცნაირი სასოწარკვეთილება დაუფლებოდა. ფიქრებით დამძიმებულ სულში ეჭვი შეპარულიყო. იგი ბიჭზე და იმაზე ფიქრობდა, რაც მისთვის უნდა დაეწერა; არაფერი გამოდიოდა, არ იცოდა, როგორ დაეწერა საწინააღმდეგო იმისა, რაც გალავნის მიღმა, აქ, ქალაქში ხდებოდა. ბიჭს არ უნდა სცოდნოდა, რომ არსებობდა მკვლელი და მოკლული, მძარცველი და გაძარცული, სიყვდილმისჯილი და ჯალათი, ახლად დაბადებული უმანკო ყრმა და ცოდვების ტალღებისაგან გარიყული, მბორგავი მომაკვდავი... ბიჭს უნდა სცოდნოდა, რომ ყველგან სიცოცხლე ზეიმობდა თავისი წარმტაცი მრავალფეროვნებით! და არა მარტო სცოდნოდა, ბოლომდე დაეჯერებინა კიდეც! მთელი თავისი ხანმოკლე თუ გრძელი ცხოვრების მანძილზე დაეჯერებინა! ეს არ უნდოდა ეს ლამაზი სიტყვების კონა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსულიყო მხოლოდ, ბიჭი ძვირფასი იყო მისთვის, ისევე, როგორც მისი საკუთარი, მივიწყებული, მეხსიერების მტკივნეულ ბურუსში ჩაძირული ბავშვობა. იგი ბიჭში თავის შვილსაც ხედავდა, რომელიც დაბადებამდე ორი თვით ადრე თავისივე დუქანით, რაც ნებართვას ნიშნავდა, მოაკვლევინა მეუღლეს და მრავალჯერ აღთქმაგატეხილ თეთრხალათიან ქურუმს.

მას არ უნდოდა, ბიჭს მის ნაწერში ის ამოეკითხა, რაზეც თვით იგი სულისმტანჯველ პროტესტს აცხადებდა. იცნება, რომელსაც ვერ გადაეჩვია და უკვე ბოლომდე ვერ გადაეჩვეოდა, სინამდვილედ უნდა ექცია. ისეთი რამ უნდა დაეწერა, ბიჭს მთელი ცხოვრება რომ გაჰყოლოდა და მისი სულიერი სიძლეიცის საყრდენი იქნებოდა.

საამისოდ კაცი უძლურად გრძნობდა თავს და ეს სტანჯავდა და არ აძინებდა; იგი მიხვდა, რომ ამაო და ფუჭი იყო ყველაფერი, რაც აქამდე გაეკეთა.

მას ადამიანთა ურთიერთობა მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულად უნდოდა აღეწერა. გამოერიცხა მისგან ათასწლეულობით შესისხლხორცებული მანკიერება, რომლის წინაშე თვითონაც უძლური იყო. მას, როგორც ყველა ზღაპარში, არ უნდოდა ყოფილიყო ბრძოლა ბოროტსა და კეთილს შორის. საერთოდ არ უნდოდა ბოროტების ხსენება; ბიჭს არ უნდა სცოდნოდა, რა იყო ბოროტება, თუნდაც დამარცხებული. როგორც თავიდან, ისე ბოლოში სიკეთეს უნდა ეზეიმა. მაგრამ ეს ლამაზი მითი არ უნდა ყოფილიყო.

კაცმა მხარი იცვალა. — გძინავს? — ხმადაბლა ჰკითხა ქალს.

— არა... — ისეთივე ფხიზელი ხმა ჰქონდა, როგორც მას.

— რატომ?

— არ ვიცი... შენ?

— არ მეძინება.

— რაზე ფიქრობ?

— ბრაფერზე. შენ?

— შენზე ვფიქრობ.

— რას?

— ძალიან კარგი ხარ...

— კარგი ერთი...

— ყველაზე კარგი ხარ!

— ბევრში გამაძარცინე? — წამოიცადა კაცს, — ჰა? — დააყოლა სიცილით, — ვითომ ვიხუმრეო.

ქალმა ერთხანს იყუჩა.

— რას გაგაბრაზა ასე? — ჰკითხა ცოტა ხნის შემდეგ.

— არ ვიცი... ალბათ იმან, რომ ვერაფრით მოვიწყე ცხოვრება.

— თუ გიცდია მაინც?

— კი, ბევრი ვეცადე, მაგრამ არაფერი გამომივიდა.

— რატომ?

— ალღო ვერ ავუღე იმ წვრილმანებს, რომლებისგანაც თურმე ცხოვრება შედგება, ყურადღებას არ ვაქცევდი...

— მერედა, ამაში ვინმეს ადანაშაულებ?

— არა! — თქვა კაცმა, — არა... ყველაფერი ჩემი ბრალია! — ეს ისე უბრალოდ თქვა, არც კი ეგონა, თუ ასეთი ადვილი სათქმელი იყო.

ოთახში სიჩუმე ჩამოწვა, რომელსაც ქალის ოდნავგასაგონი, მშვიდი სუნთქვა კიდევ უფრო ამკვეთრებდა.

— მისმინე! — სიჩუმე დაარღვია ქალმა. — ცოტა მაინც გიყვარვარ?..

— კი, ცოტაზე მეტად.

— არ მატყუებ?

— რადან მჭირდება? — გაიცინა კაცმა. იგი ამ ათიოდე დღეში ქალს შეეჩვია.

— რატომ დაწუქე მანდ?

— გვიან მოვრჩი წერას, როცა შემოვედი, გეძინა, გაღვიძება არ მინდოდა.

— არ მეძინა, გელოდებოდი! დაამთავრე?

— არა, — თქვა კაცმა, — ვერ ვწერ.

— იქნებ მე გიშლი ხელს?

— არა.

პია ლომაძე
კაცი გალავანზე

— ჰო... — გაეხარდა ქალს, — ამა რატომ ვერ წერ?

— არ ვიცი, დაიძინე! უკვე გვიანაა, ხვალ სამსახურში ვარ წასასვლელი.

კაცი კედლისკენ გადაბრუნდა.

— არ მეძინება...

კაცი დუმდა.

ქალმა ლოგინიდან წამოიწია და სიბნელეს ჩაუკვირდა; კაცის მხრები და კეფა გამოსტაკაცი. ისევ ბალიშზე მიესვენა, სპანში გაეხვია. თვალები დახუჭა, მერე ისევ გაახილა. საგნები უფრო ნათლად გამოიკვეთნენ სიბნელეში. მოწყურდა. ადგა და სამზარეულოში გავიდა. შუქი არ აუნთია, ხელის ფათურით მიაგნო ჭიქას და ონკანს. ცივმა წყალმა ძილი კიდევ უფრო გაუფრთხო. საძინებელ ოთახში დაბრუნდა, ფეხაკრეფით მივიდა საწოლთან და დაწვა. სპანში ჩაგუბებული სიცხე სასიამოვნოდ მოედო სხეულს.

ქალს ძილი არ ეკარებოდა. საბანი მაგრად შემოეხვია მხრებზე და ოთახში ჩამოწოლილ სიჩუმეში მძინარე კაცის მშვიდ სუნთქვას უსმენდა. სიბნელე ხანდახან თუ გაფაფრქრთალდებოდა ქუჩაში მიმავალი მანქანის მოახლოებისას, მერე ყველაფერი ისევ ბნელში ინთქმებოდა და კაცის მონოტონური სუნთქვა ისმოდა. მალე ჩაიარა ყველაზე ბოლო მანქანამაც, რომელსაც ამ ქუჩაზე უნდა ჩაევლო.

ქალი იწვა თვალდახუჭული და დაძინებას ცდილობდა. ბავშვობაში ბებიამისისაგან ნასწავლ და ახლა უეცრად გახსენებულ ძილისწინა ლოცვას იმეორებდა:

დავწვები დამეძინება, — ჩურჩულებდა იგი, — სიზმარი დამესიზმრება, ცხრა ხატი, ცხრა ანგელოზი სასთუმალს დამესვენება....

ფოთლებთან ზოთამაშე სიო აქარდა; გახურებული ასფალტიდან მტვერი, ქაღალდის ნაყუწები, სიგარეტის ცარიელი კოლოფები ახვეტა, კედლების გასწვრივ გაირეკა, მოედნებზე დაბრუნდა და მაღლა აიტაცა. ქუჩების მონოტონური დინება აირია, თითქოს მანქანებმაც სვლას უმატეს. ნაცრისფერმა, გამოხუნებულმა ასფალტმა ხარბად შეისრუტა წვიმის პირველი, გაუბედავი წვეთები. ტროტუარზე მოსიარულეებმა კიდევ უფრო აუჩქარეს ფეხს. მაღლა, სახურავებს ზემოთ გრგვინვამ გადაიარა. გაწვიმდა. წვიმამ ნაცრისფერი ქუჩები და კედლები დაამძიმა. სახლების სადარბაზოები, გაზეთის კიოსკები და ფარდულები ხალხით აივსო. ზემო ქუჩებიდან მოყვითალო ნიაღვრები მოასკდნენ. აქამდე უსიცოცხლო, ფარდით დაფარული სახლების ფასადები წვიმის მოყვარულებით გამოცოცხლდა. წვიმამ იმატა, თითქოს უწყვეტ ნაკადად ეშვებოდა ციდან. მანქანებმა შუქი აანთეს. სადარბაზოებში შეყუჟული ხალხი ჩუმად იდგა, ძალაუნებურად ისვენებდნენ. გარინდებულნი იდგნენ და წვიმას გასცქეროდნენ.

— მაგრად დაუშვა! — ამბობდნენ აქა-იქ, თითქოსდა თავის გასამართლებლად, გადატენილ სადარბაზოებში ახლად თავშეფარებულნი...

ხალხისგან დაცარიელებულ ტროტუარზე, წვიმაში საშუალოზე ოდნავ მაღალი კაცი მიაბიჯებდა. სიარულზე ეტყობოდა, არსად აპირებდა შეყუჟდრებას. შავი პიჯაკი, თეთრი პერანგი და პეწდაკარგული შავი ფეხსაცმელები ეცვა. ხელები ჯიბეებში ჩაეწყო და ყვერდზე მიეკრა. კაცს საოცრად მშვიდი სახე ჰქონდა.

კაცმა გამზირი გადაჭრა და წვიმაში შთაინთქა...

წვიმის წვეთები თავდახრილი ვარდების ფაფუქ ფურცლებზე იცრემლებოდნენ. ყრუ ჩხრიალი ისმოდა ბაღში. ბილიკები ალაგ-ალაგ დატბორილიყვნენ. წვიმას აუზი აევსო, თევზები

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადმოსულიყვნენ და უმჭეოდ სხმარტალებდნენ წითელ ქვიშაზე. კაცი დაიხარა, მფეთქავი სლიპი სხეულები აიღო და აუზში ჩაუშვა. წყალს წინა დღეების სითბო შერჩენოდა. თევზები ცოტა ხანს ზედაპირზე ტივტივებდნენ, მერე კი გონს მოსულნი უეცრად გაუჩინარდნენ აუზის სიღრმეში.

კაცი ბილიკს გაუყვა. ძაღლის ცარიელ ჯიხურს ჩაუარა და სახლს მიადგა. ცოტა ხანს იდგა, თეთრად შეღებილ შესასვლელ კარს უყურებდა ყოყმანით, მერე გამობრუნდა და სახლის კედელს გაჰყვა. ფანჯარასთან შედგა და განათებულ ოთახში შეიხედა. მაგიდასთან ბიჭი და ქალი ისხდნენ. ბიჭს გადაწყლილ რვეულზე თავი დაეხარა და წერდა. ქალს წინ წიგნი ედო, ალბათ ჰკარნახობდა. ხანდახან მზერას ბავშვის რვეულს გადააყლებდა...

კაცი იდგა ფანჯარასთან და წვიმის წვეთები ცივი ეკლებივით ჩხვლეტდნენ თავზე, მხრებსა და ხელებზე. მერე მეორე ფანჯარასთან გადაინაცვლა. ბიჭის ოთახი იყო. იატაკზე გაფენილ ხალიჩაზე სათამაშო რკინიგზა იყო დაგებული. დაბალ საწოლს ზემოთ კედელზე ფერადი, ალბათ, ბიჭის მიერ დახატული სურათები გაეკრათ. კუთხეში ვერცხლისფრად განათებულ დიდ აკვარიუმთან ბორბლებიანი სავარძელი იდგა, ვვერდზე ფეხსაცმლეწყმიცმული პროთეზები მოჩანდა. კაცი ფრთხილად მიაწვა ფანჯარას. იგი სუსტი ჭრიალით გაიღო. უბიდან ცისფერყდიანი წიგნი ამოიღო და რაფაზე დადო. წიგნს კიდეები ოდნავ დასველებოდა. ფანჯარა გამოხუერა და უკან, გალავნისკენ წავიდა.

მძიმედ მიაბიჯებდა. ნატერფლები რჩებოდნენ სველ, წითელ ქვიშაზე, რომლებსაც შხაპუნით ავსებდა წვიმა...

●

მანქანა ჯიუტად მიარღვევდა ციდან ნაკადად დაშვებულ წვიმას. წვეთები თანაბრად ეხლეპოდნენ სახურავს, საბურავების შიშინი ისმოდა და ძილის და ფიქრის განწყობას ქმნიდა.

— როგორ წვიმს, ეს შობელ-ძაღლი!

— ბრაზით ჩაილაპარაკა მძღოლმა, — თუ არ გადაიღო, მოგეკეთა ჭირი!

— რაა? — ჰკითხა კაცმა, რომელიც წვიმას უსმენდა და ოდესღაც სოფელში გატარებულ ბავშვობას იხსენებდა.

— რა და, ასეთ ამინდში რა თამაში იქნება?

— ჰო... — კაცი ისევ ბავშვობის მოგონების ტყვეობაში იყო; ზამბარებიან, ალაგ-ალაგ ჟანგშეპარულ ნიკელის ბურთულებიან საწოლზე იწვა, მოყვითალო, ზოლებიან ტილოს ლეიბზე და სახურავზე მოშხაპუნე წვიმას უსმენდა. სახლის წაბლისაგან ნაშენი კედლები იდუმლად ტკაცუნობდნენ. ბავშვური, სევდანარევი მოუსვენრობა დაუფლებოდა...

— მთელი თვეა, მაგ თამაშს ველოდები, — არ ცხრებოდა მძღოლი, — მაგის ხალისითდა ვსუნთქავ. ერთ კაი პერ-მარილს შეეპრიდი ჩემს პარტნიორს, ოღონდ ჩემს მაგივრად იმუშაოს...

„ბავშვს თავზე ტომარა გადაეფარებინა და ფეხშიშველა დარბოდა მინდორში. წვიმა უბეში ეღვენთებოდა. წვიმა თბილი იყო, ხოლო მიწა წებოვანი და ცივი. ბიჭი ქვემოთ დაეშვა; ღელე ადიდებულიყო და ნაპირებიდან გადმოსულიყო. ყვითელ ნიაღვარს ფიჩხის ნამტვრევები, თხმელის ფოთლები და გვიმრის სიფრფანა ღეროები მოჰქონდა. ბავშვმა ცივ წყალში შეტოპა, ჩიტის ბუდე გამოსტაცა ნიაღვარს, ფრთამოტეხილი ნაცრისფერი ჩიტი გულში ჩაიკრა. მაღლა ფერდობზე წვიმის ბურუსში ჩაძირული, გარინდული ჩრდილებივით იდგნენ ოდა სახლები“...

კაცი მხარზე შეხებამ გამოარკვია.

მძღოლს ტუჩის კუთხეში სიგარეტი გაეჩარა და ღია კოლოფი მისკენ გაეშვირა. კაცმა სიგარეტი ამოიღო, ჯიბეები

ᲒᲘᲐ ᲚᲝᲛᲯᲐᲫᲔ
ᲙᲐᲪᲘ ᲒᲐᲚᲐᲕᲐᲜᲖᲔ

მოიჩხრიკა, ასანთის კოლოფი დამბალიყო და არაფრად ვარგოდა.

— აიღეთ! — სანთებელა გაუწოდა მძღოლმა.

კაცმა მოუკიდა და უკან დაუბრუნა.

— რა თამაში ფუქდება! — ისევ ფეხბურთზე გაგრძელა მძღოლმა, — არადა, გადაღებას რომ არ აპირებს...

— გადაიღებს, აბა რა იქნება, — თქვა კაცმა, — სულ ასე ხომ არ იწვიმებს?

— აწი სულ ერთია! — ხელი ჩაიქნია მძღოლმა, — მინდორი ისე დასველდებოდა, ლამაზი თამაში მაინც არ გამოვა. თქვენ ხომ აპირებთ წასვლას?

— კი, აუცილებლად!

— ეგა თქვი! ამა ჭადრაკი სპორტია? ეგეთი სპორტის რა ვთქვი! — მძღოლმა სარკმელი ჩამოუშვა და წვიმაში გადაადგურთხა. მანქანაში ნესტი შემოიჭრა და სიგრილე შემოიტანა. — მაგის მუდამი ვერ გავიგე, კი მიხარია, ჩვენები მაგრები რომ არიან, მაგრამ მუღამი ვერ გავიგე! ვერ გავიგე და რა ვქნა?— იმართლა თავი.

— რას იზამ, კაცია და გუნება. ხასიათი, — თქვა კაცმა, — არც მე მეხატება გულზე მაინცდამაინც. — კვერი დაუკრა კაცმა, წამოიწია და დაორთქლილი მინა გაწმინდა. ნაცრისფერი ბურუსიდან შავი საგნის ბაცი მოხაზულობა ამოტიტიტდა. უეცრად მოახლოვდა. კაცი მზერით მიეყინა.

მძღოლმა სჯე მარცხნივ მიაბრუნა, მაგრამ უკვე გვიან იყო. მომწვანო ტაქსი მთელი სისწრაფით შეასკდა თითქმის ქუჩის შუაში მდგომ ასფალტის სატკეპნს. შუშის ნამსხვრევები უხმოდ მოეფინენ ახლად დაგებულ ასფალტს, წვიმის წვეთებმა ბროლისფერი ელვარება გააფერმკრთალეს...

●

წვიმდა. ქალაქის ერთ-ერთ ქუჩაში დამსხვრეული მანქანა მიჰკროდა ასფალტის სატკეპნს. მანქანაში ორნი იყვნენ. მძღოლი ნახევრად გამოვარდნილიყო წინა სარკმლიდან. მკვდარი იყო. ფეხები სალონში ჰქონდა გადაკეცილი, საოცრად დაწმენდილი, ღიად დარჩენილ თვალებში გულუბრყვილო სიმშვიდე ჩაჰყინვოდა. მწვანე სირმიანი, პლასტმასის სარჩიანი ქუდი იქვე ეგდო მანქანასთან. წვიმას დაელბო.

მგზავრი მანქანაში იყო. სახეზე სისხლი ჩამოსდიოდა, მარცხენა ხელი არაბუნებრივად მოქცეოდა გვერდზე. პირს აღებდა და ჰაერის შესუნთქვას ლამობდა, მარჯვენათი გაეედილი კარის გაღებას ცდილობდა.

●

კაცმა თვალები ოდნავ გაახ-ლა. რაღაც ბუნდოვანმა ხმებმა სიჩუმით სავსე სიბნელე გაჰკვეთა, გააფერმკრთალა. ნაცრისფერ უძრავ მდუმარებაში იწვა. იქ რაღაც შეირხა და მოახლოვდა.

— მაჯისცემა...

— ას ათი... ძაფისებრი... შიგადაშიგ არითმიული...

— წნევა...

— ოთხმოცი ორმოცზე...

— როგორ გრძნობთ თავს?..

ბგერების ნაკადმა ცხენის ფლოქვებივით გადაუარა თავის ქალაზე. კაცმა თვალები ისევ დახუჭა, მერე კვლავ გაახილა; დაძაბულად დააკვირდა სიბნელის სიღრმეს. გამოსახულებები ამოტიტიტდნენ. ზემოთ ნიკელის ბუდეში ჩასმული სარკის გარსაცმიანი ნათურები იყო. თვალები დახარა. მოქრომილ სალტეზე გადაკიმულ ხამ ტილოს წააწყდა...

— როგორ გრძნობთ თავს?

კაცმა თვალები დაინახა. მშვიდი, გამჭოლი მზერით მზირალი თვალები სულის ყველაზე მივიწყებულ კუნჭულებს სჭვრეტდნენ თითქოს. მონუსხულივით მიეყინა ამ მზერას... ის როგორ არის? — მოესმა სულ ახლოს საოცრად ნაცნობი ხმა.

— უკვე გავუკეთეთ, — თვალები

ოდნავ მოიჭუტნენ, — ორი ნეკნი ჰქონდა გატეხილი...

— ჰო... — ისევ ის საოცრად ნაცნობი ხმა მოესმა კაცს. თითქოს სადღაც წუბოვან სულისშემხუთველ სიცარიელეში ეფლობოდა. ნარკოზი ითრევდა. გულს მძიმედ აწვებოდა რაღაც. მის დაბანგულ გონებაში ხელისგულში ჩაჭერილი პატარა, ნაცრისფერი ჩიტი ამოტივტივდა. ნაზი, სათუთი ბუმბულების სუსტ წინააღმდეგობას გრძნობდა ხელში, ჩიტს სხეული უთრთოდა. კაცმა წამოწევა დააპირა, სხეული აუტანლად დამძიმებოდა, თითქოს არასოდეს ყოფილიყო მისი... — ფეხბურთის ყურებას აპირებდი, — კაცმა თავისი ხმა იცნო, — მთელი თვეა ფეხბურთით ვცხოვრობო...

— არაფერია, მშვიდად თქვა ქირურგმა. — ნახავს, ბევრ ფეხბურთს ნახავს კიდევ. მადლობა ღმერთს, ყველაფერი კარგად დამთავრდა! როგორ გრძნობთ თავს?

— კარგად ვარ... — გაღიმება სცადა კაცმა. სისხლისგან დაცლილმა ტუჩებმა ღიმილი გააუბადრუკეს.

— ყველაფერი კარგად არის! — იმ სიმშვიდით თქვა ქირურგმა, მხოლოდ ავადმყოფებს რომ სჯერათ, — ნუ გეშინიათ!

— არაფრის მეშინია... — თქვა კაცმა. გულზე კიდევ უფრო მძიმედ დაწვა რაღაც. ყურებში ჩიტის გაბმული ჭყივილი ჩაუდგა. გამოსახულებები დადნა და ერთმანეთში აირია. ჭრილ, უფორმო მასად იქცა, რასაც კიდეებიდან სიბნელე შეეპარა...

— გაიყვანეთ! — მიუბრუნდა ქირურგი სანიტრებს, — რეანიმაციის პალატაში დაიწვინეთ! — ნიღაბი ჩამოიხსნა, — თვალები დაღლილობით აევსო. ხელთათმნები წაიძრო და სათლში ჩაჰყარა.

— წარმოუდგენელია, ბატონო პროფესორო! — შესძახა ახალგაზრდა ასისტენტმა, — ეს ურთულესი ოპერაცია იყო, რაც მე ოდესმე მინახავს!

ქირურგს არც შეუხედავს, მხოლოდ მან იცოდა, რაც გააკეთა და ვერავინ, ვერავითარი სიტყვებით ახსნიდა ამას. სასწაულის არავის სჯეროდა იმიტომ, რომ არ უკვირდათ, იმდენად მეეჭვენენ.

— თუ გულმა აიტანა, გადარჩება! — მიუბრუნდა რეანიმაციის პალატის მორიგე ექიმს, — გადაუსხით ათას ხუთასი გრამი სისხლი წვეთობრივად, მეზოტანი, კარდიამინი, პრომიდოლი, ვიტამინები...

მოსაღამოდა. ოთახში შეუმჩნეველად ჩაჩოფწვა სიბნელე. ქალი ჩაიდნის სტენამ გამოაფხიზლა. სავარძელში იჯდა და თვლემდა. წამოდგა. ოთახში გრილოდა, შესცივდა. ცოტა ხანს რულმოდებული იდგა, მერე ჩაიდანი გაასხენდა და სამზარეულოში გავიდა. წყალი თითქმის ჩამშრალიყო და ჩაამატა. შუქი აანთო, სათის ახედა; ცხრა სრულდებოდა. მაგიდაზე გაშლილ ვახშამს თეთრი ხელსახოცი გადაეფარა, საძინებელ ოთახში გავიდა და ქუჩაში გაპავლ ფანჯარასთან დადგა. შუბლით მიეყრდნო გრილ შუშას. წვიმდა. ლამპიონები მოცისფრო ბჟრუსში გახვეულიყვნენ. სადაფის მძივებივით ეშვებოდნენ წვიმის წვეთები მათ შუქში. ლამპიონების ნათება გაშავებულ ასფალტზე იღვენთებოდა და ვერცხლისფერ ანარეკლს ტოვებდა.

ქალი ფანჯარასთან იდგა და კაცს ელოდებოდა...

ღამე ნელა დაეშვა სახლების სახურავებიდან და ქუჩებს, სკვერებს, ეზოებს, მოედნებს მოეფინა. თანდათან აავსო სახლების ფანჯრები. ქალაქი იძინებდა. ლამპიონები, რეკლამები და შუქნიშნებიღა დარჩენენ მის დარაჯებად.

ეძინათ ხეებს, სახლებს. ეძინათ ხი-

გია ლომაძე

კაცი გალავანზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებს და მათ ქვემოთ თავშეფარებულ უპატრონო ძაღლებს. ქალაქი ისვენებდა დღისგან, სიცილისგან და ტირილისგან, ფიქრებისა და განცდებისაგან, იმედებისა და სასოწარკვეთილებისგან, მეჯლისებისა და დამკრძალავი პროცესიებისგან...

ქალაქის ერთ-ერთ გარეუბანში, მაღალი, ცივი გალავნით გარშემორტყმულ, ბზის და ვარდების ბუჩქებში ჩაფლულ სახლში ხეიბარ ბიჭუნას ეძინა. ნათურა ანთებული დარჩენოდა. ცისფერყდიანი რვეინგტონზე ნაპეჭდი წიგნი საწოლიდან ჩამოცურებულიყო. ბიჭს გალავანზე შემდგარი კაცი ესიზმრებოდა და ძილში იცინოდა.

— ნახე? ცას ვარსკვლავი მოწყდა! — უთხრა ძველი ციხის ნანგრევებთან განმარტოებულმა ვაჟმა ქალიშვილს.

— სად? — ქალიშვილმა გაღმა, სერზე დანთებულ კოცონს მზერა მოსწყვიტა.

— უკვე გაუჩინარდა...

— რამის ჩაფიქრება თუ მოასწარი?

— ჰო, — მოეხვია ვაჟი, — სულ ერთად ვიყოთ-მეთქი, ის ვინატრე!..

ცოტა ვინმემ თუ იცოდა, რომ ინოლა გურგულია თავის ნაგრძნობსა და ნაფიქრს ლექსებითაც გამოხატავდა. საზოგადოება მას იცნობდა როგორც ინგლისური ენის სპეციალისტს, მთარგმნელს, უფრო მეტად კი — როგორც ბშვიათი მესიჯალური ნიჭით მომადლებულ მომღერალს. ორმოცდათიან-სამოციანი წლების თბილისში ძნელი მოსაძებნი იქნებოდა ისეთი ოჯახი, სადაც ფირზე ჩაწერილი მისი გულში ჩამწვდომი ხმა არ მოესმენოთ. ბევრგან დღესაც ეღერს ეს ხმა და მის მსმენელებს სიცოცხლის, ადამიანის, სამშობლოს სიყვარულის უწმინდეს გრძნობებს უღვივებს კვლავაც. ამავე გრძნობათა მატარებელია ის მცირე პოეტური მემკვიდრეობა, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ გარდაცვლილი ქალის არქივს შემოეწახავს და რომლის რამდენიმე ნიმუშსაც წარუდგენთ „ცისკრის“ მკითხველებს.

შემოდგომა

შემოდგომაა ჩემს სარკმელში რომ იხედება...
მზის ალმაცერი, ნაზი სხვი შუბლზე მედება,
მეჩურჩულება, მეფერება, მეხვევრდება.
მუხა ბერდება... და ფოთლები ფერად-ფერადი,
აგერ, ახლახან, ძლიერ ქართან მღერად-მღერადი,
ძირს ეფინება სათითაოდ...
მშვიდი კვდომაა...
შემოდგომაა, მაღალ სერზე შემოდგომაა..
ჩუმი ჭვრეტაა სამყაროსი, წამიერების,
ზევიდან ხილვა, გარინდება, ღამი ფერების ,—
ნაზად ფერების, სიმღერების, არშეჩერების,
მონანიების, პატიების და მიშველების...
მშრალი ხელების შარიშური, ფოთოლთა მსგავსი,
სხვაგვარი თვალით შეინიშნული სიცოცხლის ფახი...
ხაზი ათასი, უთვალავი მჭმუნვარე ხაზი,
რომელმაც იცის მორიტის და კეთილის არსი,
თვალის უპეთან შეფენილი სხივად რომაა...
შემოდგომაა!..
სიმშვიდეა...
ფოთოლცვენაა...
დაბლა ფენაა, მაგრამ სულში მხოლოდ ზენაა,
სულში თმენაა, მარადისი ყოფნის ნდომაა...
შემოდგომაა!..

ო ლ ა

აქ სულ სხვაგვარი ნიავი ჰქროდა...
იდგა ხუთთვალა მეგრული ოდა,
მაღალ ბიჯგებზე შემდგარი ოდა,
ჰოდა:
...ირგვლივ ომბალო და ყვავილები,
ცა, ალვანი და ბირკვილები,
ხეში აჭრილი მზე, ვარსკვლავები,
ახალი თთვარე, დასრილი ჯვარი, —
ნაჩუქურთმევი, ნამჭვირვალები...
ვრძელი ფანჯრები — ოდის თვალები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მუხის ფართოდ გახსნილი კარი.
ტახტზე, ჭერიდან, — ხალიჩა ჭრელი,
მაგიდა ძველი, წიგნები სქელი;
ტახტებთან ტყავი, — ბოჩოლა, მგონი,
ლამფა, ლარნაკი, ყვავილთა ფონი,
ნარდი, ალბომი და პატეფონი.
მიჯრიე ოთახი, მაგიდა გრძელი,
შავი კარადა, ჭერთან ასული...
ფარდაგი ძველი, ხალიჩა ძველი, —
ყველა ჭრელი და ყველა სპარსული.
...აქ მიდიოდა დიდი ღრეობა:

შობა, აღდგომა, ობა, დღეობა,
თრობა, ნათლობა, ძმობა, ქეობა...
თითთ ოთახში თითთ ბუხარი,
განა მწუხარი, — ცეცხლითთ მქუხარი!
სანიშელი და თითისტარები,
გრძელი ზღასპარი, თქმული მთქნარებით;
სადამო ვრცელი, გრძელი ლანდები, —
კვდელს აკრული ფოლიანტები...
მიქრის ფარულად დღეთა მარული.
ჩემი ბავშვობა სად გაპარულა, —
მითხარი, ოდაგ! —
აქ სულ სხვაგვარი ნიავი ჰქროდა!..

ჩემი ფერი

ჩემი ფერია ყვითელი ფერი,
ფერი მზისა და ცხელი ქვიშისა,
ფერი სიბერის, გედის სიმღერის,
და მომავალი კვდომის შიშისა...
ჩემი ფერია სისავსე ქარვის,
სიმსუყე მწიფე შემოდგომისა,
ფერი ბერმუხის ან ბებერ მთვარის,
მარად ეჭვის და არ შეცდომისა;
სურვილთა ფარვის, ოცნების პარვის,
დაუცხრომელი შენი ნდომისა...
ჩემი ფერია ფერი დაისის,

თავაშვებული გალაღებისა,
ფერი ლიმონის, ფერი ბაიის
და მოცელილი ბალახებისა.
ჩემი ფერია სიმწიფე ვაზის,
კვნესა კლდეების, მწუხრი ბუნების,
ფერი — ყოველი სათნოს და ნაზის,
გაშორების და არდაბრუნების...
ცის სიშორეს და სიკარგეს ვმღერი,
ჯავრი წამიღეს მასზე შიშისა...
ჩემი ფერია ყვითელი ფერი,
ფერი მზისა და ცხელი ქვიშისა.

ეს მიდამო უგუმბათო საყდარია

კრიალსანის დაკარგული კენჭებივით
მოფენილან ფერდის ფრთაზე ქოხები
და ზეციდან რაშოდვრილი თვერი სხივით
ირთვებიან ველის ჭრელი ნოხები.

აი, მთები, ყვავილების ხალიჩებით,
ირგვლივ მიწის და საკმევლის სურნელი...
შორით ტყეა, ქარით ანაწალიჩები,

ახლოს ბარდი — ლალისფერი კუნელის,

ქოხმახები — ხატებია საყდრის კედლის, —
გაფანტული, გზებით დანაკვეთები,
ფიჭვები კი მიწის მიერ მადალ ზეცის
სალოცავად ანთებული სანთლები.

ეს მიდამო უგუმბათო საყდარია.!.

სიყვარულის ოდა

შენ რომ არ მყავდე, ამოა ატმის რტოები,
ფერთა მშვენებას ვერ ვიგრძნობდი და ვერ ვპოვებდი,
ოცნებას ჩემსას ამდერებას არ ვადროვებდი,
ცხოვრების აღმარის შუა ჯაზზე მივატოვებდი,
სიმარტოვეთი კვდება პოეტი...

და თუ ჩემს სულში ულრუბლო და თბილი დარია,
ტროლასავით მზის ამოსვლა თუ მიხარია,
თუ სული ჩემი — წყაროს წყალი — დაუმშრალია,
თუ მემღერება და მოუცლელს მისთვის მცალია, —
ეს ყველაფერი შენი ბრალია!..

—•—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელა შალვაშვილი

ჟამსა ასეთს...

ცაზე ტახები ირეოდნენ, აჩენდნენ ეშვებს,
მერმე... აირივ-დაირივნენ, შეერთნენ წყვდიადს...
მეც ავირევი ხოლმე ამ დროს, — ობიან-მტვრიანს
ჩავხედავ ჩემს სულს, სულს — სხეულის იატაკქვეშეთს.

იატაკქვეშეთს ამოვჩითავ. ათასი გვარის
სიმძიმილი და სიხარული წამოსწევს თავებს...
პირვანდელივით ბევრი ასლაც მოხეთქავს ზვავებრ —
მდუღარე ცრემლთა... ჩანს არაფერს არ აკრობს ქარი.

ერთი კი არი: რა სიამით, რა აღტაცებით
მახსენდებიან ჟამსა ასეთს კაცურნი კაცნი...
ჩვენება მათი ფიქრს სიკვდილზე არსაზითი მაცლის...

ბედნიერი ვარ, არსებობენ იგი კაცები. —
ამაღლებულნი, მშვენიერნი, მდაბალნი, უხვნი...
მათს სიმაღლესა და სიმდაბლეს თავს მდაბლად ვუხრი.

ბულმართალი ყვავილობა

რა შეუძლია ულონიო ცრემლის ნაკადებს,
ცრემლების წიაღ სისუსტეა შეფარებული...
ცრემლი დიაცის მახვილია. ჟანგმოდებული
ამ იარაღით მოგიპოვოთ — ვერც კი გაკადრებთ.

ეგეც არ იყოს, ცრემლი, რომელ თვალს ეჩვენება,
მოგონილია, განგებისად მომზადებული...
წმინდაა ცრემლი, რომელს ვერ ჭვრეტს კაცთა კრებული,
მართალი ცრემლი მარტოსულის არის მშვენება.

გადასულია შუაღამე, ვწევარ და ბნელში
ვგრძნობ თვალი ჩემი თანდისთანად ასველებს ბალიშს,
სარკმელთან მდგარი ედიოფალი — ყვავილობს ბალი...

დგას და სითეთრე-სილამაზეს მაწოდებს პეშვით...
ამ ბნელი ღამით ჭვრეტად მისად არვის სცალია,
და ყვავილობაც მისი, უფრო გულმართალია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲨᲔᲣᲜᲘᲚᲑᲐᲢᲘ ᲒᲣᲚᲘ

როგორ ამხელენ გულებს თვალები,
თვალებით როგორ ჩანან გულები...
ზოგჯერ მგონია კიდეც — თვალები
ჩნდება გულების განკარგულებით.
რა ტკივარულა ხდის გულებს სიცილი,
სიცილით რარიგ ჩანან გულები...
სიცილიც, მისი სითბო-სიცივეც
ჩნდება... გულების განკარგულებით.
ყოფილა ასეც: ვერ მომასვენა
გულმა — სიცილმა, ანუ: თვალებმა...
ადარ ჰქონიათ გულებს საშველი, —
ვერ შესძლებიათ ნიღბის ტარება.

ᲨᲔᲪᲜᲝᲑᲐᲛ ᲨᲔᲜᲛᲐ

შეცნობამ შენმა მიმიყუჩა შენი ტრფიალი,
ვგრძნობ, ასე უნდა მომხდარიყო და მოხდა კიდეც,
ბოლოს და ბოლოს, საიდუმლოს ავხადე რიდე, —
ჩემს გზას დავადექ, მბორკავდადა გულის ფრიალი.

დიახ, მომეცა, როგორც იქნა გონება-განსჯა,
ოჰ, ეს შეცნობა-დაფიქრება სიყვარულს უშლის...
ისე ლაღად და უდარდელად ჰყვაოდა ნუში, —
მჯერა, სწორედაც ყვავილობით სთრგუნავდა ტანჯვას.

ვარაუდითდა მივყვებოდი ილიას გამზირს, —
არ მაწუხებდა როდის, როგორ გავლევდი მანძილს...
უჩინმაჩინის ქუდიანი ქარი მომდევდა...

ამ არამკითხეს მეგზურობაც მღალავდა მეტად...
მუტისოდენა გული ჩემი უხმოდ გოდებდა,
და თვალწინ მედგა ჩემი სათნო, საწყალი დედა.

რუბენ ჩეთითი

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲔᲓᲐ

გულში დამკვიდრდა კეთილი გრძნობა,
ნათელი სიტყვა უმხურვალესი:
შენ ჩამინერგე ერთობის ნდობა,
შენგან მივიღე ტკბილი ალერსი.
შენი სიმკაცრეც მახსოვს იმავ დროს, —
რომ შემესწავლა „ანი“ და „ბანი“.

ჩემში შუქურად მარად ბინადრობს
დაუვიწყარი პირველი ბწკარი.
შენ დამაწაფე წიგნების კითხვას, —
სადაც იწყება დიდების წყარო.
პირველი ლექსის გულწრფელი სიტყვა
შენზე აყღერდა, — კეთილო ქალო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წმინდა განძივით შენ შემაყვარე.
კოსტას, პუშკინის და ვაჟას ენა.
კაცს კი არადა, ქვასაც ახარებს
ბრძენთა ბრძენების ჰანგების ჟღერა.
დედასამშობლოც შენ შემაყვარე,
ჩემი სოფელი ციცაბო მთებით:

გიჟი ლენინა — სულ მოკამკამე,
მისი შხეფები, მისი კალთები.
უხვად დაზარდე ნორჩი ყლორტები,
თმაშეკერცხლილო ქართველო დედა!
აღზრდილებს დღესაც ღიმილით ხვდები,—
მიტომ გიწოდე მეორე დედა.

ქართველ მეგობარს

კავკასიონმა მკერდიდან გვშობა,
თერგმა გვაპკურა უხვი შხეფები,
ზედ მყინვარწვერზე შეეფიცეთ ძმობა
მკვიდრმა შვილებმა ქართველთა მთების.
მამაპაპიდან ერთობის მძევლად
ჩვენ შორის იყო კეთილ-მირონი,
გვერდიგვერდს იდგნენ სამშობლოს
მცველად
ბრძენი ქართველი, გმირი ირონი.
ერთია ჩვენი მიწა და წყალი,
ჩვენი წადილი, ოცნება წრფელი,
მარად გვინათებს კაშკაშა ალი —
ცამდე აწვდილი ლენინის ხელით.

გვატკბობს, გვახარებს სიცოცხლე წყნარი,
წინ მივაბიჯეთ გახსნილი მკერდით.
გესმის? ჩემს ჰანგზე ღიღინებს მტკვარი
და შენს სიმღერას აქუხებს თერგი.
დიდრონ ქვევრებში არ დაილევა
ნაპერწკლიანი ღვინო მდუღარი.
მაჭრობის თვეში, როგორ იქნება,
ალალ სასმისზე ითქვას უარი!
რაც გვაწვალებდა აღარ გვაფიქრებს:
— ჩვენი ძმობაა — გაუხუნარი;
— იმ გაუბზარავ ძმობას გაფიცებ, —
არ დამიძახო ივერთ სტუმარი!

კუკური გოგიკაშვილი

ეროსუციის ნატვრა

წუთისოფელო, მისმინე,
ერთხელ ხმა გამაღებინე,
ნატვრისთვის გულის კარები,
გთხოვ, ფართოდ გამაღებინე;
ოროტორიალში რამდენჯერ
ხანჯალი ჩამგებინე,

მზის სიყვარულით ვცოცხლობდი,
თავი ძირს დამაღებინე;
ნუ გადამაქცევ სნეულად,
წამალს ნუ ამაღებინებ, —
არც მოსვლა გამიგია და
ნურც წასვლას გამაგებინებ!

ლამის ზღაპარი

ტყეში ვისხედით, დაგვცქერდა
ზეცის და მიწის ლამპარი, —
არ ვიცი, იყო სიზმარი,
არ ვიცი, იყო ზღაპარი.
სიო გვათრობდა ორთავეს,
სიო, მთით გადმონაპარი,
არ ვიცი, იყო სიზმარი,
არ ვიცი, იყო ზღაპარი.
არასდროს განმეორდება
ასეთი ზეცა, მთა-ბარი,

არ ვიცი, იყო სიზმარი,
არ ვიცი, იყო ზღაპარი.
გამოისახა ღრუბლებში
მერანი — ცეცხლის ფაფარით,
ნუთუ ეს იყო სიზმარი,
ნუთუ ეს იყო ზღაპარი.
წავიდა, გაქრა... შეეურდა
ღრუბლებში ოქროს ლამპარი, —
არ ვიცი, იყო სიზმარი
არ ვიცი, იყო ზღაპარი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ნამორაძე

უცნობი ჯარისკაცი

ჩამოასვენეს იმგვარ პატივით,
როგორც შეჰფერის დიდთა მხედართა.
ქუდმოხდილი და გარინდებული
დგას საქართველო უცნობ ცხედართან.
იქნებ მშობელი ჩემი მამა ხარ,
ორმოცდაერთში ომში წასული.

ქერჩის მიწაში შენი დამარხვა
ჩვენთვის დამდაა მტრისგან დასმული.
შენ გამარჯვება ვერ იზეიმე,
მიწა გფარავდა ტყვიით მოცელილს.
აკამდე დედის ლოცვა გათბობდა,
დღეს მამულია შენზე მლოცველი.

იხვეჭდეთ ჭარად კაი ყმის სახელს

ვუძღვნი ბამის მაგისტრალის ქართველ
მშენებლებს.

დროის ყოველი
წუთი და წამი
წიკწიკებს:
ბამი,
ბამი და
ბამი!
მდერის სიჩუმე
და გალობს ჩქამი:
ბამი და ბამი,
ბამი და ბამი.
ქართველო ძმებო!
შებმისართ უღრანს

და სუნთქვით დამზრალ
ლაჟვარდებს ბურღავთ.
თქვენით
მანდ ზამთრის
ქათქათა ფერში
ხარობს ქართული
ყლორტი და ფესვი.
მამულის ჩვენის
გულის თქმას ვამხელ;
— იხვეჭდეთ მარად
კაი ყმის სახელს!

რობერტ ცუცქირიძე

თუ დავივიწყო...

სხვაგან სად ვნახავ სიხარულს ამდენს,
სხვა სილამაზეს როგორ ვიწამებ...
ატყორცნილია ნაძვები ცამდე,
იღვრება ცალან მზე და სიმწვანე.

თუ დავივიწყე მამულის ფასი,
თუ სიყვარული ვერ შევიფერე —
ჩამიქრეს კერა,
გამიხმეს ვაზი,
ნურც მღირსებია მაშინ სიბერე.

ჩემი ბორჯომის ხეებიც მცნობენ,
იწყვიტენ გუგუნს კლდეთა თაღები,
ვაბიჯებ მიწას, რუსთველის მშობელს,
მესასელება, მეამაყება.

ვერ მომერია ტყვია და მტერი,
ვერც დავიწყების ტალღამ დამძირა,
შემრჩა წინაპრის სახე და ფერი
და ვერ დამღალა დრომ და მანძილმა.

სანამ იქროლებს ხეობის ქარი,
სანამ ჩიტების გალობა მესმის,
სანამ მოღელავს ეს მღვრიე მტკვარი, —
მანამდე ჩემი იცოცხლებს ფესვი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რუსლან ღონღაძე

შემოდგომა

ილიდანვე მოუსვენრად აფუთფუთდა მათე. ჯერ იყო, ხელდახელ იბანავა, კარგა ხნის მოუვლელი წვერ-ულვაშის შეკრეჭა-შესწორებას შეუდგა. შემდეგ ზეზეურად ისაუზმა და ოთახის მილაგება წამოიწყო; ლოგინს თეთრეული გამოუცვალა, თაროებიდან მტვერი მოწმინდა, იატაკიც გულდაგულ დაგავა. ეტყობოდა, რაღაცისათვის ემზადებოდა, მაგრამ დრო და დრო სხეული უდუნდებოდა, დამძიმებული, ნირწამხდარი სარკმელს მიადგებოდა და წინაზიდულ რუს სახლებს შესცქეროდა, რომელთა შორის მეჩხერად გაბნეულ ტანმორჩილ ხეებს უკანასკნელი ფერწართმეული ფოთლები სცვიოდა. ქარიანი შემოდგომა იდგა...

ღრმად ამოისუნთქა, ფანჯარას მოუცილდა და მოსუფთავებულ ოთახს იმგვარად მოავლო თვალი, თითქოს გონებაშიც მოეწესრიგებინოს, ერთიანად შეეკონოს ის ქმუნვანარევი გულის ზრახვანი, მოუპარებული, დაუოკებელი განცდების ხარჯზე, ღამენათევ ფიქრებში რომ ეხატებოდნენ და დღენიადაგ ფერიცვალებას განიცდიდნენ. უეშვ�lad უნდა გაანდოს, გაუზიაროს... და მხოლოდ ილიკო, სიყრმიდან ძმადშეზრდილი, მისი სვე-ბედის მომსწრე და მონაწილე, მხოლოდ ის თუ გაუგებს, იგრძნობს მის წუხილს, ის თუ ურჩევს შესაფერისად, რა გზას დაადგეს, სით ჰქნას პირი. რა თქმა უნდა, პირწმინდად ყველაფრის გაგება მასაც გაუძნელდება, რადგანაც თვითონვე ეუცნაურება ზოგი რამ და ზოგ-ზოგიც ცოტა არ იყოს, სათქმელადაც ეზარება...

„უცნაურია... უცნაური ყოფილა ცხოვრება“, — წაიბუტბუტა თავისთვის, ტანსაცმლის კარადა გამოაღო და თითქმის უხმარი ფეხსაცმელი გადმოალაგა.

ილიკომ იცის, კარგად იცის, რა წელწადიც დაუდგა მათეს. ეხე ეეც-

რად, ისე უხიგად ესტუმრა სიკვდილი მის სახლს და ისე უთქვეულად წაპვალა უახლოესი ადამიანი, რომ მოულოდნელობისაგან თავზარდაცემულს ეტკვიც არ ეპარებოდა, მალევე უკან გაჰყვებოდა ერთგულ თანამეცხედრეს.

„ეჰ, ელენე, ელენე...“, — შეიკრა ფეხსაცმელი მათეს და ისევ სარკმელს მიუბრუნდა.

მხურვალე, ოფლით გაპოხილ საწოლში გაატარა ბნელი, გაეთავებელი დღეები. უსასრულო სიცარიელე სუფევდა მის გულსა და გონებაში. შიგადაშიგ უსახო, მზოკავი ლანდები ესიზმრებოდა თუ ეზზანებოდა და უძლური, მათგან გაქცევას ლამობდა. არც დარდი, არც ჯავრი ეგზნეოდა მის უძრავ სახეს, რაკიდა თვით, მთელი არსებით ქცეულიყო ერთიან ნაღველად...

„დრო მკურნალია ყოვლისაო...“, — ისევ გახედა წელში მოხრილ ხეებს, რომელთაც თითო-ოროლი ფოთოლილა უფარფატებდათ კეწწეროებზე.

ძუნწად შემოლაცლაცდა მზის სხივი მის საწოლთან. პირველ ხანებში მზერადაშრეტილი ძლიას არჩევდა ქეთევანს რძლისაგან და შვილს ნათესავებისაგან. ქეთევანი მუდამდღე მოდიოდა იმ სიშორიდან, დედაშვილურად ეფერებოდა, ბალღივით, საკუთარი ხელით აუმენდა და ილიკოს ოხუნჯობებით გამხნევებას ცდილობდა. ის კი, გახეგებული, ენაჩავარდნილი, სხეულს ვერ იმოძრავებდა, წამდაუწუმ გული ულონდებოდა და ქანცალეული რძალშვილი მონაცვლეობით დარაჯობდენ იმქვეყნად ცალფეზგადადგმულს. მაშინ გაუელვა აზრმა: საიქიოს გადავუფრი. სწორედ მაშინ, შუქმოწყურებულს, გაჰყო გახედვის სუფევილი აღეძრა და აი, დასჩემდა კიდეც ფანჯრასთან დახანება.

ფეხი იიდგა თუ არა, ენიშნა — ბეტისმეტი სიბრალულით ეპყრობოდნენ. იმთავითვე არ ეგზაშიკა ეს გარემოება. უმალვე შეეცადა შეძენილი უბადრუკობა შეენიღბა; მხნედ, გამართულად ეკლო, სურასათ-სანთვალეზეც თვითონ ეზრუნა და ამით ახლობლებისთვის ეჩვენებინა — საკუთარ თავს თავად მოვუვლიო. არამც და არამც არ უნდოდა ძველ სახლში მიბრუნება. ამის თაობაზე მამა-შვილი ლამის წაეკიდნენ ერთი-მეორეს. ასე ეუღლდ, გარიყულს, რა გაგაძლებინებსო?.. ის კი ცივ უარზე იდგა. იმიამად უკვე გრძნობდა, ძლიერ გაუპირდებოდა იქ, მთაწმინდაზე, თავის ყოფილ კარ-მიდამოსთან, წარსულთან გაყოვნეთილ კედლებთან შეხვედრა. იქ, მთაწმინდაზე, სადაც არათუ კედლები, ყოველი კუთხე-კუნჭული მინავლულ, უკვე გასხვისებულ ახალგაზრდობას მოაგონებდა.

საკუთარი თავის იმედი, გამჭრიახობა და ის ურყევი, თნევა-ილაჯით მოპოვებული სიმშვიდე, რითაც მოეკი ცხოვრების მანძილზე სხვის შეუმჩნევლად, გულის სიღრმეში ამაყობდა, ერთბაშად დაიმსხვრა, დადნა და აორთქლდა. და უცეტ, რადაც გაჩნდა, წარმოიშვა ამ ვეებნა, შეუვალი გრძნობის სანაცვლოდ. უცხო, უცნაური, ამაოსანავე თითქოს ნაცადი, ნაზჩიარები და გადატანილი... ელენე, ეს რბილვა, სათუთი ჰანგი, ეს ღრმა და ფაქიზი განცდა იქცა იდუმალ ნიშნად, და ამ ნიშანმა ერთიანად მოიცვა განვლილი ხანიც თუ გარდასული დრო, და რაც მთავარია — კავშირი მთელ სამყაროსთან.

საწოლთან მიტოვებულ ბორკოჭმის ბოლოს სწვდა, ხუფი ახადა და მაგიდასთან მივიდა. ჩამოასხა. წყალი ერთბაშად აშიშინდა. ჭიქა აიღო, გამალებულად მოძრავ ბურთულებს დააკვირდა, ცოტაოდენი მისცა და ლერწმის თარაზე მოთავსებულ სურათებს მიუახლოვდა. მოზრდილი, გახუნებული ფოტოდან ნორჩი, პირმანგიანი წყვილი იღიმებოდა.

მარადიული არაფერი ყოფილა ამ ქვეყანაზე. ყოველივე დავიწყების სუდარით იმისება და ინთქმება. სიყმაწვილის ნათელი შარავანდედიც წყვდიადმა მოიცვა.

მზერა მოიწყიტა, ოქვე მიჯერით ჩამ-

წკრიალებულ წიგნებზე გადაიტანა. მომცრო ჩარჩოდან მამამისი კალთაში ჩასმულ შვილიშვილთან ერთად იმზირებოდა.

აქამდე, რაც თავი ახსოვს, ბედს არ დამდურებია... ქვეენ მშობლები, სამრთელე, ტანადობა, მშვენრობის უნარი და უზრუნველი ჯეელობა არგუნა ბუნების ძალამ. ჰმ, ბედი, ამ სიტყვის არასზე არც უფიქრია. არა, ბედის არ სწამდა საერთოდ; ბუნების სწამდა, ბუნება ხიბლავდა... ახსოვს, ჯაბუკობისას აზართებდა, ახალისებდა ქარ-წვიმიანი, შმაგი დღეები. რაღაცითა ჭაკეს დღევანდელი ყოფა-შეგრძნება იმ გაბედილს, განრინებულსა და გადაკვლულს...

თარაზე ყდაგაცრეცილი წიგნი გადაფურცლა, მალევე მოკეცა, ჭიქა შეანჯღრია და ერთბაშად დაცალა.

რამ ალაგზნო, რად მოეძალა ამგვარი ფიქრები, ყველაფერი ხომ ცხადია... ჩამოყალიბებული, ნაზრევი, ნაგრძნობი ერთიმეორეს შეენივთა, გასაგნდა და გაეცალა. და ამავე დროს, ლამის ახლახანს იყო... მეორე შვილიშვილი რომ შეეძინათ, ორთავეს იდეალ ენანებოდა იმ ეზო-ბაკის დათმობა. მაინც გაუცვალეს შვილს სამყოფელი და გადმობარგდნენ აქ, თავიანთი მამაპაპეული ავეჯითურთ. მერე მადლიანმა ქალმა იქაური სიმყუდროვე ამ ახალმოდურ, დაბალუერიან „სპუდრში“ გადმოიტანა. ლაზათი, თავისებური ელფერი ხაზნიც არ დაუკარგავს... ხშირად მალულად ადევნებდა თვალს, ხელსაქმით გართულს, მას მალალ, სანთლისფერ სახეს. ეს ყველაფერი იყო. საუკუნის მესამედიც გალეფს მხარდამხარ, ბევრიც იწვნიეს სიამ-ვაებით შეზავებულ ჭირნახულ გზაზე... შვილიც საღბუნოვანი გამოზარდეს. შთამომავლობით შეძენილი ცხოვრებისეული სიბრძნე, სულგრძელობა და ერთგულება შთაუნერგეს ღა ცხოვრების შარაზე მორჭმული დააყენეს. დროს, საუკუნეს ოვგისი მოგეგს და ამის გამო კანონზომიერადაც მიაჩნდა, რომ მათი მიზნები, მისწრაფებანი, ნიშატი საგრძნობლად განირეოდა... ხან სიათების ამგვარ სხვაობას პაპამისსა და მის ნაშიერებში ამჩნევდა, მამამისსა და თავის თავს შორის ხედავდა... კაცს ყველაფერი შეუძლია დაუნგრიოს გარეშე ხელმა: ოჯახი, სახლ-კარი, ხამშობლო, მაგრამ მათი აღდგენაც მიწყივ შესაძლოა. მხოლოდ მეობას — საკუთარი ხელით ანგრევს ადამიანი, რასი აღდგენაც აღარვის ძალუძს! პაპამისის ამ ჩაგონებით ანთებული, მოთმინებით შეუდგა საკუთარი პიროვნების ჩამოქნას. შექმნა კიდეც, ძვალმაგარი, პაპამისივით პირუთვნელი... და შემდგომ, ახლობლებში, ტოლ-ამხანაგებში გამორჩეული, სამსახურშიც გულისხმიერ დამოკიდებულებასა და წრფელ პატივისცემას იძენდა. ჯაფაც ალალი შეალია ყოფილ სამსახურს. საზრიანობითა და შემართებით უფროსობასაც მიაღწია. დასაჯრელ, ვალმოხდილი ზარ-ზეიმით გამოაცილეს, რასაც თურმე უთქმელად ელოდა უდრტვინველი ელენე... რამდენი რამ ახლოგადბდა, რამდენი რამ...

რარიგ წარმოიდგენდა, ლოგინად ჩავარდნილსა და გაპარტახებულს, უჩვეულო, ამტუტებული გრძნობები თუ დაეუფლებოდა. თითქოს ახალი, მამოძრავებელი ძალა შეეჭრა მის ხანდაზმულ სხეულში და ისე იმედიანად აუბგერა გული, რომ არათუ სიკვდილზე, არამედ სიცოცხლეზე და, რაც მთავარია, მომავალზე დაწყებინა ფიქრი. ფარულად, დაუკითხავად სხვა ჩაუსახლდა და უტიფრად დაეპატრონა მის ჭკუა-გონებას. ან იქნებ ნაბიერევ, შეებამოწყურებულ გულს სხვა გზა ვეღარ ეპოვა...

„კონიაკი არ დამავწყდეს!“ — წარმოთქვა იმგვარად, ვითომც გადაბეჭრილი პასუხი გაეცა გზადახვედილ კითხვებზე.

კარადას მიუტრიალდა, ერთმანეთზე,

რუსლან ლონდაძე
შეგიდგომა

ასხმული პერანგების დასტა გადმოიღო, სავარძელზე გადააფინა, თვითონაც ჩამოჯდა. კარადიდან ქალის მაქმანიანი ქუდი, გრძელი მოსასხამი და რამოდენიმე კაბა მოჩანდა.

ერთი პირობა სულ გადამალა ელენეს ტანისამოსი: პირადი ნივთები, კოხტად ნაქარგი გადასაფარებლები, ჩითმერდინები. მაგრამ ნივთები რა ბედენაა?... ყოველივე უკან გამოაწყო და კუთვნილი ადგილი მიუჩინა.

წამოდგა. სავარძლიდან ზედი პერანგი აიღო, გადაიცვა.

წიბოჩაშვებულ, დაჭორფლილ სარკეში ბრეგედ და ჯანსაღად გამოიყურებოდა, მაგრამ თეთრი პერანგი მთლად ათეთრებდა გაჭაღარავებულს. არ ეფონა, ანაზდად გაიძრო, მეორე, ლურჯი მოისინჯა.

ცისფერს კაეშნის ტვიფრად მიიჩნევდა ელენე...

ალბათ ილიკოსაც მოენატრა მასთან საუბარი. ბოლო დროს ერთხელ ესტუმრა მხოლოდ, ისიც მცირე ხნით. არა, გულის მოსაოხებლად არ მისულა. იქნებად გარეთ არც გადიოდა თითქოს. ქეთევანს გაუწია ხათრი. სასაფლაოზეც ერთად გავიდნენ და იქიდან ეწვია ილიკოს. სწორედ იმ დღეს უსიამოდ ეკამათა შვილს... ან რასა სთხოვდა ისეთს, რას ედავებოდა. სამარე ისეთი უნდა იყოსო, უმტკიცებდა, ჩვენი თაობის ადამიანს რომ შეეფერება... ბოლოს, როგორც იქნა, დაითანხმა.

საკინძე შეიბნია და ყელსაბამზე მარყუჟის შეკვრას შეუდგა.

მწარე ეკალივით ჩხვლეტა იგრძნო, როცა მიხვდა, თავისთვის მოზომილ საფლავზე რომ დაადაჯებდა. ქეთევანიც გულისწყმეებად გოდებდა იმ დღეს...

არა, მხოლოდ ილიკოსთან ექნება საუბარი.

თმა გადაივარცხნა, პიჯაკი მოიცვა, ლაბადა მკლავზე გადაიკიდა, ერთხელაც შეავლო თვალი მობინდულ საბურთალოს და მყისვე კარი მოიხურა.

...— ქეთოჯან, მაშ აიგხსნია სიზმარი!?

დილის აქეთ მამამადის მტრედივით ყურში ჩამძახის: ვაითუ რამე სჭირს, ან თუ ლოგინად ჩავარდაო. მისანია და ჰე!

დერეფანშივე მოესმა ილიკოს ჩახლეჩილი ხმა. ქეთევანმა გულში ჩაიკრა, გადაკოცნა და ტუსტუსით ოთახში შეიპატიჟა.

— შენა, ჩემმა მზემ, სახლში არა ხარ შემოსაშვები!

— რა ვქნა, ჩემო ილიკო, ვეღარ დავიძარ იმ სიზმრიდან.

გადაეხვია ვეება ტახტზე გაწოლილ მეგობარს, ისიც მძლავრად ჩაეკვიდა, თითქოს ალარ აპირებსო ხელის გაშვებას.

— ნამეტანი ცუდი სიზმარი ვნახე, მართლაც შევშინდი, შენ ვენაცვალე. — მიუალერსა ქეთევანმა და სკამი მიართვა. — გაგახარა ღმერთმა, მშვენივრად კი გამოიყურები, ჯვარი გწერია.

— ეჰ, ჩემო ქეთო... თავად როგორ გიკითხოთო, შვილიშვილება, სიძე-პატარძალი როგორა გყავთ? — საკინძე შეიხსნა.

— იმათ რა უშავთ, ჯამრთელად არიან... ჩვენ კიდე, აწი უფლის ნებაზე ვართ ჩამოკუნკურეებული. ეს ყადაგეხიანი კაცი კი გაიძახის, ჩემი კუთვნილი დღით ჯერ არ გავმძღარვარო და მე რაღა მომკლავს.

— ჰოდა, თუ ეგრეა, მინამ ვარ, ყანდი-კეთილი მამაართვი! — ღიმილით მიაძახა ილიკოს, გრძელი მკლავებით ტაბლას გადაწვდა და თავთან გადმოიტანა. — აქეთ მოიწი, ბიჯო, მოსაწევი გეკნება რამე, ხელრიანი.

— იცი, ილიკო, — დაიმორცხვა მათემ. — ადარ ვეწევი, უფროვე, ვეღარ ვეწევი.

— საღოლ, მამილოცნია, ძმაო!.. სხვას რას მეტყვი, რით გამახარებ? — საბანი გაისწორა და მოხერხებულად მოთავსდა.

— ჯერ ეს მითხარი, რაო, ექიმები რას ამბობენ, რას გპირდებიან?

— მპირდებიან რა... ამ მოკლე ხანში ყველაფერი რიგზე იქნებაო. — განჯინასთან მოფუსფუსე ქეთევანს გახედა. — ამათ იკითხონ, ოორე, სულ არ მენაღვლება ეგრე რომ ვწევარ. პირიქით, არხეინადაც ვგრძნობ თავს. აგე, განა მაკლია რამე, ჩემო ბატონო! — და ხელის დიდრონი მტევნები თავმოწონეულ გაშალა.

— ეს რა მითი დაგიხავებია? — წამოდგა მათე. ცნობისმოყვარეობით მიუახლოვდა ნახაზებით, ლითონისა და ხის ნაკეთობებით დატვირთულ მაგიდას. — ვატყობ, ფრიად უცნაური საქმე წამოგიწყია.

— ვინღა მაცლის ჩემს საქმესა. შემომიჩნდნენ ეს ლაწირაკები თავიანთი ფრენა-გაფრენებით... — ლოგინიდან ამოიწია და რიხით დაიყოლა: — არადა, ჩამითრიეს აი, მამაძაღლებმა!... ეგ რა არის? ორი დღის წინ უნდა გენახა, აქ რა ხაბარი იყო. ჩვენში დარჩეს და მეც მეეშვებოდა მათი ნაცოდვილარი თუ გატოკდებოდა.

— შენი ხელი ურევია... ხიდებიდან ცას გადასწვდი?... მერე, გაამართლა კონსტრუქციამ? — ერთ-ერთი მოდელი ზემოთ ასწია.

— გაამართლა რომელია, ყველა კვანძმა გაუძლო! ის კი არა, ლამის თვითონაც გაფრინდი ემაგ ფანჯრიდან.— — ახორხოცდა ილიკო.

— როგორც ეხედავ, ამ ბავშვებთან გვარიანი გასართობი გიპოვნია.

— ბავშვებიო? შიგადაშიგ ისეთი რამეს მოაკვარახსენებენ, ჩვენ რომ აზრადაც არ გავივლებთ, მე და ჩემმა ღმერთმა.

— ვაბრნეკ. — ღიმილითვე უთხრა მათემ.

— და რაც უმთავრესია: — თითი აიშვირა და ხუმრობანარევი სიამაყით წარმოთქვა, — ამ პატარა გამომგონებლებს ასპარეზი გავუჩინე, „მობურთალსა-მოედანიო“. მაშ!

— საბოლოოდ გამომიჩერჩეტდა, ჩემო მათე. — სიტყვა ჩაურთო ქეთევანმა, რომელიც სუფრის გაწყობას ეშაფერებოდა. — ამას თავი დავანებოთ, მეზობლებიც გადამირია. გაუშვეს ეს უშველებელი საფრთხობელა და ატყდა ერთი ამბავი. ქვემოდან ამ ბაჭაჭყების ყივილ-ხივილი, ზემოდან ამ ბედოვლათის დგრიალი, აქეთ მეზობლები აწიოკენენ — სახლში არ შემოგვიფრინდესო. მოკლედ, იყო მთელი დღე ჯიანჯია და ზრიალი!..

— შენც ამბობ, რაღა, მადლობელს იყვნენ, ეგეთი სანახაობა იხილეს, ბიჯოს!

— სანახაობა, ბატონო ჩემო, დასანახ ადგილას უჩვენეთ. ამ ერთი ციცქნა ეზოში ხალხს უთქვენოდაც არ აკლია სანახაობა... არც მე მაკლია...

— ქეთოჯან, ახლა წუწუნი არ გამაგონო. — შეაწყვეტინა ილიკომ.

— წუწუნი? — აპილპილდა ქეთევანი. — აი, მათე, თავად განსაჯე. ამის უძღლობა ხომ სასტიკად არ შეიძლება. აიღო სამსახურიდან სამი, კრინტიც არ დამიძრავს. შენც იცი, საკირკიტო რომ არა ჰქონდეს — რა მოასვენებს. მაგრამ, განა იკმარა? ჯერ იყო, ვიღაცის ნახაზებზე ათენებდა ღამეებს...

— ქალო, ნუ ააბრუნე წისქვილი!

— მერე, — შეეკითხი გახედა ილიკოს, — მერე ამ ჩიტირეკიებს გადაყვა. არც ამაზე ამომიღია ხმა, ვიფიქრე, მოამთავრებენ საგამოფენოდ და ამით მორჩება-მეთქი. შენც არ მომიკვდე, ახალი ოფოფები აუშვა.

— ქეთევან, დაშოშმინდი, პირობა ხომ მოგეცი...

— დიახ, თვითონ გაუჩნდა ეგ ხუშტურები!... ცალკე ეს ღლაპები, ცალკე მათი მშობლები აიყოლია და აქ ციეს სახლი საგიყეთად. ეს ხომ ასეა. — არ ცხრებოდა ქეთევანი. — ახლა, სთხოვე ერთი, მოგასმენინოს თავისი ახირებული ჩანაწერები. სიდღრეები

და ლექსები ხომ სავსე — ამაზე არ ვამბობ. ახალ-ახალი; ტყე-ზღვის ზუ-ილ-მხუილიო, ფრინველთა და ნაირ-ნაირი ჯურის ცხოველთა ღმუილი და გაგან-ვნიასიო...

— ქეთოჯან, შენი თავიც დაურთე ბარემ და...

— აბა, რა სიწყნარე და სიმშვიდე შეგუქმნა, როცა თავადაა წამომწყება!

— ქადაგად ნუ დაიცემი, ჩვენც გვ-დროვე, რაღა...

— თვითონ მადროვე ადამიანთან ლა-პარაკი. ა, ასეა, ბატონო... ჩემო მათე, გიჭირს ალბათ მარტოკა, შენ გენაც-ვალე.

— რას ვიზამ, ვუძლებ როგორღაც.

— ყოფილი სამსახურისკენ ხომ არ გაგიგლია?

— არა... არა მგონია მივბრუნდე.

— სხვა საქმეს ფიქრობ რასმეს, სხვაგან, სხვა სამსახურში ამბირებ?

მათემ მხრები აიჩეჩა.

— ქალო, სამსახური და საქმე ერ-თი-მეორეში ნუ გერევა, და საერ-თოდ.. დღევანდელი ქალების თვისებაა მეტი-მეტი მსჯელობა, ეგრე არ ყოფ ქეთევან? — შენი რძლისა არ იყოს!

— რატომ არ ეცა დამბლა მაგ ენას, ფეხებს რას ერჩოდა?

— ეჰე, კიდევ იტყვის რამეს ჩკვიანურს. ქალო, შენ თავი გირჩევნია ჩემი თუ ფეხები? — ახარხარდა ილიკო.

— გმირობა, გმირობა უნდა მომანჭონ შენი და შენი შვილიშვილების გაძღებისათვის!

— შეიტანე მერე განცხადება!

ქეთევანმა ხელი ჩაიქნია და სამზარეულოში გავიდა.

— მაშ, დიდ ამბავში ყოფილხარ, ჩემო ილიკო.

— მაშ, მაშ, მა რა გეგონა?! — ულვაში აიცქვიტა და ხელით ანიშნა, აქეთ მოდიო.

მათეც დაბალ სკამზე გადაჯდა, იდაყვებით ტაბლას დაეყრდნო, თითები მომუშა და ნიკაპი მათ შორის მოათავსა.

ილიკომ ბუნდუტუკში სიგარეტი ჩა-ამაგრა.

— მათეჯან, რაღაც... ლოყაზე ხელი ჩამოგიკრავს, აი? — შემპარავად მიუ-გო.

— რა თქვი? — მცირე დაყოვნების შემდეგ ახედა მათემ.

— აქეთ აღარ აპირებ-მეთქი გად-მობარგებას?

— რა ვიცი, რა ვიცი... — ამოილუღ-ლუღა.

— ჩემმა კნეინამ მიამბო, მშვენიერი სამარე გაგიკეთებიათ.

— ჰო... კი, არა უშავს.

ილიკომ გააბოლა, თან მეგობარს თვალს არ აშორებდა.

— მგონი, მღუმარების ანგელოზმა ჩამოგვირბინა.

— რაო?... — გამოფხიზლდა მა-თე.

— გადმოსახლებულიყავი ამ მხარეს, რა ვქნა. ჰამაც ახლოს ვიქნებით...

— ერთობ,... გულს არ მეთანაღრება. იცი, ჩემო ილო... — აბნეულად წამო-იწყო მათემ და უნებურად სიგარეტს დასწვდა.

— აბ, ხელი არ გაიქანო! — ააცალა კოლოფი ილიკომ.

— ერთს მოვწევ მხოლოდ.

— რაღაც ეგრე მთხოვ! — ღიმი-�lit გაუწოდა და სანთებელა აატაკ-ცუნა.

მათემ ღრმად მოქაჩა, თვალი ისევ კედელს მიაპყრო.

— გისმენ, ჩემო მათე. — ბალიშიდან თავი წამოსწია და ხელი შეაშველა.

მათემ მრავლისმეტყველად გახედა... უცებ სახე გაუნათდა.

— ჰაუ, როგორ გადამავიწყდა... აბა, თუ გამოიცნობ, რა მოგიტანე?

— გამოცანებს მიწყობ, აი!.. ვხვდე-ბი, ვხვდები, ოღონდ ქალბატონი თუ დაგვანებებს.

— ვითომ რატომ, აგიკრძალეს? — გამოცოცხლდა მათე.

ELIBRARY.GE
ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამიკრძალეს რა!.. ეგლა მაკლია, თარიქაბა ექმნი თავზე დავისვა. ეგ არის, ჩემი კნეინა ყაფთ აყვანილი.

— ერთი წუთით, ახლავე გეახლები! — შეგულიანებულმა წამოიძახა და დერეფანში გავიდა.

ბნელ შემოსასვლელში ტანსაცმლის საკიდს მიაგნო, თავის მოსასხამს ხელი მოუფათურა და ჯიბიდან ბოთლი ამოიღო. მიმტრიალდა. დერეფნის ვიწრო სარკმლიდან, ლიმონის ლაპლაპა ფოთლების მიღმა, ნაირფეროვანი საგნებით, სურათებითა და წიგნებით დახუნძლული ოთახის კუთხეში, მოჩანდა ილიკოს ფერმკრთალი, ფიქრმორეული სახე. „რით, საიდან დაიწყოს?“ —აფორიაქდა. „უეჭველად უნდა გაანდოს, გაუზიაროს... დაიღალა და გაიტანჯა. გაუგებს განა?.. განა უგრძნია ამგვარი ყოფა, მარტოობა?... გაუგებს. უეჭველად გაუგებს. არ ახსოვს, ჯერ ილიკოს მისთვის არ გიეგოს“. — დამშვიდდა და შესვლა დააპირა, რომ სამზარეულოს მხრიდან ხმაჩაგუდული ქვითინი მოესმა.

მეესეულად იქით გაემართა. დაბალი კარი შეაღო და სახტად დარჩა.

— სუ... ჩუმად, შენ შემოგვლე! — შეცბა ქალი.

— რი მოხდა, ქეთევან? — ჩურჩულითვე შიშნეულად ჩაეკითხა.

ქეთევანმა ორივე ხელი სახეზე აიფარა, თავი ჩახარა. მათემ სასწრაფოდ ჭიქა მოძებნა, წყალი ჩამოასხა და პირთან მიუტანა.

— გმადლობ... — გულამოსკვნით ზედიზედ ამოისუნთქა.

— უკეთა ხარ?

— უკეთ რა გამხდის, დაიწვას ჩემი გაჩენის საათი, — თავი ვეღარ შეიკავა, ისევ ატირდა, ჩუმად და ცხარედ. — ასე ჯამბაზივით რომ იქცევა, ეგრე კი არა აქვს საქმე...

— ვის? — გაოგნდა მათე.

— მომკლავს, განათავებს... რომ გამიგოს. სასტიკად ამიკრძალა... — ვალალებდა ხმაჩალეული. — ის კი არა, შვილებს უმალავს... ეგ სულელი და უბედური... რაც მოსახდენია, წინასწარ რატომ იჯავრონნ...

ქეთევანი იმდუღრებოდა, ხმაც აღარ ისმებდა.

— რა არის მოსახდენი? — მლიკუს ამოღერღა მათემ.

— ბედკრულს... — ჩაისისინა გამწარებულმა. — არ ელის კარგი დღე... ფეხი უხმება. უნდა მოკვეთონ.. რატომ გული არ გამიხმება.

დადარაჯებულ მათეს ხელები ჩამოუვარდა, ნიკაპიც.

— ფეხს ვინ ჩავის... — ცრემლებს ყლაპავდა სიტყვებთან ერთად. — მეეჭვება, ძალზე მეეჭვება, ვაი რომ ვერ გაუძლოს... შვილებს, საკუთარ შვილებს არ უმხელს, მიკიბ-მოკიბა, ბოლო დღეს ვეტყვიო.. თურმე, ამ ჩემი ცოდვით სავსემ, რა ხანია იცის, არაფერი ეშველებოდა და მეც მიმალავდა, წარმოგიდგენია?! — თავსაფარი მოიხსნა, სახე შეიმშრალა. — ახლა გამაგებინე, შენი ჭირიმე, მაგის ამდენი წვალება თუ შეიძლება?... ამდენი ნერვიულობა, ღამეების ტეხვა და ათასი ხრიკები. რით მოვასვენო, რა ვიღონო, რა წყალში ჩავვარდე, აღარ ვიცი. იმის მაგივრად, კარგად იკვებოს, ოპერაციამდე მომძლავრდეს, ამ ბავშვებს გადაყვა. ერს გამომგონებლებს ვუზრდიო — ამოიჩემა და ვიღას უგდებს ყურს. ექიმიც ნაწყენი გაუშვა... აბა, მაგისი ამბავი რომ იცოდნენ დანამდვილებით, ვინღა შეაწუხებდა. ამიტომაც ჩამიდუღა ტყვია პირში. ახლა, ეგება შენ მიშველო, მათე, ავიყოლიოთ როგორმე, მოვახერხოთ რამე, ოღონდ არ გამოქცა, შენ შემოგვლე...

— გაუძლებს. — გამოსცარა მათემ და იქვე სკამზე დაეშვა.

— ცუდად ხომ არა ხარ, მომეკვლეს თავი.

რუსლან ლოსლაძე
შემოდგომა

— არაფერი მიკბარს... მე რა მომკლავს? — ხმაშეცვლილმა წარმოთქვა.

ახლა ქეთევანმა მიუბრუნინა წყალი. მათემ რამდენიმე ყლუპი მოსვა. შუბლზე ცივი ხელი იგრძნო.

— მომკლავს, სახლიდან გამაგდებს...

— ქოთქოთებდა დანმეული.

მათემ თავი დაუკრა.

— არ გაგიმეორებ, თავად ვათქმევინებ ორიოდ დღეში.

— მართალი იყო, არ უნდა მეთქვა, მე დასამწებელს... ვაიმე, გვეძახის!

— შენ მიდი... მეც მალე მოვალ, ხომ ხედავ, უკეთა ვარ. — მათემ უღიღამოდ გაუღიმა და წამოდგა, — დღეს ცოტას წავიქეიფებთ, თუ არ დამძრახავ.

— იჯექი, იჯექი, შენ შემოგეცალ... ჯერ მოისვენე... — ნაჩქარევად თმათავსაფრის შესწორებას შეუდგა.

— სად დაითვინა, ბებრეზო? — მოისმა ილიკოს ომახიანი შეძახილი.

— რა გაბლავლებს, ვერა ხედავ, კერძს ვაცხელებ?! — ხუმრობა სცადა ქეთევანმა და კარი შეაღო.

— ი წეროსანი სადღა დამეკარგა? — მათემ კონიაკს წამოავლო ხელი, კარს უკან ჩამოფარებული მძიმე ფარდა ორივე ხელით გადახსნა და იმგვარად შეაბიჯა, თითქო სცენაზე გამოდიოდა ურთულესი როლის შესასრულებლად.

— საღ დავიკარგე და შენს ჩაბნელებულ დერეფანში ლამის ჩავეკარი.

ილიკოს ტელევიზორი ჩაურთავს, გვერდით კი, ჩამწერზე „წინ წყარო“ აუხმაინებია.

— ჰოდა, ოკრო-ბოკრო ოჯახშიც ჩაგრიხნიდებოდი. ე რა მოგაქეს, ბიჯო?

— მა, ნაალებს როგორ გაკადრებდი. — ყალბი სიცილი იკარგებოდა ნის წვერში.

— ჰო, ჰო, სად გამოძეგნე, შე ძველო... ჩვენი ხნის არი, აი! — ბოთლი გულღიგულ შეათვალიერა. — ქალო, ამას თქვენებური, ფრონცკი ვახშმი მოუხდებოდა! — გასძახა ქეთევანს.

— ჯერ ხარჩო მიირთვით და... ეგეც რასაც ინებებთ. ეს უპატრონო, ...ზიის ხახვი ხან შაქარივით ტკბილი გამოდგება, ხან კი მწარე, ცრემლებს გადვრეენებს...

— გაიჭირე შენი ხარჩოებით და წვნიანებით. გასაყიდი მოზუვრივითა მკვეპავს დილა-საღამო ე ოჯახქორი... ამ ჩასაკოკლოზინებელს, ძმაო, შესაბამისად ყავა-მავა და რამე-რუმეები უნდა დავურთოთ, რას იტყვი?

— გეთანხმები.

— არ გაიმოზრა თავი ამ რქამოცვეთილმა ხარმა, ჰა მათე?

— ემანდ უშნოდ ნუ ჭარტალეს, ბარე ორ მოზუვრს კიდევ მოვიგდებ ზურგზე. ბებერ ხარს რქა რო არ გაესინჯება, გაგიგონია?

— გამიგონია, მაგრამ პური რომ გაგთავებია, ის თუ გაგიგონია?

— ახლავე ამოვიტან. — წამოიწია სკამდან მათე.

— მოიცა, ბიჯო. — ხელი წაატანა მკლავში ილიკომ. — გაისეირნოს ცოტა სუფთა ჰაერზე. ქეთოჯან, სამსალაწეკოც გამაყოლე, გესმის!

— გაწყვიტოს პირმა მისი მომგონი! — დერეფნიდან დაატანა ქეთევანმა და კარი მოიჯახუნა.

ილიკომ ისევ დაადრო მუნდშტუკი და სიგარეტის ფშვნეტას შეუდგა.

— მოკლედ, თან უსმენ, თან ხაზავ, თან ეძებ, თან ხელმძღვანელობ... გამოდის, დღენაადგ გარჯაში ხარ.

— რა ვქნა, ჩემებურად ვერთობი. — წვრილად გამოუშვა ბოლი და იქვნეულად მიაჩერდა.

მათემ თვალი აარიდა, წამიერად თითქოს შეცბუნება გამოამეღავნა, მაგრამ გამოსავალს მაინც მიაგნო, ოსტატურად ტელევიზორზე მიანიშნა და გამომწვევად მიუგო:

— ამდენ ამბავს მიჰყოლიხარ და ტელევიზორი, ჩემი არ იყოს, დაგმუნჯებია!

— რასა ბრძანებთ? — „წამოეგო“ ილიკო. სხორტად მხარი იცვალა და თაროდან ზონარზე გამობმული, ილიკე-

ბით და გადამრთველებით აჭრელებული კოფთხო გადმოიღო, ხელში შეათამაშა. — არ დავიტრაბახებ, მაგრამ ასეთი ხელსაწყო, ჩემმა მზემ, ბარე ორს არ ექნება ამ დუნიაზე. აბა, კარგად დააკვირდი. ესეც შენი ხმა, — ტელევიზორი ახმაურდა, — ესა — თბილისი, მეორე არხი. ეს, ბატონო, მოსკოვი, ეგაც — პარიზი! პარდონ, ღამე არა ჩანს! — ჩაიქირქილა და ტელევიზორი გამორთო. — ამ სათამაშოთი შემიძლია მოკმართო რადიოც, ჩანწერიც, ფირსაკრავიც და მავან-მავანი.— ხელსაწყო მათეს გაუწოდა.

— აღარც ხუმრობ, ძმაო, ჯადოსნური ზარდახში გაგიკეთებია. — დაკვირვებით დაათვალიერა.

— ჯადოსნობას ნუ მიწერ, „ყველა ხელოვნ მომითვალე"! — შეიფერა ილიკომ, ჩაშწერს ხმა უკლო და ხელსაწყო თავის ადგილზე მოათავსა.

— ეს იქით იყოს, რაღაცის თქმას ამირებდი, მათეჯან.

მათე უნიათოდ მიუტრიალდა. თავი ორეროფუულად გაეჭნია.

— ჯერ არაფერი გადამიწყვეტია... რა ვიცი, ვყოყმანობ აქეთ გადმოსვლის თაობაზე. იქ შეეეჩვიე თითქოსდა, ჩემთვის ვარ, არაკაცს ვაწუხებ.

— ჩემი აზრით, ურიგო არ იქნებოდა... სხვა თუ არა გაქეს გუნებაში.

— სხვა რა უნდა მქონდეს?

— რავი... ჯეელიგით კი გამოიყურები და ბარე ორი ქალი არ გეტყოდა უარს, მე და ჩემმა ღმერთმა.

გაცინებულმა მხარზე ხელი წაკრა. მათემ უნდობლად ახედა.

— კაცნი ვართ... ჩემი დაკვირვებიდან ვიცი, ვისაც კარგი ცოლი ჰყვანდა, ყველა ინდომებდა ხელმეორედ გაბედნიერებას. ემანდერა, ჩავარდნას რომ აპირებდი, შარშან თუ იმის წინ, ცოლი მოუკვდა. მალე სხვა იპოვა, კიდეც მოიყვანა. ეგონა, მომვლელი ეყოლებოდა, ჰამაც ხელსაც მოიითბობდა სიბერეში... ჰოდა, დარბის ახლა განქორწინებაზე, შვილიშვილებიანად. მაგ ყურუმსაღს, აბა კაპასი და ანჩხლი ცოლი ჰყოლოდა, ვინ მამაძაღლი აფიქრებინებდა ხელმეორედ. ეგრეა, ... მო ბატონო: „ამა დღეგან დამავიწყა, გული ჩემი ვინ დაბინდა"...

— აბა, რას ამბობ, ილიკო?... თითქოს არ მიცნობდე — უხერხულად შეიშმუშნა.

— აგაშენა ღმერთმა, როგორ არ გაცნობ, ჩემო მათე, ისე ვამბობ!... აგე, მოვიდა გმირობის მაძიებელი. ქალო, თამბაქო დაგავიწყდებოდა.

— ნუ გამიჭირვე საქმე, გამიციდა ყველაფერი... რაც იყო, ის წამოვიღე.

— შემოვიდა ქეთევანი სინით ხელში, — ზეგ დილით მოდიო... აბა, გადაიღეთ.

— ზეგაო?... მაგაზეც ყაბულსა ვარ... გასახსნელი მიპოვე ერთი, კარგა ხანია შუშიდან არ დამიძვრია.

— ჯერ ეს მიირთვი და მერე.

— ო, რა ჯაბი ბრძანდები, ქალბატონო ქეთევან. პირველი სირჩა მადის აღმძვრელია, არა აქვთ ქალებს გაგება და ჰე!

ქეთევანმა გასახსნელი ჯიბიდან ამოიღო და ორთავეს გაეცინა. ილიკომ თავისი „ჯადოსნური ზარდახში" აიჩხაკუნა და ოთახში იშხნელების სიმღერა დაიღვარა.

— ჭიქები აქეთ მოდგით, — ხელნელი ჩამოასხა.

ქეთევანმა წინსაფარი მოიხსნა და ილიკოს გვერდით მოკალთდა.

— მოდით ამ ძველისძველი წინწაქარით და ახალ-ახალი იმედებით ჩვენს ბებერ სულებს, ცოტა სულელებს გაუმარჯოს! — ორთავეს ბავშვურად, ხალისიანად მიუშახუნა.

— ჩემი და ამ ღვთისნიერი ადამიანისა რა მოგახსენო, მაგრამ შენ, ჩემო კაცო, ამ ბოლოს ნამდვილად გამომისულელდი! — პირველად გულიანად ჩაკუშკუშდა ქეთევანი.

— ეგრე გეგონოს, დალიე, დალიე, ჩემო გვრიტო.

რუსლან ღონღლაძე
შემოდგომა

მათე წამოიწია, ცხვირსახოცი ამოიღო და ვითომ ცხვირი, სინამდვილეში თვალზე მომდგარი ცრემლი მალიად მოიწმინდა.

— გაგვიმარჯოს. — ასწია ჭიქა. ცრემლი რომ ვეღარ დაფარა, ხუმრობით დააყოლა: — რა ქარებია საბურთალოზე, დილიდან რაღაც ჩამივარდა... ეგ არაფერი. მოდი, ჩვენ ერთად ყოფნას, ბედუყრელობას გაუმარჯოს! — წარმოთქვა სახეგაბადრულმა და თვალი ისევ მოისრისა.

— მაიტა, ბიჭო, ეგ შენი თვალი! — ბალიშის ქვემოდან სათვალე გამოიღო ილიკომ.

— მგონი, მომცილდა...

მაგრამ ილიკო იმდენად გადმოიზნიქა, რომ მათემ ძალაუნებურად თავი გაუწოდა.

— ამ თვალში? — ქუთუთოები ფრთხილად გადაუხსნა. — არა ჩანს, რჯულ-ძალლი!

— აღარ მაწუხებს, ილო.

— აბა, კაცო, არ გააჩმახეს ამ ქარებმა თავის მიქარვებით?! — სათვალე შეიხსნა. — იქით ცივად უბერავს, არა?

— ჰო, ცივი საბურთალოზე ქარები.

— ქარები, ქარები, მხიბლავს ლამაზი ქალები. — ხელი გადახვია ქეთევანს და კისერთან მოუცაცუნა.

— მიდი, მიდი, არ გიშველის ეგ ლაქუცი, მოამთავრეთ, სანამ გაცივდებოდეს.

— ქალი კი არა, ჯალათი მყავს სახლში, ვეუბნები!

ორთავემ თავები წახარეს და უხმოდ შეექცეოდნენ. ქეთევანი კი სმენადქცეული, ერთ წერტილს მისჩერებოდა.

— საღოლ, ქეთუშ, მშვენიერი რამ იყო! — შეაქო ილიკომ და საინი გადადგა.

— დიდებული! — კვერი დაუკრა მათემ.

— დიდი არაფერი, თავს ნუ მიქონავთ, სამ ჭიქაზე მეტს მაინც არ დავალევინებთ.

— რა ეჭვიანი ბრძანდები, ჩვენ ამის გარდა, სამზე მეტს მაინც არ ვიბარებ-დით. — სიგარეტს მოეკიდა, დაეხველა ჩამოასხა და წამოიწია. — ეს საღოლგრძელო ელენეს მინდა მივუძღვნა... როგორ უყვარდა ეს სიმღერები... და ახლაც, როგორც ცოცხალს, ვადღეგრძელებ, რადგან მწამს, მისი სული აქ, ჩვენს გარშემო ტრიალებს... დიახ, უზადო ადამიანის, ხალასი ქალის განსახიერება გახლდათ ელენე. ისიც ღრმად მჯერა, ჩვენი ერის მადლსა და ბუნებას ამგვარი ქალები ასულდგმულებენ, აპატიოსნებენ. გაუმარჯოს ელენეს, მის ანკარა და სპეტაკ სულს. ღმერთმა აცხონოს და... ამრავლოს მისებრი ნრავლეკამიერ.

— ამინ! — ჩაიჩურჩულა ქეთევანმა და ოდნავ მოსვა.

მათე თავჩაქინდრული უსმენდა, შემდეგ ძლივს აზდა ჭიქა, ცოლ-ქმარს მომწვარი თვალები მოავლო და უხმოდ შესვა.

ჩამწვარს ერთთავად ხმა აუმაღლა ილიკომ, ხელი ჰანგებს ააყოლა, ჰაერში აატორტმანა, დაბოლოს ქეთევანს მხრებზე დაასვენა. ქეთევანი კი, თავისი რბილი, ხალმოყრილი თითებით მათეს მოწყვეტილად დავარდნილ მარჯვენას მოესალბუნა.

●

— დარჩენილიყავი, რაღა, შენც აიტეხე... დილადრიან ქალბატონი ხაშს მოგვირბენინებდა...

— არა, არა... როგორც დავთქვით, ზეგ გინახულებთ, ახლა კი წავალ, კარგად მეყოლეთ. — ლაბადამოხურული უხერხულად გადაეხვია ილიკოს.

— რა ჯიუტი ხარ, მათე. გინდ იმ ოთახში, გინდ აქვე გაგიშლი ლოგინს და მოისვენებ, შე კაი კაცო, სად უნდა იხეტიალო ამ შუაღამისას.

— გმადლობ, ჩემო ქეთო, სხვა დროს დავრჩები, თავსაც მოგაწყენ. დღეს კი უსათუოდ უნდა წავიდე. შვილები მომიკითხეთ...

— აიკვიატა და რას გადაათქმევი-

ნებ?! კარგი, გელოდები. ფრთხილად იარე, ნახევარი ქუჩა აყრილი ყოფილა.

— მაგის დარდი ნუ გექნება... ღამე ნებისა.

ჩაბნელებული დერეფანი ხელიხელ-ჩაკიდებულებმა გაიარეს, შემოსასვლელთან ქეთევანმა ღილები შეუკრა.

— გადაიწვა? — ახედა ნათურას.— მომიტანე, გამოგიცვლი.

— მოიცა, დალოცვილო, სად უნდა იძრომიალო. ხვალ ბიჭი მოვა და ამ იატაკსაც მოუხერხებს რამეს. გუშინ ფიცრები უშოვნია. არ გაცივდე, საყელო აიწიე... აქვე მაინც გადასულიყავი, თქვენიანებთან.

— ქეთო, შენ ჰყავდე კარგად და უეჭველად გაუძლებს! — ხელზე ეამბორა, კრძალვითვე გადაკოცნა და დაიძრა.

— ღმერთმა გისმინოს, ჩემო კეთილო... ნახვამდის, ნახვამდის...

კიბე მოქურუხებულმა ჩაიარა, ალაყაფის ბჭესთან შეყოვნდა. „გაუძლებს კი?“ — ჩაილაპარაკა და ვიწრო, აქაიქ განათებულ ქვაფენილზე გამოალაჯა.

გაშიშვლებული ხეების ჩრდილები ობობებივით დარბოდნენ სახლების კედლებზე. მათე ღონემიხდილი მიაბიჯებდა მათ შორის. შიგადაშიგ ქვაფენილიყრილ ორმოს ან მიწაყრილს მიადგებოდა, გოგანებული გადათხრილ ჩანნელებულ დაღმართს ჩააცქერდებოდა და გასასვლელს რის ვიივაგლახით აგნებდა. ჰმ, აქ ამოსვლისას ერთხელაც არ გამრეულებია გზა. ერთი-ორჯერ ამჯერადაც სცადა გრძელი ნაბიჯით დაბრკოლების გადალახვა, მაგრამ უკანასკნელ წამს გამბედაობა ხელიდან ეცლებოდა და ილაჯგაწყვეტილი უკან იხევდა. ქარი ხან ქშენით, ხან სისინით დაუბერავდა, ხანაც სულ ჩადგებოდა და მეყსეულად სამარისებურ სიჩუმეს ისადგურებდა. მკერდში ჩაბუდებული ჭია კი, მრავალფეხა მაჯლაჯუნად ქცეული, უკვე ძალუმად დადოდავდა და გამკვრივებული ბრეყალებით შიგნის უჯიჯგნიდა.

ილიკო... არც გაგხსენებია მისი, ... ხელი და გაჭირვება. გამხდარი, ... ღვული ილიკო. თვალებიდა შერჩა უწინდელი, ხალისიანი, მეტყველი... რამდენი რამ არა გეცოდნია, რამდენი რამ გამოგიჩენია, რამდენი რამ არ შეგიგრძენია, ჩემო მაკო... ნუთუ დღეს გაიცანი, დღეს ნახე პირველად. მთელი ცხოვრება გვერდიგვერდ გივლიათ. ვინ იცის, რამდენი არ გაუმეფლია, არ გაუნდვია. ან რარიგ უნდა გაენდო, როცა თავად უმალავ საკუთარ თავს გულის საწადელს... სამაგიეროდ, ილიკო გიცნობს, კარგადაც გიცნობს. ჰმ, ამაყი მათე... სად გაქქარა შენი სიამაყე, პირუთვნელობა, რად ჩაგივარდა ენა, ქურდს, მხდალ კურდღელს რომ მიედარე, რატომ არა სთქვი შენი სტუმრობის მთავარი მიზეზი. რა იყო აქ უცნაური?.. რომ, არათუ ძველ სახლში, იქაც გიჭირდა უკვე გაძლება... რომ ძლიერ მოგწყურდა, ისევ მოგინდა ცხოვრება, ახალი ელენე, ახალი აწმყო!.. მაგრამ ამგვარი ნაბიჯის გადადგმა შენს პატივცემულ პიროვნებას ასე ხელდახელ როგორ ეკადრებოდა?! ორმაგი უნამუსობა. განა უმჯობესი არ იქნებოდა, ვინმე ახლობელს და უფროსე ილიკოს ერჩია ის, რისი სურვილიც გულ-ღვიძლს გიღრღნიდა...

შეჩერდა, ელექტრონის ბოძს მხარი მიაყრდნო, ზედა ღილი შეიხსნა, ერთი ამოოიხრა და გზა გაადრეკილა.

ვინ იყო ამქვეყნად შენი ჭეშმარიტი თანაზიარი? ელენე!... ყოვლის გამგები, ხალასი სული... ყველასთან, ყველგან, ყველაფერში სცრუობდი. ცხოვრების მანძილზე ეხოლოდ საკუთარ არსებას, საკუთარ პიროვნებას ემსახურებოდი. ვის?... გამოგონილს, შექმნილს, შეთითხნილს. რა გაკავშირებდა ამ ხალხთან, ამ გარემოსთან?.. ერთხელ მაინც რად არ შეხედე შენს თავს გვერდიდან, რად არ ჩახედე შიგნით?... ამ დი-

რევაზი ლონდაძე
შემოდგომა

ლით შვილი ამაყობდი, გონებაგაზნილი, პატიოსანნო შვილო, მაგრამ მისი აღზრდა, ოჯახი — ელენეს ქმნილება გახლდათ, ელენეს სარისტა. რატომ არ აღიარე, რად აუარე გვერდი?! როდის, რაკამს დაიჭიე გვერდის ავლას, თვალის ახვევას? თავზარი დაგეცა, გაბორკილდი, ოლგანად ჩავარდი, როცა მოგცილდა მონა-მორჩილი, უდრტვინველი ადამიანი, გასაგნებული საკუთრება... მოკვდა და შენს ყალბ პიროვნებას წყალი შეუდგა... ვინ იყო მათე?... ოჯახის თავი, მესვეური, მმართველი?! დაკავებული სამსახურით, თავყრილობებით, მივლინებებით და მისლა-მოსვლებით... ეგ „საქმეც“ შენი პიროვნების სამსახურისთვის მოიწადინე... სამსახური და საქმე... საერთოდ, რაღა მიგაჩნდა საქმედ ამ ეეებერთელა **სამყაროში.** როდის მოსხიპე, მოწალდე, მოეცე ზეადმფრენის, სულსკვეთების მზარდი ყლორტები?... როდის მოხუერ, ამოქოლე თვალთახედვის, გონქნობათახედვის ღიობები და სარკმელები?! რიღასთვის გაჩნდი, რისკენ იღეწოდი ამ ცხოვრებაში, მათე!.. რად აძალებდი თავს, იმტკიცებდი ნებას, ბოკვადი სურვილებს. ჰმ, მხოლოდ და მხოლოდ რომ შეგექმნა გარეგნულად „ძლიერი, მშვიდი და თვალსაჩინო“ მოკვდავი?.. სწორედ იმ დროს, სიყმაწვილეში, ის ლაი სული დაიკარე და ჩაუყარე საფუძველი ამ ბეჩავ თოჯინას!.. ცოტაოდენი ვაჟკაცობა მაინც გამოგეჩინა და ილიკოსთან მაგ მიზნით არ მისულიყავი. თვითონვე გადაგეწყვიტა, დაგესვა წერტილი!.. განა ცოტაა, „ბარე ორი ქალი არ გეტყოდა უარს“... ვინც მოგიელიდა, „გაგითბობდა“ დაობლებულ გულსა და სამყოს... ეზრადაც არ მოგსელია, ილიკოს. დასნეულებულ მეგობარს გაფრთხილებოდი. ფუი, შენს კაცობას!..

გაჩირაღდნებული გამშრირიდან მანქანების ხმაური მოესმა, თავი აარიდა, ჩაბნელებულ ქუჩას გაუყვა.

ან ვის ინდობდი, ვის უთმობდი?.. **მამას, შვილს** თუ მის ოჯახობას?.. ვის გაწცდებს. ვის ტკივილს აკარებდი გულს?.. იღებდი, იზიარებდი მხოლოდ იმას, რაც საკუთარი თვალსაზრისით, გემოვნებით და მრწამსით იფარგლებოდა. რომელი მრწამსით? რომელიც საკუთარი პიროვნებისთვის გამოიჩინრკნე?... თავის დროზე უპირატესობა მამასაც აგრძნობინე, აჩემებული შეხედულებები თავს მოახვიე, არ დაუთმე... მაგრამ შვილი ვეღარ მოთოკე, საუკუნეს გადააბრალე, გაუდექ და უგერგილო მეთვალყურედ გადაიქეცი, რადგან დღემდე ეპვობდი მის არჩევანს, ელოდებოდი შედეგს... ამ ინდობას დაარქვი მრწამსი?.. ჰმ, არ გიღალატია. ნეტა რას ეძახდი ღალატს, ზოგზოგებივით რომ არ იყავი მოდებული კალთამაღლიან მანდილოსნებს?... ამით იხატებოდა შენი ერთგულება, ამას ეძახდი სიყვარულს, წილგებას?.. არაფერი გაგიცია მისთვის. ანდა ვისთვის რა გაგიცია?.. აგრე ყოფილა, აგრე აიგე ცხოვრების წესი, არ გაგიცია, არ დახარჯულხარ... ერიდებოდი სატკივარს, საწუხარს. სწორედ ამიტომ ვერ აიტანე მარტოობა, ვიღაც დაგჭირდა გვერდით, „შემავსებელი“. ჰმ, ბედს არ გწამდა. ელენე — აი, შენი ალალ ბედი, რაც ვერ მოირგე, ვერ გაახარე. გვიანღა არის, გვიან. ჩარაზული, ამოყორილი ზღუდე-ჭიშკრების დარღვევა... ვინ იყო მათე, რა შეუქმნია ცხოვრების ეზაზე? — იკითხავენ შვილიშვილები. არაფერი, არარაობა, სიცარიელე!..

მანქანის საყვირმა გამოაფხიზლა. დამფრთხალმა მიმოიხედა, პროსპექტზე ჩამოსულიყო. შეჩერდა. გადაღმა, მაღაზიის მოზიმზიმე ფირნიშის ქვეშ, რამდენიმე მამაკაცი ხმაღალი კამათობდა. მცირე დაყოვნების შემდგ ქუჩა გადაკვეთა და გეზი გასტრონომისკენ აიღო.

— მორჩა, ძია კაცო, მორჩა!... — მიუგო ერთ-ერთმა გამყიდველმა, რომელიც კარებს კეტავდა.

— მოსაწევი მინდოდა, გეთაყვა.

— მგგ ჭიღარის ხათრით, აი. ოღონდ, ჩქარა ისედაც დაგვიანდა. — შეუძღვა მათეს.

ნახევრადჩაბნელებული დახლის შუაში ვერაფერი გაარჩია. გამყიდველიც გაუჩინარდა.

— ხურდა გექნება. — სიბნელიდან გამოწვდილი ხელი შენიშნა, მერე სიგარეტის კოლოფიც დაინახა.

— ეგეთს... — შეუყყმანდა მათე,— მეტსაც წავიღებდი.

— მაინც რამდენს? — ახლაღა შეამჩნია ნოქარი, დახლს იქით, ყუთებს შორის რომ ფაციფუცობდა.

— ერთ ყუთს.

— ვაა, რა ამბავია?.. ამდენი სადა მაქვს...

— რამდენიცა გაქვთ... ავადმყოფისთვის მინდა.

— აი, ავადმყოფს ბოლი?.. არ გეკადრება, ძიაჯან!.. აბა, სულ ეგა მაქვს.

კოლოფები საჩქაროდ ქაღალდის პარკში ჩაწყო.

— გმადლობ... — ფული დახლზე დაუდო და ანიშნა, ხურდა არ მინდაო.

— რისი მადლობა, პირიქით — მადლობა! — ცმუკვით მიაცილა გასასვლელამდე და ახლობელივით დაემშვიდობა.

მათე გზისპირზე დადგა.

„ცოტას მაინც გავახარებ ილიკოს“. მის წინ ტაქსი გაჩერდა.

— საით მიდიხარ, ბერიკაცო? — ომახიანად გამოსძახა მძღოლმა.

— საბურთალოზე, — მათე ჩაჯდა და მანქანა დაიძრა.

— ხომ არ გეწყინა, იუზგარ, შორიდან თოვლის პაპასა ჰგავხარ, ჩემი ჭაბაკისა კი ყოფილხარ, აი!

„არაო“ — თავი გააქნია მათემ და კოლოფები მუხლებზე მოითავსა.

— ე რა ხდება ამ საქართველოში, შემოდგომა არ გვიგვმნია და უკვე ზამთარმა მოგვიკაკუნა.

— მაშ. — უპასუხა მათემ უნიათოდ და მძღოლიც გაჩუმდა.

ნეტა რას აკეთებენ ჩემიანები?... ორ კვირაზე მეტია არ გამოჩენილან. ავადხომ არ არის რომელიმე. ეჰ, მათე, მათე... ჩაირბინა ცხოვრებამ და ალბათ იცი, რა გახარებდა, გახალისებდა. ო, რა იოლად შეიძლება ადამიანმა გაიღარიბოს სული...

გულზე თითქოს რაღაცამ უპჭკინა. ერთბაშად მოეხსნა კირთი და მთელ სხეულში სითბო ჩაეღვარა. უჩვეულო სიმშვიდე დაეუფლა; თავი, კისერი, კიდურები ერთიანად დაუშრატდა... რბილად მისრიალებდნენ სახლები, ხეები, სახურავები...

— აგერ, იმ შესახვევში გაიჩერეთ! — გონს მოეგო მათე და მალე მანქანა თავის მაღალ სახლთან გაჩერებინა.

გადმოსვლისთანავე ქარმა სიგარეტების ფუთა ლამის ხელიდან გამოსტაცა. საყელო აიწია და ბარბაცით სადარბაზოში შეეიდა. თავბრუ ეხვეოდა, მხრები ისევ დაუმძიმდა.

ლიფტში შეაბიჯა. ჯერ კიდევ შესწვევს ძალა დათრგუნოს მანკიერება. დიახაც შესწევს. ქანცგალეულმა კარი შეაღო, სინათლე აანთო. ზედა სამოსი გაიძრო, სავარძელში ჩაეხვენა. პარკს თავი შეხსნა, სიგარეტი ამოიღო.

ჯერ კიდევ შესწევს უნარი დაიბრუნოს... დაიბრუნოს დაკარგული...

სავარძელში ვერ მოისვენა, გაიარ-გამოიარა, პერანგი შეიხსნა და წამოწვა. გულს ბაგა-ბუგი გაჰქონდა.

ჯერ არ დაუკარგავს უკანასკნელი, ჯერ კიდევ ერჩის ჯანი, სისხლი უჩქეფს და ამას გულიც დაერთო, განათებული გული!... მადლიერია, ო, რარიგ მადლიერია. იგრძნო მთავარი... იგრძნო ცხოვრება. რომ შეეძლოს თავიდან... თავიდან ელენეს ნახვა, ისევ მასთან თანამგზავრობა, ოო, რას გააკეთებდა!.. წარმოდგენაც კი ძნელია. ვერა, ვერც ერთი საზომით ელენეს ბედნიერებას ვერ განსაზღვრავდი... არაფერი ახსოვდა მისგან და ალბათ ამიტომ წავიდა ასე უთქმელად...

რევაზ ფიანდაძე
შემოდგომა

წამოდგა. ჰაერი არა ყოფნიდა. ფანჯარა გამოიღო, ფარდები აკეცა და სინათლე ჩაეკრო.

ქართან ერთად სარკმლიდან მკრთალი შუქი შემოიჭრა.

რაც ღონე შერჩა, რაც ახლა გაუჩნდა, ბოლომდე ელენეს ხსოვნას მოახმარა... უფროს შვილიშვილს, წამოიზრდება თუ არა, ამ ბინას დაუთმობს, თვითონ კი ხვალ-ზეგ შვილთან გადავა. უმცროსს, ფეხბურთის წრეში რომ მიაბარეს (არ იყო მომხრე), თუ ეგრე მოსწონს, იარის, თვითონ ატარებს. შვილთან ეცდება დაახლოებას; როგორადაც შესძლებს, იმგვარად შეეხიდება. ზამთარში ორთავეს ბაკურიანში წაიყვანს, თხილამურებსაც უყიდის. მშობლებს ნუ შეეშინდებათ, დაუდგება იქ დარაჯად. რძალსაც რა უშავს?... შვილს ხომ უყვარს, დე უყვარდეთ ერთმანეთი... ისიც შეინდობს ჯიუტ ბერიკაცს... ილიკოს კი თავზე გადაევლება. ხვალვე დატრიალდება, უამრავი ჰყავს ნაცნობი, გამოცდილი პროფესორები. ქეთო, ნუ გადაიწურავ იმედს...

წლისთავზე ახლობლებს შეყრის... იქ, მოაწერინდაზე, თავიანთ ძველ სახლში.

რა ხანია იმ ეზოში, ერთად დარგული ვაზისთვის არ მოუვლია. თეთრი ვარდები... ნუთუ ხარობენ ისევ ელენეს ვარდები?... რა თქმა უნდა, ბიჭი არ დაუჭკნობდა, არ გაახმობდა... რამდენიმე ვარდს საფლავზე გადარგავს და იქვე ჩაყრის კვიპაროსის ნერგს... კვიპაროსი და ვარდი. ყოველ გაზაფხულს, ყვავილობისას, აიყვანს შვილიშვილებს და უამბობს, თუ როგორი დიდედა ჰყავდათ...

დაცხა. პერანგთან ერთად ფეხსაცმელებიც გაიძრო. ბოთლს გადაწვდა და მოიყუდა. ცივი წვეთები მკერდზეც დაეცა. ეამა.

ო, თქვენ არ იცნობთ მათეს!... ჯიუტ და უდრეკ მათეს. თუ რამ მოიწადინა და განიზრახა, ეერავითარი ძალა ვერ აღუდგება... ოღონდ ეგ არის, კუთვნილი ცხოვრება არასწორად დაუხარჯა. უფრორე — არც დაუხარჯავს. ახლა დახარჯავს!... და ეცდება გახდეს ... ... რაც საწყისიდან, დასაბამიდან ... ... ყოფილიყო...

...ერთთანად აიტყორცნა ჰერი, გაჰქრა ბან-სახურავი. მოირღვა, გაუჩინარდა ყაფაზი კედლები... კანდელივით შუქმოსილი ოთახი ატივტივდა და ამოძრავდა. რა საოცრებაა! მაღლა და მაღლა მიიწევს... ვარვარებს დიდრონნი ვარსკვლავებით მოჭედილი ცა, პირსავსე მთვარე... ფარფატებს ჰაერში მყუდრო და გამჭვირვალე ოთახი. ისე ლიგლიგებს, საწოლიც არ ირხევა.. დაბლა კი მიცურავენ კიკნა სახლები, ხიდები, ქუჩები, ციცინათელებივით მოციმციმე ლამპრონები... ა, ო, შორდება ქალაქს. ამობიბურცნენ ბაკმოდებული მთები, აკიაფდა ვერცხლისფრად მდინარე. ღრუბლების ჩრდილი ეცემა ჭალებს, ბეკობზე ამოწვეული ხუჭუჭა ტრმანს... გასაოცარია, არასოდეს ყოფილა ამ სანახებში...

გაიკვლია ცამ. მოწყდა ვარსკვლავი... აი, მეორეც... კიდევ და კიდევ... ხაფად იქუფრება ვრცელი ვარსკვლავეთი... დაჭკრა არმერმა, ერთბაშად დაქანდა ოთახიც... გადაეშვა, ამოყირავდა თვალსაწიერი და მეყსეულად ატყდა ქუხილი. მორს, სიღრმეში ამობოქრდა ზღვა... ამაზრზენმა შიშმა მოიცვა მილეთი... სასომახდილი, განწირული ძირ-ძირ ეშვება... ლეგა ტალღები დგაფუნით ეხეთქებიან კუბრივით შავ, დაკბილულ ქარაფებს... მხლოდ ზვირთებზე მომდგარი ქაფი ღადღადებს წყვდიადში...

— მიშველეთ!—მეხდატეხილი ხმით დაიღრიალა და ორივე ხელით საწოლის კიდეებს ჩაებღაუჯა.

არა!... აღარაფერი ეშველება. ვიცი ესმის მისი ხმა ამ უკუნეთში, ამ ქარიშოტში, სულ მალე ამოტყორცნილი ტალღა კლდის ალესილ ქიმს მიანარცხებს!

— მიშველეთ... — ამოიხრიალა.

და... უეცრად გადაიფეტრა, გაიხსნა ზეცა... იელვა სხივმა, სწრაფად მობა-

ეალმა. წამიც და, ჩაღგა, ჩაწყნარდა ალრეამო. ჩქამიც არ ისმის, სიოც არ ირხევა... სხივს რაღაც მოჰყვება თითქოს... თითქოს კი არა, მართლაც!.. გაჩნდა იმედი ამ ქვესკნელიდან დაღწევის! ოღონდ... ვინაა თეთრად მოსილი ეს ანგელოსი ქალწული?... შორიახლო შედგა. ხელგაშლილი უხმობს, კრძალვით ეპატიჟება. „ვინა ხარ?“.. მოესმა ექო თავისივე განაწამები ხმისა. ის კი მდუმარედ, სევდანარევი ღიმილით უმზერს, ანიშნებს — აქეთ მოდიო. ღმერთო ჩემო!.. ეს ხომ ელენეა, ჩემი ელენე!.. უმანკო და პირმშვენიერი... ნუთუ, ნუთუ შემინდო!.. უწვერულვაშო ლანდივით აეცალა სარეცელზე გულადმა მოჯაჭვულს, ერთი დახედა ხანდაზმულ ორეულს და სიხარულით გაფრინდა.

ახასხასდა ირგვლივ მამა-სამყაროს. მოცვარულ, მზისგან მბრწყინავ ქულაქულა დაფლეთილ ჯანღს ქვემოთ აშრიალდა ნარინჯის ტევრი, აბიბინდა, აჭრელდა ლალმობნეული მდელო, გადაიკლაკნა ოქროსფრად მდინარე.

გიშრისთმიანი ელენე წინ გაცქრიალდა... დაიჭერს და ისე ჩაიკრავს გულში, აღარსად გაუშვებს... გალაღებული მისდევს, მიფრინავს!.. საცაა მისწვდება... მაგრამ რაღაც სიმძიმე, თითქოს ტვირთი, მხრებზე მობმული, ხელს უშლის, ძირს ექაჩება... ელენე კი დამთრობელი ღიმილით განზე უსხლტება, უზარმაზარი ვარდებივით გადაშლილ ღრუბლებში უჩინარდება, ნავარდობს, ეთამაშება... ერთი ბიჯიც და დაეწევა... აი, მისწვდა კიდეც... თმაზე შეეხო... დაიჭირა და.. შეეტოლა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარდგეს კეტოსიანი



(რამდენიმე თავი წიგნიდან, „სომხური ესკიზები", რომელსაც გამოსცემად ამზადებს „მერანი").

„...და მოეფინა ნათელი საფლავსა ზედა"

მგონი ასეა სახარებაში ნათქვამი, ქრისტეს საფლავის შესახებ.

ის ქრისტე არ იყო, მაგრამ მის სამარეს იგერ უკვე ათ წელზე მეტია ადგას ნათელი.

ის სოფლის უბრალო ექიმი იყო. ალბათ, მასაც ჰქონდა შეცდომები, როგორც ყველა მკურნალს, შეიძლება სიკვდილიც ცოდად აწვა მის სინდისს, მაგრამ ახლა ამას არავინ იგონებს, თუნდაც იმიტომ, რომ უკვე მრავალი წელია ჩაელილი მისი გარდაცვალების დღიდან. ექიმის სოფელი 1956 წელს მოვიარე, როცა ის ცოცხალი აღარ იყო. მაგრამ სოფელში ჯერ კიდევ არ მიჩვეოდნენ წარსულ დროში მის ხსენებას. მე დაწვრილებით გამოვიკითხე ექიმის ამბავი, ერევანში დაგბრუნდი ბლოკნოტში მონიშნული ჩანაწერებით გულაჩუყებული. გუშინ ისევ გადავფურცლე ბლოკნოტი, ვეძებდა რაიმე ჩრდილს, მის ხსოვნას რომ მიადგებოდა, ანდა მოიარებით ნათქვამ გაკიცხვას მისი მისამართით. ვერაფერი ვნახე. 1958 წელს მეც და სხვებმაც დავწერეთ ექიმ ნიკოლოზ ნასიბიანის შესახებ და მისი სახელი ერთბაშად გახმაურდა სომხეთში. ახალგაზრდა სკულპტორების ჯგუფმა უგასამრჯელოდ გამოძერწა მისი ბიუსტი და ახლა ივ. ექიმის მშობლიურ სოფელში დგას მისივე სახელობის საავადმყოფოს ეზოში. მის შესახებ თხზავენ ლექსებს, მამდენარეობს მოსამზადებელი მუშაობა ფილმის გადასაღებად.

ხელახლა რატომ დავუბრუნდი ექიმის სიცოცხლისა და სიკვდილის თემას?

როგორც შევიტყვე, თანასოფლელებს მის საფლავზე დენი გაუყვანიათ

და ღამღამობით ელექტრონათურა ანთია, რომელიც თვალშუფდგამ წყვდიადში შუქურასავით იეწყება თურმე ექიმის უკვდავების ამბავს.

უკვდავების ასეთ გულუბრყვილო აღიარებას შეიძლება წარმართობისა და პროვინციული სენტიმენტალობის იერი დაჰკრავს, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება — ნათურა დღესაც ანთია, თუმცა წლებია ჩავლილი.

რა მოხდა? რით გაითქვა სახელი ექიმმა?

თვითონ დასნეულებული და ძალავამოლეული, ავდრიან ღამეს თორმეტი წლის მომაკვდავი ბიჭის გადასარჩენად მეზობელ სოფელში წასულა.

ვინ იცის, იქნებ ბავშვი უიმისოდაც გადარჩენილიყო:

ვინ იცის, იქნებ ექიმი, გინდაც არ წასულიყო, თავის თბილ ოთახში გარდაცვლილიყო.

იქნებ მისთვის არავის ბრალი არ დადედო, ავადმყოფთან რატომ არ წასულიხარ. დიახ, იქნებ არავინ ყოფილიყო მსაჯული, გარდა საკუთარი სინდისისა — თვითონ ექიმ ნასიბიანის სინდისისა და მას არ უფალანგია თავისთავისათვის, ესე იგი, დრო არ დაუკარგავს ორუცნობიანი განტოლების ამოხსნაზე, უმალ ჩაუცვამს, აუღია ექიმის ჩანთა, ფეხდაფეხ გაჰყოლია ბიჭის დატანჯულ დედას და მთელ ღამეს თვალაღზოგავად უბრძოლია ბავშვის სიცოცხლისათვის... რამდენნიმე დღის შემდეგ კი, როცა გამოჯანსაღებული ბიჭი სკოლის ეზოში უკვე ლაბტს თამაშობდა, ექიმს ასაფლავებდნენ თურმე. ის ყმაწვილი ახლა ოცი წლისაა, არ ვიცი, ახსოვს თუ არა ნასიბიანი. ალბათ, დაავწყდა, ეს ბუნებრივია, როგორც შეხორცებული ჭრილობის მერე ხდება ხოლმე. მხოლოდ აკვიატებული მოგონება ჰგავს დიაჭრილობაზ.

ნასიბიანის შვილები დაიბარდნენ. უფროსმა ბიჭმა სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა და, მამის ანდერძის მიუხედავად, არ დაუბრუნდა მშობლიურ სოფელს. მალე ქალიშვილიც დაამთავრებს და, ალბათ, ისიც დარჩება ქალაქში. მე მათ არ ვადანაშაულებ. ესეც ისევე ბუნებრივია, როგორც შეხორცებული ჭრილობა...

სოფელში ექიმის დედა და მეუღლე დარჩა.

და — სახლი ბორცვზე.

და — საფლავი გორაკზე, მოციმციმე ნათელითურთ, არა ციურით, არამედ მიწიერით, ადამიანების მიერ გამოგონებული ნათელითურთ, რომელიც სხვა ადამიანებს ლითონის მავთულებით მილიონი კილომეტრის სიშორეზე შეუძლიათ გაიყვანონ.

დასრულდა ამბავი? არ ვიცი. მაგრამ ის კი ვიცი, რომ ათასჯერ უფრო ილია ლითონის მავთულებში სინათლის მუხტების ჩაკეტვა და შორ მანძილზე გადაცემა, ვიდრე გვერდით მყოფის მწუხარების გაგება, და აგრეთვე ისიც, რომ რაც წინ წავალთ, უფრო ძნელდება გაგება, თუმცა დღეს სინათლეს უკვე ატომის გახლეჩით იღებენ, ხვალ — არაფრისაგან.

საოცარზე საოცარი ისტორია მაგონდება. სადღაც ამოვიკითხე.

ორი მეგობარი ყოფილა ამ ქვეყნად. მეზობლად, კედლით გაყოფილ სახლში, კიდევ ორი სული ცხოვრობდა. ამ ორს არასოდეს არ ენახათ ერთიმეორე, მაგრამ მაინც მტრობდნენ ერთმანეთს. ერთხელაც, განრისხების წუთებში გაუნგრევიათ კედელი და... პირისპირ აღმოჩენილან მეგობრები. გაოცებით შეუხედავთ ერთმანეთისათვის, შეპართული მუშტები დაუშვიათ და თავები დაუხრიათ.

ბევრი ასეთი კედელია ადამიანებს შორის, ზოგჯერ ძალიან თხელიც.

ვარდგეს პეტროსიანი
„სოფხეთრი ესაიზები"

ექიმი ნასიბიანი კი ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვინც ანგრევდა უმართებულო გულგრილობისა და მოძულეობის კედლებს, მას ვერც კი წარმოედგინა ასეთი კედლების არსებობა.

ადამიანი ძლივს ცოცხლობს დაახლოებით ნახევარ მილიონ საათს, იმისი დარგული ხე — ათას წელიწადს; მომდევნო თაობები უვლიან და იმიტომ. ადამიანი კი მიმავალია, ბევრიბევრი ნახევარი მილიონი საათი იცოცხლოს.

რა მინდა ამით ვთქვა?

სოფელ ქვემო აღდას უზარმაზარი მუხა მაგონდება. გადმოცემას თუ ვერწმუნებით, იგი მხედართმთავარ ვარდან მამიკონიანს დაურგავს, ესე იგი, ახლა მუხა ათასსუთასი წლისაა. სხვა თქმულება გადმოგვცემს, რომ ამ მუხის ქვეშ ვარდანს დაუსვენია, მაშასადამე, ათას ხუთასი წელი მცდარი თარიღია. სწავლულთა ვარაუდით, მუხა სულ ცოტა ათასი წლისაა. ფესვებიდან სამკურნალო ცივი წყაროები გადმოჩუხჩუხებენ. ეამთასვლაში წყალს ჩამოურეცხავს ფესვები და ახლა ხე ოჩოდენებზე დგას თითქოს. შიშველი საყრდენებით იგი ეიფელის კოშკს მაგონებს, რომლის ჭრილებში ქარი დასეირნობს. წყალს, როგორც ვთქვით, გვარიანად ჩამოურეცხავს ფესვები, მაგრამ თავისი ძძლავრი ხრეებით მაინც ინახავენ მუხას. წლიდან წლამდე ფესვებს შორის ღრმულები თანდათან გაზრდილა და ახლა იქ თავისუფლად თავს შეაფარებს 10-12 კაცი. გასულ წელს, რომ ვნახე, მის ქვეშ 20-30 ცხვარი იდგა. (უძველეს თქმულებას თუ ვერწმუნებენით, ომში წასვლის წინ ამოდიოდნენ ჭაბუკები წყლის დასალევად, მერე სატევარშემართული გარს უვლიდნენ მუხას. ახლაც მისდევენ ამ ადათს — წვევამდელები აქ იკრიბებიან). მე ბოდიშს ვუხდი მუსაინ, ეს ადგილი ცოცხლობს, ეს ადგილი ცოცხალია, ეს ადგილი ცოცხალია, ეს ადგილი ცოცხალია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ შიგნით შავი, დანახშირებული ჭრილო�ა დაჩნეული. ამ სტიქიონებთან მე მინდა ინ ჭრილობის ტკივილები ვამცნო ყველას და შევახსენო: თუ უძველეს ძეგლებზე ჩვენ ვაკრავთ ხოლმე დაფას—„აყვანილია სახელმწიფოს ზედამხედველობის ქვეშ", თუ ადადგენთ ნახევრადდანგრეულ ტაძრებსა და ციხე-სიმაგრეებს — ქვების ამსოვარს ჩვენი ხალხისა — ვარდანის მუზეგანა ისეთივე ისტორიული ძეგლი არ არის? ამ კითხვით მინდოდა მომემართა სოფელ ქვემო ადდას თავკაც ჰამიდ აივაზიანისათვის, მაგრამ მერე გადავფიქრე, რატომ მხოლოდ მისთვის?

ადამიანი ძლივს ცოცხლობს დაახლოებით ნახევარ მილიონ საათს. ამ ხეს კი უცოცხლია მრავალ მილიარდ საათს და მასთან ერთად — იმ კაცსაც, ვინაც ათასი, ანდა ათას ხუთასი წლის წინათ დარგო მუხის წვრილი ნერგი...

მე მოგიწოდებთ, დაიცვათ სასწაულებრივი მუხის სიცოცხლე! დაიცვათ ხეები!... ჩვენგან და აგრეთვე ჩვენი სიყვარულისაგან. გახსოვდეთ, სიყვარულისგანაც ჩნდება ხოლმე ხანძრები

ამ ხის შესახებ რომ ვწერდი, ენის წვერზე ერთი უბრალო ადამიანის — ავეტიქ ედიგარიანის სახელი მიტრიალებდა ნიადგ. ის ყაზარ ფარბეცის[1] თანასოფლელია, მაგრამ წიგნები არ დაუწერია და მით უფრო, არც ჩვენი ხალხის ისტორიისათვის უცნობ პირადნებათა ძიებას გადაჰყოლია.

ოცის მძიმე წლებში, 1943 წლის აღრეულ გაზაფხულზე, ქასახის ხეობაში ხეხილის ბაღი გაუშენებია 4-5 ჰექტარზე. მანამდე ხეობაში ხეხილის ხე არ ყოფილა. ფრონტზე კი ამ დროს ქვეყნიერების ბედი წყდებოდა, ადამიანები გულდამძიმებული ფიქრობდნენ, თუ რას მოიტანდა ყოველი საათი.

მომდევნო გაზაფხულზე, როცა ედიგარიანის ხელით დარგულმა ხეებმა სიცივისაგან აცახცახებულ ტოტებზე გამოაჩენინეთ ღია მწვანე დეკანოზები ამცნეს ქვეყანას თავიანთი არსებობა, ხოლო ხალხმა თავისი დიდი სამშობლოს საზღვრებიდან განდევნა მიხაკისფერი საშიშროება — ედიგარიანს ხეობის პატრიარქი შერქმევა... ამ ოთხ-ხუთი წლის წინათ „პატრიარქმა" სოფლის ადგილ-მამულებში 4-5 ჰექტარი ყამირი მიწა აღმოაჩინა, 600 ძირი ვაშლისა და 50 ძირი მსხლის ნერგები გაეშენა და ისიც სოფელს მიუძღვნა.

ბაღი წიგნი არ არის, გინდაც — სომხეთის ისტორია, რომელსაც ყველზე აწერია ოქროს ასოებით ავტორის სახელი, მისი უკვდავების დასტურად, ამიტომაც ვფიქრობ ეღრმესი პატივისცემით ხეობის პატრიარქზე და მინდა ერთხელ მეც გავიმეორო ძველი ჭეშმარიტება — ბაღიც აგრეთვე ხალხის ისტორიაა, დიახ, ხალხის ისტორია და ამას ცხადჰყოფს ვარდან სპარაპეტის მუზა, თუნდაც თავისი დანახშირებული სხეულით, რომელიც ჩემი ღრმა რწმენით კიდევ დიდხანს იცოცხლებს.

მე ვფიქრობ აგრეთვე იმ გასაოცარ სიყვარულზე, ხეობის პატრიარქს მსგავს ადამიანებს რომ აქვთ მიწისადმი, ქვიანი და მწირი მიწისადმიც კი. სიცოცხლეს გაცოცხლებული მიწა ასაზრდოებს. სამწუხაროა, რომ გაცოცხლებულ მიწაზე გამცოცხლებლის სახელი და ვვარი არ იწერება. მაგრამ 600 ძირი ვაშლის ხე განა არ უკვდავყოფს მის სახელს? განა თაობიდან თაობას არ გადასცემს იმ კაცის სახელს, ვინაც დარგო, ვინაც გაახარა?...

ვარდგეს პეტროსიანი
„სომხური ესპრესი"

1 მე-5 საუკუნის სომეხი ისტორიკოსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა კი ჩემ სოფელში ჩავდივარ, უთუოდ გავივლი ხოლმე ხეობაში, ძველ ნიდთან, სადაც წისქვილია. არ ვიცი ჩემს თავს რა ამბავია, სოფელს მივუახლოვდები თუ არა, ჩემში უნებურად იღვიძებს ეშვის გრძნობა — წისქვილი ხომ არ გაჩერდა? ნეტა ისევ ბრუნავენ ქვები? ისევ რაკუნობს სარეკელა?.. წისქვილის უძრავ ქვებზე მეტად გულისშემღონებელი ვერაფერი წარმომიდგენია რატომღაც...

სადღაც ამოვიკითხე, სკანდინავიის ნახევარკუნძულზე 10-12 ათასი ქარის წისქვილია. იმათგან დიდი ნაწილი დღესაც მოქმედია თურმე. ხალხი ეფერება, ალერსს არ აკლებს თავისი შორეული წარსულის უტყვ მოწმეებს, მიუხედავად იმისა, რომ ერთი თანამედროვე საფქვავი ფაბრიკა შეცვლიდა იმ 10 ათას წისქვილს. მართალი გითხრათ, ქარის წისქვილები მხოლოდ ზემოდან, თვითმფრინავის ილუმინატორიდან მინახავს. ამ რამდენიმე წლის წინ, როცა ესპანეთზე გადავლით აფრიკაში მივფრინავდი, ურიცხვი ქარის წისქვილები დავინახე, რომლებიც მულტიპლიკაციური ფილმების გოლიათებივით მოჩანდნენ მიწაზე. ამ სტრიქონების წერისას, ასე მგონია, იმ დროს, ესპანეთის გადამწვარ მიწაზე, თვალი მოვკარი აგრეთვე კეთილ ჰიდალგოს — დონ-ჯიხოტს, რომელიც აგერ უკვე რა ხანია უიმედოდ ებრძვის ქარის წისქვილებს სიყვარულის სახელით და, რაც უფრო შეუძლებელია, ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის სახელით...

სომხეთში ქარის წისქვილები არ ყოფილა, წყლის წისქვილებია. სულ რამდენია — არ ვიცი. ერთი ჩვენს სოფელშია. ამ ბოლო დროსაც მივაკითხე წისქვილს. ხუთი ქვიდან ერთიღა ბრუნავდა, მაგრამ ყველაფერი თითქოს მაინც ისე იყო, როგორც ჩვენი ბავშვობის დროს, როგორც მამაჩემის პატარაობისას, ალბათ. ეს ერთი ქვაც ისე ხმაურობდა, როგორც უწინ ხუთივე ერთად. ადამიანები ახლაც ხმამაღლა ჩაჰყვირიოდნენ ყურში ერთმანეთს, ჰაერი ახლაც თეთრი იყო, როგორც იმპრესიონისტების სურათებშია, ხოლო ჭერის კოუბეზე გაბმული ობობას ქსელი ისევე იყო ფქვილის მტვრით შეთეთრებული, როგორც უწინ...

გამაოგნება-გაგიმარჯოს შემდეგ მეწისქვილე შემეკითხა: „შენ დაწერე, არა?...“ (ბოლო დროს, ერთი საბაბით, ჩვენი სოფლის საყავე-“წიწერნაკ“-ში ჩატარებულ საღამოს შესახებ, სადაც სოფლის მიკროკაზმი უკრავდა კომიტასს, ჟაკ ბრელს, აზნაკურს, ხოლო მეწისქვილის ვაჟი ტვისტს ცეკვავდა რადიოფიზიკის გოგონასთან, პრესაში წერილი გამოვაქვეყნე), დიახ. მე დავწერე. წაიკითხე? — „ერთი შეცდომა მოგსვლია“ — შენი ბიჭი რომ არ ვახსენე, ისა? „ეაჰ, მოცეკვავე გოგოც ხო ჩემი შვილი იყო, ეგ რადად გამოგრჩა?“... ფიზიკოსია? — „აბა რა, ჩვენს ინსტიტუტში მუშაობს“. ის საღამო ჩემთვის კიდევ უფრო საინტერესო გახდა — მეწისქვილე, ტვისტი, რადიოფიზიკოსი. შევბიჯდი, შეცდომას გამოვასწორებამეთქი.

აქედან რადიოფიზიკის ინსტიტუტი არა ჩანს, იგი მდინარე ქასახის ახალი ხიდის ახლოა. ხეობაში კარგა დიდი გზა უნდა გაიარო რო გამოჩნდეს. წისქვილი მოპირდაპირე სალი კლდის ქიმზე წამოსკუბეულ პატარა სამლოცველოს უყურებს. სამლოცველო სურბ[1] სარქისის სახელობისაა. შიგ წმინდანების ხატებია. ჩვეულებრივი პატარა სახლია. ომიანობის დროს დედაჩემი აფიოდა ხოლმე, ჩემი ძმისთვის ევედრებოდა. მეც თან მივყავდი, და ის რომ მოკრძალებით ეამბორებოდა ხატებს, მეც მას ვბაძავდი. ახლა იქაც, როგორც წისქვილში, ყველაფერი, ალბათ, ძვე-

1 სურბ — წმინდა.

ლებურადაა. განსხვავება ის არის, რომ ახლა იქ მხოლოდ ბებიები უნთებენ სანთლებს წმინდანებს — მათ შვილებს არ ეღირსათ შინ დაბრუნება, დღევანდელი დედებიკა მშვიდად არიან — მათი შვილები უსაფრთხოდ იზრდებიან. ბებიებთან ერთად, ალბათ, მათი შვილიშვილებიც დაიარებიან სამლოცველოში, გაოცებული უყურებენ, ალბათ, წმინდანების ხატებს; ისინიც ალბათ, სულს უბერავენ სანთლებს, უნდათ ჩააქრონ, როგორც მე მინდოდა ხოლმე იმ დროს... ახლა სურს სარქისში დაიარებიან? — ვეკითხები ჩემს მასპინძელს. „რატომღაც არა, მაგალითად, დედაჩემი“... — ხორბალი ბევრი მოაქვთ. დასაფქვავად? — „ბევრი. ყველა სახლში, ახალია თუ ძველი, თონე აქვთ, ლავაშს სჭამენ“ — ახალ სახლებშიც? — „მაშ როგორ? ახლა თონეებს ცემენტისას იკეთებენ. ათას წელს გასძლებს. აბა შეიარე სახლებში!“ მე ერთ ჭიქა წყალს ვსვამ, ცივია, ფქვილიანი, მაგრამ საოცრად გემრიელი. წისქვილის გოლიათი დოლაბი კვ. რიტმულად ბრუნავდა და მზისაგან გაფერადებულ ხორბალს ქათქათა ფქვილად ფქვავდა.

მე გულში ვხარობდი, რომ ვუყურებდი ფქვილის მტვერში ამოგანგლულ მეწისქვილეს, ვხარობდი მისი შვილების გამო, ვხარობდი, წისქვილის დოლაბი რომ ბრუნავდა, ვხარობდი, რომ აქ რადიოფიზიკის ინსტიტუტია და აგრეთვე — სურს სარქისის სამლოცველოც.

ისინი ფერად-ფერადი მძივებივით გასდევენ ჩვენი მდინარე ქასახის დინებას (უფრო სწორად, დროისა) და ქვებით შეკრულ ძაფზე თითქოს არსად სტოვებენ ხარვეზებს. დიახ, მე მახარებს ეს ყველაფერი და — ისიც, რომ ხეობას ორივე მხარეს გასდევს გორაკებზე გოლიათებივით ფეხებგაჩაჩხული მაღალი ძაბვის ელექტროდენის ანძები. ისინი ესპანური ქარის წისქვილებად მესახება და მე აშტარაკელ დონ-კიხოტს დავეძებ...

თარგმნა არჩილ დავითიანმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარდს ტაეფურჩნა კოკორი

ტარიელ ჭანტურია

კვიდეჭიები

რა ვქნა, მიყვარს, ვენაცვალე,
ვინც რა უნდა, თქვას!
ხომ კარგია, კევს რომ ბერავ? —
გამბერავ და — ტკაცე!

იოლია, მაგრამ მაინც
ვხიამოვნებს კაცს:
გაიზრდება, გაიზრდება,
მერე უცებ — ტკაცე!

ჩვენს სკოლასთან მუდამ ერთი
ტკაცა-ტკუცი დგას:
ტკაცე და ტკაცე!
ტკაცე და ტკაცე!
ესე იგი — ტკაცა!..

ია და ია

იამ იას საყვედური
გაუბედა მორცხვად:
— შენ რომ მუდამ ტყუმბალაობ,
მე არ მინდა მორწყვა?

ხიმაღლეზე მხტომელი

მერე რა, რომ თავთან წვდება
თამაზიკოს თამასა:
— ნახე, თუ არ გადაგახტე!
დამაცადე! დამაცა!..

ბრიჯიანელი წყნეთის გზაზე

— აცე, ვირო!
აცე, ვირო!
აცე-მეთქი!
აცე, ვირო!
ხომ არ გინდა, გაცივდე და
შენც ჩემსავით აცემინო!

აცე! აცე! აცხვ! აცხვ!
აცე! აცხვ! აცე, ვირო!
რო დადექი, ხომ არ გინდა,
გაცივდე და აცემინო!

აცე! აცხვ! აცხვ! აცე!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲛᲔᲦᲣᲜᲘᲐ

—მე მაწონი მინდოდაო! —
რძეს იწუნებს მეწუნია.
მოუტანეს! ახარბეენ:
— სულ ახალი მაწონია!

არ იცოდა, რაღა ექნა,
აიწურა, დაიწურა.
ბოლოს, ძალზე თეთრიაო
და მაწონიც დაიწუნა!

ᲙᲝᲚᲘ

ᲬᲔᲦᲐᲜ ᲜᲘᲡᲢᲐᲜ-ᲒᲝᲒᲝ
ᲓᲐᲒᲕᲘᲒᲑᲘᲜᲐ ᲙᲝᲦᲝᲛ.

ᲓᲐᲘᲭᲘᲠᲐ ᲒᲝᲒᲝᲛ ᲙᲝᲦᲝ
ᲬᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲣᲚ ᲙᲘᲡᲠᲘᲗ:
— ᲨᲔ ᲝᲡᲔᲚᲝ, ᲐᲮᲚᲐᲕᲔ
ᲓᲐᲛᲘᲑᲚᲣᲜᲔ ᲡᲘᲡᲚᲘ!

ᲝᲠᲘ ᲡᲣᲤᲘ

ᲮᲝᲛ ᲐᲠᲐ ᲕᲐᲠ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲓᲐ
ᲮᲝᲛ ᲐᲠᲐ ᲕᲐᲠ ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲘ,
ᲝᲠ ᲛᲐᲗᲚᲐᲤᲐ ᲡᲣᲤᲘ ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲮᲐᲛᲗ
ᲔᲠᲗ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲛᲐᲗᲚᲐᲤᲐᲨᲘ.

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲜᲐᲕᲘ ᲒᲐᲨᲚᲘᲚ ᲨᲣᲦᲕᲐᲨᲘ —
ᲪᲣᲠᲐᲕᲡ ᲙᲝᲕᲨᲘ ᲛᲐᲗᲚᲐᲤᲐᲨᲘ.
ᲡᲐᲓ ᲩᲐᲕᲢᲘᲝᲗ ᲝᲠᲘ ᲡᲣᲤᲘ,
ᲮᲝᲛ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲥᲕᲡ ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲤᲐᲨᲘ!..

ᲕᲘᲡ ᲣᲧᲕᲐᲠᲡ ᲓᲐ ᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲣᲧᲕᲐᲠᲡ ᲠᲫᲔ

— ᲡᲐᲜᲓᲠᲝ ᲜᲐᲦᲓᲘ ᲓᲔᲓᲐᲚᲘᲐ!
— ᲠᲐᲢᲝᲛ ᲕᲘᲗᲝᲛ?
— ᲠᲫᲔ ᲓᲐᲚᲘᲐ!
— ᲔᲡᲔ ᲘᲒᲘ, ᲐᲛᲐᲚᲘᲐ,
ᲠᲫᲔᲡ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲡᲒᲐᲛᲡ — ᲛᲐᲛᲐᲚᲘᲐ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲖᲘᲕᲘ ᲭᲘᲭᲘᲜᲐᲫᲔ

ᲙᲣᲡᲙᲣᲡᲔᲚᲐ—ᲙᲣᲡᲐᲠᲐ

ᲡᲘᲪᲘᲚ-ᲙᲘᲡᲙᲘᲡ-ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲗ
ᲛᲘᲘᲚᲘᲐ ᲐᲖᲒᲘᲡᲢᲐ.
ᲡᲐᲛᲔᲢᲠᲛᲔᲠᲘᲐ ᲛᲝᲑᲠᲫᲐᲜᲓᲐᲡ:
— ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲓᲠᲝᲐ, ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲓᲠᲝ! —
ᲮᲔᲚᲐᲙᲣᲜᲐ ᲙᲝᲓᲐᲚᲐᲡ
ᲕᲘᲜ ᲐᲯᲝᲑᲔᲑᲡ ᲡᲘᲡᲮᲐᲠᲢᲘᲗ:
— ᲙᲐᲯ! ᲙᲣᲯ! ᲒᲐᲘᲓᲕᲘᲓᲔᲗᲝᲗ! —
ᲮᲔᲚ ᲨᲔᲛᲝᲰᲙᲠᲐ ᲜᲘᲡᲙᲐᲠᲢᲘ.
ᲑᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲖᲔ ᲓᲐᲰᲮᲐᲠᲘᲡᲘᲡ
ᲓᲝᲗᲣᲜᲘᲐ ᲓᲐᲜᲓᲔᲚᲐ:
— ᲐᲑᲐ, ᲩᲥᲐᲠᲐ, ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲝ,
ᲡᲔᲚᲔᲥᲢᲛᲔᲠᲘᲐ ᲓᲐᲛᲘᲓᲒᲐᲠᲐ!
ᲧᲕᲔᲚᲡᲐᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲛᲝᲑᲚᲔᲑᲘ
ᲒᲐᲐᲮᲐᲠᲝᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲗᲐ,
ᲓᲐᲐᲦᲘᲠᲐ ᲗᲐᲕᲘ ᲓᲐ
ᲙᲣᲯ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ ᲬᲐᲕᲘᲓᲐ.
ᲙᲣᲡᲙᲣᲡᲔᲚᲐ — ᲙᲣᲡᲐᲠᲐ
ᲒᲬᲐᲡ ᲮᲝᲬᲘᲜᲘᲗ ᲛᲘᲰᲧᲕᲔᲑᲐ.
ᲒᲕᲘᲠᲓᲘᲗ ᲡᲘᲪᲘᲚ-ᲑᲐᲠᲑᲐᲠᲘᲗ
ᲩᲐᲣᲠᲑᲘᲜᲔᲡ ᲪᲘᲧᲕᲔᲑᲛᲐ:
— ᲰᲔᲘ, ᲙᲣᲡᲐᲠ, ᲫᲛᲝᲑᲘᲚᲝ,
ᲡᲐᲘᲗ ᲛᲘᲡᲕᲐᲚ, ᲒᲕᲘᲗᲮᲐᲠᲘ.
— ᲐᲛᲐᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲠᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ,
ᲡᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲕᲘᲩᲭᲐᲠᲘ!
ᲰᲝᲓᲐ, ᲔᲨᲛᲐᲙᲣᲜᲔᲛᲘ,
ᲒᲬᲐᲡ ᲡᲘᲪᲘᲚᲘᲗᲝᲗ ᲠᲝᲛ ᲘᲙᲚᲔᲑᲗ,
ᲩᲔᲛᲘ ᲑᲐᲙᲐᲜᲖᲔ ᲓᲐᲡᲙᲣᲞᲓᲘᲗ,
ᲛᲔ ᲬᲐᲒᲘᲧᲕᲐᲜᲗ ᲡᲙᲝᲚᲘᲡᲙᲔᲜ.
— ᲒᲛᲐᲓᲚᲝᲑᲗ, ᲫᲛᲐᲠ, ᲙᲣᲡᲐᲠᲐᲕ,
ᲐᲠ ᲒᲕᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘ.
ᲤᲔᲮᲘᲗ ᲬᲐᲕᲐᲚᲗ ᲡᲙᲝᲚᲘᲡᲙᲔᲜ,
ᲓᲔᲓᲔᲛᲓᲔᲪ ᲤᲔᲮᲘᲗ ᲒᲐᲕᲠᲑᲝᲓᲗ.

* * *

ᲐᲒᲔᲠ ᲧᲣᲠᲪᲐᲜᲪᲐᲠᲔᲑᲛᲐ
ᲭᲐᲚᲐ ᲩᲐᲛᲝᲗᲐᲕᲖᲔ.
ᲡᲐᲛᲘ ᲑᲐᲑᲗᲐ — ᲞᲘᲞᲔᲚᲐ
ᲓᲐᲡᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲡ ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲖᲔ.
ᲙᲣᲡᲙᲣᲡᲔᲚᲐ — ᲙᲣᲡᲐᲠᲐ
ᲓᲐᲜᲐᲮᲔᲑᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ,
ᲔᲨᲛᲐᲙᲣᲠᲛᲐ ᲦᲘᲛᲘᲚᲛᲐ
ᲞᲘᲠᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲣᲐᲠᲐᲗ.
— ᲙᲣᲡᲙᲣᲡ, ᲡᲐᲘᲝ ᲘᲩᲭᲐᲠᲘ?
— ᲠᲐᲗᲛᲔ ᲒᲐᲛᲝᲞᲠᲐᲜᲭᲣᲚᲮᲐᲠ?
— ᲔᲒ ᲤᲝᲠᲛᲐ ᲠᲐᲓ ᲒᲐᲪᲕᲘᲐ?
— ᲩᲜᲗᲐ ᲗᲘᲦᲐᲛ ᲒᲐᲩᲣᲭᲐ?
„ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲓᲐᲜᲪᲐᲠᲗᲔᲑᲘᲐ!
ᲔᲡ ᲠᲐ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲡ ᲛᲐᲧᲠᲘᲐᲜᲔ!“ —
ᲙᲣᲨ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲪ ᲐᲠ ᲒᲐᲡᲪᲐ,
ᲣᲮᲛᲝᲛᲓ ᲒᲐᲰᲧᲕᲐ ᲛᲐᲧᲠᲘᲐᲜᲔᲡ..,
ᲛᲘᲓᲘᲡ, ᲘᲛ ᲪᲘᲢᲠᲔᲑᲘᲡᲙᲔᲜ
ᲗᲐᲕᲘᲡᲐᲪ ᲙᲘ ᲐᲠ ᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲡ.
— ᲰᲔᲘ, ᲓᲐᲛᲘᲪᲐᲓᲔᲗᲝᲗ! —
ᲒᲐᲓᲐᲡᲫᲐᲮᲐ ᲩᲝᲠᲐᲠᲘᲗᲔᲑᲘᲡ.
— ᲛᲐᲒ ᲑᲣᲩᲭᲔᲑᲗᲐᲜ ᲨᲔᲕᲭᲔᲠᲓᲔᲗ,
ᲪᲝᲢᲐ ᲫᲐᲚᲡᲐᲡ ᲛᲝᲕᲘᲪᲠᲔᲑ,
ᲛᲔᲠᲔ ᲩᲔᲛᲘ ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘᲗ
ᲒᲐᲒᲐᲥᲜᲘᲗᲑᲝᲗ ᲡᲙᲝᲚᲘᲡᲙᲔᲜ.
ᲐᲮᲐᲠᲮᲐᲠᲓᲔᲜᲔᲜ ᲩᲝᲠᲑᲔᲑᲘ,
ᲙᲣᲚ ᲗᲮᲝᲜᲔᲚ ᲠᲝᲛ ᲨᲔᲘᲪᲘᲢᲐᲚᲔᲗ.
— ᲔᲡ ᲠᲐ ᲮᲣᲛᲐᲠᲐ ᲒᲕᲒᲐᲕᲡᲣᲛ! —
ᲒᲐᲐᲧᲠᲣᲔᲡ ᲗᲣᲗᲔᲚᲘ ᲢᲧᲔ.
— ᲒᲕᲝᲗᲮᲐᲠ ᲛᲐᲜᲪ ᲐᲐᲓ ᲓᲐᲒᲕᲡᲮᲐᲛ?
— ᲡᲐᲰᲔᲡᲗᲐᲜ ᲗᲣ ᲫᲐᲠᲐᲨᲘ? —
ᲘᲙᲘᲗᲮᲘᲡ ᲓᲐ ᲨᲐᲠᲐᲒᲬᲐᲡ
ᲒᲐᲰᲧᲕᲔᲜᲔ ᲗᲐᲛᲐᲨ-ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲗ.

* * *

ᲬᲐᲠᲐᲛᲐᲠᲐ ᲐᲤᲮᲘᲖᲚᲔᲑᲡ
ᲣᲩᲕᲔᲣᲚᲝ ᲮᲛᲐᲣᲠᲘ.
ᲮᲐᲜ ᲑᲐᲰᲘᲐ,
ᲮᲐᲜ — ᲛᲔᲚᲐ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვვერდით ვინც კი ჩაუვლის:
— კუსკუს, გაგიმარჯოს!
— გამარჯობათ ბიჭებო!
— ასე დინჯად კუსპარავ,
საით მიაბიჯებო?
— არ მოგწყინდა, ძმაო,
შარაშარა წანწალი?!
— სკოლისაკენ მივდივარ,
მინდა გავსდე ნასწავლი.
თქვენ კი, ცუგრუმელებო,
ტყეს ხმაურით რომ იკლებთ,
ამ ბაკანზე დასხედით,
მე წაგიყვანთ სკოლისკენ!
თავს აქნევენ მგზავრები:
— ძმაო, ტრანსპორტს ვერ ვიტანთ!
ფეხითა ვართ ნაჩვევი,
ვივლით ისევ ქვეითად!

* * *

ზოზინ-ზოზინ კუსკუსა
იმ ბუჩქნარს რომ გამოსცდა,
სულის მოსაბრუნებლად
შედგა იქვე, წყاროსთან.
და როგორც კი ღარისკენ
წაიგრძელა კისერი,
ნაცნობი ხმა მოესმა:
— კუსკუს, ძმაო, გვიხსენი!
ვიგვიანებთ სკოლაში
მე და ჩემი დაიკო.
ძველებურად გაგვწკეპლავს,
მამილომ რომ გაიგოს. —
კუსკუსელა რას ხედავს:
ბანდალა და დანდალა
ლოყებდასიებულნი
წყაროსთავზე დამსხდარან.
მაყვლით გაუთხუპნიათ
სკოლის ფორმა ახალი
და ცივწყაროს ღარივით
ცრემლი მოსდით ღვარღვარით.
— სად იყავით ბელებო?
— ტყეში მაყვალს ვეძებდით...
— მერე თაფლი ვიპოვეთ,
ფუღურაში შევძვერით...
— ახლა რაღას ელითო?! —
კუ იმ წუწკებს უწყრება.

— ადგილიდან ვერ ვიძვრით,
დაგვასივეს ფუტკრებმა.
— დაგვსვი მაგ შენს ბაკანზე,
გვევდრებით ძალიან,
კუსკუსელა — კუსპარავ,
ჩვენო კარგო ძმაო!
— დასხედითო! — კუმ ბრძანა
სიხარულით აღსავსემ
და ორთავე დათუჩა
შემოისვა ბაკანზე.

* * *

სიამისგან დამტკბარნი
ჯერ მცირე ხანს გაყუჩდნენ,
მერე ლაღი სიმღერა
მოესურვათ დათუჩებს:
— კუსკუსელას ბაკანით
ასე, ყოველ დილითო,
დივლი-დივლი-დივლითო,
სასწავლებლად ვივლითო! —
ჩერო-ჩერო, გზა და გზა
ტკბილად მიღიდინებენ.
აქეთ წყარო მოუხმობთ:
— ცივი ჩქერი ინებეთ!
იქეთ კიდევ ბუჩქნარი
ტოტებს უწვდით მაღლიდან:
— პირი ჩაიტკბარუნეთ
თხილითა და მაყვლითა!

* * *

მზე მთისწვერზე შემოდგა,
გაჩახჩახდა უღრანი.
უკან დარჩათ ბუჩქნარი,
ცაცხვნარი და მუხნარი...
და ჰა, სკოლაც გამოჩნდა,
საოცნებო ალაგი.
ერთხმად სჭექა სამთავემ:
— რა კარგია, რა კარგი!
მაგრამ ეს რა ხმა ისმის,
ზარს რად გააქვს წკრიალი?!
ვის დასცინის ნეტავ მზე
თვალეგნაპერწკლიანი?
პატარები ყიჟინით
მოეფინენ ბილიკებს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გაკვეთილი დამთავრდა,
აბა, ჰერი, შინისკენ!
ბაჭიები, ციყვები
გამორბიან სკოლიდან:
— კუსკუსელა — კუსპარა
დახეთ, როდის მოვიდა! —
ხითხითებენ ზღარბები,
ხტიან მელაკუდები:
— ბანდალავ და დანდალავ,
სახლში როდის ბრუნდებით?
— დღეს აქ დარჩით, სჯობია!

— მშობლებს ვეტყვით, ნუ ღელავენ,
ხვალ სკოლაში მოსვლას კი
თქვენ დაასწრებთ სუყველას!
— ხახა! ხახა! ხიხიხი! —
ისმის ირგვლივ სიცილი.
ბაკანიდან კუსპარა
თავს ვეღარ ჰყოფს სირცხვილით.
ის სულელი ბელები —
ბანდალა და დანდალაც
მორცხვად თავდახრილები
სკოლის კართან დამდგარან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

50 ნოდარ დუმბაძე 50

სამოსითა ბრწყინვალითა, ძმაო ნოდარ!

შენ რა შესწირე საკურთხეველსა ზედა? მშობელი? შვილი? თუ სრულქმნილება? სუყველა ერთად? მთავარი არის, ხომ განმართლდი...

ვისას რას გაიგებ ამ დუნიაზე? არის ჟამი, რომ ჰგმობენ კეთილსა, ლოცვენ ბოროტსა, კეთილს და ბოროტს ერთად ლოცავენ, უარჰყოფენ ორთავეს ერთად, არცა უწყიან რასა სჩადიან, უწყიან კიდეც...

ამპარტავნობენ, ქორწილში გლოვად გარდიქცევიან, მეგობარს თვისას ჟამს უკამობის განიკითხავენ...

შენ ამბობ სიმდაბლითა: ღმერთმა დალახვროს ორპირობა, ერთი პირითა ვადიდებდეთ ქვეყანასა და ერსა.

. . . . . .

თუ ცოდვა სტანჯავს მსოფლიოს გულსა, მისთვის, რომ სიმრუდითაც და სიცრუითაც ცხოვრობენ, მოყვასს ჰყიდიან, მზაკვრობა და ფარისეველობა ზეიმობს ხშირად. ვაშა გონიერთ, თორემ განსაცვიფრებლად მომრავლდნენ უმეცარნი. ქვეყანა დიდია, ჭეშმარიტი სათნოება ცოტა.

შენ ამბობ სიმდაბლითა: შევიწყნარებდეთ ურთიერთსა.

. . . . . .

ვლოცავ ნიჭსა და ღონესა შენსა, წიგნსა და მკითხველსა, ვლოცავ საქართველოსა ძლიერსა, ქომაგსა მისსა. საქართველოსა ძლიერსა, წაუქცეველსა ცოტნეებითა და პაატებითა, თამარებითა და დავითებითა, თევდორეებითა და რუსთველებითა, ამერიმერთა, პურითა და მარილითა, ულლითა და ნამუსითა, ოფლითა და ბეღლითა, აკვნითა და ბალღითა, დღევანდელითა, ხვალინდელითა! გარს ეხვეოდა მუმლი მუხასა, მუხა გადარჩა!..

. . . . . .

„სავსე ხარ სახიერებითა და აღსავსე ყოვლითა მეცნიერებითა და შემძლებელ სხვათა სწავლად“.

მე ასე ვირწმუნე, ხოლო, უკეთუ ვინმე უმეცარ არს, უმეცრება ნუ მოუშალოს.

ჯანსუღ ჩარკვიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდარ დუმბაძე ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მწერალია ამჟამად მთელს საბჭოთა კავშირში და, შემთხვევითი არ არის, რომ მისი რომანები მრავალ ენაზე ითარგმნა, მათ თითქმის ყველგან შეაღწიეს, მსოფლიოს ყველა კუთხეში. ამ პოპულარობის მიზეზია არა მხოლოდ და არა იმდენად ის, რომ ნოდარ დუმბაძე შესანიშნავი მთხრობელია, არც — განსაკუთრებულად დაძაბული სიუჟეტი და საინტერესო ამბების სიუხვე, რაც ხშირად გამზდარა ამა თუ იმ ნაწარმოების პოპულარობის მიზეზი და რითაც მაინდამაინც არ გამოირჩევა მწერლის რომანები, არამედ — სიკეთე, დიდი ადამიანური სიკეთე, რითაც გაცისკროვნებულია ნოდარ დუმბაძის ყველა ნაწარმოები, და — რწმენა, რასაც მუდამ ინარჩუნებენ ხოლმე მისი გმირები, რა საშინელ განსაცდელსაც არ უნდა უმზადებდეს მათ ბედი და ცხოვრება.

ზოგჯერ უჭირთ ხოლმე შეთავსება იმ საოცარი იუმორისა, რაც ნოდარ დუმბაძის თითქმის ყველა ნაწარმოებს ახლავს და იმ დიდი ცხოვრებისეული სევდისა, რითაც აგრეთვე გამსჭვალულია მისი ყველა ნაწარმოები. და მართლაც შეუთავსებელი იქნებოდა ეს ორი გრძნობა, თუ მათ ერთმანეთს დავუპირისპირებთ. ნოდარ დუმბაძის რომანებსა და მოთხრობებში ისინი არ უპირისპირდებიან ერთმანეთს; აქ იუმორი თვითმიზნური არ არის, არც სამკაულია ნაწარმოებისა. იგი ავტორს მოუმარჯვებია, რათა თავის გმირებს ცხოვრების სიმძიმე შეუმსუბუქოს და ადამიანების ურთიერთობა გააადვილოს;

დღეს ნოდარ დუმბაძეს დაბადების 50 წელი შეუსრულდა და უფლება გვაქვს — მოვალენიც ვართ — გულახდილად ვთქვათ: ავტორი თავის ნაწარმოებებსა ჰგავს — მასაც სიკეთე მიაქვს ყველასთან, რწმენას უმტკიცებს ადამიანებს, ვისთანაც კი ურთიერთობა აქვს და ცხოვრების სიმძიმესა და ადამიანებთან ურთიერთობის სირთულეს თავისი განუმეორებელი იუმორით ამსუბუქებს. რაღა თქმა უნდა, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ ზოგს იუმორი მხოლოდ სალაღობოდ და თავისშესაქცევად მიჩნია. მოვალენი ვართ დღეს, მისი დაბადების 50 წლისთავზე, გულითადი მადლობა ვუთხრათ ნოდარ დუმბაძეს თავისი შესანიშნავი შემოქმედებისათვის, კარგი კაცობისათვის, იმისათვის, რომ მასთან ურთიერთობა ჩვენ, მის მეგობრებს, ცხოვრებას გვიადვილებს და გვიხალისებს.

ვახტანგ ჭელიძე

●

ამ ერთი წლის მანძილზე არა ერთ გამოჩენილ ორმოცდაათიანელს გამოუცხადა თავისი სიყვარული ჩვენმა ხალხმა. ხვალინდელი დღეც არანაკლებ სასიხარულო „შეხვედრებს“ გვიმზადებს. დღეს კი ვლოცავთ ნოდარ დუმბაძეს, ორმოცდაათიანელთა უთვალსაჩინოეს წარმომადგენელს, მის აღიარებულ მეწინავეს.

ნ. დუმბაძე განსაკუთრებული მოვლენაა ჩვენი ერის სულიერ ცხოვრებაში. მან ქართულ მწერლობაში მოიტანა რაღაც ინიშვნელოვანი, ახალი, მისეული სითბო და კეთილი სევდა. ნ. დუმბაძემ სრულიად ახალგაზრდამ დაიდგა მძიმე, მაგრამ საპატიო უღელი — უღელი საყოველთაო სახალხო სიყვარულისა. ძნელია ასეთი ძლევამოსილი დასაწყისის გაგრძელება, შემდგომი ნაბიჯის გადადგმა. მხოლოდ ნამდვილ ნიჭიერებას შეუძლია დიდი აღიარების და პოპულარობის ცდუნებათა დათრგუნვა. ნოდარ დუმბაძემ ესეც შესძლო.

მკითხველები სხვადასხვანაირად ხსნიან ნ. დუმბაძის ფენომენს. ერთნი საწყისთა საწყისად მის განსაკუთრებულ იუმორისტულ ნიჭს მიიჩნევენ, მეორენი მძაფრ ცხოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებისუფლ შთამეტდილებათა სიმდიდრეს აღიარებენ, სხვანი (უმეტესობა) ყველაფერს „ღვთის წყალობას“ მიაწერენ. მართლაც, ბევრს გულწრფელად სჯერა ნ. დუმბაძის „ბედნიერ ვარსკვლავზე“ დაბადება, აქედან ხალხში გავრცელებული დუმბაძის სტერეოტიპი. ის იოლად წერს (პირდაპირ კარნასობს ასოთამწყობებს თავის მოთხრობებსა და რომანებს), მისთვის უცხოა ჩვეულებრივ მოკვდავთა წუხილი, ტკივილი, წინააღმდეგობები. ნოდარ დუმბაძის ახლო მეგობრებმა კი კარგად იციან, თუ რა წვალებითა და ჯაფით იწერება ყოველი მისი სტრიქონი. რამდენი ტკივილი არგენა ცხოვრებამ, რამდენჯერ ყოფილა აფორიაქებული, ზოგჯერ სასოწარკვეთილიც.

ნ. დუმბაძის ყველა ბიბლიოთეკაში, მან ამასწინანდელი მოგზაურობის დროს ნახა 16 სხვადასხვა გამოცემა, მისი წიგნები არანაკლები ძალით ათბობენ და აკეთილშობილებენ სხვა ეროვნებათა მილიონობით წარმომადგენელს. მკითხველთა წერილებს თუ დავუჯერებთ, მისმა წიგნებმა ზოგიერთები უკურნებელი სენისაგან განკურნეს, ზოგიერთის ოჯახში ბედნიერებასა და მხიარულებას დაუდეს ბუდე, სხვებს საქართველო კიდევ უფრო შეაყვარეს. მკითხველთა გარკვეული ნაწილი რჩევას თხოვს თავის საყვარელ მწერალს და ზოგჯერ იმდენად ინტიმურ ამბებსაც კი ანდობს, რომლის გამხელას მხოლოდ წმინდანები თუ იმსახურებენ. ნ. დუმბაძეს უამრავი, მისთვის უცნობი, თაყვანისმცემელი სთხოვს გაუგზავნოს ძვირფასი რელიქვია — წიგნი ავტორისეული წარწერით. გამოგიტყდებით და მეც არა ერთი ჩემი მეგობრისათვის გამიწვდია „დახმარების ხელი“ ამ რელიქვიის მისაღებად.

მე მგონი, ცოტათი გავერთე „კერძი“ საქმეებით, მე ხომ თქვენი მეგობარი არქიტექტორების სასელითაც გესალმებით, რომელთაც „მზიურით“ დიდი საზრუნავი და „სულ ცოტა 10 წლის ლუკმა გაუჩნეთ“. მოგახსენებთ, „მზიურის“ პროექტი მ ლე დამთავრდება, მას კარგი პირი უჭანს. არ ვიცი, დაემთხვევა თუ არა ეუროთმოძღვართა პროექტი ამ მრავალრიცხოვან ზეპირ პროექტებს, რომელთაც თქვენ ქმნით საკუთარი ბინის აივნიდან (ბატონი ნოდარის ბინა გადაპყურებს ვერეს ხეობას), მაგრამ ერთი კი დანამდვილებით შეიძლება ითქვას, „მზიურის“ განხორციელებისას თქვენც მოგიწევთ კუთვნილი ტვირთის ზიდვა. ეს ტვირთი მძიმე იქნება, გზად მრავალი ადამიანს გაიცნობთ „საქმეში“, ზოგნი იმედს გაგიცრუებენ, ზოგიც უფრო მოგეწინებათ. შეხვდებით საინტერესო სახეებს, ტიპებს და შესაძლოა ქართველ ეუროთმოძღვრებზე და მშენებლებზე წიგნის დაწერაც კი მოგინდოთ.

მაქვს პირადი დაპირებებიც. უსათუოდ გადაკეთებ გალაკტიონის ძეგლის პროექტს თქვენი ზეპირი პროექტის მიხედვით (ბ-ნი ნოდარი ხაზგაში მოისუსტებს), ვნახოთ, რა გამოვა!

მეორე, ვეცდები ბევრი ვიფიქრო და ცოტა ვსაზრო (ბ-ნი ნოდარი ეშირად „გვსაყვედურობს“: „ეს არქიტექტორები სულ რომ ხაზავთ, როდის ფიქრობთ?“).

საქართველოში 50 წელზე შუა ხანს იტყვიან, დაე იყოს თქვენთვის, ბატონო ნოდარ, ეს 50 წელი ცხოვრებისა და შემოქმედების მხოლოდ შუა ხანი.

ვახტანგ დავითაია

●

მილიონების გულებს გაუნაწილა ნოდარ დუმბაძემ თავისი გულის სითბო.

მილიონობით ადამიანის არსება აავსო სიკეთით და მომაყვლის იმედით.

მილიონობით ადამიანს მოეფერა, მიუალერსა, ხელი შეაშველა, საწუხარი შეუმსუბუქა თავისი იმედიანი, ცრემლებისმომგვრელი ღიმილით.

ვინ იცის, რამდენი გაბორტყებული კაცი გააჩერა და დაადგა — ადამიანის დანიშნულება და მოუალეობა შეახსენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ იცის, რამდენ კაცს მოაგონა სამშობლო, ოჯახი, მეგობარი, საერთოდ ადამიანი.

ვინ იცის, რამდენ კაცს გადაახედვინა კრიტიკულად თავისი ცხოვრების განვლილ გზაზე და ანანებინა თავისი ცუდკაცობა.

მხოლოდ ნიჰილერ კაცს, ნამდვილ მწერალს შესწევს უნარი, გახდეს მილიონობით გულისა და გონების მესაიდუმლე, მათი ჭირისა და ლხინის გამზიარებელი, მათი ჭრილობების მკურნალი, გულში ჩამქრალი იმედის ნაპერწკლის გამღვივებელი, რწმენა და სინდისი.

ასეთი მწერალი ხარ შენ, ძვირფასო ნოდარ.

50 წელი ცოტა არაა, მაგრამ უკან მოსახედად ჯერ მაინც არ გცალია.

ჯერ წინ უნდა იარო, სულ წინ!

გურამ ფანჯიკიძე



გიორგი მჭედლიძე

ქართველთა ეპიკურ-რომანტიკული მატიანე

(ლევან სანიკიძის „უჭარქაშო ხმლების“ გამო)

„ეამთაღმწერლობა ვეშმარიტის მეტყველება არს და არა თვალთახმა ვისთვისმე“.

XIV საუკუნის ისტორიკოსი

ქართულ დოკუმენტურ-საისტორიო პროზას გასულ წელს მნიშვნელოვანი მიღწევა ჰქონდა. წიგნის თარგზე გამოჩნდა და მაშინვე გაკვლევან სანიკიძის „უჭარქაშო ხმლები“. თუმცა წიგნის გასაღება ყოველთვის არ არის მისი ღირსებების პირდაპირი პროპორციული, მაგრამ ამჯერად საქმე სწორედ ისეთ მეფნიერ შემთხვევასთან გვაქვს, როცა ნაწარმოებისადმი ინტერესს, შინაარსის გარდა, გადმოცემის ორიგინალური მანერა და მაღალმხატვრული თხრობა იწვევს.

ეხეკი არ იყოს, „უჭარქაშო ხმლები“ ბევრი სხვა მხრივაც საინტერესო მოვლენაა ქართულ საისტორიო მწერლობაში. ასეთი ნაწარმოების წიგნების, საეროობის ყველა თაობის მკითხველი ვანიცდის, ადამიანს თავისი ისტორიის შესწავლის ინტერესი მისი „ადამიანობის“ გაჩენის დღიდანვე გაუჩნდა. ხოლო ჩვენს დროში, მეცნიერულ-ტექნიკურ ასწაულებრივ მიღწევათა პირობებში, საერთოდ ისტორიისადმი და განსაკუთრებით ეროვნული ისტორიისადმი ცოდნის წყურვილი კიდევ უფრო გაიზარდა და გაფართოვდა.

მაგრამ მკითხველთა ფართო წრეებისათვის „მეცნიერული სტანდარტებით“ ამ წყურვილის დაკმაყოფილება შეუძლებელი ხდება. მასობრივ მკითხველს ისტორიის სწორედ ისეთი გადმოცემა ესაჭიროება, სადაც თანამეფროვე საისტორიო მეცნიერების მიღწევები სიტყვაკაზნულ მწერლობასთან ერწყმა შეუღლებულნი.

„უჭარქაშო ხმლების“ ავტორის წარმატება სწორედ იმან კანაპირობა, რომ მასში თავს იყრის ეპიკურ-ისტორიული პროზისათვის (ანუ „დოკუმენტური პროზისათვის“) საჭირო თვისებანი. იგი პროფესიონალი მკვლევარი ისტორიკოსიც არის და მსატვრული სიტყვის ვამოცდილი ოსტატიც. მისმა ვამოკვლევებმა ანტიკურ საზოგადოებათა საისტორიო დარგში სპეციალისტთა წრეების დიდი მოწონება დაიმსახურეს, ხოლო საისტორო პროზისა და დრამატურგიაში წარმატებებზე მიუთითებს ლ. სანიკიძის წიგნები და პიესები — „ამბავი ალოსნი ასულისა“, „მარიუსი და სულა“, „სამას-სამასი“, „ეუთაოთერები“, „ეედეა“, „ნერონი“, „არქეოლოგიური ჩრონიკა“ და სხვ.

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲐ. კონსტანტინე ვამსახურდია სამა ორსეელიანისადმი მიძღვნილ წერილში წერს: წიგნის სათაური მეომრისაგან პირველი ხმლის მოკნეევას ჰგავსო; ჩვენ ვვგონია, რომ ამნირი „ხმლის პირველი მოკნევა“ ვამოდგა ლევან სანიკიძის წიგნისათვის სახელწოდება — „უჭარქაშო ხმლები“. ეს არის სახელწოდება, რომელიც მოიცავს ქართველი ხალხის მთელს ვმრიელსა და რაინდულ თავვადასავალს. მართლაც, მთელი ისტორია ქართველი ხალხისა, მისი კულტურული, სამეფონეო, საზოგადოებრივი, ნივთიერი და სულიერი ცხოვრება — ასეული და ათასეული წლების სიგრძეზე. სწორედ ჭარქაშვადაწეკეული ხმლის „ვარშემოწერილობაში“ იყო მოქცეული. შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანაშუალად გადმოგვცემს თვითონ ავტორი: „აკი ქართველი კაცის მრავალსაუკუნოვანი სისხლნაჯური ისტორია ეს იყო პრიალა განუწყვეტელი ხმალოსანებელეთანი ოცამ ჭტერთოვან შუობეი ქვეყანისა და ეტრის ედალაარეენად. ქართელ ხმალს, მისი პატრონის ზარად დაუსვენარი ცხოვრებით აღერთელს და გაშიშვლებულს, საუკუნეებს მანძილზე დავიუნებული ჭკნნდა ქარაქნა. ხოლო სწორედ ქარაქდადაუნებული ხმლის საარაკო სიქელეთ დიიხსნა, დაიფარა და ადაწეკვა სიუხვე ქართველი გუთნისა, სიწმინდეთ მისი კერისა, სიმაღლე კალმისა, სიმშვენიერე ყალმისა, სიტკბილე საკრეთელისა. ერთი სიტყვითი ათასეულთ წელთასრულიდან უკარაქაუო ქართველი ხმალი იდგა ქართველი ხალხის მაღალი კულტურისა და ცივილიზაციის სადარაკაზე"...

მეთრალი და მითოლოგია. „უკარაქაუო ხმლებში" თსრომა ცნობილი მითოსით — „არგონავტიკაა" იწუეტა. ერთი შეხედვით ეს ქმნილ საყრთხეს, რომ მეოთხეელმა „არგონავტიკის" დრო საკართველოს ისტორიის დასაწყის დრიდ არ მიიწნოს. ქართულმა არქეოლოგიამ მტკიცედ დასახაუოა, რომ ქართველ ტომთა ისტორია გაცილებით წინარე ეპოქაში, ლითონის დამუშავების ადრეეულ საფეხურზე იღებს სათავეს. ეს ლეკვნ ნანაიძემაც შესანიშნავად იცის, მაგრამ იგი თავის წიგნს შეგნებულად იწყებს კოლხეთში არგონავეელთა მოსვლის „ფაქტით". ამის მიზეზი ნაწარმოების ეანრობრივი მიმართულება გახლავთ: რომანტიკიულ-ეპიკური ისტორია გაპარონებრის გარეშე არ გადმოიცემა. ხოლო, „არგონავტიკის" წინადრონდელი „არქეოლოგიური ისტორია" პირიველად „გმირთა" დასახასიათებლად კონკრეტულ მასალას არ იძლევა.

მკოთხეეთან ეა იცის, რომ „არგონავტიკის" გმირები უპირველეს ყოველისა ლეგენდარული გმირები არიან. მაგრამ ჰენრიხ შლიმანის ხენსაციურ გათხრებამდე ტროას ციკლის მითების სიუეეტიც, პერსონაჟებიც და თვით გენეალოური ჰოეპროსის „ილიადაც" ფანტასტიკურ გამონაგონად ითვლებოდა. არქეოლოგიის ნიჩბის შეხებამ კი ყველი ეს „ზღაპარი" რეალურ-ისტორიულ საქმადად დაანახვა კულტურულ კაცობრობას. ახლა მხოლოდ უკიდურესად „გაუსწორებელ ურწმუნო თომეებს" თუ ეპარებთ ექვი არგონავეელთა რეალის მითების რეალურ საფუძვლებში. მათი „მატერიალიზაცია" კი მხოლოდ დროისა და „ხელის გარეეევის" საქმეა.

„ლეგენდა ისტორიის პოეტიური ტაუპისცალიაო", — ამბობს ერთგან ლეგვნ ნანაიძე („უკარქაუო ხმლები", გვ. 9) და ეს შესანიშნავი განსაზღვრება უძეეს საფუძვლად მის „მითოლოგიიურ წიაღსელებს" წიგნის ყველა შესაბამის ადგილზე.

„არგონავტიკისა" და „ოქროს საწმისის" სიუეეტებით ლ. ნანაიძეკ კარგა ხანია დაინტერესებულია. ამ უძველეს „ქართულ თემას" მან რამდენიმე მხატვრული ნაწარმოები და მეცნიერული ეეეეი გამოაქვეეეეა მოიქცდეს. ეს არც არის. ... ეროვნ. ბიბლიოთეკა

კვირველი, რადგან ლ. ნანაიძის „ეიერო სპეციალიაა" ანტიკური ისტორიაა, ხოლო, რა. გორც ქართველი მწერალი, იგი სწორედ ისეთი სიუეეტებით უნდა დაინტერესებულიეეო, სადაც ორი საყვარეს — ელინურისა და ქართულის ურთიერთობა გამოსქვეეეეს. უცნაური ის იყო ხმლეოდ, რომ ამ „ბსოფლიო ქართულ თემებზე" ლ. ნანაიძემდე, საფუძველიანად, დიდი აკაკი წერეთლის გარდა არავინ „დაინტერესებულა"... შუა საუუნეებისა და ახალი დროის მაღალი რანგის ქართულმა წმერლობამ სრული დუმილითი აუარა გვერდი „ქართულ თემას" ბერძნულ მითოლოგიაში, მაშინ, როცა მსოფლიოს კლასიკურმა ლიტერატურამ (ბერძნები, რომაელები, ტალიელები, ფრანგები, ვენიანელები, რუსები და სხვ.) არგონავეეეი თქმულებების რეალი არამარტო სიუეეტურად ითვლება, არამედ კოდსთა ქვეყანა კულტურულად დიდ ელინურ საყვარის გაუთაბარი.

რობა, ოდეს მოსცდება ჭეშმის ალი და წყალუბობა, — ოდეს მიდ�ელ მოგებზრდება დროის დინება და უმბაურიდ სადე ჩრდილში მიგეძინება.“

3. მოლაშვია წერს იმაზე, რაც გაზუცდი, როთაც უცბოვია. სამეგრელოს ცისფერი პეიზაჟები, ნისლში ჩანთქმული ელეები, თვალსაწიერთან აღმართული მთები დასამახსოვრებელი ფერებით არის გადმოტანილი მის ლექსებში. ამ წიგნით მე ვკრძნობ მის ბავშვობას, ელრიის პირას მოყოლილი ზღაპრების იდუმალებას, ვხედავ მის თანაკლოდ ბიებებს — თუთარჩელაში გაყურსულ სამყაროს მიყურადებულებს, ჭერ კიდევ შეუცნობელი გარემოთი შემკრთალებს, ოთის შემდგომ მძიმე წლებში ნახევრად მშიერებს, ნახევრად ტოტალებს, მაგრამ მაინც ბედნიერებს თავისი „ბეკა დიდი რე ჩქიმთა“ და „ახე ჩიხგურთი“.

ეხეტებიან ცად ღრუბლები —
მთვარის მხეელები.
ზესანელეს უმზერენ თუთაშები —
ღამის მოეელები.

კრებულში შეტანილი ისეთი ლექსები, როგორიცაა: „ზედაზნის მთაზე“, „მომაკვდავის უკანასკნელი მონოლოგი ანუ ფილა ერეანისის ტრაგედიის შემდეგ,“ „ამბავი ეკვთიმეს გადარჩენისა“, „წარსულთა ეკო“ იმ ძველთა დროთა პოეტური ქრონიკებია.

წიგნში ბევრი ლექსი მიმართვითი ხასიათისაა. თითქოს პოეტს ჰყავს ვიღაც კონკრეტული ადრესატი, რომელსაც ესაუბრება თავის ტკივილზე და სიხარულზე, თავის ცხოვრებაზე. ეს ერთი შეხედვით. მაგრამ თუ უფრო ღრმად გავეცნობით წიგნს, დავრწმუნდებით, რომ პოეტი კონკრეტულ პიროვნებას კი არა, საერთოდ ადამიანს, ადამიანებს მიმართავს. ნდობით, სიყვარულითაა გამსჭვალული იგი ადამიანის მიმართ და სწორედ ეს აბედვინებს გული გადაუშლის მას, ანუგეშოს და ნუგეში მიიღოს მისგან, პირისპირ დაუჯდეს და ზამთრის გრძელ ღამეებში მარტოობა არ აგრძნობინოს, მასთან გატეხოს ჭიორის თუ ლუნის პური. „უცაბ აგრძნო გულმა გული და ხელებმა — ხელები. რა უბრალოდ იყო თქმული: „მოვალ, მოგეშველები“.

ამ **წიგნისათვის შეგეკეძლო „შეეკეკეტინა კაცის დღიურები“** დავეკრქმია, იმდენად უზადოა მასში წარმოდგენილი სატრფიალო ლირიკა. გულწრფელობასა და მგრძნობელობასთან შერწყმული პოეტური ოსტატობა და სახოვნება ამ ლექსებს აცალკევებს სხალმიმო ხასიათის კამერული პოეზიისაგან. „რა ახლოსა ხარ, მინდა დაგიპყრო და გეკაკრონი და სიყვარული გვირგვინივით დადადგა თავზე.“

იმ ლექსებშიც კი, სადაც ეიღლო, ცალმხრივი სიყვარულის ფრამატიზმია ჩაქსოვილი, ვერ გაიგარეკნი წუწუნს და მოთქმას. სიყვარული მშვენიერი ქალღმერთია, რომელიც იშვიათად თუ დაპყრდებოდს ვინმეს თმილი შემოხვევით, მაგრამ ისიც ნომ ბედნიერებაა, რომ მშვენიერებას უმზერიდ, განიცდიდ, მოიხიბლო მისით. გიუვარდეს, ეს ნიშნავს ცოცხლობდე და ბედნიერებად ეხეკ ქმარ.

არ შემიძლია რამოდენიმე სიტყვა არ ვთქვა წიგნის ნაკლოვან მხარეებზე. ჩემის აზრით, წიგნი კომპოზიციურად სწორად არ არის აგებული. სჯობდა ერთნაირი თემატიკის ლექსები ერთმანეთის გვერდით დალაგებულიყო. თემატური უსისტემობა იწვევს განწყობილების გაფანტვას.

ზოგიერთი ლექსი ამკრიდ სუსტია და პირველ წიგნში მათი შეტანა არ ღირდა (....ეს მოსვევ ბიეი არის“, „გაზზიფსული,“ ....,რა ადვილია ფარ-ხმალის დაყრა“). არც ის მიგანნია საქებრად, როცა პოეტი სხვადასხვა ლექსს ერთმანეთის მსგავსი ინტონაციებით იწყებს: „რა ახლოსა ხარ“, „რა ზმაურია“, „რა ადვილია“, „რა ბედნაა“. ამ სიტყვებით იწყებს ოთხი სხვადასხვა ლექსი, რაც არასახიათმოვნილ ხვდება ყურს, აუფერულებს წიგნის საერთო ეფერადობას.

და ბოლოს, მინდა წარმოგიდგინ ეუსეტერო ახალგაზრდა პოეტს თავის შემოქმედებით გზაზე და ეს პატარა წერილი მისივე კარგი სტრიქონებით დავამთავრო:

მეც ჩემი წილი მაქვს გალაქტიკა,
ვრცელი სამზეო, ცხელი უდაბნო...
შენ მიმიხვედრე, ლექსო, სატკივარს,
რათა ერს სიტყვა არ დავეშალაროთ.

ვასტანგ ხარჩილავა

ПОЭТИКИ ПЕРВЫЙ ФИГИЛ

ЗАЗА ЮРКИНАЛИ — ЗА ГАЗАФХУЛИС ТОТОБЗЕ. ГАЗАМТАЦЕГЛОЧАА „МЕРАНЕ“. РЕДАКТОРИ Д. ЗАСАФАРИДЗЕ, 1978 ГЕДЕЦ.

ДЕДЭЛЕДОМАЗОИ ЗАМАОЕ ГАРЕГЕДЕЛЕА, **РОМ ПОЭТОРТИ ТЕТАЗЕГЕДЕЛЕ ДЭЛА „ЦЕРТИ ТОРИТАРОЕАЗЕ“** ДЕДЕР РОАОЕДЕНЕНЕ ИНФОРМАЦИОЕ КОНЦЕПТАРИРАДЕНЕ ЕЗЕ ГОМАРОЕРЕ: „МЕ ЗУЧЕЕДОЕРЕ, РОМ ГАЗАЗИФЕЕ — ЗАЕДЕЕ, ТОЕМОЕЕЕ ГАТАРАДЕЕ — ЗЕРЕЕДЕЕ ЕЗЕ, ЕЗЕ ЕЕ ЗАЗАРЕЕ ЕЗЕРЕ ЗАЗАРЕ...“

РОАОЕДЕНЕ РОАЕ ОЕЕЕЕ ЗА ЕЗЕРЕЕ ЗЕЕЕЕАРЕЕЕЕ! ЕЕЕЕЕ ЕЕЕЕЕ

ყოველივე იყო და არც იყო. მოკლედ, იყო „ნაჭარგის მეორე მხარე“. ამას დავუმატოთ ისიც, რომ ეროვნ მხარე პირველის გარეშე არ მოიაზრება და ამ შედარებით გადმოცემული ინფორმაცია ერთიანად გაიზრდება, თანაც არამარტო გაიზრდება, არამედ გამოიკვეთება კონფლიქტიც არსებულსა და სასურველს შორის. ამ გაგებენი ამბობენ, რომ ხშირად ერთ პოეტურ სტრიქონში მეტი ინფორმაციაა, ვიდრე მთელ სტატიაშია (ეს დღეს მეცნიერულად, მათემატიკური ფორმულებით დასაბუთდა, თორემ ლექსის ღირსება რომ გრძელი სტაკვის მოკლედ თქმაში მდგომარეობს, ეს ანბრი სავსებით გარკვეული, ოღონდ პოეტური ფორმულით, როგორც ცნობილია, დიდი ხნით ადრე გამოთქვა).

ვაჟა ხორნაულის ამ ლექსში შემდეგ ორიოდე ზუსტად მიგნებული მხატვრული სახის მეშვეობით ჩვენს თვალწინ სრულიად ცხადად წარმოდგება ზემოთ ციტირებული სტრიქონების ადრესატის პიროვნება, რაც მოთვრია, განცდებიც: „და თავდახრილი, შუბლითა ჰგრეს ჩამოყრდნობილი, ხარობდა, ტკბილად წვალობდა გოგო, როგორც ფუტკარი ყვავილების ამლაბუდაში...“

პოეტური აზროვნების სიოამამითა და ორიგინალურობით გვბიძგებს ეს უსათაური ლექსიც: „ფოთლოვან კაბით, ფეხშიშველით რომ გამოსულხარ და მერცხლუბიან ჰაერიკი რომ გელიმება, სასწაული დაგემართება: ან ეგ ბილაკი შენს წვიკვეზზე გაინასკვება, რომ ამ ბინდფრიდან ვედარ ნაბადიე; ან ყვავილები ფერდობებიდან მოგეესვინან და ფერად ზვინს დაემსგავსები...“

ხშირად ნაწარმოების თემა სათაურშიეე გამეფავნებული. ასეთ ფრაზ ერთი საშიშროება არსებობს: ყოველ ადამიანს ამა თუ იმ საგანსა და მოვლენაზე ცხოვრებისეული გამოცდილებს შეედგად გარკვეული წარმოდგენა აქვს შემოშავებული. თემატური სათაურის წაკითხვის შემდეგ ბუნებრივია მასში ოდიოქს სათანადო წარმოდგენები და განცდები: იგი ელის დიდი ხნის ნაცნობს, ჩვეულებრივს, შაბლოურს და თუ პოეტმა მოლოდინი გაუმართალა, ჩვეული წარმოდგენები არ დაუმსხვრია და ასალი კუთხით არ ჩაეენა მოვლენა, ნაწარმოები მიზანს ვერ მიაღწევს, მკითხველი ვერ დაინტერესდება. ვაჟა ხორნაულის ერთ ლექსს ჰქვია „აგვისტო დედაკაცში“. თბილისურ ზაფხულზე ბევრი დაწერილა. აქაც მოველით „ადუდებულ ასფალტს“ და ა. შ., მაგრამ ლექსში ლაპარაკია მხოლოდ იმაზე, რაც ქალაქში ამ დროს არ არის, ლაპარაკია იმაზე, რასაც ლექსის ბეჭრი ნატრობს, ხოლო იმის მიხედვით, რას ნატრობს იგი, შეგვიძლია მივსხედეთ, რა ვითარებაა მის ირგვლივ. ირიბი საშუალებები გვექმნება წარმოდგენა თბილისურ აგვისტოზე. ამ შემთხვევაში ფარული ბრძოლა ავტორსა და მკითხველს შორის პირველის გამარჯვებით თავდება. მაგრამ ზოგიერთი ლექსი ამ კრებულიდან, მაგალითად, „კრწანისის ველი“ და „1941“ ჩვენს ველს სათაურით გამოწვეული ტრადიციული წარმოდგენების სფეროში ტოვებს.

აი ერთი მაგალითი იმის ნათელსაყოფად, რომ ვაჟა ხორნაულს უნარი აქვს ძალზე მკაფიოდ დაეკვანძოს საკანი. ამ შემთხვევაში ამას იგი ანერებს ხედვის წერტილზე საკმაოდ ზუსტი მინიშნებით: „ცელები, ტარით მოთიბულში ჩარჭობილები, მოჩანან სივრცის ნაპრალებიდან.“

ეს ზოგადი ცელები კი არ არის, რომელთაგან სულ ერთია ხაიდან შევავლებთ თვალს (და როცა ეს სულ ერთია, მაშინ მათ საერთოდ ვერც დავინახავთ), არამედ ესაა ცის ფიზზე დანახული ცელები და რაკი ხედვის მიმართულება გარკვეულია, საგანსაც „ვხედავთ“.

საერთოდ, ვაჟა ხორნაულის საუკეთესო ლექსები უფრო სანტერესოა არა თემატიკით და პრობლემატიკით, არამედ ტროპული მეტყველების ძალით, ამიტომ იგი მით უმეტეს უნდა ერიდოს ნაკლებმეტყველი ან არცთუ მოლად ზუსტი სახეების გამოყენებას, რომლებიც ჯერ ჯერობით მრავლად გვხვდება მასთან. მაგალითად, ამგვარი შედარება: „ხანდახან ხივრეკს ფრინველები ისე ემჩნეკვ, ვით ყვავილები ქარისაგან ტაცებული“ — არაფერს გვეუბნება, შესადარებელი საგნები ან ერთმანეთს ვერ განმარტავენ, რადგან ამ კონტექსტში ისინი დაამლლეულნი ერთი რიგის ბოვლენენი არიან. ძნელი წარმოსადგენია ესეც: „ლილელეებს წყალი ნაწვიმარი სინათლის მსგავსი“. !

ოღონდ ამავე ლექსში ასეთი გაცვეთილი რამესაც ვკითხულობთ: „რამდენი არაც მთხარი მაშინ, თმაში გაგიჩნდეს იმდენი თეთრი“.

ვაჟა ხორნაულს აქვს თავისი საკვარელი სიტყვა-სიმბოლო, რომელიც რამდენჯერმეს გვხვდება მის სხვადასხვა ლექსში: ეს არის ძალზე ემოციური სიტყვა „ბუდე“: „ბუდეები ფეთქვდნენ ბაღში, როგორც ფულები ნეტარებით მოთვნილები“; „ბალკონ მზე ენთო, ძირს — მერცხლის ბუდე“; „ალ სახე მერცხლის ბუდესავით გალიმებული“, და ბოლოს: „მამული — მუდამ წმინდა და თბილი, ვით სამრეკლოზე მფეთქავი ბუდე“.

ერთი შეხედვით უბრალო საგნის — ბუდის — მრავალსიტყვაკეკი სიმბოლოდ გამოყენება ნასიამოვნო პოეტურ აღმოჩენად გამოიყურება ამ კრებულში.

ოგრძნობა, რომ ვაჟა ხორნაულს ვერ-ლიბრით უფრო ემარჯვება ნათქმელის მიტანა მკითხველამდე, ვიდრე კონვენციური ლექსით. მისი შემდგომი დაოსტატება ალბათ თავისუფალი ლექსის ტექნიკის კიდევ უფრო სრულყოფილად დაუფლების გზით უნდა წარიმართოს.

ლევან ბრეშაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ავტორები

ახალგაზრდა ვიეტნამელი მწერლები

საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა ვიეტნამელ მწერალთა დელეგაცია; ისინი ჩვენს რედაქციასაც ეწვივნენ. შეხვედრაში მონაწილეობდნენ: მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების საქმეთა მთავარი სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე ო. ნოდია, მწერლები: ო. პაკკორია, ტ. ჭანტურია, თ. ჩხენკელი, ემ. კვიტაიშვილი, გ. ძნელაძე, ვიეტნამური პოეზიის მთარგმნელი მ. ჯგუბურია, გ. ალსაზაშვილი, ე. ნიფარაძე, ლ. მალაზონია, ც. ალდაბელია.

დელეგაციის ხელმძღვანელი — ნგუენ მინ ტაიუ — გამოჩენილი მწერალია. იგი ლიტერატურაში ვიეტნამის ეროვნულ-განთავისუფლებელი ომის ლეგენდის ფონზე გზადან მოვიდა, ჯერ როგორც სამხედრო ჟურნალისტი, შემდეგ კი როგორც რომანისტი. პირველივე რომანის გამოქვეყნებისთანავე („მდინარის შესართავი") მიიპყრო კრიტიკისა და მკითხველის ყურადღება. ამას მოჰყვა მოთხრობების კრებული — „სხვადასხვა ზეცა" და რომანი „ჯარისკაცის ნაკვალევი", რომელიც ვიეტნამური კრიტიკის აზრით, ანტიამერიკულ ბრძოლაში მებრძოლელი ჯარისკაცის გმირობის ნამდვილი ძეგლია. რომანს კრიტიკამ მაღალი შეფასება მისცა და ძალიან დიდხანს ითვლებოდა საუკეთესო წიგნად. ეს წიგნი რუსულ ენაზე 1977 წელს თარგმნეს და გამოვიდა.

ნგუენ მინ ტაიუ ბრძოლების უშუალო მონაწილეა და მისი შემოქმედების მთავარი თემაც ომია. იგი შვიდი წიგნის ავტორია. რომანებში „ცეცხლწაკიდებული სახლები" და „ადამიანური მხარე" იგი აღწერს ომის უკანასკნელ თვეებს. ამ რომანებში მწვავედ ისმება ისეთი საარსებო საკითხი, როგორიცაა ომისანიზმი, კომუნისტის მაღალი მოვალეობა ახალი ცხოვრების შენების გარიჟრაჟზე, ახლად განთავისუფლებულ მიწაზე ახალი საზოგადოების შექმნა.

ახალგაზრდა პოეტი ჭალი სუან კუინი ვიეტნამურ ლიტერატურაში ომის ბოლო წლებში გამოჩნდა და თავისი ლირიკული ლექსებით მაშინვე მიიპყრო ყურადღება. პროფესიით ბალეტის მოცეკვავეა. გამოცემული აქვს რამდენიმე კრებული: „ყვავილები სანგრების გაყოლებით", „ჯარი და თეთრი სალა" და სხვა. მისი ლექსები ღრმა ლირიზმით გამოირჩევა და ხალხურ ტრადიციებს მიჰყვება. მისი საბავშვო ლექსები პოპულარულია ვიეტნამში.

პროზაიკოსი ჭალი ბა კხან ლინი — სამხრეთ-ვიეტნამელია, ჭალალი ხიუე, სადაც ბა კხან ლინი ცხოვრობს, ერთ დროს ვიეტნამის სამეფოს სატახტო ქალაქი იყო და დღემდე ინარჩუნებს ეროვნული კულტურის მესვეურის როლს. ამერიკის ოკუპაციის წლებში ბა კხან ლინი ერთ-ერთი ჭატურო მოდგაზე იყო ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ ვიეტნამელი სტუდენტების მოძრაობისა, შემდეგ პარტიზანულ ზონაში გადავიდა და მეომრად დაუკავშირა თავისი ცხოვრება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების შემდეგ დიდ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევა, როგორც ცენტრალური ვიეტნამის ლიტერატურისა და ხელოვნების ასოციაციის ქალაქ ხიუეს განყოფილების გამგეობის წევრი. მისი შემოქმედების ძირითადი თემაა ნეოკოლონიალისტური კულტურისა და იდეოლოგიის შედეგად დარჩენილი მავნე მემკვიდრეობის აღმოფხვრა ხალხის შეგნებაში. რომანში „ტანიუი" ვიეტნამურ ლიტერატურულ წრეებში დიდი ინტერესი გამოიწვია. იგი თარგმნილია რუსულადაც.

რედაქციაში საუბრისას ნგუენ მინ ტაიუმ თქვა: „თანამედროვე ვიეტნამურმა ლიტერატურამ, ისევე როგორც ვიეტნამელმა ხალხმა, ძნელი და მწარე გზა განვლო, რომელიც ყვავილებით კი არა, ამერიკული ბომბებით იყო მოფენილი. ჩვენ გავუძელით და გავიმარჯვეთ. ვიეტნამური ლიტერატურა ხალხის მხარდამჭერ იდგა ყოველთვის და მის ყოველ დიდსა თუ მცირე სიხარულსა და მწუხარებას ასახავდა.

თანამედროვე ვეიტნამის ლიტერატურის უსვამია ქარცეცხლში გამოვლილი უძველესი ვიეტნამური ლიტერატურა, რომლის შედევრებსაც ხანგრძლივმა კოლონიურმა ომმაც ვერაფერი დაკლო. აქვე მინდა დავასახელო ჩვენი ძველი ლიტერატურის ერთ-ერთი კორიფე, ნგუენ ზუ, რომელსაც თქვენ ალბათ პოეტ მუონამ ჯგუფიერის თარგმანით. დიდ მადლობას ვუხდი მუონამ ჯგუფიერის ჩვენი დედოენაცის სახელით, ვიეტნამური კულტურისა და ლიტერატურის საქართველოში პოპულარიზაციისათვის. ნგუენ ზუ ჩვენში ისევე უყვართ, როგორც თქვენში რუსთაველი.

ნგუენ ზუ იმიტომ გავიხსენე, რომ ზაზა გაუფსა ვიეტნამური ლიტერატურის ტრადიციების სალმრეზე, ამ ტრადიციებს ეკრძალებს თანამედროვე ვიეტნამის ლიტერატურა და ახალ-ახალი თემებით ამდიდრებს. ომის დროს ვიეტნამური ლიტერატურა იზრდებოდა და ვითარდებოდა. ომის პირობროა ახალი ეანრიც ვიეტნამური პროზისა — დოკუმენტური პროზა.

დღეს ვიეტნამში ლიტერატურის განვითარებას ემსახურება ჟურნალები, გაზეთები, გამომცემლობები. სატკვამ მოიტანა ეა ვიტკვი, ამას წინათ კიდევ ერთი ახალი ჟურნალის დაარსების მოწმენიც ვიყავით, ეს გასდევთ თეატრალური ჟურნალი, რომელიც მკითხველს გააცნობს ხამპოფლო და ხაზოვარგარეთის თეატრალური ცხოვრებას, გააშუქებს პროფესიული და თვითმოქმედი თეატრების შემოქმედებას. ვიეტნამური ლიტერატურის ტრადიციების გამგრძელებელი ჩემი თანამეგზავრი, ახალგაზრდა პოეტ სუან კეუნი. ახალგაზრდა ვიეტნამელი პროზაიკოსნგნიდან, ჩემის აზრით, ძალზე ნიჭიერი და საინტერესო მწერალია ნგუენ ხაი, რომლის შემოქმედების ძირითადი თემა სოციალური პრობლემებია. პოეტებიდან ჩვენში პოპულარულია ტუ ლან ვინი, რომლის ლექსებიც წინაადმდეგობის მოძრაობას ეხმიანება. ძალიან საინტერესო მწერალია ტო ხოაი, მან თავის ნაწარმოებებში დაგვიხატა ქვეყნის აღმოსავლეთი მხარე, რაც პარტიზანებმა სახალხო არმიასთან ერთად ეს მიწა გაანთავისუფლეს, გვაჩვენა როგორ შეიცვალა მისი გმირების ბედ-იღბალი.

ზოგჯერ ჩვენში იტყვიან ხოლმე, თანამედროვე ვიეტნამური ლიტერატურა უცხოეთში ნაკლებადაა ცნობილი. მე ამ აზრს არ ეეთანხმები. ჩვენი ნაწარმოებები ბევრ ქვეყანაში ითარგმნება.

რა თქმა უნდა, ბუნებრივია ის დიდი ინტერესი, რასაც უძველესი ვიეტნამური ლიტერატურა იწვევს უცხოეთში. ჩვენი დედეგაცის წვრილს ძალიან გაუხარდათ, როცა პატივცემულმა ოთარ ნოდიამ გვაცნობა, მალე ქართველი მკითხველი პოეტ მუონამ ჯგუფიერის მიერ თარგმნილ და მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების საქმეთა მთავარი სარედაქციო კოლეგიის მიერ მომზადებულ ვიეტნამური პოეზიის მცირე ანთოლოგიას მიიღებსო. ზუსტად, ეუურნალ „ცისკრის" რედაქციაში ენახეთ ამ ჟურნალში სხვადასხვა დროს დაბეჭდილი ვიეტნამური ლექსების თარგმანები.

ჩემი შემოქმედების ძირითადი თემა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომია, რომელის მთავარეული მეც ვიყავი. ომის დამთავრების შემდეგ ლიტერატურაში ახალი თემები და ახალი პრობლემები მოვიდა. ერთ-ერთ უმარველეს პრობლემად მიმაჩნია ახალი ქვეყნის აშენებისა და დანგრეული ქვეყნის აღდგენის პრობლემა. გასა მარტო ომი წარომშობს გმირებს, გმირები მშვიდობიან შრომაშიც იჩრთნიან. ხშირად ისინი — მშვიდობიან შრომაში გამოვლენილი გმირები მიმაჩნია დღეკანდელი ლიტერატურას თავად გმირებად.

დანგრეული ქვეყნის აღდგენა დიდ შრომას, დიდ ენერგიას მოითხოვს. ჩვენი ხალხი ახალ ცხოვრებას ქმნის. ხოლო მწერლის ვალია ფეხდაფეხ მიჰყვეს ხალხის გმირულ შემართებას.

საბჭოთა კავშირში მეორედ ჩამოველი, საქართველოში კი პირველად ვარ. ამ რამდენიმე წლის წინათ საქართველოში ვიეტნამელი პარტიზანი მწერლების ჯგუფმა იმოგზაურა, ეხლინ იყვნენ — ნგუენ ნგაკი, ლე ვან ტხაო და დოან ვან კი, რომელებმაც თქვენი ქვეყნის შესახებ საინტერესო წერილები გამოაქვეყნეს. მაგრამ ჩემთვის საქართველოს გაცნობა უფრო ადრე დაიწყო. მინახავს ქართული დოკუმენტური და მხატვრული ფილმები, ვიეტნამურ ენაზე რამდენიმე ქართველი პოეტის ლექსებიცაა თარგმნილი. ამჟამად ჩვენი მოგზაურობა ფართო მიზნებს ისახავს, მე წერილების ციკლის დაწერას ვაპირებ, ხა კხან ლინი კი რადიოგადაცემას ამზადებს.

მწერალთა შეხვედრები და გულახდილი საუბრები დიდი სარგებლობის მომტანია. მწერლებს ახლო ურთიერთობიბები უნდა ჰქონდეთ, რათა ერთმანეთს გაუწიაროთ თავიანთი მოსაზრებანი, იკამათონ დღევანდელობის საჭირბოროტო პრობლემებზე, უფრო ხშირად უნდა ვთარგმნოთ ერთმანეთის წიგნები, რათა ხალხს საშუალება ჰქონდეს უკეთ გაეცნოს მსოფლიო ლიტერატურას. დღეს ვიეტნამელი მკითხველი დიდი ინტერესით აღიარებს თვალს საბჭოთა ლიტერატურას. ეს დიდი ინტერესი ცარიელ ნაადგილზე არ წარმოშობილა. ვიეტნამელი ხალხისათვის ოდითგანვე ცნობილი იყო დიდი რუსი მწერლების ნაწარმოებები. ის ინტერესი, რომელსაც ვიეტნამელები ინერნენ თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურისადმი, გამოხატავს ღრმა პატივისცემასა და დიდ სიყვარულს იმ ქვეყნის მიმართ, რომელმაც ჩვენი ქვეყნის ძნელბედობის ჟამს ძმური ხელი გამოგვიწოდა".

ლევინ კასპაროვი

კარბილ გოგელია

ფეხბურთი ივლის ახალი გზით!

არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატი ყოველი გულშემატკივრისათვის, საერთოდ, ფეხბურთის ყოველი მოყვარულისათვის სხვადასხვანაირად დაიწყო და დასრულდა. უმრავლესობა ამ დღესასწაულს ტელევიზორით ადევნებდა თვალყურს, შეუდარებლად მცირე ნაწილმა კი შორეულ არგენტინას მიაშურა. რასაც ახლა მოგახსენებთ, შესაძლოა, პარადოქსადაც მოგეჩვენოთ. მაგრამ ეს წმინდა სუბიექტური შეხედულება გახლავთ. არავინ იცის, ვინ უფრო მოგებული დარჩა, ისინი, რომლებიც შინ უყურებდნენ ფეხბურთს, თუ ცხრა მთას იქით „მადლეფეული“ ტურისტები (თუ, რა თქმა უნდა, იქაურ ადამიანურიოს გამოვრიცხავთ). ჩემპიონატის დღეებში საკადრო ტელევიზიამ შესაშური ოპერატიულობა, პროფესიონალიზმი და გულუხვობა გამოიჩინა. არ ყოფილა ახე თუ ისე მნიშვნელოვანი მატჩი, რომელიც ჩვენს გულშემატკივრებს არ ენახათ. თვით კომენტატორებიც კი, რომლებსაც, რა დასაბალია, ხშირად ვემდურებით „საშინაო“ რეპორტაჟების გამო, არგენტინის პირველობის დღეებში საოცრად გარდაკმენენ, როგორც შინ დაბრუნებულ მეთხრეს, ოზერეფი, მასლაშენკო და ჩვენი კოტე ბახარაძე ამომწურავ ინფორმაციას აწვდიდნენ მაყურებლებს და ენამზიანობით ხიბლავდნენ მათ. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. მსოფლიო ჩემპიონატი სახუმარო ასპარეზობა არ არის და მისთვის ოთხი წლის მანძილზე გულმოდგინედ ემზადებიან არა მარტო გუნდები, არამედ ფურნალისტები და კომენტატორებიც. უკვე რამდენი ხანი გავდა ჩემპიონატის დამთავრებიდან და დღემდე არ წყდება ჩვენშიც და უცხოეთშიც ფურნალისტების, სპეციალისტების წერილების ნაკადი. მაგ ასე, შინ დარჩენილ ფეხბურთის ქომაგი ბევრი არ წუწუნიათ. მათს მეფეშივ კონტაქტ შორეულ არგენტინასთან უწარუნველყოფდა საიმედოდ გადებული საინფორმაციო ხიდი.

ავტორის გულწრფელობა უფრო რომ ირწმუნოთ, იმასაც ვეტყვიო, რა დავდებარაბით მოგვიხდა არგენტინაში ჩასვლა. ჩემპიონატზე მიმავალნი ესპანეთში, მაღრიდში გავჩერდით ორ დღეს. ძნელი შეეგუო ამ აზრს, რომ პირველობამამ კარგა ხანია აიღო სტარტი, არგენტინაში გუნდებმა უკვე ჩაკარეს პირველი მატჩები, ხოლო ჩვენ ესპანეთში ვართ და ბუენოს-აირესში გაფრენას ველოდებით. როცა გამგზავრებამდე ბევრი აღარფერი დარჩა და ჩვენ, როგორც იქნა, მაღრიდის აეროდრომზე მოვიყარეთ თავი, ჩემპიონატის ერთ-ერთი მატჩის ყურება ეუნეკელთ ვითარებაში მოგვიხდა. საოცარია, უზარმაზარ აეროპორტში, რომელიც თავისი ნაგებობით პატარა ქალაქს მოგაგონებთ, ტელევიზორი ვერსად აღმოვაჩინეთ. ამ სარეზერვო კომენტატორის ხმა შემოგვესმა და ბევრი ადარ გვიფიქრია: პოლიციის ოთახში ამოვეყავით თავი. ახე გავბიდთ პირველი კაკვარი არგენტინის ჩემპიონატთან. ალბათ, ასევე უყურებდნენ ტელევიზორს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში: ჩაცივებული გამაგრილებელი სასმელებით, ბუტერბროდებით და, რა თქმა უნდა, უდიდესი ინტერესით, თუმცა ესპანელ პოლიცელებს მაინცდამაინც აღელვება ვერ შევამჩნიეთ. ალბათ, იმიტომ, რომ არგენტინელები ეროპამაბოდნენ იტალიელებს. ახე იყო თუ ისე, ჩვენ-თვის ხელი არავის შეუშლია, თუმცა ბოლო ოხუთმეტ წუთს მაინც მოგვიხდა სტუმართმოყვარე ესპანელების მიტოვება. მოულოდნელად შემოვიდა მათი შეფი და „თავგზისაკენ“ გამოგვიტუშრა ოთახიდან. გული გვეთანაგრძობდა, მაგრამ რას იზამ: სტუმარი მასპინძელს უნდა დაემორჩილოს. თავს იმით ვინუგეშებდით, რომ „ნადავლად“ ერთ-ერთმა პოლიციელმა გიორგ ფანჯიკიძეს ესპანური ჯაკეთ სავსე მომცრო ბოთლი გამოატანა. გავიხარეთ, ანაკა საუცხოო აღმოჩენა, რაზეც უკვე არგენტინაში დავრწუნდით.

დიახ, ამ დავდებარაბაში რომ ვიყავით, ჩვენი თანამემამულეები არგენტინელ ეუურებდნენ ამ მატჩს და ახორებულ ესპანელ პოლიციელზე არც ფუფრანთ.

ხუთრობა იქით იყოს და პირადად ჩემთვის ესპანეთში ლიდინის კომპეტენცია მარილეც დიდებული გამოდგა. არ მეგულება ისეთი კაცი, რომელსაც სერვანტესისა და ველასკესის

ესპანეთზე არ ეფიქრის და არ ეოცნებოს. ორი დღე ეზუგეზედ მცირე დროა საიმისოდ, რათა ოდნ.ვ მაინც წარმოიდგინო ესპანეთის კულტურის სიღრმედ. მაგრამ ის ორი დღეც, როგორ დონ ეიხოტისა და სანჩო პანსას საშინაბლოს ჰაერით ესუნთქავდით, ყოველგვარი გადაკვრებების გარეშე სასიამოვნად გასაცვნებელ სიზმარს წაგაკვნა. ჩვენ ვცადეთ ცოტა ნოდაზი მყოფ მოკალიაკეს, რომელსაც ხელის წაწერის დროც არ დარჩენია. ღმერთმანი, მეტი ხელოვნთა განთქმული პრადოს დარბაზები ისეთი სისწრაფით შეშორიშნონ, როგორც ჩვენ ეოკვიწრა. და მაინც, სანჩარის მიუხედავად ბედნიერი ვიყავით, რომ რეპროდუქციებში ნანახი სურათების ნაცვლად ველასკესის, გოიას, ელ გრეკოს, პიტაჩიელის, ბოსხის, ტინტორეტოს, ტიციანის, რაფაელისა და სხვათა გენიალური ორიგინალებით დავკვებით.

მახსოვს, პრადოდან რომ გამოვედით, მაშინდა ვიგრძენით, როგორ დავიღალეთ და სულის მოსაოქმელად იქვე, შესახულელთან ჩამოსხედით. ამ წუთებში ეე არ მინახია, რომ ჩემმა ინტაგენტ მოგვიანებით უნდა ჩავსულიყავით.

იქნებ ეკ ახიროებული ეულთხდილობის ადგილი და დრო არ არის, მაგრამ ესპანეთში ყოფნის ყველაზე ძლიერ შთაბეჭდილებაზე არ შემიძლია ორიოდე სიტყვა არ ეოქვა. ჩემთვის, პირადად, სერვანტესი ყველაზე დიდი ჭეშტრალია. ადვილი გასაგებია, რა გრძნობა დაბეშეფდებოდა, როცა ქვაში გამოკვეთილი ხერვანტესი და მისი ეუკდაკი გმირები ენახე. თავიისთავად ეს კომპოზეტი უნიკალურია, მაგრამ ჩემში მან ეჩრეფილი შეგრძნება გამოიწვია. მოიკრეფენა: ღრმად ჩაფიქრებული სერვანტესი თავის გმირებს ეთხოვება, რათა ისინი მარადისობაში სამოგზაუოოდ გაიტაეტმრის. და მე, ალტაეცებასთან ერთად, სინანულის გრძნობ:ბაც შემოპარო. ძალიან ზნრაფდ, თუ მუდამ არა, გენიალური ზეწერალი და მისი გმირები თითქოს ცალ-ცალკე, თვითნაირი დამოუკიდებელი ცხოვრებენ ცხოვრობენ...

ამასობაში ჩემპიონატის სიუეეტი თანდათან იმატებოდა, განცვიფრებულმა მსოფლიომ აღმოაჩინა, რომ არგენტინელები სრულებითაც არ არიან დაზნდეული წაგებისაგან, ხოლო იტალიელებმა სიმსაცოთ და შეშარეთბით ტოლს არავის დაუდგებენ. აღმოაჩინეს, რომ პლატინის გუნდი ეი ა-ერთი ყველაზე სიმპათიური, გერმანელები არ ამყოვნებენენ თავიანთ კოზირებს (აქეთ კი?), პოლანდიელები თითქოს ენერგიას ზოგავენ და ფეიერბატაგ მთლიანად ალარ უხდიან ხარკს ტოტალურ ფეხბურთს, ბრაზილიელები ყველასთვის გაოცებარმა და მიეღებელმა პრაკტიკულმა შეიაკრა, სხვა გუნდებიც ცდილობენ ბზარი გაიჩინონ ფავორიტთა რიგებში...

ორიგინალი ნათელი, ორიგინალი გასაგები. ევროპელები უცნო კონტინენტზე იმყოფებიან და ამტკიცებ ცდილობენ ბაკანალიები ბანაკებ თხილვე ვამოიჩინონ. მაგალითად, ეე მოვიგეთ, რომ პოლანდიელების, ბერძნელების, პოლონელების, ავსტრიელების, უკრაინელების, შოტლანდიელების დეკეზი ასეთი იყო—სიფრთხილეს თავი არ სტკივა. ფრანგები მაინც ფრანგებად რჩებიან. ძლიერად თანამეშრეს ეე სუსტადდ. ამას მეთი საფეხბურთო ენციკლოპედიათვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს—ისინი თამაშობენ ფეხბურთს და ამით ყველაფერი ხათქვამია. მათ წაროფატებლობას ბევრი ეიღლიობით ხსნიდა და ბიზეზზ.შედეგებს ეძებდნენ, რათა სიმპათიური ბუნდის ფიასკოსთვის სიმწარე არ მიეპატებინათ, მაგრამ იყო მოფლოდნელი ფრანგებისათვის—მათთვის ესოდენ სამწუხარო შედეგი? ფრანგებზე ახე ერცალდ ამიტომ ვლაპარაკობ, რომ ეს ფაქტი განეაზოგადდ და სხვა, ეგრეთ წოდებულ უიღმალო გუნდებზეც გადავიტანო. მაგ ახე, ვინ უნდა გასუფიიყო რვა საუკეთესო ბუნდის ტურნირში პირველი ჯგუფ ფიდან? განა ვინმეს მოეპარუნდება ენა, ფრანგებს „შესწოროს" არგენტინა ანდა იტალია? განა ვინმე იტყვის, რომ ფრანგები მათზე მეტად იმსახურებდნენ პრძოლის გაგრძელების უფლებას? დიახ, მათ გვიჩვენეს ფეხბურთი, რომელიც ალსავსეა ირტისტურშით, რომანტიკით, ოსტატობით, შთავოლებით. მაგრამ ეს თვისებები უკეთესი ადგილისათვის საბრძოლველად აწკარად არ აღმოჩნდა საკმარისი. ფეხბურთი ულმობელია და არავის არაფერს აპატიებს. ჩემი აზრით, თანამედროვე ფეხბურთის დონე ისეთია, ლ ეს დაამტკიცა არგენტინა ნის ჩემპიონატმა, რომ ა1 ცოტაა, იყო ძლიერი. საჭიროა გვაჩვენეს ზეძლიერი გუნდის შესაძლებლობები, ხოლო შემდგომ უკვე თანაბარ პირობებში, ისეთივე ენერგია-კლასის გუნდებთან ჭიდილში გამოსახო უცნობი დამტკიცებითი უპირატესობის ფაქტორები. ამიტომაც ფრანგები, ისევე როგორც ზოგიერთი სხვა გუნდი, არ იყვნენენ მზად ისეთი ენერგიო ასპარეზობისათვის, როგორიც მსოფლიო ჩემპიონატია. ესაა ყველაზე დიდი პირველობა საფეხბურთო პირველობათა შორის და, შესაბამისად, ფიზიოლოგიურ-სპორტული სტრესიც გაუგონარი, არნახული ძალისაა. ყველას რიდი შესწევს უნარი გაუძლოს ამ საშინელ დაძაბულობას, ზოგიერთი გუნდი წინასწარაა დასალუპავად გაწირული, თუმცა ითოლ-ოროლა მაგრამ შეუძლია მოხიბლოს ყველაზე ბრილეული და გამოცდილი ფეხბურთის გურმანებიც კი.

აი, ამ მხრივ კი, ჩვენ, არგენტინაში მყოფნი, ტელევიზორებელთან შედარებით განსაკუთრებით კარგად ვვრძნობდით ამ საფეხბურთო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალბერ გოგველია
ფეხბურთი ეკლია ალალი გზით!

სტრესის ძალას, ტელევიზორმა ფუფფუნება შეუქმნა მილიონობით ადამიანს, რომლებიც მოხერხებულად სავარძლებში მსხდარნი უყურებენ ცცრა მთას იქით მომხდარ სპორტულ მოვლენებს. მაგრამ, ჩემი ღრმა რწმენით, ტელევიზორი მაინც ვერ აკეთებს შეუძლებელს. იმისათვის, რომ მაკნამალოვად შეიგრძნო მაღალი რანგის ახალგაზრდის სიმპადრეკი, უთუოდ თავად უნდა იყო მასი უშუალო მხილველი. ეგრეთ წოდებულ, ადგილზე ეთოვნის ეფექტს ვერაფერი შეაცვლის. ფეხბურთი სანახობაა და იგი წმიდა სპორტულ მხარესთან ერთად ეკუთხსობს უთვალთვალ სხვა კომპონენტს, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეთ და არც ჰქონდეთ მასთან უშუალო კავშირი, მაგრამ მათი ერთობლიობა ქმნის სწორედ იმ ჯადოსნურ სპექტაკლს, რომლის ნახვასაც უთვალავი ადამიანი ესწრაფვის.

არც ერთი არგენტინელი მატჩი არა ყოფილა პროლოგისა და ეპილოგის გარეშე. ეფრავთარი წერილობითი აღწერა ვერ გადმოსცემს იმ ფანატიკიური ცხოვრების რიტმს, რომელიც მოელ ჩემპიონატს წოლელ ხაზად გასდევდა. ცენტრალური მატჩებზე ადრე მოსულად ითვლებოდა ის მაყურებელი, რომელიც სტადიონზე ხუთი-ექვსი საათით ადრე მოვიდოდა. ნორმალურად ითვლებოდა მატჩის დაწყებამდე დაახლოებით ორი-სამი საათით ადრე მოსვლა. ეს არ ეხებოდა მხოლოდ პიკის საათებით და ტრანსპორტის მიზეზით. ფეხბურთის ჭოპაციათვის მატჩის გამართვის ნორმალური დრო ცოტაა, მას სჭირდება წინასწარი შემზადება, ხოლო თამაშის დამთავრების შემდეგ საფეხბურთო „პაბმელის" მოწყობა. ამიტომ იყო ტიპიური არგენტინელი გულშემატკივარი მუდამ სუფეთენო ფორმაში. იგი გადიოდა ჩატის წინა მოთეფლვას, თითქოს წინასწარ გაიაზრებდა მის მსგავლიმას და შემდეგ მართვდა იგ სანახაობას, რომელმაც მსოფლიო ფეხბურთზე ნაკლებ როდი განაცვიერა.

ჩვეულებრივი მაყურებლებისაგან განსხვავებით, ეურნალისტებს დამაკმაყოფილებელი სიფუშაო ჰქონდათ. ან ვაღელიხმონ მათ პროფესიულ საქმიანობას, ამას, თუ შეიძლება ასე თქვას, ოფიციალური, ნახევარდოფიციალური და სულაც მეგობრულ-ამხანაგური დამოკიდებულების ფორმა ჰქონდა. მართლაც, ფუტკრის სკასავით ბზუოდა სტადიონის უზარმაზარი პრესცენტრი, სადაც ერთმანეთს ხვდებოდნენ თამაშის დაწყებამდე, ტიმების შორის და შემდეგაც მთელი მსოფლიოდან ჩასოსული ეუორნალისტები, კომენტატორები, სპეციალისტები. ეს მართლაც დიდი ფესტივალი იყო. ეუორნალისტების შორის ხშირად ნახავდით ფეხბურთის ვარსკვლავებს, რომლებსაც თავიანთი ბრწყინვალე კარიერის დამთავრების შემდეგ ნარეკლიანი, მაგრამ სანიტტრესო „მეორე უძველესი პროფესიისთვის" მოეკიდათ ხელი. ალბათ, მათს შორის ჯელს გარდა, რომელიც მე არ მინახავს, ყველაზე ცნობილი მაინც არგენტინელ-ესპანელი ალფრედო დი სტეფანო იყო. სამწუხაროდ, ჩვენ თითქმის არ გვინახავს ამ ლეგენდარული ფეხბურთელის მატჩები, მაგრამ ისე კი ბევრი გაგვიგონია და წაგვიკითხავს. ისევე, როგორც საფეხბურთო სტადიონზე, აქაც, ეუორნალისტებს შორისაც, ეგ სტეფანოს ავტორიტეტი შუფვალი იყო. ტუფილად ჭვინაათ, თითქოს ნამდვილად დიდი ფეხბურთელი კარიერის დამთავრების შემდეგ სამუდამოდ მივიწუნებს ეძლევა. უნდა გენახათ, როგორ ბუზოვნი ეხეოდნენ ძმებს ბობი და ჯეკი ჩარლტონებს, ლუიჯი რივას, ეერსონს...

ჩემთვის, ისევე როგორც ჩვენი დელეგაციის სხვა წევრებისათვის, სახიათმენო ადამიანენი გახლდათ ის ფაქტი, რომ ვარსკვლავთა შორის არ გაითქვეფენენ, არ დავიწუეინათ მეხბიანა და მეტრეველის სახელები. მათზე ვველაპარაკებოდნენ, მათს საფეხბურთო რეიდებს ვვიხსაზავდნენ, ხოლო ენობრივი ბარიერი ალბაცების გამოსახატავად ზედმიწევნით მარტივად და იოლად ალახებოდა საერთაშორისო შორისდებულით: ოოოო,! ერთმა არგენტინელმა ეუორნა-ლისტმა მესხზე ლაპარაკის დროს ეუხატინი გვიჩვენა, როგორ ატარებდა არგენტინა-სპაჭოთა კავშირის გუნდების მატჩის შემდეგ მეხბოხსავან დაგაწყვეთ მარჯვენა მცვალი. რაც აკამდე ჩვენს შესანიშნავ ბარცანსა გარეშმარბზე ეუორმოკვრით ვიცოდით, კიდევ ერთხელ დამტკიცდა და მერე როგორ. ასეთ ფეხბურთელს „რიგერ პლეიტის" ხატალიანზე ერანდროს უთამაშაია, ვვითხრა იმავე ეურნალისტმა.

მართალი გითხრათ, თავიდან ამ განწყობილებით მივეგზავრებოდი არგენტინაში, რომ მსოფლიო ჩემპიონობა ან ბრაზილია, ანდა ჭოლანდია მეგულა, ეფრო ბრაზილიელებისკენ ვიხრებოდი, ხოლო ჩემი სამპალია ამ გუნდის მიმართ მაინცდამაინც ორიგინალური როდი გახლდათ. ამ აზრს ბევრი ემხრობოდა და არცთუ უსაფუძვლოდ, მაგ როგორ მოხდეა, რომ ჩვენ ძალიან ბევრ ეუოლარტეთ ფეხბურთის ჯადოქრებს და მათი მეტოქეებს ბანაკეში გადავბარგდით. დიახ, ბრაზილია თამაშობს ბრწყინვალედ ფეხბურთს, მაგრამ დრო და დრო ეს ფეხბურთი ამ თამაშით მოეარჩებულ, არისტოკრატული დალლილობით და ამათითი შეჰყრობილი გუნდის თამაშს წაგვაგდა. ნუთარ გავიმეორებთ, რაც ბრაზილიელებზე ითქვა. ალვინშნავ მხოლოდ იმას, რაც არ თქმულა. რატომღაც ბრაზილიელებმა მოინდომეს ისეთი ფეხბურთის თამაში, რომელიც ეშინეზოდა მათი მრავალრიცხოვანი თაყვანისმცემლების სურვილს. აქ ლაპარაკია არა იმდენად ოსტატობის სარისხზე, რამდენადაც მათს დამოკიდებულებაზე ფეხბურთის მიმართ. ზანგაღ, უსალისოდ დაწყებული ჩემპიონატის შემდეგ სამეზის მსო-

ფლეთ ჩემპიონებმა მოინდომეს მიმართულების შეცვლა, რაც ნაწილობრივ მოახერხეს კიდეც, მაგრამ ინერციის ძალამ მათ საშუალება არ მისცა პრიჩეკიანელად შეეცვალათ დიდი ხნის წინ დაკანონებული და შეთვისებული საფეხბურთო კრედო. ამიტომ ტაქტილად ემდურებიან ისინი არგენტინელებს, ბრაზილიელებისათვის მათი თამაშის საერთო კლასიფიკაციის მიხედვით შესაბამ ადგილი არ შეიძლება ჩითვალოს შეუფერებლად. პირიქით, იგი გამოსაკვეთ საფეხბურთო კანონზომიერებას და აღიქმება, როგორც საგანი ლოგიკური შედეგი. ფეხბურთი არავის ფალ მაინც, თუმცა ბრაზილიისაგან უფრო მეტს მოელოდნენ არა მარტო სპორტული შედეგის თვალსაზრისით, არამედ ტაქტიკის სფეროშიც, ფეხბურთის ჭკვიანას თავისი ქონაგები ამ ჩემპიონატშიც მოლად უმიდოდ არ დადუოტვებია. ჩემი აზრით, ბრაზილიამ ფენომენალური ფეხბურთი გვიჩვენა იტალიელებთან მატჩში. ბრაზილიელებმა დიდივწყეს ცუდად მორგებული ტაქტიკური სქემები და ყველაფერი გააკეთეს, რათა ჭვენახა მათი ნამდვილი სახე. ეს იყო გუნდი ნიღბის გარეშე, აზარტული, თავდავიწყებული, თუ გნებავთ, უძლეველიც თავისი რწმენითა და შემართებით, თუმცა, არც იტალიელები ჩამოდნენ თავიანთ თავს, ოღონდ ნეგატიური გაგებით. შაგრეთის ტაკვიეთი ილეოდა იტალიელთა ტოტალური ფეხბურთი. რაც უფრო ახლოდგებოდა ჩემპიონობის ფინიშის სწორი, იმდენად კლებულობდა იტალიელების სოიარი ენთუზიაზმი. ისინი უფრო მორალურად მოიდალნენ, ვიდრე ფიზიკურად. ჩემპიონობის ბოლოს მათ შეუუვარდათ საკუთარი საკრიმინო მოეკანი და მთავარ ინოდად ბოლოს მაინც კონტრშეტევა აირჩიეს. კატეგორიულად არ ვამტკიცებ, მაგრამ, ჩემი აზრით, იტალიელების მეტამორფოზა არგენტინის ჩემპიონატში მათი წინანდელი ფეხბურთის რეცეპტებით იყო ალსავსე. ეს შინაგანი, ხოლო შემდგომ უკვე აშკარა და ხილული წინააღმდეგობა განსაკუთრებით გამოჩენილ სწორად ბრაზილიელებთან მატჩში. და მაინც, იტალია სავსებით სამართლიანად მოხვდა ფეხბურთის ტატანთა შორის. ეწყო ბეკენბაუერის გუნდმა მოელ მსოფლიოს უჩვენა, რომ თურმე ათიელი წლები არ სწერდეს საფეხბურთო ხელშერის შეცვლას, რომ უმოკლეს დროში, თუნდაც ერთი გუნდის ბაზაზე, შესაძლებელია ისეთი ნაკრების შექმნა, რომელიც ამ ჭკვიანაზმი გავრცელებულ ხალამანეთ მანერას არ შეესატყვისება. თუ მსოფლიო ჩემპიონატს მრავალდღიან ველორბოლას შეადარებთ, სადაც ცალკეულ ეტაპებს თავიანთი ლიდერები ჰყავთ, მაშინ მსოფლიო პირველობის პირველი ეტაპის ჩემპიონად იტალია უნდა გამოცხადებულიყო ყველა კომპონენტის მიხედვით, რაც კი უმაღლესი კლასის ფეხბურთის ახასიათებს.

მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატი ეტაპებად [illegible] იყოფოდა, ეგი ერთი მოლეანი სპეტაკლია, რომელსაც, ჭაღრაკის დარად, აქვს დებიუტი, შუა თამაში და ენდშპილი. და ეს ეტაპები ბოლომდე ღირსეულად განვლო მხოლოდ ორმა გუნდმა, რომელთა სახელები დღეს ყველას პირზე აკერია.

ალბათ, ჩემს წერილში, თუმცა საგულდაგულოდ ვამალვდი, მაინც გამოჩნდა სიმპათია არგენტინისადმი. ვიდრე იგი „ჩემი" გუნდი გახდებოდა, მეც ფრიცხვ ვუფრეშაკეცვრთან ერთად ხელი უნდა ამეღო ჭერ ბრაზილიაზე, ხოლო შემდეგ მოლანდიაზე. მით უფრო საგულისხმოა ეს შემობრუნება გუნდისაკენ, რომელსაც საფეხბურთო სამყაროო მუდამ უნაკლოერეს ანსამბლად მიიჩნევდა, ოღონდ ეცვი ეპარებოდა მის კოლეკტიურ ულოსაკვეთებსა და საფეხბურთო სიბრძნეში. თანაც არგენტინელებს წინა წლების პიხედვი, ცოტა არ იყოს, ჭირვეული ვარსკვლავებისაკან დაკომპლექტებული ისტერიული გუნდად მიიჩნევდნენ. ერთი გუნდისათვის ეს ბარდებები ერთოს ბეკრია, მაგრამ გამოჩნდა არგენტინაში კაცი, რომელმაც ბაბედ ნადირობა სანუკვარ ცისფერ ფრანველზე, ანუ ჩემპიონის წოდებაზე, ეს კაცი ყველასათვის ცნობილი ლუის მენოტი გახლავთ. არავინ იცის, სად ისწავლა მან ამდენი არა მარტო საფეხბურთო ფილოსოფოსის, არამედ მორალური ფსიქოლოგიის სფეროში. ფაქტი ერთია, მენოტი მოვიდა და არგენტინელმა ფეხბურთმა კალაპოტი იცვალა. არა, მენოტის თავისი გუნდისათვის საფეხბურთო აკვანი არ შეუცვლია, არც მოთამაშეთა ტიპნაკა და იმპროვიზაცია შეუწლეფდაგ. თუ ჩემს სახელდახელო შთაბეჭდილებებს შეეკრეთ, მენოტი წარმოგვიდგება ძლიერ პიროვნებად, რომელსაც ძალუძს სწორედ ძლიერი პიროვნების უფლებით გავლენა მოახდინოს არა მარტო გუნდზე, არამედ მთელ საფეხბურთო ინდუსტრიაზეც. მენოტი თავისი ბუნებით მაქსიმალისტია. ნებისმიერ მატჩში იგი გუნდისაკენ მოითხოვს მხოლოდ რადიკალურ ქმედებას, გამარჯვებას, რომელიც ეჭვს არ გამოიწვევს წმინდა არითმეტიკული შედეგის მიუხედავად. არგენტინა გამუდმებით უტევდა არა მარტო ამტიკომ, რომ ამას მისგან მოითხოვდნენ მაყურებლები, არა მარტო ინიციომ, რომ ამას მისგან მოითხოვდა მახპინძლის მდგომარეობა, ანუ საკუთარი ეკდლები, არამედ ინიციომ, რომ მისი კრედო იყო შეტევა და მხოლოდ შეტევა. არგენტინელებისათვის დაცვა მხოლოდ ძალუმებითი ხაშეფერებაა და არა პრინციპი. მათ არ უყვართ დაცვა,

ალბერტ გოგალია
ფეხბურთის ივლის ალალი გზეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიც მიიდნინ გარდიგარდმო ბურთის უთავბოლო გორება. მათ ერთიდერთი მიზანი აქვთ — მეტოქის კართან გასვლა უმოკლესი გზებით და თავდაცვუუბულ ეირიშში ფანტასტიკური გოლების გატანა. ზოგიერთი სპეციალისტის აზრით ეს მოსეტნი ერთვეარად ადარიებდნ არგენტინელთა ტაქტიკურ ნახანს, მაგრამ ეს ოპონენტებიც ჩაიჩუმა დაუვუწყარმა ფინელურმა მატჩმა...

ამბოხებში ჩემპიონობა აპოგეას უახლოვდებოდა. შესაბამისად ძლიერდებოდა საყოველთაო ენთუზიაზმი, რომელნაც თითქოს არ იცოდა საზღვარი. ყველაფერი, ახპოლუტურად ყველაფერი მოიცვა საფეხბურთოო ალეობაქმ. ამ საერთო გრძნობამ მუშტრვით შეკრა მთელი არგენტინა, რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, არ გამოირჩევა პოლიტიკური სტაბილურობით. ყველამ დროებით გვერდზე გადადო შელილი და ფუთხმოება. დროებით დავიწუებას მიეცა პოლიტიკური ვნებანთ ღელვანნი. ყველაფერი ფეხბურთს, ყველაფერი ფეხბურთზე! ქუჩაში გამოდიოდნენ ახალგაზრდ დედებიც კი, რათა თავიანთი ხმა შეეერთებინთ მძლავრი ყიეინისათვის — „არგენტინა, არგენტინა!" ტელეეზორები, რა თქმა უნდა, მხოლოდ ერთ ტალღაზე იყო მომართული. ყოველისშემძლე ბიზნესიც კი დანებდა ფეხბურთს და მის ულელში გაჰყო თავი. როგორც ნამდვილი არგენტინელი, თვით პრეზიდენტი ვიდელაც კი შეუერთდა საფეხბურთო ბუმს. სადაც არგენტინა თამაშობდა, ისიც მუდამ იქ იყო, ფინალური მატჩის დაწყების წინ სტადიონზე გამოიცხადეს, პრეზიდენტი მოვიდაო. არ ეიცი, როგორ უნდა გავიგო მაყურებელთა ოვაციდა, — მათი ერთი ნაწილი ამ ცნობას ტაშით შეხვდა, ნაწილი სტვენით, მაგრამ დაიწყო თუ არა მატჩი, პრეზიდენტი ვიდელა ახსოვდა.

ჰოლანდიური საფეხბურთო მანქანა მსოფლიოს ახლა ისე როდი მოეწონა, როგორც მიუნენის ჩემპიონობაში. ერთმანეთს დგარეგნენ ოთხი წლის წინანდელ გუნდს და ახლანდელს. მაგრამაო, ამბობდა ხალხი, მაშინ ხომ კრუიფი თამაშობდაო. სხვათა შორის, ამ ფეხბურთელის გვარს წამდაუუუმ ახსენებდნენ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს მთელი საფეხბურთო სამყარო იყო შეუუბებული ჩემპიონატზე მისი არყოფნით. ეს და ახლოებით ჰგავდა ოდინდელ ნოსტალგიას პელეზე. საერთოდ, კრუიფი საფეხბურთო სიმბოლოდ იქცა. თავიანებურ მსოფლიო მოქალაქედ, რომელზეც პირველ რიგში ამბობენ, დიდი ფეხბურთელიო და მხოლოდ შემდეგ იხსენიებენ მის ჰოლანდიურ წარმოშობას. ასე იყო თუ ისე, კრუიფმა მაინც დიდი შეეგავლენა მოახდინა არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატზე თავისი არყოფნით. ამ დანაკლისს, ცხადია, ბევრ რიგში ჰოლანდიელები განიცდიდნენ. საუცხოოა ნეეტკენსი, შესანიშნავია ჰანი, ბრანდსტი, რა თქმა უნდა, რენნენბრინკი, მაგრამ ჰოლანდიურ მანქანას აკლდა ნამდვილი მეხაე. ჰოლანდიელებს კვლავ ჭკნიდათ თავიანთ ორსეზონში ყოველდღე, რასაც დიდი ფეხბურთი ჰქვია. მათი ღირსებები შეეიარაღებული თვალითაც ჩანს, მაგრამ წინა მსოფლიო ჩემპიონატის ტრიუმფატორებს აკლდათ მთავარი — შთაგონება. ერთი შეხედვით ამსტარაქეიფი ცნება მათთვის კონკრეტულ ნაკლად გამოიხატა. და თუ მანამდე მფრინავი ჰოლანდიელები თავიანთ ხომალდს უხიფათოდ ატარებდნენ საშიშ წყალქვეშა ქვებზე, ფინელურ მატჩში ქეშმარიტი შთაგონების უკმარობა განსაკუთრებით ცხადი გახდა. შესაძლოა ზოგიერთმა ეს აზრი იხე გაიგოს, თითქოს ავტორის ჰოლანდიი ფინელურ მატჩში წინასწარ გაწყვიტულად მიიჩნევ. ეს სრულებითაც არ არის ასე. ჰოლანდიელები შეეელთო მოეგოთ თამაში. როგორც იცით, რენნენბრინკის ბურთი მეორე ტაიმის მიწურულში შეიძლება ჩემპიონატის ბოლო გოლი ყოფილიყო და ასეც იქნებოდა, იგი ძალს რომ არ მოხვედროდა, მაგრამ მორალურად გამარჯვებულები, ალბათ, მაინც არგენტინა დარჩებოდა. ამაზე ბევრი აზრი გამოითქვა და მე აღარ მიმაჩნია საჭიროდ ხელახლა დავუბრუნდე ნათქვამს.

განვეკამ, უფრო სწორად, საფეხბურთო კანონზომიერებამ ინება, რომ ძირითად დროში ერთი ტაიმი არგენტინელებისა ყოფილიყო. მეორე — ჰოლანდიელებისა. ძალს მოხვედრილი ბურთი ჰგავდა ნოყდაუნს, რომელიც მხოლოდ ერიფში ალინშნება, მაგრამ ფეხბურთისათვის სრულებით არაფერს ნიშნავს. მესამე ტაიმი მე სიმპოლურად მეჩვენა. ორმა გუნდმა, როგორც ორმა მოკიდავეებ, ძერა ვერ უყო ერთმანეთს. უპირატესობა დარჩებოდა მას, ვინც თავის ზანსს გამოიყენებდა და აღმოაჩენდამდა დამატებითი ფიზიკური და სულიერი რეზერვი. როცა ხანმოკლე შესვენების შემდეგ გუნდებმა თამაში გააგრძელეს, გამოიოკვა, რომ ჰოლანდია ძველებურად წარმართავდა მატჩის ბოლო მონაკვეთს, ხოლო არგენტინელებს, ჰოლანდიელებზე არანაკლებ დაღლილებს, რაღაც მანქანებთან კვლავ დაუბრუნდათ ძალა და. რაც მთავარია, შთაგონება. ამ მონაკვეთში მათ მართლაც უჩვენეს უველაზე კარგი ფეხბურთი, როგორიც კი ჩემპიონატზე ვვინახავს. და მაშინ ყველამ ირწმუნა, რომ გაიმარჯვებდა არგენტინა. მსოფლიო ჩემპიონი ვახდეს ის გუნდი, რომელმაც მარათონელთა ქიდილში ფინეთის სწორთან ხანრანტერული სიჩქარით გვერდი აუარა მეტოქეს და კარგა დიდი მანძილითი ჩამოიტოვა. რაც შეეხება დამატებით დროში გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანილ ორ ბურთს, ერთი მწერლის თქმისა არ იყოს, ორივე მწიფე ნაუფიერით ჩავარდა ჭოლანდიელთა კარში.

მსოფლიო ჩემპიონმა საფეხბურთო სამყაროს უჩვენა ახალი მოდელი. იგი დაახლოებით ასე წარმომიდგება: როდენ ინტელექტუალური უნდა გაბდეს ფეხბურთი, რამდენი მახვილგონივრული სქემაც უნდა, გამოიგონონ და შექმნან საფეხბურთო ლაბორატორიებში, რამდენი თეორიული ტრაქტატიც უნდა დაიწეროს, იგი მაინც რჩება აზარტულ, ტემპერამენტიან, მკერცხლო და ხალისიან თამაშად, რომელსაც ყველა ტრადიციულ კომპონენტთან ერთად უნდა ახლდეს შთაგონება და ხალასი საფეხბურთო აზროვნება. თუ ყველაზე თვალსაჩინო კონტრასტი ენებავთ, საუბარია ფეხბურთის გრანდებზე. მაშინ არგენტინა და დასავლეთ გერმანია ორი ანტიპოდური გუნდია; ერთმა დაამტკიცა, რომ ფეხბურთის მომავალი შეტევაშია, გამუდმებულ წინსვლაში, აღმაფრენაში, მეორემ,—მსოფლიო ფეხბურთის საბედნიერად, კრახი განიცადა და უსიტყვო კაპიტულაციას მოაწერა ხელი. და თუმცა ამ ორი გუნდის გზები ერთმანეთს არ გადაკვეთია, ისინი მაინც ფარულად ეპრძოდნენ ურთიერთს მთელი ჩემპიონატის მანძილზე. ეს იყო არა იმდენად გუნდების ბრძოლა, რამდენადაც ორი რადიკალურად განსხვავებული სიტყვა ბურთო მრწამსისა.

ისიც ერთობ საგულისხმოდ მეჩვენა, რომ „ბებერი ქალი“ შოონი სამუდამოდ განუდგა ფეხბურთის და თავის უბრალოდ გატაცებად მოგზაურობა გამოაცხადა. ეს მაშინ, როცა გამარჯვებული მენოტი მოწვევას დებულობს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან. რას იზამ, შოონს საფეხბურთო სამყარო მადლობას უხდის მისი მრავალწლიანი შემოქმედებისათვის, მაგრამ მაინც სინანულის გარეშე ეთხოვება. შოონი — ფეხბურთის გუშინდელი ეპოქა — ისტორიას ჩაბარდა, მენოტი კი გაიჩენს მომდევრებს, მან ხაქმით დაამტკიცა, რომ ფეხბურთის მიზანი მოწინააღმდეგის ნახევრის ოკუპაციაა, რომ ფეხბურთი ივლის ახალი გზით, რომელიც დიდი ხნის წინათ აღმოაჩინეს, მაგრამ შემდეგ უმარადებულოდ დაივიწყეს. ეს სჭირდება არა მარტო უმაღლესი დონის ფეხბურთს, არამედ ყოველდღიურ ფეხბურთისაც, რომელიც მუდამ ჩვენთან არის. ეს სჭირდება სტადიონების დაცარიელებულ ტრიბუნებს, ესაა დღევანდელი საფეხბურთო მოდა, რომელიც ყველამ აღიარა. მაგრამ ყველა გაჰყვება კი? ამაზე პასუხს გაგვცემს ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატი

ბუენოს-აირესი—თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გდრ

ფრედ ვანდერის პირველი პიესა

ცნობილი პროზაიკოსი, რომანების, მოთხრობების, და რეპორტაჟების ავტორი, ფონტანესეს და ჰაინრიჰ მანის პრემიის ლაურეატი ფრედ ვანდერი პირველად გამოჩნდა დრამატურგის ფერში. მისი პიესა „მოგიკითხთ ეზოშ“ ამას წინათ დაიდგა ვაიმარის „ნაციონალურ თეატრში“.

პიესის მოქმედება სადღაც ამაზრეთ ამერიკაში ხდება, მაგრამ ავტორი არ აზუსტებს არც ქვეყანასა და არც გმირების ეროვნებას. მთავარი აქცენტი ფსიქოლოგიურ ნიუანსებზეა გადატანილი და, ალბათ, შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ ვიფიკაციელია მოქმედების დრო და ადგილი. პიესის მთავარი გმირი ეზოა სცენაზე არ ჩნდება: იგი ამ რამდენიმე წლის წინათ დაიღუპა ინდიელების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში; მაგრამ მისი შშობლები და ძმა ამდენი ხანია რეგულარულად იღებდნენ ეზოას ცოლის — ფილისის წერილებს; ყოველ წერილზე იყო მინაწერი: „მოგიკითხთ ეზოშ“. ოჯახის ყველა წევრი გუშანნი გრძნობდა, რომ ეზოა ცოცხალი ალარ იყო, მაგრამ საკუთარ ექვს სხვას უმალავდა; და აი, ბოლოს ჩამოდის ფილისიც, რათა სიმართლე უთხრას ეზოას ოჯახს. თუმცალა ეზოას ძმა სიმონი, ეზოას დედა და ეზოას მამა ცალ-ცალკე ეუბნებიან ფილისს, ყველაფერი ვიცითო, მაინც თხოვენ, სხვებმა არაფერი გაიგონო. ასე და ამგვარად, ყველაფერი ძველებურად რჩება — ფილისი უკანვე მიემგზავრება და კვლავ რეგულარულად მოდის წერილები მინაწერით: „მოგიკითხთ ეზოშ“.

ეზოას ახლობლები ვიცი მის სიკვდილს შერიგებიან და ვიცი იმ ცხოვრების გზას, რომელიც ეზოამ აირჩია, ფილისმა კი ეზოას ოჯახის გაცნობის შემდეგ გაუგო ქმარს, გაუგო, ასე რად მოიქცა...

ფრედ ვანდერის პიესაში გადმოცემულია ერთი ოჯახის ამბავი, რომელისთვისაც ცხოვრებაში მთავარია ნივთიერი კეთილდღეობა და ვერ აბჩნევს იმას, რაც უშუალოდ მას არ ეხება. ეზოა თავიდანვე ცხოვრების განსხვავებულ გზას დაადგა და რაკი ახლობლების ყოფა მისთვის უცხო იყო, ხალხიდან წავიდა.

„ხდება პარადოქსი, — წერს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჟურნალის „თეატერ დერ ცეიტის“ რეცენზენტი. — ერთადერთი ცოცხალი ადამიანი ამ სახლში გარდაცვლილი ეზოაა. სწორედ იგია ნიცოცხლის დამამკვიდრებელი ძალა, მხოლოდ მან იცის, რომ არ უნდა იცხოვრო ნუგეშისმცემელი სიცრუით, უნდა იბრძოლო სიმართლისა და სამართლიანობისათვის“.

გფრ

თომას მანის დღიური

თომას მანს ექვსი ათასამდე დღიური დარჩა; ავტორის ნებით, დღიურის გამოქვეყნება მხოლოდ მისი სიკვდილის ოცი წლის შემდეგ შეიძლებოდა. 1975 წლის 12 აგვისტოს დიდი გერმანელი მწერლის გარდაცვალების მეოცე წლისთავზე დღიური, რომელიც ცოფორიზში, თომას მანის არქივში ინახებოდა, მის ოჯახს გადაეცა. ამის შემდეგ კიდევ ორი წელი მოსდომა დასავლეთგერმანელმა ლიტერატურისმცოდნემ პეტერ დე მენდელსონმა, რათა გამოხაცემად მოემზადებინა დღიურის პირველი ნაწილი, რომელიც 1933-1934 წლებს მოიცავს.

როგორც ცნობილია, როცა ჰიტლერმა ხელისუფლება ხელში ჩაიგდო, თომას მანი უცხოეთში გაიხიზნა. აი, სწორედ ამ ხანას განეკუთვნება ეს ჩანაწერები. ფაშისტური გადატრიალება მწერალს სამშობლოს ტრაგედიად მიაჩნია. დღიურში დაუფარავად გამოთქმულია ახალი რეჟიმისადმი შიზღი და სიძულვილი. ჩანაწერებში ხშირადაა ლაპარაკი „იმ საფუძველთა მსხვრევაზე, რასაც ცხოვრება ეურდნობოდა“, გამოთქმულია ექვი, შეესაძლებელია თუ არა, კაცმა კიდევ იცოცხლოსო. თომას კიდევ შეუფერადებელი პატეტნენი ფვიხატავს თავის თავს „როგორც ძალების მოზღვავების ჟამს, ისე სულიერი სიუსტეის დროსაც“. მხოლოდ ღრმა პირადული ხასიათის რამდენიმე ჩანაწერის გამოქვეყნება ჩათვალა გამომცემელმა მიზანშეუწონლად.

გამომცემლობა „ფიშერი“ გამოსაცემად აპზადებს დღიურის მომდევნო ნაწილს. დღი-

ურს მწერალი ხაკედილამდე (1955) წერდა.

ჟურნალი „ᲨᲣᲥᲘᲔᲚᲘ“ ამ წიგნს „დიდი ლიტერატურული და ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტს“ უწოდებს.

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ

ᲡᲐᲒᲐᲓᲠᲐᲙᲐᲠᲘ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐᲨᲘ

ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲐ „ᲛᲣᲠᲘᲡ“ წელიწადის ცხრა სექტემბერს რომის მახლობლად გაშენებულ ქალაქ მაროტკაის მცხოვრებლები შუა საუკუნეების ჯარისკაცული ტანსაცმელით იმოსებიან და თავს იყრიან „ᲯᲐᲓᲠᲘᲡᲐᲘᲡ დღის“ მოედანზე. შავი და თეთრი ფილებით მოგებული მოედანი ძველებური ცისდარბაზის წინ მდებარეობს. იწყება ზეიმი. ᲯᲐᲓᲠᲘᲡᲐᲘᲡ ფიგურები — მოქალაქეები იკავებენ სპეციალურ მინდვრებს და თამაშდება პირველი პარტია.

ხუთას წელიწადზე მეტი ხნისაა ეს ჩვეულება. გადმოცემენ, რომ 1454 წელს ამ ქალაქის მცხოვრებ რორ კეთილშობილ ახალგაზრდას ერთი ქალიშვილი შეუყვარდა — თავადისა და ციხე-დარბაზის პატრონის ასული ᲛᲬᲘᲗᲣᲜᲐᲮᲐᲖᲘ ᲛᲝᲜᲘᲠᲘᲐ. ჩვეულებრივ ასეთი მეტოქეობა დუელით თავრდებოდა ხოლმე, მაგრამ ამჯერად ასე არ მოხდა. ᲚᲝᲠᲝᲜᲘᲡ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ ᲐᲫᲠᲐᲚᲐ თავის სამთავროში დუელი და რაკიფუტს შესთავაზა, ერთი პარტია ᲯᲐᲓᲠᲘᲐᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. მატჩი ციხე-დარბაზის წინ, მოედანზე გაიმართა. ᲯᲐᲓᲠᲘᲐᲜᲘᲡ ფიგურების როლს თავადის მსახურები და კარისაცცები ასრულებდნენ. თავადის ასული გაჩარჭვეულ გაჰყვა ცოლად. ეს ჩვეულება აქამდეა შემონახული. წელსაც ტრადიციული მატჩი სექტემბერში გაიმართება.

ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲜᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲠᲝᲚᲘ

ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲜᲘ ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲜᲘ, წწვიე მოქალაქეობრივი ვნებებისა და დახლართულსაუუბებისა კინოსტუდიის „პოლიციის კომისრის აღსარება რესპუბლიკის პროკურორის წინაშე“ ავტორი, კვლევ მიუხერუნდა პოეტიკურ კინემატოგრაფს. მისი უკანასკნელი ფილმი „ᲨᲔᲜᲘᲜᲐ“ გვიხატავს თანამედროვე იტალიის ყოფის შეჩაშფოთებელ ვითარებას — „ᲗᲐᲕ ᲨᲔᲜᲘᲗᲣᲚᲔᲑᲘᲡ“, ტერორისტულ აქტებს, მარილსაჯულების მოსელეთა მკვლელობას. სურათის მიზანი, რეჟისორისავე თქმით, ის არის, რომ ჩაფიქრა „ᲛᲐᲧᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲔ ᲛᲓᲒᲐᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“, რომელნაც ᲩᲕᲔᲜ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲔᲗ“.

ფილმის მთავარი გმირი პოლიციელია; იგი არჩევანის წინაშე დამდგარა და არ იცის, რომელ მანაკს მიემხროს, ვის გაჰყვეს, — ინტელექტუალური შეზნულულობის გამო არ ძალუძს მას ამის ქნება. ᲪᲮᲝᲚᲘᲡ ᲘᲢᲐᲚᲘᲔᲚᲘᲡ ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲯᲐᲒᲘ ᲛᲐᲠᲘᲐ ᲕᲝᲚᲛᲘᲜᲢᲘᲡ ᲐᲠᲩᲘᲜᲘ, რომელიც პოლიციელის როლს ასახიერებს (იგი ტაორმინის ᲛᲔᲠ ᲡᲐᲠᲘᲗᲐᲕᲘᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ კინოფესტივალზე პრემით დაჯილდოვდა), მის გმირს „უნდა თავი დადაწოლის ამ მდგომარეობას, რომელშიც აღმოჩნდა, რიგად აუტანელი დღეშია. თუმცა რაც უფრო მეტად ცდილობს თავის დაღწევას, მით უფრო ღრმად ეფლობა: იგი ჩაირეულია აღმოჩნდება პერიპეტიებში, რაც დემოკრატიულ ორგანიზაციებზე თავდასხმასთან არის დაკავშირებული“.

პოლიციელი ყოველთვის ინახ აკეთებდა, რასაც უბრძანებდნენ; ახლა როგორც აქნა დადგა დრო და მონახა, მისი ᲬᲘᲣᲚᲘ, ნეიტრალური ადგილი — მარილსაჯულების ერთ-ერთი წარმომადგენლის მცველი და შოფერი გახდა. მაგრამ მას მეურვეს კლავენ, ვითარებაც დიდ საიდუმლოებად გადაიქცა, და პოლიციელი იდუმალი ძალების შეჯახების შუაგულში აღმოჩნდება. ᲑᲝᲚᲝᲚᲘ ისიც იფუძება „შავი შეთქმულის“ ᲮᲔᲚᲘᲗ ᲘᲜᲘ, რომ ბოლომდე მაინც ვერ ჩახვდა შექმნილ სიტუაციას, მსოლოდ ადლითით იგრძნო მორალური ᲨᲔᲣᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲘᲡ („ᲐᲘᲠᲩᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲠᲩᲘᲚᲔᲑᲘᲡ“).

„ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ ᲡᲢᲠᲘᲠᲝᲜᲐᲗᲐ“ ᲡᲐᲮᲘᲗᲠᲝᲒᲐ ᲔᲚᲘᲡ

ᲚᲝᲠᲔᲜᲪᲝᲡ ᲓᲐ ᲕᲘᲜᲘᲡ გენიალური ქმნილება „ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ ᲡᲢᲠᲘᲠᲝᲜᲐᲗᲐ“ — ფრესკა, რომელიც მთელნის ᲚᲔᲚᲘᲡ მარილდელ გრაკეთან მონასტრის სატრაპეზოს ამშვენებს, თანდათანობით იშლება სმოგიანა და ნესტანიანად.

1943 წელს ამერიკის თვითმფრინავიდან რამოვდებულმა ბომბმა სტრიოზულად დააზიანა სატრაპეზოს თაღები, ფრესკა მხოლოდ სასწაულთან გადარჩა. მოგვიანებით ფრესკა გუფლმოდგინედ გაწმენდეს დაწარეკეთებისაგან.

1954 წელს კიდევ ერთხელ შეამოწმეს ეს შედევრი, რომელიც 1495-1497 წლებში, ᲚᲝᲜᲐᲠᲓᲝ ᲓᲐ ᲕᲘᲜᲩᲘᲡ მოლაწეობ პირველად ᲧᲝᲤᲘᲡ დროს შეიქმნა.

„ᲩᲕᲔᲜ, — ᲒᲕᲐᲛᲔᲑᲝᲡ ᲣᲫᲕᲔᲚᲘᲡ ᲫᲔᲓᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲡ ᲠᲔᲡᲢᲐᲣᲠᲐᲢᲝᲠᲘᲡᲐᲒᲐᲜᲘᲡ ᲙᲐᲠᲚᲝᲡ ᲑᲔᲠᲢᲔᲚᲘ, — ᲧᲕᲔᲚᲘᲡᲤᲔᲠᲘᲡ ᲒᲝᲕᲚᲘᲗ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ ᲡᲢᲠᲘᲠᲝᲜᲐᲗᲐ“ ᲒᲐᲫᲔᲚᲐᲡᲐᲠᲩᲘᲜᲔᲑᲓᲐ ᲐᲫᲔᲚᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲝ ᲧᲝᲤᲘᲡ ᲨᲔᲯᲐᲮᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲣᲐᲒᲣᲚᲘᲡᲐ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓ

ლაზე გასაოცარი მათ შორის გაბლავთ მაიას ტომის მიერ აღმართული პირამიდები პალენკეში, ოუკატანის ნახევარკუნძულზე. სწავლულმა გეოგრაფოსებმა ამ პირამიდების თაობაზე ჯერ კიდევ 30-18 საუკუნეში იცოდნენ. ასოოდ წლის წინათ არქეოლოგებს მიეცათ საშუალება საკუთარი თვალით ეხილათ პალენკე, მაგრამ აქამდე ვერავინ შეძლო აქ ჩამარხული ყველა საიდუმლოების ამოხსნა.

ორი ათეული წლის წინათ მექსიკის ხელისუფლებამ ამ ძეგლზე სახელმწიფო მეთვალყურეობა დააწესეს. სწორედ ამის შედეგად დაიწყეს მექსიკელმა მეცნიერებმა მისი სერიოზული შესწავლა.

ერთხელ მექსიკელი სწავლული ხორხე აკოტა და მისი მოწაფე ვიქტორ როდრიგეზი ჯუნგლში დაიარნენ და სამი დღე ვერ გამოელწია იქიდან. მერე კიბეს წაეწყენენ, წარწერათა ტაძრისკენ რომ მიემართებოდა. ბოლოს თავზარდაცემულმა ძლივს გამოაღწიეს ხამშვიდობაზე. აქაურ ჯუნგლიდან გამოლწევას ნუ ეხუჭირები კაცი! ზოგი მეცნიერის შეხედულებით, მაიას ტომმა ხომ იმიტომაც მიატოვა პალენკე, რომ ვერ შეეჩერა ტყის შემოტევა.

პალენკეში ათასზე პირამიდა დგას. ყველაზე შესანიშნავი მათ შორის წარწერათა ტაძარია. კიბით შეგიძლიათ ახვიდეთ პირამიდის თავზე. კიბითვე ჩაბვალთ პირამიდის ფიცრნინ ამოთხრილ ჯაში. აქ არის მაიას ტომის ბელადის თუ ქურუმის კაბალდამა. სწავლულთა აზრით, ეს ტაძარი ჩვენი წელთაღრიცხვის მე-7 საუკუნეს განეკუთვნება.

პალენკეს პირამიდები ძალიან ჰგავს ეგვიპტურისას. არქეოლოგები და მათემატიკოსები, რომლებმაც ძირფესვიანად შეისწავლეს მათი კონსტრუქცია და პარამეტრები, მხოლოდ გარეგნულ მსგავსებაზე როდი ამახვილებენენ ყურადღებას. ეგვიპტურ ტაძარში ნაპოვნი წარწერათა გაანგარიშებანებს, რომ მაიას კურუმებმა იცოდნენ ეგვიპტის ფარაონების სამარხოვანთა საიდუმლოება. აკადამიების კონსტრუქცია, მათთან მისასვლელი რთული ლაბირინთები, მუმიათა დაბალზამების წესი, ბერეთვე დაკრძალვის რიტუალი ეგვიპტურის ანალოგიურია. ისე გამოდის, თითქოს მაიას ტომის ქურუმები აფრიკის ხშირი სტუმრები იყვნენ ან აფრიკიდან ჩამოდაოდნენ ამერიკაში ვაჭრები; მაგრამ როცა ნახეს, რომ მიცვალილების ნეიცხი, ბეჭდები და ფარიფული ისპანსა იყო, გახინჯეს ძვირფასი ქვა და გამოირკვა: ისპანი ჩინეური ან იაპონური წარმოშობისა უნდა იყოს. ეს თუ ასე, მაშინ მაიას ტომს აზიასთან კავშირი წყნარი ოკეანით უნდა ჰქონოდა.

საგანგაშოდ და საფიქრებელი ჯერ კიდევ ბევრი.

კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილება მახალებს მიიღებს არა უმუტეს ერთი ნაბეჭდი თაბახისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ზალვა დადიანის ქ. № 2.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 72-26-35, მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-32, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 92-85-81, პროზაზე — 72-26-30, ლიტერატურული თანაშრომლები — 72-47-62, „ცისკრის“ დამატება — 72-17-01, საკორეტტორო — 72-43-75.

ვადაეცა ასაწყობად 17. 7. 78 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 11. 9. 78 წ., ქაღალდის ზომა 70×108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. საღრ.-სიგ. თბანი 15.35. შეკვ. № 2023. ფფ 00804. ტირაჟი 31.100.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



გიგლა ფირცხალავა

უტიქსტო ხუმრობები



ფასი 60 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ

ИНДЕКС 76236